საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გორის დარჩია

ვაჩტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა



გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1986

83.3 Г р 1
ლ 235

წიგნში შესულია გამოკვლევის ერთი ნაწილი. აქ განხილულია ვახტანგ მეექვსის (1675—1737) პოეტურ თხზულებათა ხელნაწერი კრებულები; დადგენილია მათი რედაქციული სახე და ურთიერთმიმართება. შესწავლილია ზოგიერთი თხზულება, რომლებიც ხელნაწერ კრებულებსა და ბეჭდურ გამოცემებში არ შესულა. გამოვლენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი უცნობი ნაწარმოები. მოცემულია მათი იდეურ-მხატვრული და ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი **ალ. ბარამიძე**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი **ს. ცაიშვილი**

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მ. მამაცაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. სულავა**

ლ 4603010201
M 607 (06)—86 108—86 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1986.

შესავალი

ვის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“

1969 წლის მაისის ერთ მშვენიერ დღეს თბილისის ერთ-ერთი სკოლიდან ჩვენთან, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ტელეფონით დარეკეს და იკითხეს: ვის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“

ეს შესანიშნავი აფორიზმი რამდენად ნაცნობი, გავრცელებული და პოპულარულია ჩვენში, თავისი შინაარსით, ფორმითა და სტილით, ერთი შეხედვით, ისე ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“, „ქილილა და დამანას“, „გამზრდელისა“ და ზოგიერთი სხვა დიდაქტიკური ხასიათის თხზულებათა ბრძნულ გამონათქვამებს, რომ ინსტიტუტის თანამშრომლებს პირველად ბევრი ფიქრი არ დაგვიწყია, იგი ერთ-ერთ ამ თხზულებათა კუთვნილად, მისგან მომდინარედ ჩავთვალეთ და მის ავტორად ზოგმა შოთა რუსთაველი დავასახელეთ, ზოგმა — დავით გურამიშვილი, ზოგმა კიდევ — არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, აკაკი წერეთელი და ა. შ. მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, სახელდახელო ძებნის შედეგად წყაროს ვერ მივაგენით. მაშინ ზოგიერთმა იგი ხალხურად გამოაცხადა.

შემდგომ, როცა საკითხის საფუძვლიან კვლევა-ძიებას შევუდექი, გამოირკვა, რომ ამ აფორიზმის ავტორობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაშიაც ანალოგიურ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

მაგალითად: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე ტომში (1951 წ.) აღნიშნული აფორიზმი მოტანილია „გამზრდელი“ სიტყვის საილუსტრაციოდ და მიეწერება დავით გურამიშვილს (გვ. 671). ხოლო ამავე ლექსიკონის მეოთხე ტომში (1955 წ.) იგივე აფორიზმი დამოწმებულია სიტყვა „ზრდილის“ საილუსტრაციოდ და მიჩნეულია ხალხურად (გვ. 178). ხალხურადვეა იგი გამოცხადებული „ხალხური სიბრძნის“ მეხუთე ტომში (თბ., 1965, გვ. 380; შემდგენელი — ლ. ლეჟავა). 1935 წელს ეს აფორიზმი ი. გრიშაშვილს რუს-

თვლისეულად ჩაუთვლია[1]. ეს აზრი არაერთხელ არის გამოთქმული სხვების მიერაც[2].

აღნიშნული ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა, რომ არც ერთ დასახელებულ ავტორთან, ან სხვა რომელიმე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებში საძიებელი აფორიზმი არ დასტურდება. სტილის მიხედვით კი ძნელია იგი ხალხურად ვცნოთ.

ამ აფორიზმის ავტორის დადგენას განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ, სადაც კი იგი დამოწმებულია, — ეს იქნება სამეცნიერო, პუბლიცისტური თუ მხატვრული ლიტერატურა, — თითქმის არსად არ არის მითითებული წყარო: საიდან, რის მიხედვით არის იგი მოყვანილი. ამიტომ საკითხის გარკვევისათვის ერთადერთ გზად ისღა რჩებოდა, დაგვედგინა, სად და როდის ჩნდება პირველად ეს აფორიზმი ლიტერატურაში.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა ილია ჭავჭავაძემდე და მის „ივერიამდე". პირველად ეს აფორიზმი იბეჭდება გაზეთ „ივერიაში" და პირველად მას თავის პუბლიცისტურ წერილებში იყენებს ილია ჭავჭავაძე.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში" შემოიღო რუბრიკა „დამაკვირდი". ამ განყოფილებაში იგი სისტემატურად აქვეყნებდა ქართველ და მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა ბრძნულ გამონათქვამებს — ანდაზებს, აფორიზმებს, სენტენციებს... ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი სწორედ ამ რუბრიკით გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" 1886 წლის 12 თებერვალს (№ 34, გვ. 3). აქ ამ აფორიზმის ავტორად გამოცხადებულია ვახტანგ მეექვსე. მომდევნო, 1887 წელს „დამაკვირდი" ცალკე წიგნად გამოვიდა[3]. მასში ჩვენი აფორიზმიც შევიდა და იგი აქაც ვახტანგ მეექვსეს მიეწერება (გვ. 8).

ორი წლის შემდეგ, 1889 წელს ილია ჭავჭავაძე ამ აფორიზმს იყენებს ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ დაწერილ და იმავე წლის აპრილ-ივნისის თვეებში გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში „აი ისტორია": „...ჩვენის კულტურის სხვადასხვა ელემენტ-

---

[1] საანდაზო ლექსები. ვეფხისტყაოსანი, ჭილილა და დამანა, გურამიანი, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბ., 1935, გვ. 155.

[2] ტ. რუხაძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული ლიტერატურა, „მნათობი", 1937, № 5, გვ. 133; თ. თანდილაშვილი, ტაქსში მხოლოდ ქალიშვილებია, გაზ. „მებრძოლი გუშაგი", 5 მარტი, 1969, № 10 და სხვა.

[3] „დამაკვირდი", აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმული, დაბეჭდილი „ივერიის" რედაქციის მიერ, თბ., 1887.

ზედ... ქადულობს ავტორი, რომ მე პირველი ვარ, რომელიც ამ მხარით ვეხები საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურასაო. მართალია, ბოდიშის მოსახდელად ისა აქვს, რომ, რაც მიმიღია, იმას გაძლევთო, მაგრამ მაგას რომ არაფერი მიეღოს, ან ჩვენი რა ბრალია, ან ჩვენის ისტორიისა: საცა გაწვრთნილა და უსწავლია, იმას გადაახდევინოს. განა ტყუილია:

„ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ავად ზრდილი?!"[4]

ეს აფორიზმი ილია ჭავჭავაძემ გამოიყენა აგრეთვე 1899 წელს „ქვათა ღაღადში" პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პატკანოვისა და ახალგაზრდა ნიკო მარის წინააღმდეგ. ილია წერს: „...მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბ-ნი მარი. მწურთვნელის კარგად ხსენება მადლობელის გაწურთვნილისაგან მოსაწონია, მაგრამ ესეც კი ურიგოდ არ არის ნათქვამი: «ცემა გმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ჰნახო ავად ზრდილი»"[5].

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ამ აფორიზმის თემის მხატვრული ხორცშესხმა და შემოქმედებითი განვითარებაა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი", რომელიც სწორედ ამ პერიოდში, 1898 წელს გამოქვეყნდა. თუმცა ამ თხზულებას „ნამდვილი ამბავი" აწერია, მაგრამ მისი თემა და იდეა, მისი დაწერის დრო გვაფიქრებინებს, რომ ქართული პოეზიის ამ მშვენების შექმნა პოეტისათვის სხვასთან ერთად იმხანად გამოქვეყნებულ ჩვენს აფორიზმსაც უნდა შთაეგონებინა[6].

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი საკმაოდ ხშირად იხმარება, მაგრამ მის ავტორად ვახტანგ მეექვსე არსად არ იხსენიება. როგორც ვნახეთ, ზემოთ დამოწმებულ წერილებში ამ აფორიზმის ავტორობის შესახებ ილია არაფერს ამბობს. ჩანს, ეს აფორიზმი ჩვენში გაცრცელდა არა იმდენად „ივერიაში" ან ცალკე წიგნად გამოქვეყნებული „დამაკვირდის" მიხედვით, რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ფართოდ გახმაურებული „აი ისტორიას" და „ქვათა ღაღადის" მეშვეობით. მაგალითად, ეს აფორიზმი უშუალოდ „ქვათა ღაღადიდან" შესულა პეტრე გერმა-

---

[4] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ჰ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 69.

[5] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, VIII, თბ., 1957, გვ. 119.

[6] ამ თხზულების ფოლკლორული წყაროების ძიებიდან იხ.: მ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, თბ., 1958, გვ. 57—62; ო. ჭურღულია, კრიტიკული წერილები, II, სოხუმი, 1961, გვ. 70—75.

ნაშვილის მიერ 1915 წელს ქ. გორში შედგენილ „ანდაზების კრებულში“, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H 1935). აქ ეს წყარო პირდაპირ არის დასახელებული (გვ. 53).

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ საძიებელი აფორიზმი გამოტოვებულია „დამაკვირდის“ მომდევნო გამოცემებში[7], ხოლო ი. გრიშაშვილის. გამოცემაში, როგორც ვთქვით, დაბეჭდილია, ოღონდ ავტორად, ვახტანგ მეექვსის ნაცვლად, შოთა რუსთველია გამოცხადებული. აღნიშნულ წიგნებს კი საფუძვლად უდევს „ივერიაში“ და ცალკე წიგნად გამოსული „დამაკვირდი“.

მაშასადამე, პირველ პუბლიკაციაში ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის ავტორად დასახელებულია ვახტანგ მეექვსე. ამის შემდეგ საძიებელი გახდა, რამდენად სარწმუნოა „ივერიის“ ეს ცნობა ან, თუ სწორია, სად აქვს ვახტანგს ნათქვამი იგი?

თუ ვახტანგის გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენს აფორიზმთან ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს „სიბრძნე მალაღობელის“ შემდეგი ორსტრიქონიანი სტროფი[8]:

„ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოარულია,
გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია“[9]. (235)

ჩვენს აფორიზმსა და ამ სტროფს შორის ორგანული კავშირის არსებობაზე მიგვანიშნებს არა მარტო მათი შინაარსობრივი მსგავსება, არამედ ის სიტყვიერი დამთხვევებიც, რომელიც ამ სტროფსა და ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შორის შეიმჩნევა: შეადარეთ[10]: „გამწურთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია“ — „გამწურთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია“.

[7] დამაკვირდი, ანუ რჩეულ აზრთა კრება, შეკრებილი სილ. თავ-ძისა და ევ. ს-ძისა, ოზურგეთი, 1903; დამაკვირდი, აფორიზმები და სენტენციები, „ივერიიდან“ ამოკრიბა, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. სიგუამ, თბ., 1965. ეს აფორიზმები არ შესულა ამ წიგნის არც პირველ (თბ., 1938) და არც მომდევნო (თბ., 1970) გამოცემებში.

[8] ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 115.

[9] სხვათა შორის, ეს მსგავსება აღნიშნული აქვს ლ. მენაბდეს. იგი წერდა: „«დამაკვირდით» ვახტანგს მიეწერება საყოველთაოდ გავრცელებული გამონათქვამი: «ცემა გმართებს გამწრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი». ეს სიტყვები არც ვახტანგის ორიგინალურ ძეგლებში გვხვდება და არც «ქილილა და დამანაში». საფიქრებელია, მას კავშირი ჰქონდეს ვახტანგის შემდეგ გამონათქვამთან: «...ნახა ყრმა ავად მქცეველი...»“ (ლ. მენაბდე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 69, თბ., 1958, გვ. 107; შდრ.: მისივე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 133—134).

[10] აქ და ქვემოთ, სადაც მითითება არ არის, დაყოფა ყველგან ჩვენია.

სწავლულია“ და „ჩვენი რა ბრალია... საცა გაწვრთნილა და უსწავლია, იმას გადაახდევინოს“ („აი ისტორია“), ან „გამწურთვნელის კარგად ხსენება მადლობელის გაწურთვნილისაგან მოსაწონია“ („ქვათა ღაღადი“). ილია ჭავჭავაძის მიერ საძიებელი აფორიზმის ასეთ კონტექსტებში მოყვანა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელი“ წარმოადგენს დიდაქტიკურ-მორალური შინაარსის თხზულებას, რომელიც სწავლულმა მეფემ რუსული „აპოფთეგმატას“ ქართული პროზაული თარგმანის საფუძველზე შექმნა.

როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, ვახტანგის ამალის წევრმა, მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთმა მოღვაწემ ერასტი თურქისტანიშვილმა დაახლოებით 1724—1732 წლებში რუსულიდან თარგმნა „აპოფთეგმატა“. ეს თხზულება დამრიგებლური და გასართობი შინაარსის კრებულია, რომელშიც თავმოყრილია მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთა ბრძნული, დამრიგებლური გამონათქვამები.

ვახტანგმა გალექსა „აპოფთეგმატას“ ე. თურქისტანიშვილისეული პროზაული თარგმანი და მას „სიბრძნე მალაღობელი“ უწოდა. ამ ნაწარმოებს პოეტი შემდგომ რამდენჯერმე მიუბრუნდა, შეასწორა და დაამუშავა იგი. ამჟამად ხელნაწერებში ამ ნაწარმოების რამდენიმე რედაქცია არსებობს. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ 1947 წელს ალ. ბარამიძის მიერ გამოცემული ამ თხზულების ზემოთ დამოწმებული ტექსტი ადრინდელ რედაქციას წარმოადგენს[11].

„სიბრძნე მალაღობელის“ დამოწმებულ ორსტრიქონიან სტროფსა და ჩვენთვის საინტერესო აფორიზმს შორის არსებულმა მსგავსებამ და კავშირმა დააყენა საკითხი: ხომ არ არის საძიებელი აფორიზმი ვახტანგის რედაქციული მუშაობის (სწორების) შედეგი და ხომ არ მოიპოვება იგი სხვა რედაქციების შემცველ ხელნაწერებში?

„სიბრძნე მალაღობელის“ ხელნაწერების ამ თვალსაზრისით შესწავლამ აღძრული ეჭვი სავსებით გაამართლა: ზუსტად ისე, როგორც „ივერიაშია“ დაბეჭდილი და ჩვენშია გავრცელებული, საძიებელი აფორიზმი აღმოჩნდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ S 171 ხელნაწერში. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1734—1737 წლებში სულხან-საბა ორბელიანის ძმის დემეტრე ორ-

---

[11] არსებობს „სიბრძნე მალაღობელის“ ადრინდელი განსხვავებული პუბლიკაციაც („ცისკარი“, 1853, № 4, გვ. 57—80, № 6, გვ. 51—80), მაგრამ იგი სრული არ არის: ის ნაწილი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სტროფი შედის, აქ არ დაბეჭდილა.

ბელიანის მიერ, რომელიც შემდეგ გაუსწორებია ვახტანგს. ჩვენი აფორიზმი აქ მოთავსებულია „სიბრძნე მალაღობელის“ ზემოთ მოყვანილი 235-ე ორსტრიქონიანი სტროფის ნაცვლად (გვ. 57რ.).

უფრო მეტიც: ჩვენი აფორიზმი ვახტანგისავე ხელით ნაწერი დასტურდება უფრო ძველ ხელნაწერში. ეს არის 1733 წელს ვახტანგ მეფის მდივან-მწიგნობრის მელქისედეგ კავკასიძის მიერ გადაწერილი და ვახტანგის მიერ ნასწორები იმავე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული S 4500 ნუსხა. ამ ხელნაწერის 55-ე გვერდზე მოცემულია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის შექმნის მთელი საიდუმლოება (იხ. სურათი 1): ჯერ არის ერასტი თურქისტანიშვილის ნათარგმნი ტექსტი: „ნახა ყრმა ერთი ურიგოდ მჭეველი, მის ოსტატს შემოჰკრა და უთხრა: ურიგოდ ქცევა რასთვის ასწავლე?!“ ამას მოსდევს ვახტანგის გალექსილი ის ორსტრიქონიანი სტროფი, რომელიც 1947 წლის გამოცემაშია დაბეჭდილი: „ნახა ყრმა ავად მჭეველი, ურიგოდ მოარულია, გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია?!“

ორიე ეს ტექსტი შესრულებულია კრებულის გადამწერის მელქისედეგ კავკასიძის ხელით. ვახტანგს თავისი ტექსტის სწორების დროს ეს ორსტრიქონიანი სტროფი მუქი შავი მელნით გადაუხაზავს და ჯერ შუაში ჩაუწერია: „მისად ნაცვლად გამზრდელსა ეც“. შემდეგ ესეც გადაუხაზავს და გვერდზე. არშიაზე ვერტიკალურად იმავე მელნით მიუწერია ჩვენი აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“

ამგვარად, საბოლოოდ გაირკვა, რომ საძიებელი აფორიზმის ავტორი მართლაც ვახტანგ მეექვსე ყოფილა. ახლა ჩვენს თვალწინ იშლება ამ აფორიზმის შექმნის და გავრცელების მთელი ისტორია: პოლონურიდან რუსულად ნათარგმნ „აპოფთეგმატაში“ იყო: „Узревъ отроча безчінно поступающо, абіе удари учітеля его, глаголя: почто тако безчінію учіши“[12].

აქედან ერასტი თურქისტანიშვილის თარგმანში მივიღეთ:

„ნახა ყრმა ერთი ურიგოდ მჭეველი. მის ოსტატს შემოჰკრა და უთხრა: ურიგოდ ქცევა რასთვის ასწავლე?!“[13].

---

[12] Апофоегмата то есть краткіхъ вітіеватыхъ, и нравоучітельныхъ речей книги три. Въ ніхъ же, положены разліčныя вопросы, и ответы, жітія, и поступки, пословіцы, и разговоры разліčныхъ древніхъ філософовъ, переведены съ польскаго на славенскій языкъ. Напечатася повеленіемъ его Веліčества Петра Велікаго, імператора и самодержца Всероссіискаго. Въ Санктъпітербургской типографіи, лета Господня 1723. Іуліа 12 дня, с. 56.

[13] სიტყვის-გება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლ ა ღ ი ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ, თბ., 1978, გვ. 44, მუხლი 161.

ეს ტექსტი ვახტანგ მეექვსემ ჯერ ასე გალექსა:

„ნახა ყრმა ავად მქცეველი, ურიგოდ მოარულია,
გამწერთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია?!“

ბოლოს კი ამგვარად გადააკეთა:

„ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“

ასე მივიღეთ ეს შესანიშნავი აფორიზმი, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ პირველი ტექსტისაგან, რომლისაგანაც მომდინარეობს იგი, ან, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომელმაც შთააგონა პოეტს მისი შექმნა. თუ წინამორბედი ტექსტი ეხება ერთ, კონკრეტულ შემთხვევას, ვახტანგმა იგი ზოგადი აზრისა და საერთო შეგონების აფორიზმად აქცია. ეს აფორიზმი არის შემოქმედებითად დამუშავებული ვახტანგის საკუთარი ქმნილება, რომელსაც ახასიათებს ბრძნული დიდაქტიკური აზრის ნათლად, ლაკონიურად და სადად გამოთქმა და, საერთოდ, ყველა ის ღირსება, რაც, საზოგადოდ, ჰეშმარიტი აფორიზმისთვისაა დამახასიათებელი.

ამ აფორიზმის აღმოჩენა, მისი გამოქვეყნება და გავრცელება კი დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან. თავის დროზე, როცა ეს აფორიზმი პირველად გამოქვეყნდა, მისი ავტორიც სწორად იყო მითითებული, მაგრამ შემდგომ, დროთა ვითარებაში, იმის გამო, რომ „სიბრძნე მალაღობელის“ სათანადო რედაქცია არ გამოქვეყნებულა, მისი ავტორის ნამდვილი სახელი დავიწყებას მიეცა, ხოლო მის ნაცვლად ზოგმა ვინ დაასახელა და ზოგმა კიდევ ვინ[14].

---

[14] ეს ნარკვევი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „ცისკარში“ (1969, № 12, გვ. 103—106). ვახტანგის ლექსებისა და პოემების მეორე გამოცემაში (1975 წ.) ალ. ბარამიძემ აღნიშნული აფორიზმი მის პირველ ვარიანტთან ერთად გამოყო და სათაურით „ავად ზრდილი“ ცალკე ლექსად დაბეჭდა (გვ. 71, შენიშვნა — გვ. 166).

მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს აფორიზმი ავტორზე არასწორი მითითებით კვლავაც ქვეყნდება. მაგალითად, რუსთველისეულ აფორიზმად გამოქვეყნდა იგი გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ 1970 წლის 31 იანვარს (№ 25, გვ. 4) რუბრიკით „დიდი ადამიანები ამბობენ“, ხოლო 1982 წლის 5 სექტემბერს (№ 205, გვ. 4) — რუბრიკით „მასწავლებელზე უთქვამთ“.

გაუგებრობის გასაფანტავად 1983 წლის 13 ივლისს გაზ. „წიგნის სამყაროში“ (№ 13) გამოქვეყნდა ს. მხარგრძელის რეპლიკა „ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის“, სადაც აღნიშნულია, რომ „ჩვენს პერიოდულ პრესაში ხშირად მოჰყავთ ცნობილი აფორიზმი «ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი» და მას შეცდომით დავით გურამიშვილს მიაწერენ“. ვახტანგის ლექსების 1975 წლის გამოცემაზე მითითებით ავტორი იუწყება, რომ ეს აფორიზმი ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის.

ამის მიუხედავადაც, 1983 წლის 2 სექტემბერს გაზ. „სახალხო განათლებაში“ (№ 70, გვ. 4) რუბრიკით „რა უთქვამთ ცოდნასა და სწავლა-აღზრდაზე“ (შეკრებილია ა. დოხნაძის მიერ) დაბეჭდილია ჩვენი აფორიზმი და ავტორად დასახელებულია შოთა რუსთველი.

ამ პატარა ფაქტის გარკვევით ცხადი გახდა, რომ ვახტანგ მეექვსის პოეტურ თხზულებათა აღნიშნულ კრებულში, — ამ ერთადერთ სრულ პუბლიკაციაში, — დაბეჭდილი ტექსტი არ წარმოადგენს ბოლო რედაქციას, პოეტის ბოლო ნების გამოხატულებას, როგორც ეს გამოცემისას იყო ნავარაუდევი.

აქედან ერთხელ კიდევ ცხადი გახდა ისიც, თუ რამდენად საჭირო და საშური საქმეა ვახტანგ მეექვსის, — ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ქართული კულტურის ამ შესანიშნავი მოღვაწისა და მოაზროვნის, — თხზულებათა სრული, მეცნიერული გამოცემის განხორციელება.

ამ ნარკვევის შედეგი იყო ისიც, რომ ალ. ბარამიძემ, როგორც ვახტანგ მეექვსის პოეტურ თხზულებათა პუბლიკაციის ავტორმა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, ვახტანგის პოეზიის შესწავლა და გამოსაცემად მომზადება დაგვავალა.

ეს ნაშრომიც ამ მუშაობის შედეგების ერთ ნაწილს წარმოადგენს.

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის დადგენისათვის

ვახტანგ მეექვსის, როგორც თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ნიჭიერი მწერლისა და მოაზროვნის, განსწავლული მწიგნობრისა და მეცნიერის, სახელი კარგად არის ცნობილი. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნული სულიერი საგანძურის გამდიდრებაში. იგი დაუცხრომლად და ნაყოფიერად იღვწოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში, ეს იქნება მწერლობა (პოეზია, პროზა), თუ მეცნიერება — გრამატიკა, ტექსტოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, პედაგოგიკა, ასტრონომია-ასტროლოგია, ქიმია, გეომეტრია, მედიცინა, პოლიგრაფია და ა. შ. ეს დიამეტრულად განსხვავებული დარგები ვახტანგისათვის არ ყოფილა ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით ან თუნდაც ცოდნისმოყვარეობით გამოწვეული გატაცება. იგი მთელი არსებით იყო დაინტერესებული ცოდნის ამ სფეროებით, შეუპოვრად ცდილობდა საფუძვლიანად დაუფლებოდა მათ და თავისი ხალხი ეზიარებინა მათი სიკეთისათვის. ამ ჰეშმარიტ მამულიშვილურ საქმეში მძიმე და ძნელ ტვირთს ვახტანგი უპირველესად თვითონ ჰკიდებდა ხელს და სამაგალითო კეთილსინდისიერებით ეწეოდა მას. სავსებით სამართლიანად წერდა გ. ლეონიძე: „...ვახტანგ მეექვსე თავისი მოღვაწეობის მრავალმხრივობით მოგვაგონებს ილია ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნეში...“[1]

ვახტანგის ეს მრავალგვარი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა, მიუხედავად დიდძალი, ღრმა და საფუძვლიანი საკვლევაძიებო საქმიანობის ჩატარებისა, არათუ მთლიანად, მონოგრაფიული სისრულით, ცალკეული დარგების მიხედვითაც არ არის სრულყოფილად შესწავლილი და წარმოჩენილი[2]. იგივე ითქმის მისი ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედების და, კერძოდ, პოეზიის შესახებაც.

---

[1] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 214.

[2] ვახტანგის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობა მიმოხილულია შემდეგ ნაშრომებში: ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1935; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1973, გვ. 497—516; გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981.

ვახტანგი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და ღირსშესანიშნავი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მუდამ ყურადღების ცენტრში დგას და შეუნელებელი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამის შედეგად მისი სამწერლობო მოღვაწეობის არაერთი საკვანძო საკითხი გარკვეულია. არსებითად დადგენილია მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მისი პოეზიის თავისებურებანი, მიმართებები ადრინდელი და მომდევნო ხანის ქართულ მწერლობასთან და, საზოგადოდ, ვახტანგის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამასთან ერთად კვლავ რჩება მთელი რიგი შესასრულებელი სამუშაოებისა, არაერთი საკითხი, რომლებიც შემდგომ გაღრმავებულ შესწავლას, დაზუსტებასა და დღის სინათლეზე გამოტანას მოითხოვს. უპირველესად ასეთია ვახტანგის პოეზიის გამოცემის საქმე.

სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია ვახტანგის პოეტურ თხზულებათა სრული გამოცემა, სადაც სათანადო მეცნიერული გამოკვლევითა და აპარატურის დართვით თავმოყრილი და რედაქციულ თავისებურებათა ჩვენებით წარმოდგენილი იქნებოდა მთელი მისი პოეტური ნაღვაწი.

ადრე ვახტანგის თითო-ოროლა ნაწარმოები იყო გამოქვეყნებული, ისიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ვახტანგის პოეტურ ქმნილებათა სრული კრებულის გამოსაცემად პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა, ყამირი გატეხა ალექსანდრე ბარამიძემ. მან ზოგიერთი, უფრო ავტორიზებული ხელნაწერების შესწავლის შედეგად ორჯერ ერთი რედაქციის მიხედვით გამოსცა ვახტანგის თითქმის ყველა ნაწარმოები, რაც კი იმ დროს მეცნიერებისათვის იყო ცნობილი ან თვითონ მან მოიპოვა[3]. მკვლევარი ძირითადად ეყრდნობოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულ M 3 ნუსხას, რომელიც, მისი აზრით, ბოლო რედაქციისა უნდა ყოფი-

---

[3] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ.. „საბჭოთა მწერალი", 1947; მეორე გამოცემა: „მეცნიერება", 1975. ორივე გამოცემას ახლავს ილია აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი. აქედან არის გადაბეჭდილი ვახტანგის ლექსების მერვინდელი პუბლიკაციები (ჩვენი საუნჯე, 5, შემდგენლები ა. გვახარია, ლ. მენაბდე, თბ., 1960, გვ. 197—198; ქართული პოეზია, V, ტომი შეადგინა ლ. მენაბდემ, თბ., 1976, გვ. 137—214; ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, შემდგენლები: გ. გეგეჭკორი, ე. კვიტაიშვილი, თბ., 1980, გვ. 71—73; ქართული პოემა, წიგნი II, შემდგენლები: ჯ. ღვინჯილია, მ. წიკლაური, თბ., 1984, გვ. 5—19 და სხვა).

ლიყო[4]. ამავე დროს, დამატების სახით თავისი რედაქციული სახესხვაობით დაბეჭდა ერთი ლექსი, „ქაეშანი“, და ამით აჩვენა ის რედაქციული ნაირფეროვნება, რომლებიც ვახტანგის თხზულებებს ხელნაწერებში ახასიათებს.

ამის შემდეგ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი ახალი მასალის გამოვლენას, რის შედეგადაც რამდენიმე ნაწარმოების ვახტანგის კუთვნილებისა თუ უარყოფის საკითხებია გადაწყვეტილი, უშუალოდ მისი პოეზიის მეცნიერული გამოცემისათვის მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

ამ საქმის მოგვარებისათვის პირველ რიგში საჭიროა პოეტის ხელნაწერული მემკვიდრეობის, უწინარესად ხელნაწერი კრებულების, შესწავლა, მათი რედაქციული რაობისა და ურთიერთმიმართების დადგენა.

---

[4] სწორი არ არის ცნობა, რომ თითქოს Q 548 ხელნაწერი „დაედო საფუძვლად ვახტანგ VI-ის ლექსებისა და პოემების გამოცემას ალ. ბარამიძის რედაქციით 1947 წელს“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1984, გვ. 118).

პირველი თავი

ხელნაწერ კრებულთა რედაქციები

ვახტანგი წლების განმავლობაში, როგორც იტყვიან, შეუდრეკლად და თავგამოდებით ერკინებოდა ქართულ სიტყვას და გამუდმებით ხვეწდა და სრულყოფდა თავის პოეტურ ქმნილებებს. ამ შეუპოვარი შრომის ნიადაგზე მისი პოეტურ თხზულებათა უმრავლესობა ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი და მეტი რედაქციული სახესხვაობით არის დამუშავებული და ჩვენამდე მოღწეულ.

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის უმრავლესობა თავმოყრილია ცალკეულ ხელნაწერ კრებულებში. ნაწილი სხვადასხვა ხელნაწერშია გაფანტული. ამჟამად ხელთა გვაქვს პოეტის ლექსების 14 სრული თუ ნაკლული ასეთი კრებული. აქედან სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია 4—5, უფრო ავტორიზებული და მასთან ახლო მყოფი, ხელნაწერი კრებული.

ბუნებრივია, ჩვენც ამ ავტორიზებული ხელნაწერი კრებულებით დავიწყოთ:

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 4500 ნუსხა. როგორც მასშია მითითებული (გვ. 290—291) და ზემოთაც ვთქვით, იგი გადაწერილია ვახტანგის ცნობილი მდივან-მწიგნობრის მელქისედეგ კავკასიძის მიერ[1] მოსკოვში. გადაწერა დასრულებულა 1733 წლის 19 ივნისს. აქ შესულია პოეტის ნაწარმოებთა უმრავლესობა: „სიბრძნე მალაღობელი“, „ამირ-ნასარიანი“, „სალბუნად გულისა“, „სატრფიალონი“, „კაეშანი“, „ყველის ქება“, „შეგონება“, ანბანთქებანი და წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი. ტექსტი ვახტანგის ნასწორებია (იხ. სურათი 1).

---

[1] ვახტანგის ამ გვარის მდივან-მწიგნობართა შესახებ იხ.: რ. ფირცხალაიშვილი, ვეფხისტყაოსნის პირველი მბეჭდავი მიქელ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2, გვ. 59—78; № 3, გვ. 108—126.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ე. თაყაიშვილსა[2] და მ. შანიძეს[3]. რედაქციული თვალსაზრისით განიხილავენ კ. კეკელიძე[4], ალ. ბარამიძე[5], ლ. ძოწენიძე[6], დ. ბრეგაძე[7]. კ. კეკელიძე ზოგიერთი თხზულების მიხედვით პირველი და ზოგის მიხედვით ბოლო რედაქციის ნუსხად მიიჩნევს. სხვები ერთხმად პირველი რედაქციისად თვლიან.

2. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M 3 ნუსხა[8] (ძველი ნომრები G 83, M 6), უთარიღოა. ესეც გადაწერილია მელქისედეგ კავკასიძის მიერ, როგორც ირკვევა, ვახტანგის სიცოცხლეში. ხელნაწერს ბოლოს აქვს ვახტანგის მინაწერი: „ამით პირი რომ გამოირეცხო, ნუზლას გასწმენდს: გუნდა წილი (ბ), კოჭი წილი (ა), თუთუბო წილი (ბ) წმინდად დანაყე, შეინახე; როდესაც გინდოდეს, თითი დაისველე, დაწუვე და კბილებს, ღრილებზე წაისვი, იყარყარე და გამოირეცხე“ (ფ. 195. იხ. სურათი 2).

თვით ნაწარმოების ტექსტში ვახტანგის ხელი არ ჩანს, მაგრამ ამ მინაწერის გამო უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისთვის ეს ხელნაწერი და მისი ტექსტი უცნობი არ უნდა ყოფილიყო.

მასში იგივე თხზულებებია შესული, რაც S 4500-ში.

ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებული არ არის. რედაქციული თვალსაზრისით განიხილავენ ალ. ბარამიძე, ლ. ძოწენიძე, დ. ბრეგაძე და ბოლო რედაქციის ტექსტის შემცველ ნუსხად მიიჩნევენ[9]. ალ. ბარამიძე წერს: M 3 „ხელნაწერი... სუფთად გადათეთრებული საავტორო ეგზემპლარია, რედაქციულად ნაგვიანევი და სრული. შე-

---

[2] Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», II. Тф., 1906—1912, вып. 1—4, с. 396—406.

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, V, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 311—313.

[4] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 485—490, 596—599, 602.

[5] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 161—163.

[6] ლ. ძოწენიძე, რუსული „ალოეგმატას“ ქართული რედაქციები, თბ., 1959, გვ. 36—40, 58—59, 79—86.

[7] დ. ბრეგაძე, სიბრძნე მალაღობელის გალექსილი ვერსია, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXI, ქუთაისი, 1968, გვ. 229—247. გადაბეჭდილია მისსავე წიგნში: წარსულის სიახლოვე, ქუთაისი, 1980, გვ. 86—120.

[8] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება მისი როტოპირი — Rt-II, № 1.

[9] დასახელებული ლიტერატურა.

იძლება ითქვას, ...წარმოადგენს ვახტანგის პოეტური თხზულებების თავისებურ ხელნაწერ გამოცემას“ (გვ. 162. ხაზგასმა ავტორისაა).

3. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 171 ნუსხა. უთარიღოა. ზემოთ უკვე ვთქვით, გადაწერილია სულხან-საბა ორბელიანის ძმის, პოეტ დემეტრე ორბელიანის[10] მიერ, ვახტანგის სიცოცხლეში. ტექსტი ნასწორებია ვახტანგის ხელით (იხ. სურ. 3). ამ ფაქტისა და იმის გამო, რომ მასში შესულია S 4500-ში შეტანილი შესწორებანი, მიღებულია: ხელნაწერი გადაწერილია 1733—1737 წლებში.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ე. თაყაიშვილს[11] და თ. ენუქიძეს[12]. რედაქციულად განიხილავენ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ლ. ძოწენიძე და დ. ბრეგაძე[13]. კ. კეკელიძე ზოგიერთი ნაწარმოების მიხედვით პირველი, ზოგის მიხედვით ბოლო რედაქციის შემცველ ხელნაწერად თვლის (გვ. 485—490), ოღონდ არ ეხება ლენინგრადულ M 3 ნუსხას და არაფერს ამბობს მასთან მიმართების შესახებ. ალ. ბარამიძეს და მის კვალობაზე ლ. ძოწენიძესა და დ. ბრეგაძეს ლენინგრადული ნუსხის გამო სხვაგვარი დასკვნა გამოაქვთ. ალ. ბარამიძე ერთგან შენიშნავს: S 171 „რედაქციულად ცალკე დგას და ერთ-ერთი ნაგვიანევი ხელნაწერია. შესაძლებელია [იგი] იყოს ყველაზე გვიანდელი რედაქციული ტექსტის შემცველი“ (გვ. 162). მაგრამ საბოლოოდ გვიანდელობის, ავტორის ბოლო ნების თვალსაზრისით უპირატესობას მაინც ლენინგრადულ ნუსხას ანიჭებს: „დასახელებული ძირითადი რედაქციებიდან — წერს იგი, — უფრო გვიანდელია და პოეტური თხზულებების მხრივ უფრო სრულია M 3 და S 171. ოღონდ S 171 ხელნაწერი თავისი ხასიათით უფრო ავტოგრაფულ შავს წარმოადგენს. ამ ხელნაწერზე ვახტანგს დიდი რედაქციული ოპერაციები უწარმოებია“ (იქვე, გვ. 162). ამას მოსდევს მსჯელობა, რომ ლენინგრადული ხელნაწერი არის „სუფთად გადათეთრებული საავტორო ეგზემპლარი“ და „თავისებური ხელნაწერული გამოცემა“.

---

[10] დ. ორბელიანის შესახებ იხ.: ლ. მენაბდე, დიმიტრი ორბელიანი, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959, გვ. 151—175.

[11] Описание..., II, с. 406—407.

[12] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 189—190.

[13] მითითებული ლიტერატურა.

ალ. ბარამიძის დასკვნას იმეორებენ ლ. ძოწენიძე და დ. ბრეგაძე.

სხვა ნუსხები:

4. იმავე ინსტიტუტის ნუსხა Q 548, მე-18 საუკუნისა. მინაწერი ანდერძის მიხედვით, გადამწერი მელქისედეგ კავკასიძეა (გვ. 119რ.), მაგრამ, როგორც ლ. ძოწენიძემ[14] (გვ. 79) და დ. ბრეგაძემ (გვ. 93) შენიშნეს, ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება, — ხელი განსხვავებულია (იხ. სურ. 4). ჩანს, ანდერძი მექანიკურად გადმოტანილია მელქისედეგ კავკასიძის გადაწერილი ნუსხიდან.

თხზულებათა შედგენილობით ეს ხელნაწერიც ისეთივეა, როგორც პირველი სამი. ხელნაწერი აღწერილია ნ. კასრაძის მიერ[15]. ეხებიან ალ. ბარამიძე, ლ. ძოწენიძე და დ. ბრეგაძე (იქვე). დადგენილია მისი განსაკუთრებული სიახლოვე S 4500 ხელნაწერის პირვანდელ ტექსტთან.

5. იმავე ინსტიტუტის A 1776 ნუსხა. მე-18 საუკუნისა. წარმოადგენს სხვადასხვა ავტორის თხზულებათა კრებულს. განსხვავებით წინა ხელნაწერებისაგან, მასში არ შესულა „სიბრძნე მალაღობელი“ და „ამირ-ნასარიანი“. დამატებულია „კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს“. აღწერილი აქვს ლ. ქუთათელაძეს[16].

6. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ნუსხა № 138, მე-18 საუკუნისა. შედგენილობით ემთხვევა A 1776 ხელნაწერს. აღწერილია ს. კაკაბაძის მიერ[17].

7. იმავე არქივის № 297 ხელნაწერი, მე-19 საუკუნის დასაწყისისა (ჩვირნიშნის თარიღი — 1804 წ. გვ. 120). შედგენილობით მიჰყვება წინა ორ ნუსხას. აღწერილობა ეკუთვნის პ. გაგოშიძეს[18], ეხება ლ. ძოწენიძე (გვ. 37, 40).

---

[14] თუმცა წინ ტრადიციისამებრ გადამწერად მელქისედეგ კავკასიძეა დასახელებული (გვ. 59).

ამ ნუსხას მელქისედეგ კავკასიძის გადაწერილად მიიჩნევს რ. ფირცხალაიშვილი („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1984, გვ. 118).

[15] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 30—33.

[16] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ალ. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955, გვ. 252—257.

[17] საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილია ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, თბ.. 1949, გვ. 138—140. აღწერილობაში ხელნაწერი შეცდომით დათარიღებულია 1730 წლით.

[18] იქვე, გვ. 260—262.

8. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1624 ნუსხა, მე-18 საუკუნისა, ნაკლული. აღწერილი აქვთ ე. თაყაიშვილსა[19] და თ. ენუქიძეს[20], ეხება ლ. ძოწენიძე (გვ. 37).

9. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H 957, მე-18 საუკუნის ბოლო დროისა. გადამწერი დავით თუშმალიშვილი, დამკვეთი — ზაალ ავალიშვილი. ნაკლულია. აღწერილია ლ. ქუთათელაძის მიერ[21], ეხება ლ. ძოწენიძე (გვ. 37—40).

10. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H 21. გადაწერილია 1805 წელს (გვ. 94), ჭვირნიშანი — 1804 წ. აღწერილობა ეკუთვნით ლ. ქუთათელაძესა და ნ. კასრაძეს[22].

11. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H 1048. გვიანდელია, განეკუთვნება მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარს (ჭვირნიშანი — 1822 წ., გვ. 2)[23].

12. იმავე ინსტიტუტის ნუსხა S 526, მე-19 საუკუნის დასაწყისისა; ნაკლულია. ვახტანგის თხზულებათა გამოცემისას ყურადღება მიაქცია და გამოიყენა ალ. ბარამიძემ, რომლის შესახებაც იგი წერს: „ეს ნუსხა „მომდინარეობს ბაქარ მეფის ძის, ალექსანდრეს კუთვნილი ძველი ნუსხიდან და ამდენადვეა საყურადღებოც“ (გვ. 161).

აღწერილია ე. თაყაიშვილისა[24] და თ. ბრეგაძის[25] მიერ.

13. იმავე ინსტიტუტის H 153 ნუსხა. განეკუთვნება მე-19 საუკუნეს. აღწერილი აქვთ ლ. ქუთათელაძესა და ნ. კასრაძეს[26]. ეხება ლ. ძოწენიძე (გვ. 37, 40).

---

[19] Описание..., II, с. 169.

[20] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 87—89.

[21] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951, გვ. 322—323.

[22] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, დასაბეჭდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 15—16.

[23] აღწერილობა: ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 43—44.

[24] Описание..., II, с. 408—410.

[25] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 592—593.

[26] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, I, გვ. 105—107.

14. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ნუსხა № 20847-ხ (შემოსვლის ნომერი — 016133). გვიანდელია, ხელის მიხედვით გადაწერილი ჩანს მე-19 საუკუნის ბოლოსა თუ ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

როგორც ვთქვით, ამ ხელნაწერებიდან რედაქციული თვალსაზრისით ზოგიერთია განხილული, ისიც უმთავრესად „სიბრძნე მალაღობელის“ მიხედვით. სხვა ნაწარმოებთა მონაცემები სულ არა ან ნაკლებ არის გათვალისწინებული. ხელნაწერებში ტექსტების გაცნობა კი გვიჩვენებს, რომ პოეტს ყველა თხზულება ერთნაირად არ დაუმუშავებია. თუ ზოგიერთი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ორ რედაქციად შეუქმნია, ზოგიერთი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამ და მეტ რედაქციას იძლევა. ამის გამო, ბუნებრივია, ვახტანგის ხელნაწერული მემკვიდრეობის შესწავლა ცალკეული თხზულებების მიხედვით უნდა მოხდეს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი მათი რედაქციული სირთულის მიხედვით.

ა. „ყველის ქება“

ეს პატარა, ერთსტროფიანი ლექსი ყველა ხელნაწერ კრებულშია შესული[27], რომელიც კი დაზიანებული არ არის[28]. დაბეჭდილია ალ. ბარამიძისეულ გამოცემაში (გვ. 70).

სათაური რამდენადმე პირობითია. იგი აღებულია ხელნაწერებში არსებული ვრცელი სათაურიდან: „(ქ. S 171) ლექსი ლათინურის (ლათინთ Q 548) ენიდამ (ენით S 171) ერთმა (— S 171) ფრანგმა მითხრა (— H 957) ყველის ქებად (ქება M 3, S 171) და ასე (ესე A 1776, ეს H 21) ვთქვი“.

ხელნაწერთა უმრავლესობაში და გამოცემაში იგი ასე იკითხება:

„თოვლებრ სპეტაკი და არღოს, ღვთისებრივ თვალებრ ბევრია,
მათუსალასებრ დღეგრძელი, მაგდანლებ მტილად მზერია,
გლახაკ ლაზარებრ სნეული, ესავებ ფაჩვნიერია,
და ყველად ნუ აგდებ, თუ ეს სჯირს, ლათინთა დაუწერია“.

---

[27] არის: S 4500 (გვ. 265), M 3 (გვ. 21r.), S 171 (14—15), Q 548 (25), A 1776 (63), ც/არქივის № 138 (15v.). № 297 (109v.), H 21 (67r.), H 1048 (15r.), S 526 (20), H 153 (22), ლიტ. მუზეუმი.

[28] დაზიანების გამო აკლია: S 1624. H 957.

რამდენადმე განსხვავებულ, გრამატიკულად გასწორებულ ტექსტს იძლევა S 171 ხელნაწერი:

„თოვლებრ სპეტაკი არღოსა, ღ[მ]თისებრივ თვალებ ბეერია,
მათუსალურად დღეგრძელი, მაგდანლებრ მტირლად მზერია,
გლახაკ ლაზარებ სნეული, ესავებრ ფაჩვნიერია,
და ყველად ნუ აგდებ, თუ ეს სჯირს, — ღათინთა დაუწერია". (გვ. 14—15).

ნაწარმოებში ბიბლიურ პერსონაჟულ სახეთა მოშველიებით ყველი უცნაური, მისტიკური არსებად არის დახატული. როგორი იყო ის ტექსტი, რომელიც ვიღაც ფრანგს ლათინურად უთქვამს პოეტისათვის, და როგორ გადაუკეთებია იგი მას ლექსად, ჩვენთვის უცნობია. ერთი ცხადია, ვახტანგს იგი ძლიერ მოსწონებია. ამ ლექსში ჩანს ვახტანგის ინტერესი ბიბლიური, ქრისტიანულ-თეოლოგიური თემებისადმი, რომლებიც უფრო ფართოდ და მრავალმხრივ მას სხვა თხზულებებში აქვს დამუშავებული.

S 171 ხელნაწერის ზოგიერთი წაკითხვა სხვა ნუსხებშიაც დასტურდება. მაგალითად, „მაგდანლებრ მტირლად" გვაქვს A 1776, ც/არქივის ორივე, H 21, H 1048, S 526 ხელნაწერებში. სხვა თხზულებათა მიხედვით ამ ნუსხათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს და მისი მსგავსი სხვა წაკითხვები S 171 ხელნაწერიდან არ მომდინარეობს. იგი ამისგან დამოუკიდებლად არის მიღებული. ამასვე ადასტურებს ის მცირეოდენი ვარიანტული სხვაობა, რომლებიც ამ ნუსხებში არის. პირველ სტრიქონშია: ღთისებრ Q 548, ღათისებრ A 1776, ც/არქივის ორივე, H 21, H 1048, S 526; თვალებ H 21.

მეორე სტრიქონში: დღეგძელი ც/არქ. № 138, H 21, H 1048, S 526.

მესამეში: ესავებრ H 1048; სნეული] დღე გძელი S 526.

მეოთხეში: ჰირს M 3, Q 548.

როგორც ეხედავთ, ზოგიერთი ეს ვარიანტი S 171 ხელნაწერის წაკითხვებს ემთხვევა, მაგრამ მას სისტემური ხასიათი არ აქვს.

ამ ნაწარმოების სათაურსა და ტექსტში მითითებული იმ მცირეოდენი განსხვავებული წაკითხვებით იკვეთება ის რედაქციული დამოუკიდებლობა, რომელიც ამ ხელნაწერს სხვებთან შედარებით აქვს და რომლებიც გაცილებით უხვად სხვა თხზულებებში ვლინდება.

ბ. შეგონება

ეს ერთსტროფიანი ლექსი, რომლითაც იხსნება გამოცემა (გვ. 15) და სათაური გამომცემელს, ალ. ბარამიძეს, ეკუთვნის, ხელნაწერ კრე-

ბულებში[29] უსათაუროა და მოთავსებულია შუაში — წაღმა-უკუღმა საკითხავ ლექსსა („იმატა ასვათ ასეთი...“) და „კაეშანს“ შორის. წინ უძღვის „ყველის ქება“, „სალბუნად გულისა“ და სხვა, მოსდევს — „სატრფიალონი“ და სხვა.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ, ერთი შეხედვით, შეიძლება ეჭვი აღგვეძრას, — არის თუ არა ის დამოუკიდებელი ლექსი, ხომ არ არის რომელიმე ნაწარმოების ნაწილი? მაგრამ ხელნაწერთა მონაცემები ამგვარ ეჭვს აქარწყლებენ[30].

ეს ლექსი ორი რედაქციით არსებობს. ერთი, როგორც ეს გამოცემაშია დაბეჭდილი:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღ[მ]თითა მოივარგოს,
ამ სოფელსა კელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
და სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს!“

ასეა ყველა ხელნაწერში, გარდა ერთისა, — S 171 ნუსხისა. ხელნაწერებში ორიოდე უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობა გვაქვს. აი ისინიც:

ა. თავისს H 1048; მოივარგოს] მოიყვანოს A 1182.

დ. საჩდილებად ც/არქ. № 138, 297, საჩრდილობლად H 1048, A 1182; საჩრდილობლა წყალის S 3723.

მეორე რედაქციას იძლევა S 171 ხელნაწერი:

„რაც ა საქმე სავარგელი, უნდა ღ[მ]თითა მოივარგოს,
კელი ყაროს საწუთროსა, საუკუნოდ დაიბარგოს,
მოყვასთა და ამხანაგთა რიგიანად გამოარგოს,
და სახელისა საჩრდილობი წყაროზედა შემოარგოს!“ (გვ. 15)

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის ორივე რედაქციაში განვითარებულია ერთი და იგივე აზრი ადამიანის დანიშნულებაზე. პოეტი შესანიშნავი გამომსახველი, ხატოვანი ენით ქადაგებს ღვთის, როგორც ყოვლის გამრიგესადმი, მორჩილების, მოყვასისადმი სიყვარულისა და სიკეთის მიგების, ორივე სამყაროს, — სააქაოსა და საიქიოსადმი, —

---

[29] S 4500 (გვ. 266), M 3 (21v.), S 171 (15), Q 548 (25), A 1776 (64r.), ც/არქ. № 138 (16r.), № 297 (109v.), H 21 (67v.), H 1048 (15v.). S 526 (20), H 153 (22), ლიტ. მუზ. (8v.), S 1624-სა და H 957 ხელნაწერებს დაზიანების გამო ვერ ვიყენებთ.

ეს ლექსი შესულია სხვა ნუსხებშიც: A 1182 (16r.), S 3723 ა (39r. ლექსი მიწერებია თეიმურაზ პირველს), თეიმურაზ ბაგრატიონის კრებულში, რომელიც დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (E 23, გვ. 2r.).

[30] ეს ლექსი უშუალოდ „სალბუნად გულისას“ ერთვის S 526 და ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერებში.

ზრუნვის ქრისტიანულ თვალსაზრისს. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც დროებითსა და წარმავალს, გმობდა და უპირისპირებდა იმქვეყნიურს, როგორც ჰეშმარიტსა და მარადიულს, მაგრამ პირველს მთლიანად არ უარყოფდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც შეეძლო უარეყო. იგი მხოლოდ მოითხოვდა, ადამიანს ღვთის ცნებისამებრ ის ისე გაეტარებინა, რომ სამუდამო განსასვენებლად სამოთხე მოეპოვებინა. ვახტანგის ლექსში ეს მხარეა წინ წამოწეული და თანაბარ მოთხოვნად არის დასახული ორივე ქვეყნისათვის სამსახური.

საღვთოსა და საეროს მორიგება, ამქვეყნისა და იმქვეყნისადმი ზრუნვა ვახტანგის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია და ეს ამ ლექსშიაც გამოჩნდა[31].

ეს ორი რედაქცია ერთმანეთისაგან მხოლოდ სტილით განსხვავდება. სხვა თხზულებებში უფრო ხელშესახებია, მაგრამ, თუ დაეუკვირდებით, აქაც ჩანს ის პრინციპები, რომლის მიხედვითაც ავტორი ტექსტს ცვლის. ერთი, აზრი განზოგადებულია[32]: თუ პირველში შეგონება კაცს, ადამიანს ეხება, მეორეში მისამართი მოშლილია და მსჯელობა საზოგადოა. მეორე, სიტყვათა რაოდენობა შემცირებულია[33], რის გამოც ავტორი ხშირად სიტყვათა ხელოვნური ფორმების შექმნასაც არ ერიდება. მაგალითად, თუ პირველი ვარიანტის ფრაზაში „თავის რიგით რამე არგოს“ ოთხი სიტყვაა, მეორეში ორ სიტყვაზეა დაყვანილი — „რიგიანად გამოარგოს“, სადაც სიტყვის წარმოება „გამოარგოს“ ხელოვნურია. ბოლო სტრიქონი პირველ ვარიანტში შვიდსიტყვიანია, მეორეში — ოთხსიტყვიანი. „ხე“ სიტყვის ამოღებით კონკრეტული, „ვიწრო შინაარსის“ მხატვრული სახის „სახელის ხის საჩრდილობლის“ ნაცვლად მივიღეთ უფრო განზოგადებული, აბსტრაქტული და შთამბეჭდავი სახე — „სახელის საჩრდილობი“.

---

[31] ამ ლექსის შესახებ იხ.: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II. თბ., 1940, გვ. 448; VIII, თბ., 1978, გვ. 185—186; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 514; ლ. მენაბდე, ვახტანგ შეექვსე, გვ. 186—187; დ. ბრეგაძე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, გვ. 70; ს. ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981, გვ. 104; გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, თბ., 1981, გვ. 14—15.

[32] სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით განხილულია „სიბრძნე მალაღობელი“ (ე. მეტრეველი, ლ. ძოწენიძე, რუსული ანოვთეგმატას ქართული რედაქციები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 267—268; დ. ბრეგაძე, წარსულის სიახლოვე, გვ. 102—120; მისივე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, გვ. 80).

[33] ამ სტილურ ნიშანზე მიუთითა თ. ჰყონიამ (ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, თბ., 1950, გვ. 285).

ამ სტილური ნიშნით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული თხზულება S 4500-სა და მის მიმყოლ ხელნაწერებში პირველი რედაქციისაა, S 171 ხელნაწერში — შემდგომი, მეორე რედაქციისა. ამ ნუსხებს შორის არსებული რედაქციული მიმართება უფრო თვალსაჩინოდ, დოკუმენტურად მტკიცდება სხვა თხზულებებში.

ბ. „სალბუნად გულისა"

ეს ვახტანგის ერთ-ერთი ძველი და ვრცელი ორიგინალური ნაწარმოებია. S 171 ხელნაწერის სათაურის მიხედვით, იგი დაწერილია ისპაჰანში. აქ ვკითხულობთ: „მეფე ვახტანგ სამეფოსგან კიდეგან ქმნილი სალბუნად გულისა წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისთვის იქმნების და სწერს ესრეთ ი ს პ ა ა ნ ს" (გვ. 1). ამგვარივე სათაური აქვს დანარჩენ ხელნაწერებს, ოღონდ S 4500, M 3, Q 548, H 153, ლიტერატურის მუზეუმის ნუსხა „ისპაანის" ნაცვლად კითხულობს „ქირმანს". დანარჩენ ხელნაწერებში დაწერის ადგილი აღნიშნული არ არის[34].

კ. კეკელიძე უპირატესობას ანიჭებს S 171 ხელნაწერის ცნობას. გარდა ამ მონაცემისა, მკვლევარი ეყრდნობა „სალბუნად გულისას" ტექსტს, სადაც აღნიშნულია, რომ, როდესაც პოეტი ამ თხზულებას წერს, იმყოფება ვინმე ქუჩუქას თუ ქუჩუქოვის სახლში:

„აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ. ქ უ ჩ უ ქ ა ს სახლსა, სარებსა". (66, 1)

მეორე ვარიანტით:

„აწღა დამსეა მარტოკა ქ უ ჩ უ ქ ო ვ ი ს სარებსა". (S 171, გვ. 9)

„ქილილა და დამანას" ვახტანგისეული ანდერძიდან ირკვევა, რომ ქუჩუქას სახლი არის ისპაჰანში:

„...ერთს სპარსა, რომ მცირედი ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო, და გასრულებამდის მეც ი ს პ ა ა ნ ს წ ა ს ვ ლ ა მომიხდა. ი ს პ ა ა ნ ს რ ო მ ჩ ა ვ ე ლ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა... შემდგომად ამისა, თვისთაცა ჩემთა, ნაცვლად კეთილისა, მომაგეს ბოროტი, და აღმიდგეს შურად და ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს და შემდგომად ამისსა ქ ი რ მ ა ნ ს წ ა რ მ გ ზ ა ვ ნ ე ს.

---

[34] S 526 ხელნაწერში სათაური გამოტოვებულია.

მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, ჰმუნავ და წყინება?
ქუჩუკას სახლსა ესწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება!
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამეწყდა ამის წინება.
და არ ვეპობ, შერჩეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება!"[35]

აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე „სალბუნად გულისას" ისპაჰანში დაწერილად თვლის[36].

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს „სალბუნად გულისას" სხვა მონაცემიც. ერთგან პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ამ თხზულების წერისას პოეტი ისპაჰანში იმყოფება:

„რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა, აერმა შექმნას თბობანი,...
ქართლსა გაჰყროდეს, ისპაანს კაცს მიხდომოდეს ნობანი". (26. 1, 4)

მეორე ვარიანტი:

„მოსამორებლად ისპაანს შემომხდომია ნობანი". (S 171, გვ. 4)

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მეტი ანგარიშგასაწევია იმ ნუსხათა ცნობა, რომლებიც თხზულების შექმნის ადგილად ქირმანს ასახელებენ. მათ შორის არის ავტორიზებული ორი ნუსხა — S 4500 და M 3. სავარაუდებელია, ქირმანში ვახტანგი აგრძელებდა ნაწარმოებზე მუშაობას, იქ დაასრულა იგი და ამას ასახავს დანარჩენი ხელნაწერები.

ნაწარმოებში აღწერილია და ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, მეფე-პოეტის მიერ საქართველოში გატარებული ბედნიერი დღეები, ლხინი და შვება, მეორე მხრივ, უცხოეთში გადასახლებით გამოწვეული მძიმე სულიერი განცდები, მწუხარება და უიმედობა.

თხზულება შესულია ყველა დასახელებულ ხელნაწერ-კრებულში[37]. სრულად არის დაბეჭდილი, გარდა ალ. ბარამიძის გამოცემისა (1947 წ., გვ. 10—23: 1975 წ.. გვ. 23—34), „ჩვენი საუნჯის" მეხუთე (გვ. 182—

---

[35] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II;, ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 38; ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975, გვ. 190.

[36] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II, გვ. 595—596.

[37] S 4500 (გვ. 215—265; დაზიანების გამო აკლია 16—31, 48—55 სტროფები), M 3 (8r. — 21r.), S 171 (1—14), Q 548 (4—25), A 1776 (53r. — 63v.), ც/არქ. № 138 (5r. — 15v.), № 297 (99r. — 109v.), S 1624 (3—22; დაზიანების გამო აკლია ბოლო სტროფის ბოლო ორი სტრიქონი), H 957 (104v. — 115v.; დაზიანებულია, აკლია 102, 4—104 სტროფები), H 21 (54r. — 67r.), H 1048 (5v. — 15r.), S 526 (3—20). H 153 (7—22), ლიტ. მუზეუმი (1r. — 8v.).

197). „ქართული პოეზიის“ მეხუთე (გვ. 143—164) და „ქართული პოემის“ მეორე (გვ. 5—19) ტომებში.

„სალბუნად გულისას“ რედაქციული თვალსაზრისით ეხება მხოლოდ კ. კეკელიძე, რომელიც სამ რედაქციას გამოყოფს. პირველადად ასახელებს S 4500-ის ტექსტს, ბოლო ორი რედაქციის დამცველად— S 171 ნუსხას. „ამ ნაწარმოებს — წერს მკვლევარი, — ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში და მისივე ხელით სამი რედაქცია განუცდია... პირველი რედაქცია მოთავსებულია S 4500 ხელნაწერში. ორი რედაქცია გვაქვს S 171 ხელნაწერში. აქ ჯერ მოყვანილი ყოფილა ერთი რედაქცია, რომელიც მერე თვითონ ვახტანგს საკუთარი ხელით შეუსწორებია“[38]. ნიმუშად დამოწმებულია პირველი სამი სტროფი.

პირველი სამი და კიდევ რამდენიმე სტროფი S 171 ხელნაწერში მართლაც ორ რედაქციას იძლევა, მაგრამ მთლიანი ნაწარმოები — არა. ვახტანგს ამ ხელნაწერის ტექსტის სწორება ენერგიულად დაუწყია, მაგრამ შემდეგ ასე არ გაუგრძელებია. მაგალითად: პირველ სტროფში ვახტანგს გადაუკეთებია პირველი სტრიქონი, მეორე და მესამე სტრიქონებში — ერთი-ორი სიტყვა; მეორე სტროფის პირველ სტრიქონში — ერთი სიტყვა, ბოლო სტრიქონი — მთლიანად; მესამე სტროფში — მესამე და მეოთხე სტრიქონების პირველი ნახევრები; მეოთხე სტროფში — მეორე სტრიქონის ბოლო და მეოთხე სტრიქონის პირველი ნახევრები; მეხუთე სტროფში — მხოლოდ ბოლო სტრიქონის პირველი ხახევარი და მეექვსე სტროფში — ბოლო სტრიქონი თითქმის მთლიანად. ამის შემდეგ ვახტანგს მხოლოდ აქა-იქ გაუკრავს რედაქციული ჩარხი. მნიშვნელოვნად შეუცვლია 31-ე სტროფი („დიდგორს ჩირთი დაეკუკროს...“). სხვაგან რამდენიმე ფრაზა, უფრო თითო-ოროლა სიტყვაა გადაკეთებული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა იყო ადრინდელ ტექსტში და რითი ცვლის მას პოეტი, მათ სრულად ვაჩვენებთ:

S 171 ხელნაწერის ძველი, გადახაზული ტექსტი:		ახალი ტექსტი:
1 ა.	სარჯელისაგან სარჯელი დაუგდებელი	აშკული პირი სასარჯლო სარჯელისაგან
გ.	ვედრივარ	წყალობით
2 ა.	მაუბედურა	ბედი მიმდარა
დ.	უბრალოდ შემომაწყინა ზეგარდმო სულმა	ქვე დამადაბლა უბრალოდ მოსაჯალისა
3 გ.	გამომიყვანე წყალობით	აწ დაერჩომილვარ ღარიბად
დ.	მომჯადე შესამოსელი	ეგების შემომეძარცოს

[38] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, II, გვ. 596—597.

4	ბ. გულად მაქვ	შემქნია
	დ. ბრალია შენამჭვრეტელი	საბრალო არი მჭვრეტელი
5	დ. თუ არა მწამდე მომკითხოს	ვერ შეგიდაროს სარწმუნოდ
6	დ. სოფლისა მემუდარეთა გამოი-სინჯონ	ვინ ემოყვრები სოფელსა დაგემართე-ბის
9	გ. ვემსგავსე	მიეგავარ
10	ბ. ვითარ	ახუ
16	გ. სიმწვანით დახავერდულსა	~
	დ. კეკლუცებშია	კეკლუცთა შენი
18	ა. თავი ღერძისა	~
	დ. სიტურფე	შვენება
20	ა. სრული სიბრძნისა	სიბრძნე[ე]ბისა
	ბ. პლატონის მაგალითები	~
	გ. სადამე	ქვე სამე
26	დ. მისსა გამყრელსა ისპაანს შემომ-ხდომოდეს	მოსაშორებლად ისპაანს შემომხდომია
27	დ. ის კაცად საეჭველია	სავაჭკაცოდ შემკულსა
29	გ. გვერდსა აქა ჯდეს	დანაჯდომი
30	ა. დაშვენებული აღზრდილი შუა ვაკესა	გარდანაშ[ა]ლი კორდნარსა შესავაკესა
31	ა. დიდგორზედა კუკურები	დიდგორს ჩირთი დაეკუკროს
	ბ. მიდიოდენ სანადიროთ გამოე-წყოსთ (‖შეშვენოდესთ) კარგა (‖ზედა)	მონადირეთ მიმავალთა შეშვენოდეს ტან-თა
	გ. ჯელგებს მაღლად	მოდგეს ჯელგა
32	ბ. ვიღას მცაღა	ვითა ვისცა
38	გ. გულებსა	რა გულსა
41	დ. ვა სოფელმა	საწუთრომა
42	ბ. მწრგნობარნი... დროიანად	~
53	დ. შუაღამეს გაემართნენ მკოვან-თაცა	გაემართნენ შუაღამეს მხიარულნი
60	გ. დამადებელი	გაუზრობელი
	დ. დაძალებით... მჭებელი	ძალად... დამაგრობელი
61	ა. ბატონთანა	მეფესთანა
68	გ. ჭირი ვთქვა	ჭირია
69	ბ. სავარდეს მისგან	სავარდესა
70	გ. საღთო საეროს	საცოდინოსა
	დ. ძელების მხარაეი	ძვალების გამომხარაეი
71	ა. თვისტომნი	თ[ე]ისები
73	დ. ვერ მივმხვდარვარ	მიუხღომი
75	ა. რასაც	გამო —
76	დ. ტყავსა ჩემსა	სატყავესა
83	ბ. ბედი სვითა სპა მოსპენი	~ (სპა მოსპენი ბედი სვითა)
84	ა. პირველად შეებულ	მოლხინებულო
87	ა. აღმართულო (?)	აწეულო
	დ. ბიძა ძმათა მამით	საყოლთაგან

90	ა. დანადებარი არისცა	პირველად გამონათქვამი
96	გ. ყვავილი დაფერებული მოვიღო მთითა	~ (მოვიღო მთითა ყვავილი დაფერებული)
99	ბ. ზღვისათვის დავკითხე	~
101	ბ. გ.	~
	ა. სოფლის ზრუნვა	~
	ბ. მომწონსა სულსა	~
	გ. გონია გამოიცადოს	~
102	ბ. მარტოკა	თავის წინ

ვახტანგი ამავე ხელნაწერში არშიებზე 19, 22 და 24 სტროფების შემდეგ უმატებს 3 სტროფს:

19[1]: „შავსა მელნისა ტბაზედა ინდონი დარაზმებული,
ორსა სისხლისა გუბესა შიგ ბროლი დასვეტებული,
ზედა დრენგილის ფიცარსა ყორანი დაბუდებული,
და ქვე ორი ლალი უგდია ალმასი შამოვლებული“. (გვ. 3)

22[1]: „კამკამს ტბაზედა წითელი ნინოფი აყვავებია.
გამაკვირვებენ საქმენი, ბუნება გასხვაებია,
ოგი სიცხესა გა[ა]გდებს, რა გვამსა გაზვაებია,
და ამას შამოაქვს სახმილი, გულისა საწეავებია“. (გვ. 3)

24[1]: „სათის მ[ო]რევისა გარემო გიშრის ღერწმისა მოლამან,
ზანგუბარისა ლაშკარმა ზე მოდგმით დაუწოლამან,
არ მიმიკარა სიახლედ გაფიცხებულმა ბრძოლამან,
და გული გამიპო უწყალოდ შავმა ისრისა სროლამან“. (გვ. 4)

აი, ამით განისაზღვრება S 171 ხელნაწერის ძველი ტექსტის ცვლილება. როგორც ვხედავთ, ახალი რედაქციით აქ წარმოდგენილია მცირე ნაწილი და, ვიმეორებთ, არა მთელი ნაწარმოები.

„სალბუნად გულისა“ თავიდან ბოლომდე იძლევა ორ რედაქციას. ცალკე დგას S 171 ხელნაწერი და ცალკე და ერთად — ყველა დანარჩენი ხელნაწერი.

სტროფული შედგენილობის მხრივ ამ ორ რედაქციას შორის განსხვავება შემდეგია: S 171-ში 22 სტროფის შემდეგ ემატება ოთხი და 81 სტროფის შემდეგ — ორი სტროფი:

22[2]: „კეკლუცობითა რცხვენია მზე-შუქთა გამოჩენანი,
მთვარესა დალებებულსა აშავებს განაწყენანი,
ცთომილთა მიფარებითა დღეს გამსგავსებენ ზენანი,
და ბედსა მიჰდენენ შენგამო, მომეცეს მოსალხენანი“. (გვ. 3)

22[3]: „ინდოს ხალი უძვირეა, ბადანხშანსა ლალებია,
დაისართებს ზანგუბარსა დანათხზული თმანებია,
ფეგუს მიესცემ იაგუნდში. დასავაჭროდ ვინებია,
და საპოვნელად დარაბათსა ალმას დავეტანებია“. (გვ. 3—4)

22[4]: „ზოპალი გაფიქრებულა, მუშთარი სიბრძნეს მცრალობსა,
მარიხი სისხლსა აპირებს, მზე გიბედს, შუქსა მწყრალობსა,
ზორა კრავს სამკობარებსა, ოთერიდ ლექსსა მრავლობსა,
და მთვარე საქებრად მორბედობს, შურითა მოიმცხრალობსა". (გვ. 4)

22[5]: „ქამანდებსა შეუკრავარ, ტბა მელნისა — დასანთქმელად,
შავი მშვილდი მოზიდული გამომესვრის დაუდგმელად,
ალმასი და იაგუნდი, მარგალიტი სისხლთა მსმელად,
და ბროლი-სვეტი მიმიზიდავს საჳიროსა შესასმელად". (გვ. 4)

81[1]: „მოიზია ცისა მშვილდმან ისრისათვის გასატყორცად,
გული კვრითა დამიწყლულა სალხინოსა ასაკოცად,
გამიცუნდა (!) დასტაქარი. საყოლელი გასაოცად,
და დავრჩომილვარ უიმედო, განაკვირი გასაოცად". (გვ. 11)

81[2]: „ეტლსა ზედა დანამჯდომი, მოსაწონად დამავალი,
ვეკდი მაგრა აგებულად, გასატეხად დაუთვალი,
ანასდეულ გარდმიბრუნდა, დასანახად დაკრთა თვალი,
და ამას უკან გამიმრავლდა საჳირონი დაუთვალი". (გვ. 11)

ეს სტროფები S 171 ხელნაწერში გადამწერის, დემეტრე ორბელიანის, ხელით არის შესრულებული და ძირითად ტექსტშია შესული. თუ ამას დავუმატებთ ვახტანგის ხელით არშიებზე მიწერილ ზემორე აღნიშნულ სამ სტროფს, მივიღებთ, რომ S 171 ხელნაწერში 9 ახალი სტროფი გვაქვს.

წაკითხვების მიხედვით სხვაობის საჩვენებლად ნიმუშისათვის მოვიყვანთ თითო სტროფს თხზულების სხვადასხვა ნაწილიდან:

სტრ. 5 S 4500-სა (გვ. 246) და M 3-ში (გვ. 8v.) იკითხება:

„ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კელავ ლექსმა მიყოს მაჯამა,
ცრემლთა ნაკადმან აავსო, ნახეთ, გაცნობოს მაჯამა,
დამწვა სოფლისა საცთურმა, ვეღარა სცემოს მაჯამა;
და უკეთ არ მწამდე იმისგან, მკითხოს მეჩიტმა, მაჯამა".

S 171-ის წაკითხვა (გვ. 1):

„გამონათქვამთა ამბავსა მემოწმებიან მაჯამა,
გუგათა გარდმოდენილი ვეღარ იტია მაჯამა,
დამასნეულა სოფელმა, შეგატყობინოს მაჯამა,
და ვერ შეგიდაროს სარწმუნოდ გასამეჩიტმა, მაჯამა!"

სტრ. 27 M 3-სა (11r.) და Q 548 (გვ. 11) ხელნაწერებში (S 4500 დაზიანებულია):

„რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო. ცვარი ცის მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა!"

S 171 (გვ. 4):

„სა[ა]მოვნოა ტფილისად განავარდებსა ესხასა,
გამწუანებული გარემო, მანანა გამოესხასა,
უშმაგოსაგან ძნელია საზედაობით ესხასა,
და მას სავაჟკაცოდ შემკულსა გარდაქცევია ეს ხასა“.

სტრ. 45 S 4500 (გვ. 252) და M 3 (13v.) ხელნაწერებში:

„რა გათავდეს ეს შეჭცევა, კვლავ მოვიდენ ისევ ტფილის[ს],
აბანოსა განისვენონ, ქებაც ითქმის მცირე ძილის;
სანუკარი მრავალფერი, სიმრავლეა უცხო ხილის,
და იშვებდნენ და იხარებდენ, ვის რა ჰქონდეს. თავის წილის“.

S 171 (გვ. 7):

„ტფილისისაკენ მომართონ, საშვებსა, გასახარებსა,
აბანოთ განსვენებულთა, სიამით დასაკმარებსა,
სანუკარისა სიმრავლეს, ხილებსა შეუდარებსა,
და შენაქცევარი ლაღობდენ ტურფასა არემარებსა“.

სტრ. 65 S 4500 (გვ. 255) და M 3 (16r.) ხელნაწერთა მიხედვით:

„მიუნდობო საწუთროო, მოყვისითვისც ხარ მიწყივ კრული,
ჩალხისებრივ ბოლოს თავსა, თავს ბოლოს ჰყო მოარული;
თქვით, ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შეჰქნოდეს დაკარგული,
და როგორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული?!“

S 171 (გვ. 9):

„საწუთროა მიუნდობი, მოყვისათვის დასაკრული,
ჩალხისებრივ დაუდგომად თავსა ბოლოდ მოარული;
ქონებოდეს ესე ყოფა, გაგეჯადოს დაკარგული,
და გაუძლია უქონელად განასალი კლდეებ გული“.

სტრ. 85. S 4500 (გვ. 260), M 3 (18v.):

„ვერ მივეც, რაცა მემართა, ხარკი სოფლისა მე ცადა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზდად სამე მეცა და,
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,
და რა მწვე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვარიგად მეცადა!“

S 171 (გვ. 12):

„მიუცემელად დავაგდე სახადილონი მე ცადა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანა[ს]დეულად მეცა და,
მოუფარები საფრისა სხვასთანა ვიწვი მეცა და,
და მიჯობდა გონიერებით თავი სხვებარად მეცადა!“

დასასრულს, ბოლო, 105 სტროფი. S 4500 (გვ. 265), M 3 (21r.):

„ვინც მთხრებლსა სთხრის, ამას ცდილობს, თვით იქნების ჩავარდნილი,
ვით მორჩება გაუსვრელად, ვინც აკეთოს მიწყივ მილი?
არ დახუჭო, ეს იცოდე, არ მოგივა თვალთა ძილი;
და რაც ვინმე ქნას, მისა მსგავსად გაიტანოს მისი წილი!"

S 171 (გვ. 14):

„ჭისა დაღმა ამომთხრელი შეიქნება ჩავარდნილი,
ვერ მორჩება გაუსრველად, გააკეთოს ვინცა მილი!
დაუხუჭად, საძნელოა, მოგივიდეს თვალთა ძილი,
და ნაქმარისა მოსაქმემან გაიტანოს მისი წილი!"

ანალოგიური ტექსტობრივი განსხვავება გვაქვს მთელი თხზულების მანძილზე. ყველაზე ნაკლები სხვაობა შეიმჩნევა 41, 67—68, 77, 79-ე სტროფებში. ნიმუშისათვის ვაჩვენებთ ერთ-ერთ მათგანს, 77-ე სტროფს:

S 4500 (გვ. 258), M 3 (17v.):

„ყმაზე წამიკდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რამ ჩემგან მოსასურები;
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები".

S 171 (გვ. 11):

„ყმაზე წამიკდა წყალობა, სხვაზედა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, მნახავთა შესაშურები,
ძმობითა მომეყესეობა, ჩემგამო მოსასურები;
და უბრალოებით გამაძეს ცრემლისა მომაწურები".

მთელი ამ რედაქციული სხვაობის გაცნობა გვიჩვენებს, რომ, როგორც სხვა თხზულებებში, აქაც მხოლოდ სტილისტურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. პოეტი ეძებს შესაფერის სიტყვებსა და გამოთქმებს, რომ აზრი უფრო ზუსტად, ლაკონიურად და პირდაპირ გამოთქვას. მაგალითები: ავტორს პირველად დაუწერია:

„მზეო, შენს[39] გარდამკიდესა მჭირს ასე ძნელი ჭირები"
(სტრ. 9, 1)

[39] გამოცემაში შეცდომით წერია „მხნეო შენ".

მეორე რედაქციაში იგივე აზრი უფრო მარტივად და ნათლად არის გამოხატული:

„მზეო, შენს გარდამკიდესა გამძნელებია ჭირები".
(S 171, გვ. 2)

ტექსტის დამუშავებისას ხშირად გაძლიერებულია სათქმელი და ახალი ვარიანტი უფრო შთამბეჭდავია. პირველ რედაქციაში იკითხება:

„კეკლუცთა შიგან მყოფელი გავხარ მის შესადარებსა".
(16, 4)

მეორე რედაქციაში სურათი უფრო ჰიპერბოლურია და ისეა წარმოდგენილი, სატრფო თავისი სიმშვენიერით არათუ ედარება სხვა კეკლუცებს, ყველას აჭარბებს:

„კეკლუცთა შენი შვენება ამეტებს შესადარებსა".
(S 171. გვ. 3)

ზოგჯერ ტექსტი შეცვლილია სპეციფიკური სიტყვებითა და გამოთქმებით. პირველ რედაქციაში არის:

„გაშალოს ვარდის კუკური, ჩემშია მისი დარგული". (25, 4)

მეორე რედაქციაშია:

„გაბუტკნოს ვარდის კუკური, მისივე დანერგულები". (S 171, გვ. 4)

ან კიდევ, პირველ რედაქციაშია:

„გაზაფხულზე დიდგორს ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი". (31, 1)

მეორე რედაქციაში ჯერ დაუწერია:

„დიდგორზედა კუკურები დარჩომოდეს გაუშალი". (S 171, გვ. 5)

შემდეგ ესეც გადაუხაზავს და უფრო მოქნილი და ხატოვანი წინადადება შეუქმნია:

„დიდგორს ჩირთი დაეკუკროს, დარჩომოდეს გაუშალი". (იქვე)

კიდევ. პირველ რედაქციაში არის:

„წყლის პირსა მდგომსა სათიბსა ნიავი სძრევდეს ანაო".
(19, 2)

„სათიბის დგომა“ ვერც რეალური და ვერც მხატვრული თვალსაზრისით სინამდვილეს კარგად ვერ ასახავს. უფრო მხატვრული და ზუსტია მეორე რედაქციული წაკითხვა:

„სათიბსა დაფერებულსა ნიავი სძრევდეს ანაო“. (S 171, გვ. 3)

ტექსტის სტილის დამუშავებისას აქა-იქ აზრიც არის შეცვლილი და დაზუსტებული. პოეტს პირველად დაუწერია:

„ყვითლად ყვაოდეს ბაია, ნარგიზი ვერ ედაოსა“. (35, 2)

აქ აქცენტი გადატანილია ბაიის ფერზე და ნათქვამია, რომ იგი ისეთი ყვითელია, ნარგიზი ვერ შეედავება, ვერ შეედრება[40]. აზრი, ცოტა არ იყოს, აბსტრაქტულად არის გამოთქმული და ძნელი აღსაქმელია. მეორე რედაქციაში იგი უფრო მარტივია, სადაც შესადარებლად, განმსაზღვრელად ნარგიზია წარმოდგენილი:

„გაყვითლებული ბაია ნარგისსა დაედაროსა“. (S 171, გვ. 5)

პოეტი ტექსტზე მუშაობისას ყურადღებას აქცევს ფაქტობრივ სიზუსტეს და ამ თვალსაზრისითაც ასწორებს მას. პირველ რედაქციაში წერია:

„ჩრდილოს ვარსკვლავი მის ადგილს ზის, არა, არ აკლდებისა. ყოველი მნათობი მთიებნი გარშემო მას ეელებისა...“ (18, 1—2)

მეორე რედაქციაში, ნაცვლად ჩრდილოეთის ვარსკვლავისა, მნათობნი ღერძის გარშემო ბრუნავენ:

„ღერძისა თავი ადგილად მდგომობით დაუკლებარი, მანათობელნი მთიებნი გარშემო შემომვლებარი...“ (S 171, გვ. 3)

ერთი და უმთავრესი სტილური ნიშანი ტექსტის სწორებისა, რომელიც მკვეთრად ჩანს როგორც ამ ნაწარმოებში, ისე სხვებში, არის სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირება, მეორე, — ცალკეულ, კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებზე, გარკვეული პირობით გამოთქმული აზრის განზოგადება, აფორიზმული გამოთქმის დონემდე აყვანა. ეს ზემოთ დამოწმებულ მაგალითებშიაც გამოჩნდა, მაგრამ საკითხის სიცხადისათვის დამატებით ნიმუშებს კიდევ მოვიყვანთ. პირველ რედაქციაში არის:

„რად არ გეწყალვის მიჯნური, შეშჯამოს უდროდ მიწამა?!“ (8, 4)

მეორე რედაქციაშია:

„მიჯნური გებრალებოდეს, არ წაახდინოს მიწამა“. (S 171, გვ. 2)

---

[40] შდრ.: „შვიდთა მნათობთა ვარსკვლავთა არ ძალუცს მისი დაგება“ (24, 2)

თუ პირველ ვარიანტში აზრი რიტორიკული შეკითხვით არის გამოთქმული, რომელსაც კატეგორიულობა აკლია, და 7 სიტყვისაგან შედგება, მეორე შემთხვევაში იგი შეუვალ ჰეშმარიტებად და მოთხოვნად არის დასახული და ორი სიტყვით ნაკლებია.

აი, კიდევ მსგავსი მაგალითები: პირველი რედაქცია:

„სოფლის მიმყოლთა ყოველთა ს ც ნ ა ნ, როგორა სჯირს ძალები". (6, 4)

მეორე რედაქცია:

„ვინ ემოყვსები სოფელსა, დაგემართების ძალები!" (S 171, გვ. 1)

პირველი რედაქცია:

„იადონისა მოწყენა ხ ა მ ს ვარდსა დაეზაროსა!" (89. 1)

მეორე რედაქცია:

„იადონისა მოწყენა ვარდსაცა დაეზაროსა!" (S 171, გვ. 12)

პირველი რედაქცია:

„კაცს, სოფლის ზრუნვას ესე სჯირს, აროდეს გაახარებსა". (101, 1)

მეორე რედაქცია:

„ზრუნვა სოფლისა მიმდევსა არათი გაახარებსა". (S 171, გვ. 14)

ამავე პრინციპით არის ნასწორები ზემოთ დამოწმებული 65, 105 სტროფები და სხვა.

პოეტი ტექსტის სწორებისას ხშირად იყენებს სხვა სიტყვებსა და გამოთქმებს, როდესაც ერთი სიტყვა რამდენიმეს ცვლის. პირველ რედაქციაში არის:

„დაუტევე ს ა ხ ლ-ს ა მ ყ ო ფ ი, თ ვ ი ს ნ ი ტ ო მ ნ ი, მონაძები". (3, 1)

მეორე რედაქციაში იგივე აზრი გამოთქმულია სხვა სიტყვებით:

„დავაგდე ს ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ე ლ ი, მ ო ყ ვ ა ს ი, მონაძებია". (S 171, გვ. 1)

თუ პირველ შემთხვევაში სტრიქონი 6-სიტყვიანია, მეორეში სიტყვათა რაოდენობა 4-მდეა დაყვანილი. დავიმოწმებთ კიდევ სხვა ნიმუშებს კომენტარების გარეშე:

S 4500, M 8 და სხვა ნუსხათა წაკითხვები:	S 171-ის წაკითხვები:
7 ბ. მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით	გამონატყორცმა ისარმა გულ გააპო მალ ამით
13 ბ. ნებით კარსა არვის უღებ სამოთხეში შესავალად	ნებით კარი მიუგულავს სამოთხეში შესავალად
16 ა. ყვავილსა მრავლად შეყრილსა მათსა სამყოფსა, ვანებსა	ყვავილსა შემოკრებულსა, სამყოფსა, დასავანებსა
17 ა. მზესა შუქსა რომ წაუხვამ. ხომ არა ხარ, რომ ვთქვა, ღამე	მზისა შუქის დანამკლებად უთქმელია დასაღამად
18 გ. მის გარემოსა მიწურვა ვერვისგან შეიძლებისა	სიახლოვისგან მიწურვა ვერვისგან შესაძლებარი .
19 ა. მაისში კარგად მოსული ქარით ღელვედეს ყანაო	მაისში შემაღლებული ქარით ღელვედეს ყანაო
გ. მიგიგავს დაძერა წარბისა, ვით შექმნა აგრე მანაო	გიმსგავსო დაძერა წარბისა საცვიბრო, მოსაზმანაო
დ. ხამს, რა ვერ გჭვრეტდეს მიჯნური, გულსა დაიცეს დანაო	ნახვისა უიმედოთა მართებს დაიცეს დანაო
20 ა. სულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამეღოს	სიბრძნე[ე]ბისა საუნჯის გამოსაღები დამეღოს
21 დ. მე გაუხდივარ ქარვად და ტან-ლერწამ რომ უწყალობსა	ქარვადა გარდუქცევივარ, ტან-ლერწმად შეუწყალობსა
23 ა. ენახათ მისი სიტურფე, გული სხვარიგად ქცეოდა	კეკლუცობითა ენახათ, გულები გარდაქცეოდა
გ. ხამს, ამ პირისთვის თუ გეძლოს, შეგიპყრათ სვეო, ქცეო, და	ხამს, პირისათვის შეგეძლოს, საბედებელო, ქცეო, და
28 ა. ბულბულისა რაღა გითხრა მრავალჟერად მაზედ ხმობა	ბულბულისა მიუწდომი მრავალჟერად გამოხმობა
დ. ტრფიალთაგან საანდაზოდ მათგან მაზედ არაკობა	საანდაზო ტრფიალთაგან საამბობლად არაკობა
29 გ. თვით გვერდთ უჯდეს მისი ჯუფთი, მინა თასზე მონადენით	დანაჯდომი შენაჯუფთით ჭიქაები გარდმოდენით
30 ა. ცაცხვი დგას ტურფად ნაზარდი. შტო მსხვილი, შუა ვაკესა	ცაცხვია გარდანაშალი კორდნარსა, შესაკაესა
35 ა. კოჟორიც ითქმის ერთ რადმე, თუ ჰავამ არ იაოსა	საქებარია კოჟორი, ჰაერთა გაუაროსა
38 ა. მაშინ შამბიანს მთა-ვაკე მრავალფრად აყვავდებოდეს	შამბიანისა გარემო ფერადად აყვავდებოდეს
41 ა. როჭოს ლაპი მომავალთა შეჭნან ბევრი საგალია	როჭოს ლაპი მომავალთა განამრავლონ საგალია

42 გ. არჩვსა ხოცდენ, სხვას ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას ნაბადით	დაეხოცოს ნიამორნი სამთოსაგან დანაბადით
43 ბ. გაიხსნების უცხოთ რათმე მუნ შეკრული მწარედ გული	გაიხსნების საკვირველად დანწყულ. დადაგული და სხვა.

უმეტესწილად სტრიქონებში სიტყვების შემცირება ხდება სიტყვათა ამოღებითა და დატოვებული სიტყვების დაგრძელებით, სხვადასხვა გრამატიკული მაწარმოებლების, სართების დართვით. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი წარმოება ნაძალადევია და ხელოვნურ სიტყვებსა და ფორმებს იძლევა. მაგალითები:

პირველ რედაქციაში გვაქვს:

„სახმილი მძაფრად მგზებარი არ ადნობს ისრე ცვილებსა". (10, 2)

მეორე რედაქციაში ხაზგასმული სამი სიტყვის ნაცვლად დატოვებულია ერთი სიტყვა, ზმნა, რომელსაც გრძელი ზმნისწინი „გარდამო" ერთვის:

„ანუ სახმილი მგზებარე გარდამოადნობს ცვილებსა". (S 171, გვ. 2)

პირველ რედაქციაში იკითხება:

„სისხლისა ცრემლსა გაეწნას, გუგა საბრალოდ სატევად". (33,4)

მეორე რედაქციაში აღნიშნული ორ-ორი სიტყვის ნაცვლად ნახმარია თითო სიტყვა, რომლებიც აშკარად ხელოვნურია:

„გასაცრემლავად გაეწნას გასაგუგები სატევად". (S 171, გვ. 5)

დავიმოწმოთ სხვა ნიმუშები კომენტარების გარეშე:

S 4500, M 8 და სხვა ხელნაწერთა წაკითხვები:	S 171-ის წაკითხვები:
2 ბ. არ შემიწყალა არათი, არ გამოჩართვა აჯამა	შეუწყალობით მოიღო, გამოურთმევი აჯამან
11 ბ. რა ვნახე მიწყივ საჭიროდ, ფეხი მახესა მედება	რა ვნახე გასაჭირებლად, ფეხი მახესა მედება
12 ა. რა მოვიღო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგავები	რა მოვიღო შესაფერად დასამსგავსი იგავები
ბ. გაგიძვია, დიაღ, მიღმარ სიგონჯე და იგ ავები	გაგიძვია მიღმართობით სიგონჯისა იგ ავები
დ. ჭირსა ძნელსა გაუხსნელსა ამ საქმითა იგ ავები	საჭიროსა გაუხსნელსა გონებითა იგ ავები

15 ა. რა ვარდმა პირი გაშა-
ლოს, გაღიმდეს, გაიცინოსა
ვარდნარი განაშალარი გაღიმ-
დეს, გაიცინოსა

ბ. მაშინღა მისმან მჴვრეტელმან ნე-
ტარ რათ მოიწყინოსა
შენმა მჴვრეტელმა მაშინღა რასათ-
ვის მოიწყინოსა

გ. მწვანეზედ წითლად ნაშალ-
სა ზედ ცვარი გაეყინოსა
მწვანეზე განაწითლარსა რა ცვა-
რი გაეყინოსა

დ. მინახავ მაშიგ მავალსა,
შენ იგი მოგეყივნოსა
შემომავალსა მინახავს იგინი
მოგეყივნოსა

16 ბ. მწვანეს ხავერდად ნა-
შალსა, შიგ რუსა მომდი-
ნარებსა
დახავერდულსა სიმწვანით,
რუებსა მოჴდინარებსა

გ. ალვისხე მაშიგ მდგომელი აშვე-
ნებს ბაღთა არებსა
ალვა მდგომელი მაშიგა დაუშვენ-
ებენ არებსა

18 ბ. ყოვლი მნათობი მთიებნი
გარშემო მას ევლებისა
მანათობელნი მთიებნი გარშემო
შემომვლებარი

20 გ. ჴმდე გულის მზრახად სა-
მუდმოდ, თავი ქვე სადმე
დამეღოს
ეჴდე გულის გამომზრახველად,
თავი ქვე სამე დამეღოს

დ. საკადრად შენსა ჭებასა
ვერ ეტყვი, სულიც და-
მეღოს
საკადრად შესაგებელი უქმია,
სულიც დამეღოს

23 დ. მართ მისწურობდათ მათ
სული, გასცლოდა, გა-ცა-ქცეო-
და
მისწურებოდათ სულები, გა-
სცლოდა, გა-ცა-ქცეოდა

24 ბ. შვიდთა მნათობთა ვარ-
სკვლავთა არ ძალუც
მისი დავია
შვიდთავე გამომნათობთა
შეუძლებარი დავია

26 ა. რა მზე გარდაჴდეს ვერძ-
ზედა, აერმა შექმნას თბო-
ბანი
მზე გარდამჴდარი ვერძზედა,
აერი განათბობარი

ბ. ამწვანდეს ტყე და მინ-
დორი, მფრინველთ დაიწ-
ყონ ხმობანი
ტყე-ველი გამწვანებული, ფრინ-
ველნი გამოხმობანი

გ. აყვავდეს ყოვლი ქვეყა-
ნა, ტრფიალთა შექმნან დნო-
ბანი
აყვავებული ქვეყანა, მიჯნურთა
დამადნობარი

28 გ. თავს დაბრუნვა, ზედ და-
ბნედა, რა მობრუნდეს
ჰიკჰიკობა
დაბნედილსა ჩამოვარდნა, მონაბრუნ-
სა ჰიკჰიკობა

29 დ. რა ბრალია, საწუთოო, იგი
შექმნა ცრემლთა დე-
ნით
საბრალოა, საწუთროო, საცრემ-
ლოსა გამოდენით

30 გ. მუნ ფარაღათად მსხდო-
მელთა ლხინი რათ გაინაკესა
ფარაღათობით მჯდომელთა სევ-
დანი გაინაკესა

32 გ. ჩირგვის მწყერს და ღაღას
ხოცდენ, სეფჭით გორად
დაეყარა
ჩირგვის მწყერი დანახოცი გო-
რეებად დაეყაროს

33 ა.	ზარს ჩასაგდებსა ქორებსა აშურებდიან სატევად	ჩასაზარებელს ქორებსა აშურებდიან სატევად
37 ა.	წყალსა ნაწყვეტსა მწვანეზე მკვრეტელნი მზერდენ ას ერით	დანაწყვეტარსა წყალებსა შემომზერდიან ას ერთ
39 ბ.	მას ღამესა, რაც მართებდეს, იარაღი მოეკარგონ	ღამეშიგან მართებულად იარაღი მოეკარგა
42 ბ.	ფარავანზე შექცეულნი თევზსა სწვევდენ მუნა ბადით	ფარავანზე შექცეულნი თეკზებია შენაბადით
44 ბ.	მინდვრად მოსული მანძილო, რჭა მაღლად ზრდილი ხარები	ამომავალი მანძილო, რჭა ანაზარდი ხარები

და ა. შ.

ამგვარი ნიმუშები მრავლად არის ზემოთ დამოწმებულ ტექსტებშიაც, რომლებიც აქ არ გაგვიმეორებია. სხვათა შორის, პოეტი ანალოგიურ სიტყვათწარმოებას იმ შემთხვევაშიაც მიმართავს, როდესაც პირველ ვარიანტს სხვა სიტყვებით ცვლის. კერძოდ, ამგვარია ზემორე მოყვანილ მაგალითებში გამოყენებული სიტყვები „მოსაზმანაო", „ჭიქაები" და სხვა.

აღნიშნული რედაქციული ცვლილებების შედეგად, როგორც ვთქვით, ტექსტი ბევრ შემთხვევაში გასწორებული და გაუმჯობესებულია, მაგრამ არა ყოველთვის. საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოეტი ხელოვნურ სიტყვათწარმოებას მიმართავს, დაკარგულია ტექსტის თავდაპირველი გამჭვირვალობა და აზრი ძნელად გასაგები და ბუნდოვანია. საერთოდ, პირველი რედაქციის ენა უფრო სადა, ხალხურ, სასაუბრო მეტყველებასთან ახლო დგას, ვიდრე მეორე რედაქციისა. ამ უკანასკნელის ენა ბევრად მძიმე და მწიგნობრულია, თუმცა შინაარსობრივად, აზრობრივად და მხატვრულადაც ხშირად უფრო მდიდარი და ღრმაა. ეს ზემოთ დამოწმებულ აბონაწერებშიაც ჩანს, მაგრამ სანიმუშოდ რამდენიმეს კიდევ განვიხილავთ.

პირველ რედაქციაში გვაქვს:

„ცოტას ხანსა მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,
დროთ მისწერონ ყოელთა წიგნი ამ საქმეზედ მათ მხმობელთა,
მოკრფეს ჯარი სატურფალი, „ვახი" ჰქონდეს მუნ მშვრეტელთა,
და გაემართნენ მხიარულნი, მიგრაგნიდენ მთა და ველთა". (50)

მეორე რედაქციაში იკითხება:

„ყამობამდი მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,
დროიანად მწიგნობარნი მიუწერდენ სახმობელთა,
დაიჯარნენ მოდგომილი, სახარელი შემშვრეტელთა,
და გამოვიდენ მხიარულნი, დარაზმული მინდორ-ველთა". (S 171, გვ. 7)

აშკარაა, პირველი ვარიანტის ტექსტი უფრო ბუნებრივი და გასაგებია, ვიდრე მეორისა. წინადადება „ცოტა ხანსა მოი.ვენონ“ კონკრეტული შინაარსისაა და უკეთ გამოხატავს სათქმელს, ვიდრე განუსაზღვრელი „ჟამობამდე მოისვენონ“. მომდევნო სტრიქონის მეორე ვარიანტიდან გაუგებარია, ვის იხმობენ, ვინ არიან „სახმობელთა“. მაშინ როდესაც პირველი ვარიანტიდან ჩანს, რომ ისინი „ამ საქმეზედ“ უარაიაში სანადიროდ დაძახილები არიან. ფრაზა „მოკრეფს ჯარი ს.ატურფალი“ მეტი სინათლის შემცველია, ვიდრე „დაიჯარნენ მოდგომილი“, რომელსაც ხელოვნურობის დაღი დაჰკრავს. ამ გამოთქმით ისე გამოდის, თითქოს მოწვეულები მოსვლის შემდეგ „დაიჯარნენ“. თხზულებაში კი, ჩანს, ჯარის, უამრავი ხალხის მოსვლა იგულისხმება. მართალია, მესამე სტრიქონის „სახარელი“ (=სასიხარულო) უფრო პირდაპირ და გასაგებად გამოხატავს აზრს, ვიდრე შორისდებული „ვახი“, მაგრამ პირველი ვარიანტის „მჭვრეტელთა“ სიტყვასთან შედარებით „შემჭვრეტელთა“ ნაძალადევია. მხატვრულობისა და, საერთოდ, გამოსახვის თვალსაზრისით ბევრად მაღლა დგას პირველი რედაქციის წაკითხვა „მიგრაგნიდენ მთა და ველთა“, ვიდრე მეორე რედაქციის წაკითხვაა — „დარაზმული მინდორ-ველთა“, ოღონდ პირველი ორიგინალური სახე არ არის, მოდის ვეფხისტყაოსნიდან, სადაც ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით იკითხება:

„შევსთვალე, ფიცხლავ წამოდით, მ ო გ რ ა გ ნ ე თ მთა და ველ ი ა“. (სტრ. ულა, 4)

„მოვა და ხევთა მ ო გ რ ა გ ნ ი ს, ისმის ზათქი და ზარია“. (ჩუ, 3)

ალბათ ამის გამო თუ შეცვალა ვახტანგმა პირვანდელი ტექსტი, თუმცა ხატოვანებით ან ორიგინალობით არც მეორე ვარიანტი გამოირჩევა.

ავიღოთ მომდევნო სტროფი. პირველ ვარიანტში გვაქვს:

„ლოჯინს შეექცნენ კაკაბსა, სად ჩადის მცირე წყალია,
საჯოგის ჭალას მივიდენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლად ალია,
მეორეს დღესა ხოხობსა დამართონ დიდი ძალია,
და ტყე მოირეკონ, ნადირთა გაეცლონ ერთპირ ხალია“. (S1)

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„ლოჯინის შექცევისაგან კაკაბი შესაწყალია,
საჯოგეშიგა ცეცხლებსა დაემაღლების ალია,
სადილაოთა ხოხობთა გაუმრავლდების ძალია,
და ტყეების გამორეკითა ნადირთ გაეცლონ ხალია“. (S 171, გვ. 7)

აქაც ერთბაშად თვალში საცემია, რომ პირველი ტექსტის აზრობრივი სიცხადე და სინათლე მეორეში დაქვეითებულია. თუ პირველ

ვარიანტში აქცენტი მონადირეთა მოქმედების ჩვენებაზეა გადატანილი, აზრი პირდაპირ და მკაფიოდ არის გამოთქმული და სურათი დინამიკური და ერთი მეორისაგან გამომდინარეა, მეორე ვარიანტში იგივე შემოვლით არის გამოხატული; აღწერილია არა უშუალოდ მონადირეთა მოქმედება, არამედ მათი შედეგები, — რა გასაჭირი დაადგათ ფრინველთა და ნადირთ.

მეორე რედაქციაში წერია:

„ბიუწდომსა საწადელსა სოფელია მამიპარავს". (S 171, გვ. 10)

პირველი ვარიანტის გარეშე ამ სტრიქონის აზრი გაუგებარია. არ ჩანს, ვინ ვის იპარავს. პირველ რედაქციაში ყველაფერი ნათლად არის გამოთქმული:

„ვერ ვეწიო საწადელსა, ვაი, სოფელი დღესა მპარავს!" (69, 4)

პირველ რედაქციაში არის:

„ვიყავ მოყვასისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი". (70, 1)

აზრი ნათელი და გასაგებია. მეორე რედაქციაში სტრიქონი ასეა გადაკეთებული:

„ვიყავ მოყვასთა სიმაღლე, შენამტერალთა მხარავი". (გვ. 10)

აშკარაა, „შენამტერალთა" — ამ ხელოვნურმა ფორმამ აზრი დააბნელა.

იქვე, მესამე სტრიქონად პირველ ვარიანტში იკითხება:

„სამღთოც ვიცოდი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარავი".

მეორე ვარიანტშია:

„საცოდინოსა მცოდნესა გამომეცხადენ მხარავი".

„საცოდინოს მცოდნე" ზოგადი გამოთქმაა და მკითხველს გარკვეულს არაფერს ეუბნება, აბნევს მას. სულ სხვაა პირველი ვარიანტი, კონკრეტული და გასაგები — „საღმთოც ვიცოდი, საეროც..."

მეორე რედაქციაში წერია:

„ძმისა მძულთა მეუფისა სიყვარულსა დაუგმობენ". (გვ. 10)

ძნელია ამ წინადადებიდან აზრის გამოტანა. სათქმელი ერთბაშად ნათელი ხდება, როგორც კი პირველ ვარიანტს ვეცნობით:

„ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღმთისა მწამდეს მათგან რათი?!" (75, 2)

ამგვარი ნიმუშები მრავალია.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიდან საკმარისად და გარკვევით ჩანს, რომ S 4500, M 3 და მათი მიმყოლი ხელნაწერების ტექსტი პირველადია, ხოლო S 171-ის ტექსტი — მეორადი, პოეტის მიერ შემდეგ ნასწორები და შეცვლილი. ჩანს სწორების მიზანიც და შედეგიც.

ბოლოს. S 4500, M 3 და მათ მიმყოლ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების შესახებ. ეს ნუსხები არსებითად ზედმიწევნით მიჰყვება ერთმანეთს, მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, უფრო ორთოგრაფიული და გრამატიკული ხასიათისა. და მაინც გვაქვს ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მათ შორის დამოკიდებულებას აზუსტებს. განვიხილოთ ისინი:

77 სტროფის პირველი სტრიქონი S 4500 და M 3-ში ასე იკითხება:

„ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები".

ყველა დანარჩენ ხელნაწერში, მათ შორის Q 548-ში, აღნიშნულ სიტყვათა ნაცვლად არის „ბატონზე". ირკვევა, თავიდან ასევე იყო S 4500-შიაც, რომელშიაც ადრინდელი ნაწერი ამოფხეკილია და „ცუდ რაცა" შემდეგ არის ჩაწერილი.

მსგავსი შემთხვევა გვაქვს 83 სტროფის მესამე სტრიქონშიაც. S 4500, M 3 და ზოგიერთ სხვა ხელნაწერში იგი ასე იკითხება:

„ცრემლი მომდის უფრო მისგან, რა სელი ჭნან განახადად".

Q 548, S 1624, H 153 და ლიტერატურული მუზეუმის ნუსხაში „სელი"-ს მაგივრად წერია „სული". S 4500 ხელნაწერშიაც თავიდან „სული" ყოფილა, „უ" „ე"-დ შემდეგ არის გადაკეთებული.

სხვა თხზულებებში უკეთ ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მაგალითებით აქაც გამოჩნდა, ერთი, ის, რომ S 4500 ხელნაწერთან შედარებით M 3-ის ტექსტი შემდეგდროინდელია, ამ უკანასკნელში გათვალისწინებულია პირველის შესწორებანი, ხოლო, მეორე, — Q 548-ის ტექსტი, რომელიც განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს S 4500-ის თავდაპირველ ტექსტთან, მომდინარეობს ამ ნუსხიდან; გადაწერა უშუალოდ თუ შუალობით მომხდარა მანამდე, სანამ მასში შესწორებები იქნა შეტანილი.

როგორც უკანასკნელ მაგალითშიაც გამოჩნდა, გარკვეული ერთიანობა და მსგავსება არსებობს Q 548, H 153, ლიტერატურული მუზეუმისა და S 1624 ხელნაწერებს შორის, განსაკუთრებით პირველ სამს შორის. აქა-იქ არის ზოგიერთი ისეთი წაკითხვა, რომლითაც ეს ნუსხები გამოიყოფიან. მაგალითები:

ძირითადი ტექსტი:	Q 548, ლიტ. მუზეუმისა და H 153-ის წაკითხვები:
18 ა. არ	რა
22 გ. პირის	პირსა (ფერის ლიტ. მუზ.)
53 ბ. გააჩინონ	გაარჩიონ (გააჩიონ ლიტ. მუზ.)
72 გ. მისივ ფრთა ისარსა ზედა	მისივე ფრთა ისარ ზედა

და სხვა.

მაგრამ ეს ისეთი მაგალითები არ არის, რაზედაც დაყრდნობა შეიძლებოდეს. უფრო საყურადღებოა 99-ე სტროფის მონაცემი. M 3 და ხელნაწერთა უმრავლესობაში იგი ასე იკითხება:

„კაცს შევხვდი ბრძენსა, ეს წიგნი მაზადაც უგემებია,
ვარქვი: ამ ზღვაში ჩავარდნილს რა ხენი უგემებია?
«რადგან გწადს სიტკბო, — მან მითხრა, — ჯერ ნახე უგემებია,
და ქუნარის თაფლი უეკლოდ არაის უგემებია!»"

ასევე იკითხება ეს სტროფი S 4500 ნუსხაშიაც, მხოლოდ ეგ არის, დაზიანების გამო სტრიქონთა დასაწყისები აკლია („კაცს შევ", „ვარქვი ამ ზ", „რადგან გწადს ს", „ქუნარის თაფლ"). Q 548 არ იცნობს მეორე სტრიქონის მოცემულ წაკითხვას („ვარქვი ამ ზღვაში..."). მისი ადგილი უჭირავს მესამე სტრიქონს („რადგან გწადს სიტკბო..."). მესამე სტრიქონად კი შემდეგ სხვა ტექსტია ჩაწერილი — „აღმომკითხველი შრომითა იხილავს, უგემებია". ეგ სტროფი ზუსტად ამგვარად წარმოდგენილია H 153-ისა და ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახალი სტრიქონი ორივეში გადამწერთა ხელით არის შესრულებული. S 1624 ნუსხაში სტროფი სამსტრიქონიანია. მასში არც M 3-ისა და მის მიმყოლ ხელნაწერთა მეორე სტრიქონი იკითხება და არც მისი სანაცვლო ახალი სტრიქონი. ადგილი კი დატოვებულია მეოთხე სტრიქონის ჩასაწერად.

აქედან აშკარაა S 1624, H 153 და ლიტერატურული მუზეუმის ნუსხათა ტექსტების ორგანული კავშირი Q 548 ხელნაწერის ტექსტთან. S 1624-ის, თუ მისი პროტოგრაფის, გადამწერს ამ ნუსხით, თუ მისი პროტოგრაფით, მანამდე უსარგებლია, სანამ ახალი სტრიქონი გაჩნდებოდა, ხოლო H 153 და ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა, თუ მათ პროტოგრაფთა, გადამწერთ — პირიქით, სწორედ Q 548 ხელნაწერი გამოუყენებიათ და თანაც მას შემდეგ, როცა შიგ ეს სტრიქონი უკვე ჩაწერილი იყო.

გარკვეულ მსგავსებასა და ზოგიერთ თავისებურებას გვიჩვენებს ცენტრალური არქივის № 297, H 957 და H 1048 ნუსხები:

ძირითადი ტექსტი:	არქ. № 207, H 1048, H 957 ნუსხების წაკითხვები:
1 ა. აშკმული	შემკული
5 დ. მეჩიტმა	მეჩითმა
10 გ. ქასრი	ქარი
13 ბ. ნებით	ნებსით
17 ბ. მიფარებლად/მაფარებლად	მაფარებლად
21 გ. საბრალობსა	საბრალოსა
32 ბ. შავარდნისა	შავარდენის
33 ა. ჩასაგდებსა	ჩაგაგდებსა (ჩაგდებულსა H 1048)
49 გ. ჰყუაო /ყუაო/ ყუაო	ყაო
55 ა. კეკლუცად	კეკლუცთა (კეკლუცათ H 957)

და სხვა.

რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, ეს მსგავსება სრულიად შემთხვევითი იყოს და არა საერთო წყაროდან მომდინარე.

აი, სხვა, შედარებით მნიშვნელოვანი ვარიანტები, რომლებსაც S 4500 და M 3-ის მიმყოლი ხელნაწერები გვიჩვენებს:

ძირითადი ტექსტი:	ვარიანტები:
13 ა. მაგარს	მაღალს S 526
დ. სალად	ხალად A 1776, H 21
15 ა. რა ვარდმან	~ H 1048
გ. წითლად	ნათლად H 1048
გაეყინოსა	გაეფინოსა H 153
დ. მოგეყივნოსა	ჰოგეყვანოსა H 153
18 ბ. ეელებისა	ეელებისა H 153
21 გ. მწვე	ქვე S 526
სხიო	სახით H 1048
25 გ. კარი	+ და Q 548, H 153
27 ბ. ცვარი ცის	~ H 1048
29 ბ. იყდეს	იდგეს S 526
32 დ. კარვად	კარგად H 1048
35 დ. შეგაზაროსა	მოგაწყინოსა H 957
37 ა. მზერდენ	სჭერეტდენ H 1048
40 გ. კარვად	კარგად H 1048
41 გ. დაუნაყონ	დაუნახონ ლიტ. მუზ., დაუხოცონ H 21
42 გ. მთას	მას M 3, მასთს A 1776, H 21
46 ა. ძაძოს	ამოს H 1048
47 ა. მოგაწონოსა	მოგაწყინოსა H 957
ბ. ფრთა კარგად	რომე ფრთა H 1048
49 ა. ხუნანამდი დღივ და დღივე	სულ ნიადაგ დღივ და ღამე S 526 (შემდეგ ჩასწორებულია)
ბ. ქციაზედა	ქიაზედა A 1776 (H 21-ში „ც" შემდეგ ჩამატებულია)
გ. ადევნებენ	აყენებდენ ლიტ. მუზ.

51	დ. ნადირთა	მინდორთა S 1624
	გააელონ ერთ პირ ხალია	გაელონ ერთ პირი ხმალია S 526
54	დ. ზოგმან მოჰკრას ვერცა	ვერცა ზოგმან მოჰკრას ლიტ. მუზ.
57	დ. დასცენ	დასჩრენ S 526
58	ა. თრდოდეს	ფრთოდეს A 1776
59	ა. კარი	ჯარი H 957, H 1048, S 526
	ბ. ბერი	ბევრი H 153
62	ა. არ შეიცოდეს მკვდარია	მუნ თოფი განაყარია S 526
63	დ. დიად	მეტად A 1776, H 21
	ბელი	ყელი ლიტ. მუზ.
66	დ. სარებსა	კარებსა ლიტ. მუზ.
68.	ბ. ჭოუგონარი	მოუწონარი არქ. № 297, H 957, H 1047, H 153
72	ბ. რა	რომ H 1048
	მომწვდა გულსა	მომხვდა ესე H 21
	გ. მისე	თვისი H 21
	დ. ჩემგანვე	ოვისგან H 21
73	ა. რათ	რაც H 153
	დ. ვიცი	+ რა ვაწყინე S 526
75	დ. ხლათი	ხალათი არქ. № 297, H 21
76	ა. ბ. გ. კრავსა	კარავსა არქ. № 297
	ბ. სჯვრელითა	საკურველითა არქ. № 297, H 1048
	დ. ბოხოხსა	ხოხობსა A 1776, არქ. № 138. 297, H 957, H 1048, S 526, ლიტ. მუზ.
80	ბ. ვისცა	ავსცა A 1776, H 21
81	ბ. ბაღსა	სახლსა H 1048
84	დ. მდრიდა	მღერდა H 1048
85	ბ. სამე	რამე S 526
86	დ. დემად	ჩემათ S 526
87	დ. ძმათა	ძეთა S 1624
90	გ. ზედა მხედია	ზედ მპყრობელია S 1624
96	ბ. უსუნებს	უნებდეს H 1048
	დ. მოეიღო მთიდ და	ჯზარდო ფერადით S 526
97	ბ. უბნობდა ყველაზედა	უბნებდა ყვაეილებში S 526
103	გ. გვამსა	გულსა არქ. № 138, 297, H 1048, H 21, S 526 და სხვა.

როგორც ვხედავთ, ეს ვარიანტები უმნიშვნელოა, რომლებიც, ჩანს, გადამწერთ ეკუთვნით და უმეტესობა ტექსტის შეცდომით ამოკითხვის შედეგად არის მიღებული.

ამრიგად: „სალბუნად გულისა“ ვახტანგ მეექვსეს ორი რედაქციული ვარიანტით შეუქმნია. პირველი რედაქცია დაცულია S 4500, M 3 და ყველა დანარჩენ არააეტორიზებულ ნუსხაში, მეორე რედაქცია — S 171 ნუსხაში, რომელშიაც ახალი რედაქციული ფენა ცოტაა. S 4500-თან შედარებით M 3 შემდეგდროინდელია. S 1624, ლიტერატურული მუზეუმისა და H 153 ხელნაწერთა ტექსტი ორგანულად

უკავშირდება Q 548 ხელნაწერის ტექსტს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ახლოს დგას S 4500-თან. გარკვეული ნათესაობა ჩანს ცენტრალური არქივის № 297, H 957 და H 1048 ნუსხათა ტექსტებს შორის.

დ. „ამირ-ნასარიანი"

როგორც ცნობილია, ვახტანგის ეს ვრცელი პოეტური ნაწარმოები არის ლექსითი ვერსია მე-12 საუკუნის სპარსელი მწერლის ქეი-ქაუს იბნ-ისქანდერ იბნ-ყაბუს იბნ-ვუშმაგირის ან, როგორც მოკლედ წერენ, ქეი-ქაუსის მსოფლიოში განთქმული დიდაქტიკური თხზულების „ყაბუს-ნამეს" ვახტანგისავე პროზაული თარგმანისა. ვახტანგმა ჯერ იგი ადრე, ქართლის განმგებლობის დროს (1703—1712) სპარსულიდან დედნისეული ფორმით, პროზაულად გადმოიღო[41], ხოლო თავისი თარგმანი შემდეგ, მოგვიანებით მოსკოვში გალექსა. ამის შესახებ ცნობები დაცულია ვახტანგის თარგმანთა სათაურებსა და ბოლოსიტყვებში. პროზაული ტექსტის სათაურში წერია: „ამირ-ნასარიანი, თ ქ მ უ ლ ი სპარსთა ენისაგან ქ ა რ თ უ ლ ა დ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ". გალექსილ თარგმანს წინ უძღვის: „წიგნი პირველი, ამირ-ნასარიანი (ამირნასრიანი M 3), სპარსულისაგან ქ ა რ თ უ ლ ა დ ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ა მ ბ ა ი დ (— S 171) მეფეთ-მეფის ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს მ ი ე რ (ვახტანგისაგან S 171) და ბ ო ლ ო დ მ ო ს კ ო ვ ს (მოსკოს S 4500) მ ი ს მ ე ფ ი ს გ ა ნ ვ ე გ ა ლ ე ქ ს უ ლ ი..."

აქვე, ეპილოგში ნათქვამია:

„ამირ-ნასრანის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
ჯ ე რ გ ა მ ო ვ ი ღ ე ა მ ბ ა ვ ა დ ვარდი-კოკობი რგულები,
აწ სევდის მოსაქარვებლად ლ ე ქ ს ა დ ვ ა რ გ ა ნ ა მ გ უ ლ ე ბ ი;
და ყველას დარჩება სოფელში გაუკურნებლად წყლულები". (185)

ჯერჯერობით სპარსული „ყაბუს-ნამეს" სრული, მეცნიერული გამოცემა არ განხორციელებულა და ცნობილი არ არის არათუ დედანი, არამედ ის რედაქციაც, რომლითაც ვახტანგი სარგებლობდა. ამიტომ ძნელია მთლიანად განისაზღვროს ვახტანგის მთარგმნელობითი თავისებურებანი, მაგრამ არსებითი მხარეები მაინც ნათელია[42]. როგორც გ.

[41] ეს ტექსტი სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ მ ა („ლიტერატურული ძიებანი", IX, თბ., 1955, გვ. 325—375).

[42] ამჟამად მოგვეპოვება „ყაბუს-ნამეს" თანამედროვე სრული ქართული თარგმანი: ქ ე ი-ქ ა უ ს ი, ყაბუს-ნამე, დარიგებათა წიგნი, სპარსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ა. ლ ო მ თ ა ძ ე მ, თბ., 1978.

იმედაშვილმა ცხადყო, ვახტანგს შემოკლებით უთარგმნია თხზულება: 44 თავიდან შეურჩევია 11 თავი, მაგრამ პირწმინდად და სრულად არც ეს თავები გადმოუღია: შიგადაშიგ ზოგი რამ გამოუტოვებია და ცოტაც დაუმატებია. მცირეოდენი ამგვარივე ცვლილებები შეუტანია გალექსვის დროსაც. გარდა ამისა, თხზულებისათვის დაუმატებია სამსამ სტროფიანი პროლოგი და ეპილოგი და თითოეული თავისათვის — თითო სტროფიანი შესავალი.

ნაწარმოებში, როგორც ეს სპარსულ დედანსა და ქართულ პროზაულ თარგმანშია, პირდაპირ ან სათანადო მოკლე მაგალითების ჩვენებით მოცემულია მრავალი სწავლა-დარიგება სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხზე — სწავლა-განათლების, ჭკუისა და სიბრძნის, სიტყვის ძალის, სინდისისა და პატიოსნების, შრომისა და გარჯის, მოხერხებულობის, სიმართლისა და სამართლიანობის შესახებ და ა. შ. ცალკე თავებად არის გამოყოფილი სწავლება ხელმწიფეთა მომსახურების, მდივანთა, ვეზირთა, სპასალართა უფლება-მოვალეობის, სტუმარ-მასპინძლობის, სიყვარულის, ქონების შოვნისა და მოხმარების, ანაბრის შენახვის, შურიანობისა და სიკეთის შესახებ. ამ დარიგებათაგან ბევრი ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების წესისა და იდეოლოგიის გამომხატველია და, ბუნებრივია, ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მრავალია ისეთიც, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ღირებულება და დღესაც საყურადღებო და გამოსადეგია[43].

გალექსილი „ამირ-ნასარიანი", რომელიც 187 16-მარცვლოვანი შაირით შესრულებული სტროფისაგან შედგება, ხუთი ხელნაწერით არის ცნობილი. ესენია: S 4500 (გვ. 213—236), M 3 (გვ. 117r.—140v.), S 171 (გვ. 107—130), Q 548 (გვ. 207—239) და H 153 (გვ. 165—191). დაზიანების გამო S 4500-ს აკლია 108—119. 1, 131—166. 1—2 სტროფები. დაზიანებულია 172-ე სტროფი.

თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ამ ხელნაწერებს შორის „ამირ-ნასარიანის" მიხედვით, საგანგებო კვლევის საგნად არავის უქცევია, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება ამის თაობაზე გამოთქმულია.

დ. ბრეგაძე, რომელიც გაკვრით ეხება ამ თხზულების რედაქციულ თავისებურებებს, მსგავსად ალ. ბარამიძის მოსაზრებისა, M 3 ხელნაწერს, რომლის მიხედვითაც არის იგი გამოცემული, ბოლო რედაქციი-

---

[43] ამ თხზულების შესახებ, გარდა მითითებული ლიტერატურისა, იხ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 518; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 333—343; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 121—126; გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 92—93; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ., 1968, გვ. 74—85; ა. გვახარია, ვახტანგ VI და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, გვ. 68—70.

სად მიიჩნევს. მკვლევარი წერს: „ჩვენამდე გალექსილი ამირ-ნასარიანის რამდენიმე ხელნაწერია მოღწეული. ხელნაწერთა გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ ვახტანგს დიდი მუშაობა ჩაუტარებია და, როგორც საერთოდ ჩვეულებად ჰქონდა, თხზულების რამდენიმე რედაქცია ჩამოუყალიბებია. მოღწეულ ხელნაწერთაგან ორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 4500 და S 171, ავტოგრაფის მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ ტექსტი თვით ვახტანგის მიერაა ნასწორები, გაკეთებულია ჩანართები და ჩამატებულ ფურცლებზე მრისიე ხელითაა შეტანილი სტროფები. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის № 83 (=M 3. — ბ. დ.) ხელნაწერში არსებითად გათვალისწინებულია ის შესწორებანი, რომელიც ვახტანგს შეუტანია გალექსილ «ამირ-ნასარიანში»“[44].

როგორც ჩანს, აქ მკვლევარი „სატრფიალონისა“ და „სიბრძნე მალაღობელის“ ზეგავლენით მსჯელობს. S 4500 ხელნაწერში ამგვარი ჩასწორებები ამ თხზულებებს მოეპოვება და არა „ამირ-ნასარიანს“. რაც შეეხება S 171 ხელნაწერს, მასში „ამირ-ნასარიანი“ აქა-იქ მართლაც არის ნასწორები, მაგრამ არა ავტორის, არამედ გადამწერის ხელით, თანაც ძალიან ცოტა. აი, ყველა შემთხვევა:

S 171-ის ადრინდელი წაკითხვები:	ახალი წაკითხვები:
1 დ. ურწმუნო მორწმუნეებსა	მცნობთა და არა მცნობელთა
2 გ. ბედისა მოუხმარისი	~
დ. ყრმებსა დაუცადისა	~
3 გ. გამოსაზრდელი შემზადე; არ სულა	~; სულა არ
დ. ადვილია ყურისა თუცა ხარ მომგდებელადო	უჭიროა სათქმელად, საჭირო სასმენელადო
4 ბ. წესია საწუთროსაგან	~
5 ბ. პირველად დასაწყისისა	~
26 გ. თავ თავისათვის	თავისა ქამსა
47 დ. უცდურად მართებს	~
48 გ. უჯობს სიკვდილი	~
დ. ისევეა დაცემულს	~
55 ა. ას წელთა მონახარენსა	სიბერისაგან მოხრილსა
76 ა. სამეჯლიშოსა იცოდე	პურობა დარბაზობისა
92 ა. ჯარშიაც ეგრე მოიქეც ვით მეფეთა გიხმს	ვითა მეფესთან კრებაში ჯგრე გიმართებს
103 ბ. მტერებსა	მებრძოლთა
115 ა. მათ თქვა	ქადრა

[44] დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, გვ. 77.

125	ა. ნათელს ჰრაქსა	მბდვინვარესა
171	ა. ზეღეთ წახდენა მიაგავს ნავსა ზღვაშია მღელავსა	ნავსა გავს ზეფეთ წახდენა პელეგონშიაღ მღელავსა
	ბ. მრაცალ დაინთქმის	მრავალსა დანთქმს
	გ. აგრევ მეფისა	აგრეევე მათი
	დ. სადაც მიხედება სიკეთე სამკვიდროდ ის უელავსა	სად გული მჭონდეს შვებული სამკვიდროდ იგ მიელავსა

ეს ახალი წაკითხვები სხვაგან არსად დასტურდება.

დაახლოებით იგივე დასკვნა გამოდის კ. კეკელიძის შეფასებიდან, რასაც დ. ბრეგაძე ამბობს. იმოწმებს რა „ამირ-ნასარიანის“ სტროფებს S 171 ხელნაწერის მიხედვით, კ. კეკელიძე წერს: „ეს ლექსითი ვერსია მერე თვით ვახტანგს შეუცვლია და მოუცია მისი ახალი რედაქცია, რომელიც შენახულია ხელნაწერში S 4500, გვ. 213—236“. აქვე გაკეთებულია შენიშვნა, რომ „«ამირ-ნასარიანის» ეს მეორე რედაქცია გამოსცა ალ. ბარამიძემ“[45].

როგორც ვთქვით, S 171 ხელნაწერში საძიებელი თხზულება უმნიშვნელოდ არის ნასწორები, ხოლო ამ ხელნაწერთან შედარებით S 4500-ისა და გამოცემის ტექსტი რომ შემდგომი რედაქციისა იყოს, არსაიდან ჩანს.

„ამირ-ნასარიანის“ ხელნაწერთა ტექსტების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ იგი ორი რედაქციით დაუმუშავებია ავტორს. როგორც ზემოთ განხილულ თხზულებებში გვაქვს, აქაც ცალკე დგას S 171 და ცალკე ყველა დანარჩენი ხელნაწერი. სტროფული შედგენილობის მიხედვით მათ შორის განსხვავება არ არის. სხვაობა არის მხოლოდ წაკითხვების მიხედვით. საილუსტრაციოდ კვლავ დავიმოწმოთ მთლიანი სტროფები სხვადასხვა ნაწილიდან:

სტრ. 1. S 4500 (გვ. 213), M 3 (117r):

„ვინ შექმნა არსი ყოველი, ნივთი და უნივთელები,
სიუხვითა გუზრდის, წყალობით, არა აქვს გასაძნელები,
რა არს ჭარხანა ესეთი საცვიფრო, მიუგნელები,
და ურწმუნოსა და მორწმუნეს როჯაი უცდენელები“.

S 171 (გვ. 107):

„დავიარსენით არსისგან სანივთო, უნივთელები,
სიუხვისაგან ვიზრდებით, არა აქვს გასაძნელები,
მაკვირვებს საგანგიონი, საცვიფრო, მიუგნელები,
და მცნობთა და არამცნობელთა როჯაი უცდენელები“.

---

[45] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 486.

სტრ. 45. S 4500 (გვ. 220), M 3 (122v.):

„ჩემს სამართალსა აქებდენ, სანამდი ვიყავ, ყოველი,
მალ იყვნენ სამსახურისა, უხვად მიზდისა მპოველი;
დავსწერე ესე, რა მოდგა ჩემზედა ყოველთა მძოველი,
და ვინცა მნახევდენ, სანაცლოდ ეს ჰქონდესთ მოსაშოველი“.

S 171 (გვ. 112—113):

„სამართლობასა მიქებდენ, სანამდი ვიყავ, ყოველი,
მალ იყვნენ სამსახურისა, მინდისა მომაპოველი;
დავსწერე ესე, რა მოდგა ჩემზედა მომაძოველი,
და ვინცა მნახევდეს, ნაცვალი მიქონდეს მოსაშოველი“.

სტრ. 90. S 4500 (გვ. 228), M 3 (128r.):

„რა როგორ ღირს, რიცხვთა ცოდნა ვეზირთაა მოსახმარი,
ხელმწიფეთა ქცევა-წესი არა მართებს განამხმარი,
ქვეყნის მოვლა, გარიგება, რაც უჯობდეს მოსაქმარი,
და მეფეთ წინა მართლის მთქმელი, უტყუარი, უუქმარი“.

S 171 (გვ. 118):

„დაფასება, რიცხვთა ცოდნა ვეზირთ არი მოსახმარი,
ხელმწიფეთა ქცევა-წესით მომართული, გაუმხმარი,
ქვეყნის მოვლა, გარიგება უმჯობისა მოსაქმარი,
და მეფეთ წინა სიმართლითა უტყუარი, უუქმარი“.

სტრ. 130. S 4500 (გვ. 232), M 3 (133r.):

„მუნ ქურდი იდგა, მოუღო, დაჯდა, მუნ კართა მცველობსა;
რა გამოვიდა ის კაცი, მასვე მას გზასა მსვლელობსა,
ქურდმან უყივლა: «მობრუნდი, თეთრი წაიღე!» — მთვლელობსა, —
და «დღეს მოვსცდი ამა საქმითა, საქმესა ჩემს საცდელობსა»“.

S 171 (გვ. 123):

„ქურდმა მდგომელმა მოუღო, დანამჯდომარი მცველობსა;
რა გამოვიდა ნაბანი, მისსავე გზასა მვლელობსა.
«ეს თეთრი — ქურდმა უყივლა, — წაიღე!» — დანამთვლელობსა, —
და «შემომაცდინე ამითი ჩემს საქმეს შესაცდელობსა!»“.

სტრ. 180, S 4500 (გვ. 235), M 3 (გვ. 139v.):

„უმჯობე მეფე ის არის, ჭკუითა ჰქონდეს მკობანი.
ერთმან ვეზირმან ერთს მეფეს უყო ამისი მბობანი:
მოსულა ზღვის პირს ვაჭარი, სპეკალთა უამრობანი, —
და ას-ათას დინრად ვიყიდე ერთმანერთისა მჯობანი“.

S 171 (გვ. 130):

„უმჯობე მეფეს ექნება ჰკუითა გამომკობანი.
ვეზირმა ვინმე შეკადრა მეფესა გამომმბობანი,
მოსულა ზღვითგან ვაჭარნი, სპეკალთა უამრობანი, —
და ას-ათას დინრად ვიყიდე ერთმანერთისა მჯობანი“.

ამგვარივე სხვაობა არის სხვა სტროფებშიაც.

ამ ხელნაწერთა ტექსტებს შორის იმ ტიპის განსხვავებანი არის, რაც სხვა თხზულებებშია. S 171-ში ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია. ახლით. სტრიქონებში შემცირებულია სიტყვათა რაოდენობა, ტექსტს მეტი განმაზოგადებელი შინაარსი აქვს და ა. შ. სანიმუშოდ ცალკე სიტყვებისა და ფრაზების სახით მოვიყვანთ 10-10 სტროფს დასაწყისიდან, შუა და ბოლო ნაწილებიდან:

	S 4500, M 8 და სხვა ნუსხათა წაკითხვები:	S 171-ის წაკითხვები:
2	ა. თუ იწერთნი მითქვამს ნათქვამი	გამონათქვამი ჩაიწერთნე
	ბ. შეების მიმცემი	დამშვენებელი
	გ. ბედისა არად სახმარი	მოუხმარისი ბედისა
	დ. ყრმათა და გამოუცდელთა	დაუცადისა ყრმებისა
3	ა. სიბრძნემ მიმზიდა საამბოდ	სასიბრძნოებმა მიმზიდა
	ბ. მინდა რომ იყვნეთ მოყვასნი ურთიერთ	დამოყვსებული მწადია იყვენით
	გ. რამე საზრდელი	გამოსაზრდელი
4.	ა. გილანის თემთა არეთა თვით მეფე იყო	სამეფოს გილანისასა მეფეა მუნა
	ბ. ვითა წესია სოფლისა დაბერდა არად მდომელი	საწუთროსაგან წესია დაბერდა მოუნდომელი
	გ. შვილს მისცა თავის მეფობა	შვილსა უბოძა სამეფო
	დ. უბძანა ესე ანდერძი რაცა აწ	საანდერძონი უბძანა ქვემორე
5	გ. მისსა სახელსა ხადოდე	შემოხადოდე სახელსა
	დ. არ დააცდინო მადლობა დღენი მოგხვდეს თუ ბნელები	დაუმადლებდე შემოგხვდეს სანათლო დასაბნელები
6	ბ. იცან საჭიროდ საცნობი	საცნობი გამოიცანით
7	ა. ნდომას სიმდაბლე უცხოთ რამ	მომდომებელსა სიმდაბლე
	ბ. გასტეხს ბასრსა და სალებსა	დაადნობს გასასალებსა
	გ. გული მდაბალი ცეცხლსა გავს	ცეცხლსა მიაგავს სიმდაბლე
8	ა. სოფელსა კაცი ამით იქმს	ამით იქმონენ სოფელსა
	ბ. თავი არ რიდოს გარჯასა	გარჯასა დაურიდობდეს
	დ. კაცის წყენასა	შესაწყენასა
9	ა. თქვი სიტყვა ნუმცა ხარ უქამოდ რისმე მბოსანი	იტყოდე უქამოდ ცუდია საამბოსანი
	ბ. უგემო იყოს კარგიც თქვა	უგემურია კარგიცა
	გ. იცის სამსალის უმწარე ენა ტკბილი და	სამსალისაგან უმწარე ენა სატკბილო

4. ბ. დარჩა

	დ. წამლად ეს უთქვამს რადა ხარ რაცა არ გკითხონ ხმოსანი	საწამლოდ უთქვამს უკითხად დააგდე გასახმნოსანი
10	ა. ხამსცა კაცსა	სახმარია
	ბ. რაცა ჰკითხონ	დამკითხავსა
11	ა. რა საშურია კაცისა	რასათვის შეგშურდებიან
	ბ. შენც შეეცადე მისებრივ	მისებრივ შემოეცადე

შუა ნაწილიდან:

91	ა. შეშას არ გამოიმეტებ	შეშისა გამოუმეტლოდ
	ბ. ცხადად და	საცხადოდ
	გ. თუ რასმე; ანუ მდუმადო	ოდესცა; დასადუმადო
92	ბ. უფრო მიხვდება რევანი	მოგხვდება ანარევანი
	გ. კბილს დანარჩომმა საჭმელმა	კბილისა გამონაკრტენმა
93	ა. გწადს რადგან მეფეთ	მეფეთა გინდა
	დ. ღმერთს შესტირებენ	დასწყეველიან და
94	ბ. მთხოვე ადგილი გქონდეს ნებისად	გამოითხოვე სანებიერო
95	ა. სძებნეს და ვერსად იპოვეს მას თემსა	დასძებნეს ვერასადობით ვერ პოვეს
	დ. ასეთს კაცს მიეც	ასეთსა მიეც
96	ა. რა ეს ცნა	შეიტყო
	ბ. სხვაც ბევრი მისცა და	სხვასაცა მიცემით
	გ. საქმის სწორად დაჭერა	სასწორითა ნაქნარი
	დ. სჯიდე წყალობით გასინჯვით ნურავის გულსა მწველობდა	გასინჯე მოწყალებითა ნურავის დანამწველობდა
97	ა. მეფისა შიში გქონდეს და რიდები	მეფესა ეკრძალე მონარიდები
	ბ. იხვის ბარტყს	ჰუჰულსა
98	ა. რადგან ასეა შეგიტყობს როსცაა ქარგს და ავებსა	შეგიტყობს როსცა იქნება საკარგო გასაავებსა
	ბ. შენსა პასუხსა	საპასუხოსა
	გ. სადაც წავიდენ მეფენი	წავიდოდიან სადაცა
	დ. თვარამე მტერი გიპოვნის დროს რასმე	მტერები მოგიპოვებენ დროებსა
99	ა. კაცს რომ მის სარგოდ	მის სარგოდ ვისმე
	ბ. რომ ეძლოს	შეეძლოს
	გ. იპარევდეს და სხვისა რამ	მოიპარევდეს სასხვაო
	დ. თემს მისცეს	სათემო
100	ა. ამგვარნი გვანან უდენ რუს	გვანან უდენსა რუებსა
	ბ. თვითონ შეისვამს არ უშვებს	შეისვამს გაუშვებელსა
	გ. ნადენ რუს; ჩქარა და	ნადენსა; სიჩქარით
	დ. ძირსა ბოლოს და	ბოლოსაკენცა

ბოლო ნაწილიდან:

177	ა. რისხვა და დიდი ზარები	სარისხო დასაზარები
	დ. თავის... ჰქონდეს	შექნოდეს
178	ბ. ავ კაცად	უხამსად

179	ა. თუ ოთხფეხსა... მოჰკლავს ისიე	პირუტყვისა... დასაკლავად
	ბ. გაიყვანს და	გაყვანითა
181	ბ. ერთ ფულადა მჩანს	ფულად მიმაჩანს
	გ. ვიყო მაგისი მგონარი	შევიქნა მომაგონარი
	დ. ვაჭარმა რა ქნას რით დარჩეს ვით იქმნას უქმად	ვაჭარი რითღა დარჩება გახდება უქმი
182	ა. მიეც უკლებლად მაგ ფასად ვაჭართ	ყველას მიცემა იმაე ფასითა
	ბ. მაგ სახელოზე თქმულობით	მაგაზე გამოთქმულობით
	გ. თუ მინდა... სადა აქვთ	სანდომსა... აქვანან
	დ. ერთ ფასსე დასდებენ	ფასისა მგვანად
183	ა. იყო მიდამო	მიდამობითა
	ბ. ვარო ვნებული	ღალონებულ '
	გ. ესრეთ მცნებული	შემეცნებული
	დ. ანუ უსაჯე ანა ხარ	უსაჯეთ თვარემ იქნების
184	ბ. უსაჯა ჭრაელის ბოდიშით ასრულა მისი ნებული	ბოდიშებითა უსაჯა მიაგო მონებებული
	დ. შეკმნას სამართლით	სამართლისაგან
185	ა. სპარსთა თქმულები	გამოთქმულები
	ბ. ჯერ განოვლე ამბავად ვარდიკოკობი	ამბავად გარდამოვიღე შეკოკებებულად
	გ. აწ სევდის	სევდისა
	დ. ყველას დარჩება	ჩამოგირჩებათ
186	ა. სიმრავლის მწიკვლი ცოდვისა ვერა ვქენ განაბანია	სიმრავლისაგან მწიკვლები შემექნა გაბანია
	გ. სახლი სართული ბანია	სასახლო გასაბანია
	დ. მეფობის ნაცვლად სოფელმან	სამეფოს გარდაცვეთა

ვიმეორებთ, ანალოგიური ვითარება არის სხვა სტროფებშიაც.

აღსანიშნავია, რომ სხვა თხზულებებთან შედარებით „ამირ-ნასარიანის“ ამ რედაქციებს შორის განსხვავება ნაკლებია. ვახტანგს აქ ისე ღრმა და ფართო ცვლილებები არ შეუტანია, როგორც გვაქვს „სატრფიალონში“, „სიბრძნე მალაღობელში“, ან თუნდაც „სალბუნად გულისაში“, სადაც, მსგავსად „ამირ-ნასარიანისა“, ორი რედაქცია გვაქვს. პოეტს „ამირ-ნასარიანში“ უფრო მეტად სტრიქონების პირველი ნახევრები შეუცვლია, ხოლო მეორე ნახევრებს, რითმებს ნაკლებად შეხებია. მიუხედავად ამისა, ტექსტის სწორებისას პოეტის მიზანდასახულობა მაინც ნათელია და შედეგი — საკმაო და ხელშესახები. მოვიყვანოთ ნიმუშები ცალკეული სტრიქონებისა, სადაც ხელნაწერთა აღნიშნულ ჯგუფში აზრი კონკრეტულად, გარკვეული პირობით, ნაწილის შესახებ არის გამოთქმული, ხოლო დემეტრე ორბელიანისეულ ხელნაწერში პირობითობა მოშლილია და იგივე აზრი გადაჭრით, როგორც საყოველთაო ჭეშმარიტება, კატეგორიულად არის ნათქვამი:

S 4500, M 9 და სხვა ხელნაწერები:	S 171 ხელნაწერი:
13 დ. რა მოსავალი მოვიდეს, ბრძენს უფრო გააშტერებსა!	მოსავალისა შემოსვლა ბრძენს უფრო გააშტერებსა!
14 ბ. არ იციან, კარგი კარგს შობს, ავი ავსა მოიყვანებს!	კარგით კარგი იშოება, ავი ავსა მოიყვანებს!
15 ბ. მოგცეს წამალი, რომ უთხრა, გულისა მოსანებელი!	მ უთხარ, მოგცეს წამალი გულისა მოსანებელი!
16 ბ. რად ხარ ამყოლი კაცისა, საშუღრად მომდომელისა?!	ნუ შეიქნები ამყოლი საშუღრად მომდომელისა!
17 დ. ნაცვალი მიხვდა მრავალთა, ვინ ნახა დანაბილები!	სანაცვლო მიუხვედრელი, ვინ ნახა, დანაბილები!
21 დ. რა სახმარია, სოფელში კაცი გიძახდეს ხამებსა!	უსახმარია, სოფელში გიძახდიან ხამებსა!
24 ა. რა შეიქნები მოყვისგან უფრო სიკეთის მდომელი...	მოყვასისაგან შეიქენ უფრო სიკეთის მდომელი!
41 დ. გამოუცდელი გონება თავს მტერსა დაამონებსა!	გამოუცდელად მავალი თავს მტერსა დაამონებს!
48 ბ. ავს ჰყიდი, ავსა იყიდი, მოსავლად დაუზარავსა!	იყიდის ავის მსყიდველი ავსავე დაუზარავს!
დ. ნუღარ შეხედავ იმ თვალით გლახაკს, სვისაგან მხარავსა!	ნუღარ შეხედავ დაცემულს, ისევღა ამხარაესა!
49 ბ. ავისთვის ავსა რად უზამ, გინდა მტრის მოსახარები?!	ავი ნუ გინდა, გწადიან მოყვასი დასაჯარები!
დ. რადგან შენ შიში არ გინდა, უწყინად იყავ მარები!	შიშისა მოუწადელი უწყენად არის მარები!
50 ბ. შენ გასტეხ შენსა ნათქვამსა, სხვამც იყოს გაცუდებანი!	თავის სიტყვისა გამტეხსა სხვამ უყოს გაცუდებანი!
59 დ. რად უგვიანებ წყალობას სამსახურისა მჭონებსა!	ნუ უგვიანებ წყალობას სამსახურისა მჭონებსა!
62 დ. რა ერთის მოვლა შეგეძლოს, იმთენს თემს ექმენ მჭონელად!	რისაცა მოვლა შეგეძლოს, ეგზომი იპყარ მჭონელად!
72 დ. რომ არ შესძულდეს ნახვაზე, არც ექნას მიწყივ მზვერელი!	არ შეიძულოს ნახვაზე, არ ექნას დამაზვერელი!
104 გ. რადგან არარა დაგვრჩება, ესევ სჯობს ძალგულოვანი:	დაურჩომელთა რისამე ეს გვიჯობს ძალგულოვანი:
დ. მივდევდეთ მასვე სახელსა, შევიქნათ დასაგლოვანი!	სახელსაც ვემოყვრებოდეთ, შევიქნათ დასაგლოვანი!
141 დ. ნუ რჯი, სარჯელსა სარჯელი მოაქვს და მოიმწვავებსა!	გამრჯელისთვის სასჯელი მოსავლით მოიმწვავებსა!
146 დ. უგბილად ქმნულმან უგბილი ასე გახადოს ძლეულად!	უგბილად ქმნულმან ნაქნარი გახადოს დანაძლეული!
158 დ. არ დაითმობის სიგონჯით, თუცა ადამის ძენია!	არ დაითმობის სიგონჯით ადამიანთა ძენია!
160 გ. არ სჴირდეს კარგი სიტურფეს დასამარხ-დასაფალია!	უსიკეთონი სიტურფე დასამარხ-დასაფალია!

როგორც სხვა თხზულებებშია, „ამირ-ნასარიანშიაც“ ამ ცვლილებათა შედეგად ტექსტი ბევრ შემთხვევაში უფრო გამართული და კომპაქტურია. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

პირველ რედაქციაში გვაქვს:

„საჭვრეტთა ავად მჭვრეტელი თვალია დასაყოფელი!“ (12, 4)

გარდა იმისა, რომ მხატვრულობას მოკლებული ტავტოლოგიაა, „საჭვრეტთა მჭვრეტი თვალი“ შინაარსობრივად ხელოვნურია, რადგან „საჭვრეტში“ რაიმე კონკრეტული ობიექტი არ იგულისხმება. მეორე რედაქციაში ტექსტი აზრობრივად ზუსტი და გრამატიკულად ყოველმხრივ გამართულია:

„თვალი საოდ მჭვრეტელი შეიქმნას დასაყოფელი!“ (S 171, გვ. 108)

პირველ რედაქციაში იკითხება:

„...ენა თავსაცა არიდე, თუ ნახვა გინდა დარისა,
ენა უბრალოდ მეტყველი კაცს მისცემს დასაბარისა!“ (გვ. 19, 3—4)

ბოლო სტრიქონი მეორე რედაქციაში ასეა გადაკეთებული:

„ენა მეტისა მეტყველი გამოსცემს დასაბარისა!“. (გვ. 109)

რა თქმა უნდა, ეს ვარიანტი აზრობრივად ბევრად სჯობს პირველს. ადვილი მისახვედრია, რომ უბრალოდ, ე. ი. ტყუილუბრალოდ, უსაგნოდ ლაპარაკი იმდენად ზიანის მომტანი არ არის, რამდენადაც მეტის, ზედმეტის ლაპარაკი, რაც სათქმელი არ არის, იმის თქმა. მით უმეტეს, „უბრალოს“-ს აქვს კიდევ სხვა, აღნიშნულის საწინააღმდეგო მნიშვნელობა — ბრალის არა მქონე.

პირველ რედაქციაში არის:

„დაკოდილი ვერ გამოელდეს მალამისა რისმე ქმნულად!“ (156, 4)

აქ გამოთქმული აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ დაკოდილი, დაჭრილი მალამოთი და მალამოს გარეშეც შეიძლება მორჩეს. სულ სხვა აზრია გამოთქმული მეორე რედაქციაში:

„ურგებია მოწამლულთა სალბუნები შენაქმნულად! (გვ. 127)

მოწამლვა სისხლისა ხდება და, რასაკვირველია, მალამოს დადება არაფერ შედეგს იძლევა!

მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირია საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც რედაქციულ ცვლილებათა შედეგად ტექსტი უფრო ბნელი და ძნელად გასაგები გამხდარა. მოვიყვანოთ ამისი რამდენიმე ნიმუში.

პირველ რედაქციაში გვაქვს:

„ღხენას ვერ მისცემს სნეულსა მკურნალი შეუგნებელი! (15, 4)

აზრი ზუსტი და ნათელია. ასე არ არის მეორე რედაქციაში:

„მოულხენია სნეულთა მკურნალი შეუგ[ნ]ებელი!“ (S 171, გვ. 109)

„მოულხენია“ უპირველესად ნიშნავს ლ ხ ე ნ ა ს მ ი ს ც ე მ ი ა, ლ ხ ი ნ ი უ ნ ა ხ ა ვ ს, რაც, მეტი რომ არ ვთქვათ, აბრკოლებს ავტორისეული აზრის ერთბაშად აღქმას. ავტორი კი საწინააღმდეგო შინაარსით ხმარობს ამ სიტყვას.

პირველ რედაქციაში იკითხება:

„მდივანს მართებს ყ ო ვ ე ლ ი ე ნ ა საცოდნელად, დასაწერად“. (80, 1)

აქ აზრი მთლად ნათლად და გამართულად გამოხატული არ არის, მაგრამ მისი სათქმელი მაინც მისახვედრია: მდივანმა უნდა იცოდეს ყოველი ენა. იქვე დაზუსტებულია, რომ მას უნდა შეეძლოს ამ ენებზე წერა. მეორე რედაქციული ვარიანტი აზრობრივად და გრამატიკულად უფრო მდარეა:

„მდივანს მართებს ენაები იცოდიან დასაწერად“. (გვ. 117)

გარდა იმისა, რომ „ენაები“ ხელოვნური ფორმაა და ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება დარღვეულია, ამ წინადადებიდან ისე გამოდის, თითქოს მდივნებს ევალებოდეთ ენები დასაწერად იცოდნენ, რაც ავტორისეულ სათქმელს არაფრით ესადაგება.

მეორე რედაქციაში არის:

„დ ა უ დ ა ო ბ დ ე უბრალოდ საქმესა მოუდავებსა!“ (გვ. 125)

„დაუდაობდე“ იმდენად ხელოვნური ფორმაა, რომ არც მისი და არც მთლიანი წინადადების შინაარსი გასაგები არ არის. პირველ ვარიანტში ყველაფერი ნათლად და გასაგებად წერია:

„ნუ ედავები უბრალოდ საქმესა მიუდავებსა!“ (141, 1) და სხვა

ახლა მთავარი საკითხი: როგორია აქ თანმიმდევრობა ამ ორ რედაქციას შორის?

როგორც წინა თხზულებების განხილვისას დავასკვნიდით, აღნიშნული რედაქციული თავისებურებანი იმის მაჩვენებელია, რომ S 4500, M 3 და მათ მიმდევარ ხელნაწერთა ტექსტი აქაც პირველადია, ხოლო S 171 ნუსხის ტექსტი — მეორადი. სტილის მიხედვით გამოტანილ ამ დასკვნას „ამირ-ნასარიანში“ დოკუმენტურად ამტკიცებს ამ ნაწარმოების ტექსტთა შედარება დედანთან, პროზაულ თარგმანთან. გარკვევით ჩანს, რომ ამ უკანასკნელთან ბევრად ახლოა S 4500, M 3 და მასთან მყოფი ხელნაწერთა ტექსტი, ვიდრე S 171-ისა. აღნიშნულ ხელნაწერთა ჯგუფში ბევრჯერ არის გადმოსული დედნისეული სიტყვები, გამოთქმები, მიმართვა მეორე პირისადმი, რომლებიც დემეტრე ორბელიანისეულ ნუსხაში შეცვლილია ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვით. ვნახოთ ეს მაგალითები.

დედანში გვაქვს: „ბოლრატ აქიმის ნათქვამია: არა საუნჯე და არა კ ე თ ი ლ ი სახელოვნებას არ შეედრება...“ („ლიტერატურული ძიებანი“, IX, გვ. 352).

S 4500, M 3 და სხვა ნუსხებში იკითხება:

„ბრძენს უთქვამს: არა სიმდიდრე, არა ს ი კ ე თ ი ს ქონანი
არ შეედრების სახელსა მისი, ვისა აქვს გონანი“. (სტრ. 18)

S 171 ნუსხაში არის:

„ბრძენი გვსწავლიან; სიმრავლით სიმდიდრეების ქონანი
არ შეედრების სახელსა, ვის აქვს მოსაგონანი“. (გვ. 109)

როგორც ეხედავთ, დედანსა და მ. კავკასიძის გადაწერილ ნუსხებში დასტურდება ერთი და იგივე სიტყვა კ ე თ ი ლ ი, ს ი კ ე თ ე. დემეტრე ორბელიანისეულ ნუსხაში ეს სიტყვა გამქრალია.

დედანში წერია: „შვილო, სწავლის დ რ ო ს რა ძებნა უნდა?“ (გვ. 352).

S 4500, M 3 და მათ მიმყოლ ხელნაწერებში გალექსილია:

„ძებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დ რ ო ს ა და ჟამებსა!“ (21, 1)

S 171 ხელნაწერში სიტყვათა შემცირებისას დაკარგულია წინა ხელნაწერებში დედნიდან გადმოსული სიტყვა „დრო“:

„ძებნა რად უნდა სწავლისა დღეებსა, გასაჟამებსა“. (გვ. 109)

რასაკვირველია, „გასაჟამებსა“ ხელოვნური ფორმაა და მარცვალთა შესავსებად არის მოხმობილი.

დედანში ვკითხულობთ: „რა ვაზირმა ეს სიტყვა აღარა თქვა, ხელმწიფემ უბრძანა: რასთვის არა თქვი, რომ ყ ო ვ ლ ი ს ცოდნით

სრული ვარო!“ ხაზგასმული სიტყვა წინა წინადადებაშიც ნახმარია: „ხელმწიფეს ეგონა ის ვეზირი დაემოწმებოდა და ამას იტყოდა, უ ო ვ ლ ი ცოდნა მე ვიციო“ (გვ. 353).

აღნიშნული სიტყვა გადასულია S 4500, M 3 და მათ მიმყოლ ნუსხათა ტექსტში:

„ელჩს უკან უთხრა: რად არ სთქვი, მაქვს უ ო ვ ლ ი ს ცოდნის ბრძნობანი“. (29, 3)

S 171 ხელნაწერში კი იგი აღარა ჩანს:

„ელჩს უკან უთხრა: არა თქვი შენი ცოდნისა ბრძნობანი“. (გვ. 111)

ამგვარი შემთხვევები საკმაოდ მრავლად გვაქვს. დავიმოწმებთ კომენტარების გარეშე:

დედანი:	S 4500, M 3:	S 171:
20 დ. არა მ ტ ე რ ი ავგულობის თანა არა იქნების რა	ავგულობისა სანაცვლო სხვა მ ტ ე რ ი რა სათქმელია	ავგულობისა სანაცლო, ს ა მ ე ტ ო რა სათქმელია
22 დ. რადგან ავს არა იქმ, კარგის მ ე ტ ი ავს გარდა რა იქნების	ავსა არა იქ, კარგის მ ე ტ ს ვერას იქ, ვერას, ვერებსა	ავისა მოუქონელი კარგს მიხვდა დასაწერებსა
27 ბ. ამას ეცადე, რომ შენგან უმჯობესის მეგობარი შ ე ი ქ მ ნ ა, ამისთვისა, რომ შენც უკეთესი შ ე ი ქ მ ნ ე ბ ი	ხარ რაცა მისგან უკეთე მალ შ ე ი ქ ნ ე ბ ი მგებელი	რაცა ხარ მისგან უკეთე, გამოაჩინებ მგებელი
30 ბ. ს უ ლ ტყუილის თქმა სჯობს, კაცი რომ ასეთს მართალს უბნობდეს, რომ ტყუილს გვანდეს	ს უ ლ ტყუილი სჯობს სა-უბრად, მართალი გვანდეს მრუდებსა	ი ს ე ვ ტყუვილი სჯობია, მართალი გვანდეს მრუდებსა
32 ა. ერთი ს ო ფ ე ლ ი ა მთის სიახლოვეს და იმ ს ო ფ ლ ი ს წყალი იმ მთიდამ გამოდის	ს ო ფ ე ლ ი არის მთის ძირად თვალის სიწმინდის მძლეველი	დ ა ბ ა ნ ი მთისა კალთა-სა თვალი სიწმინდის მძლეველი
35 გ. ბრძანა: მე ვიცი, შენ ტ ყ უ ი ლ ს არ იტყვი...	უბრძანა: ტ ყ უ ი ლ ს არ იტყვი, მაგრამ ზე შეემზეროდეს	უბრძანა: თუცა არ იტყვი, ზერობით შეემზეროდეს
36 ა. ენისგან სიტყვა ო რ ი გად ითქმის	ენისგან არის ო რ ი ე ე: სიტყვა ტკბილი და მწარენი	ენით გამოვა სიტყვანი სატკბილო, გასამწარენი

41	ა. რასაც არ გაიგონებ, იმის მეტს ვერას ისწავლი	ვერ დაისწავლის მის მეტსა, რასაც არ გაიგონებსა	არ ისწაელება უფროსა, რასაც არ გაიგონებსა
52	ა. ყმაწვილობაში ისწავლე, რომ სიბერის დროს ხელთ დაგრჩეს	სიყრმეს ისწავლე, ხელთ დაგრჩეს, რა წავლო ერთი ხანები	სიყრმეს ისწავლე, დაგრჩება, გამოატარო ხანები
55	ა. ერთი ბერი კაცი იყო, ასი წელი დაეყო და წელში მოხრილიყო	ბერსა ასის წლის მოხრილსა ურმა სპერეტდა მოცინარენი	სიბერისაგან მოხრილსა ურმა მზერდა მოცინარენი
	დ. თუ ჰკუით იქნები, ვინც მე ეს მშვილდი მომცა, შენც მოგცემსო	თქვა: ჰკუით იქეც, ვინც მომცა, შენც მოგცეს გასახარენი	ჰკუით მქცეველსა მომცემ[ა] უბოძოს გასახარენი
62	გ. ხელმწიფე ბედნიერად ბრძანდებოდეს, მაგის წამალს მოგახსენებო	წამალს გასწავლი — შეჰკადრა, — არ შემქმნა გასაწყრომელად	არ შემექნები, გასწაელი,— შეკადრა გასაწყრომელად
68	დ. დღე ყოველ სამსახურს უმატე და ფრთხილად იყავ	სიფრთხილით მონე, დღითი-დღე მატებდე დასაშურისა	დაემონენით სიფრთხილით, ასწრაფე დასაშურისა
70	გ. ნურას მოჰპარავ და ნურც ავს ქართულს ეტყვი	უთხრას რამე ავი სიტყვა, ნაძველევი განაახლად	უთხრას სიტყვა მოურიდი, ნაძველევი განაახლად
71	დ. პირველად ესე, რომ თვალი და ყური და გული ხელმწიფეზედ უნდა ეპიროს	პირველ ესე, — თვალი, ყური, გული მათგან მოუღობი	დასანახი, სასმენელი, გული მისგან მოუღობი
92	ა. როგორც ხელმწიფესთან იქცეოდეს, იმ გვარად ჯარში მოიქცეს	ვით იქცეოდეს მეფესთან, ჯარში ხამს აგრე ქცევანი	ვითა მეფესთან, კრებაში აგრე გიმართებს ქცევანი
	გ. კბილში დარჩომილი ხორცი მუცელს ვერ გააძღებს	კბილს დანარჩომმა საქმელმა მუცელს ვერ მისცეს წევანი	კბილისა გამონაკრტენმა მუცელს ვერ მისცეს წევანი
97	ა. თუ მშვიდობა გინდა, შენის ხელმწიფის მოშიშარი იყავ	მშვიდობა გინდა, მეფისა შიში გქონდეს და რიდები	მშვიდობა გინდა, მეფესა ეკრძალე მონარიდები
	გ. როგორც წყლის ფრინველის ბარტყი ცურვას უსწაელელად ისწავლის...	იხვის ბარტყს სწაელა ჰუჰულსა არ უნდა ცურვისა, არცა ხიდები	ჰუჰულსა სწაელა არ უნდა ცურვისა, არცა ხიდები

103 ბ.	მტერს ხმლით პასუხს აძლევს და ყრმისაგან არა რცხვენიან	ხმით აძლევს მტერსა პასუხსა, ყრმათაა ურცხვად მგებარი	ხმით ემუქრების მებრძოლთა ურცხვადრე ყრმათა მგებარი
115 ა.	უთხრა: მიპატივებია, ჩემი სტუმარი ყოფილხარ...	მით აპატივა ყოველი, სტუმრად რომა თქვა თავია	ათავისუფლა, რა კადრა სტუმარად თავის თავია
120 ბ.	ვინც... ღარიბად იყოს, იმას მისცემდე...	ღარიბს მიეც დავრდომილსა, ნურას აძლევ მდიდარს ნახად	მწირსა მიე, დავრდომილსა, დაარიდე მდიდარს ნახად
147 ა.	ნუ გგონია, უწყალობა და ავკაცობა კაცს შერჩეს	სიავე და უწყალობა, ნუ გგონია, შეგრჩეს	უწყალობა, სიავესა, ნუ იმედობ, მორჩე ბოლოს
149 გ.	სპარსის ქვეყანას მოწყალებას ასწავლიან და სხვისაგან თვითან არ ისწავლიან	სპარსი მისცემს მოწყალებას, სხვას არ სწავლის მოსაგებლად	სპარსი გასცემს საბოძვარსა, არ ასწავლის სხვათ საგუბად
159 ა.	ის კაცია საძრახავი, რომ კაცი მოწყალე არ იყოს	უწყალოთ უნდა საძრახევედე. არ სიგონჯისა მქონელსა	უწყალოს უნდა გაძებაა, არა სიგონჯის მქონელსა
171 ა.	ხელმწიფის გატეხა, ხომალდის გატეხა არისო	მეფეთ წახდენა მიაგავს ნავსა გავს მეფეთ წახდენა პელეგოსშია მღვლავსა	
173. დ.	კვიანი კაცი ის არის, რომ მტერი და მოყვარე იმას ემადლიერებოდეს	არას მტერს და მოყვარესა არ უნდოდეს მისი ენება	მოჭიშპართა, მოყვარეთა არ უნდოდეს მისი ენება
179. ა.	ოთხფეხის სიკეთილი უნობა არის	თუ ოთხფეხსა უნობა მოჰკლავს, ისიც გაცუდებს	პირუტყვისა უნობა დასაკლავად გააცუდებს

აქ გვინდა აღვნიშნოთ ტექსტის სწორების ერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული „ამირ-ნასარიანში“ და სხვა თხზულებებშიაც გვხვდება: პოეტს მეორე რედაქციიდან თითქმის პირწმინდად ამოუღია სიტყვა „კაცი“, რომელიც უმთავრესად დედნიდან მომდინარეობს და უფრო მეტად განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს წარმოადგენს.

დედანში არის: „თუ ან სამძიმო და ან სასიხარულო რამ მოგიხდეს, ასეთს კაცს ხამს უთხრა, რომ წამალი მოგცეს“ (გვ. 351—352). S 4500, M 3 და მათ მიმყოლ ნუსხებში გვაქვს:

„ლხინსა და ჭირზე ორზედვე იპოვე კაცი მგნებელი“ (15, 1)

S 171 ხელნაწერში წერია:

„სალხინო, საჭიროზედა იპოვე გამაგნებელი“ (გვ. 109)

პროზაულ ტექსტში იკითხება: „რამაც კაცმან შენზედ კარგი ქნას, ხამს მუქაფა მალ მიაგო“ (გვ. 352). S 4500, M 3 და მათ მიმდევარ ხელნაწერთა წაკითხვა:

„გიყოსმცა კაცმა სიკეთე, ანუ ბოროტის წილები,
აცადე ბევრხან, სიავეს შეექმენ დანარბილები...“ (17, 1—2)

S 171 ხელნაწერი:

„გიყოსმცა ვინმე სიკეთე, ანუ სიავის წილები,
შემოუცადე, სიავეს შეექენ დანარბილები...“ (გვ. 109)

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში დედნისეული ტექსტისა და კომენტარების გარეშე:

S 4500, M 3 და სხვა ხელნაწერები:	S 171:
19 ა. ვერ იცნობ კაცსა, არ იცი ამბავი ნაუბარისა	არ შეგიმცნია, არ იცი ამბავი ნაუბარისა
დ. ენა უბრალოდ მეტყველი კაცს მისცემს დასაბარისა	ენა მეტისა მეტყველი გაჭოსცემს დასაბარისა
42 ა. მეფეთგან კარგის ბრძანება გააყმობს კაცსა ბერებსა	მეფეთგან კაი ბრძანება გააყმობს დანაბერებსა
48. გ. სიკვდილი უჯობს ავ კაცთა პურის ჭამითა მხარავსა	სიკვდილი უჯობს უხამსის პურითა გამხარავსა
49 ა. ნუ გინდა ავი კაცისა, თუ გწადს მოყვასთა ჯარები	ავი ნუ გინდა, გწადიან მოყვასი დასაჯარები
56 ა. ბერს კაცს ერიდე უცებსა სახლებად, საამბელადო	ბერს დაერიდე უცებსა სახლებლად, საამბელადო
57 ბ. ორმოცდაათი, სამოცი კაცს გაჰხდის შესაბრალებსა	ორმოცდაათი, სამოცი ადარებს შესაბრალებსა
70 ა. არად ვარგა კაცი იყოს მეორისა ვისმე მძრახლად	უმართია, ვინმე იყოს მეორისა დამაძრახლად
71 ბ. ცოდნა კაცსა გაათარხნებს, ზღუდე არის მოსაღობი	ცოდნისაგან გათარხნდები, ზღუდე არის მოსაღობი

ასევეა 8. 1. 4, 10. 1, 11. 1, 12. 1, 13. 1, 16. 2, 95. 4, 99. 1, 101, 1, 112, 1, 123. 1, 129, 1, 134, 1, 135. 1—2, 142. 1, 143. 1, 150. 1, 171. 4, 172. 1, 179. 2 სტროფებში. აქედან უმეტესობაში „კაცი“ დედნიდან მოდის. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა არის, როდესაც მეორე რედაქციაში „კაცი“ დატოვებულია (სტრ. 51. 1, 148. 1, 161. 1).

არის ორიოდე მაგალითი, როდესაც, წინააღმდეგ S 4500, M 3 და მათ მიმყოლ ხელნაწერებისა, დედანთან სიახლოვეს ამჟღავნებს S 171-ის ტექსტი:

პროზაულ „ამირ-ნასარიანში“ წერია: „ხელმწიფე წ ყ ე ვ ლ ა შ ი ჩავარდება და არც ერთგულების ნიშანი იქნების“ (გვ. 359).

ხაზგასმული სიტყვა არ ჩანს S 4500, M 3 და მათ მიმდევარ ხელნაწერებში:

„ღმერთს შესტირებენ, არ არი ერთგულებისა მცნებანი“. (93, 4)

S 171 ხელნაწერში კი იგი იკითხება (გვ. 119):

„დ ა ს წ ყ ე ვ ლ ი ან და არ არი ერთგულებისა მცნებანი“.

დედანში წერია: „დანაშაული ხ ვ ე წ ნ ა დ არა ღირს, კაცი რომ შ ე მ ო გ ე ხ ვ ე წ ო ს და შუა ჩამოგვიდენ, აპატიე, ქურდს გარდა“ (გვ. 362).

S 4500, M 3 და სხვა ხელნაწერებში ხაზგასმული სიტყვები ორივეჯერ იკითხება:

„ხ ვ ე წ ნ ა დ არა ღირს, იცოდე, დანაშაულის მჭევრები;
ვინც შუა შემოგვიდეს, შიმადლე, იყოს ბევრები,
ანუ თუ თვითან შეიქნას, ვედრებით განამტევრები,
და გეყოფა ღმთისგან, ძმა არი, ხ ვ ე წ ნ ი ს ა დამაჯერები!“ (139)

ასევეა S 171 ხელნაწერშიც, ოღონდ დამატებით, მესამე სტრიქონში „ვედრებით“ სიტყვის ნაცვლად გვაქვს „შემოგეხვეწოს“ იმავე ფორმით, როგორც ეს არის დედანში:

„ხ ვ ე წ ნ ა დ არ საღირალია დანაშაულის მჭევრობა;
შუამავალსა მიმადლე, იყოსმცა განაბევრობა,
ან თვითონ შ ე მ ო გ ე ხ ვ ე წ ო ს, დავარდეს განამტევრობა,
და შეიყოფინე ძმისაგან ხ ვ ე წ ნ ი ს ა დამაჯერობა!“ (გვ. 124—125)

იმ შემთხვევაშიაც კი, აღნიშნული სიტყვები S 171 ხელნაწერში უშუალოდ დედნის ზეგავლენით რომ იყოს გაჩენილი და დამატებით მასში კიდევ დაიძებნოს მსგავსი ნიმუშები, ეს მაგალითები მაინც არ იქნება საკმარისი, რომ შეცვალოს ჩვენი დასკვნა ამ ხელნაწერის ტექსტის მეორადობის შესახებ.

დასასრულს, S 4500, M 3, Q 548 და H 153 ხელნაწერთა ურთიერთმიმართების შესახებ. ეს ხელნაწერები „ამირ-ნასარიანშიაც“ ზემოთქმულის მიხედვით ერთმანეთს და მათ შორის უმეტესად გრამატიკული და ორთოგრაფიული ხასიათის განსხვავებანი არის.

უპირველესად ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ S 4500 ხელნაწერში შემდგომ შეტანილი შესწორებანი M 3-ში უკვე ძირითად ტექსტშია, ხოლო Q 548 და H 153 ნუსხები ადრინდელ, შეუსწორებელ სახეს იცავს. მაგალითები:

105 სტროფი („მებრძოლს მართებს ქალწულება...“) S 4500 ხელნაწერში არშიაზეა მიწერილი (გვ. 230), M 3 ნუსხაში თავის ადგილას არის, ხოლო Q 548 და H 153 მას არ იცნობენ.

მე-9 სტროფის მეორე სტრიქონი M 3 ხელნაწერში ასე იკითხება (გვ. 118რ.):

„უგემო იყოს, კარგიც თქვა წყენისა მომცემოსანი“.

S 4500 ხელნაწერში სიტყვა „თქვა“-ში „ა“ შემდეგ არის ჩაწერილი. თავიდან იყო „თქვი“ (გვ. 214). ასევე ძველი სახით იკითხება ეს სიტყვა Q 548 (გვ. 208) და H 153 (გვ. 166) ხელნაწერებშიაც.

მე-20 სტროფის მეოთხე სტრიქონი S 4500 (გვ. 216) და M 3-ის მიხედვით:

„მოყვარეც მტერად გაუდგეს, ეს მიკვირს, რა საქნელია!“

S 4500-ში „გაუდგეს“ შემდეგ არის ჩაწერილი. თავიდან ეწერა „მიუდგეს“. ასეა დღეს Q 548 (გვ. 210) და H 153 (გვ. 168) ხელნაწერებში.

სტროფი 24, 2 S 4500 (შემდეგ ჩაწერილი, გვ. 217) და M 3-ის (120რ.) წაკითხვით:

„მეტად იწადებ სხვისასა, იქმნა უმჯობედ მდგომელი“.

S 4500 ხელნაწერის პირვანდელი, Q 548 (გვ. 211) და H 153-ის (გვ. 168) წაკითხვაა „იწამებ“.

სტროფი 58, 1 S 4500 (ჩასწორებული, გვ. 222) და M 3 (124რ.) ხელნაწერებში:

„თუ მეფე იყო, იყავმცა მეფობის შესაფერები“.

S 4500-ის ადრინდელი, Q 548 (გვ. 216) და H 153 (გვ. 173) ხელნაწერების წაკითხვა: „შემაფერები“.

სტროფი 104, 2 S 4500 (გვ. 230) და M 3 (130რ.) ხელნაწერებში:

„იგივ უფროა სიგძითა სხვისაგან დასაძლოვანი“.

S 4500-ში თავიდან იყო „უფროა იგივ“, რომელსაც გადასმის ნიშანი უზის. ადრინდელ წაკითხვას იმეორებს Q 548 (გვ. 224) და H 153 (გვ. 179) ხელნაწერები.

სტროფი 127, 3 S 4500 (ჩასწორებული, გვ. 232) და M 3 (133რ.) ხელნაწერებში:

„ცოდვა არ არის ღვთის წინა უდიდეს შინა მელობით“.

Q 548 (გვ. 228) და H 153-შია (გვ. 183) „მავლობით“. კარგად არ ჩანს, მაგრამ ეტყობა, თავიდან ასევე იყო S 4500 ხელნაწერშიაც.

მოსალოდნელია, ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარივე ვითარება იყოს იმ სტროფებშიაც, რომლებიც დღეს S 4500 ხელნაწერს დაზიანების გამო აკლია, ხოლო Q 548 და H 153 ერთად არის და თავისებურ წაკითხვებს იძლევა. აი, ეს მაგალითებიც:

M 3-ის წაკითხვები:	Q 548 და H 153-ის წაკითხვები:
110 ა. თავაზა დახდომა	~
116. გ. მგმობლად	მგმობრად
138 დ. მეფეთ	მეფე
141 დ. რჯი	სჯი
145 ბ. რაც	რა
დ. განასრეული	განსარეველი
146 ა. ერთპირად წყალი მოვიდა	წყალი მოვიდა ერთპირად
დ. გახადოს	გააგდოს
149 ბ. უნჯსა შენსა	~
152 ბ. მაშინ იცან	~
დ. ყოფილიყოს	ყოელთვის იყოს
156 ბ. ძნულად	გნულად
157 დ. უთქმელსა არ ვიქ	არ ვიქ უთქმელსა

ვფიქრობთ, ეს მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ M 3-ის ტექსტი S 4500-ის შემდეგდროინდელია, ხოლო Q 548 და H 153 ხელნაწერები ერთმანეთის მსგავსია და მათი ტექსტი სათავეს იღებს S 4500 ხელნაწერიდან მანამ, სანამ მასში აღნიშნული შესწორებანი იქნა შეტანილი.

„ამირ-ნასარიანის“ გამოცემისას ალ. ბარამიძეს ლენინგრადულ ხელნაწერთან ერთად Q 548 ხელნაწერიც გამოუყენებია და ზოგიერთი წაკითხვა აქედან აუღია. მაგალითები:

M 8-ის წაკითხვები:	Q 548-ისა და გამოცემის წაკითხვები:
9 ბ. თქვა	თქვი
გ. იცის	იცი
დ. უთქვამს	უთქვამთ
18 გ. მსმენნი	მსხემნი
21 გ. დაისწავლო	დაისწავლოს
24 ბ. იწადებ	იწამებ
34 გ. სოფლელთ	სოფელთ
41 გ. ნახოს... ისმინოს	ნახო... ისმინო
42 დ. ზერებსა	ზენებსა
45 დ. ჰქონდეთ...	ჰქონდეს...

47	გ. ახლოს	ახლო
56	გ. საქნელადო	სათქმელადო
57	გ. შეიქნა	შეიქნას
58	ა. შესაფერები	შემაფერები
	ბ. სცნობდენ	სცნობენ
60	ა. სამართლის	სიმართლის
62	გ. შემქმნა	მექმნა
74	დ. უცოდინ	უცოდნი
82	ა. შეუგნებელი	შეუგებელი
86	დ. უქენებელი	უყენებელი
103	დ. სცან	სცნა
106	გ. რატომა	რატომე
119	ბ. გავაწყე	გავაწყევ
125	ა. ანათლებს	ანათებს
150	ბ. დაკრძალულად	დაკლებულად
	დ. შენად	შენდა
160	ბ. ის ტყავი	სიტყვაი (=აი გამოც.)
185	გ. განამგულები	განმაგულები

და სხვა.

ამ მაგალითებში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიაც, Q 548-ს მიჰყვება H 153 ხელნაწერი.

ვაჩვენებთ სხვა, უფრო მნიშვნელოვან ვარიანტებს, რომლებითაც S 4500 ხელნაწერის ტიპის ნუსხები თავის ჯგუფს შორდება (არ გავიმეორებთ ზემოთ მოყვანილ ნიმუშებს):

	ძირითადი ტექსტი:	ვარიანტები:
3	დ. თუ ხარ	უთხარ Q 548, H 153
6	დ. სასწორით	სისწორით H 153
7	ა. ნდომას	ნდომის H 153
10	გ. სალაღობო	სალაღობა H 153
13	გ. დანაბერებსა	დანაშერებსა H 153
17	დ. მრავალთა	მრავალი H 153
19	ბ. მიეცე რასთვის	მიეც რასათვის Q 548, H 153
27	ბ. შეიქნები	შეიქნება H 153
	დ. მრგებელი	მგებელი M 3
33	ა. მარენი	არენი H 153
40	ბ. უთხარ	უთხრა Q 548, H 153
70	ბ. საქონელი	საქნელი H 153
	დ. მოგაშორევებს	მოგვაშორებს H 153
77	დ. მზერელი	მზრდელი H 153
81	დ. გასაძნელები	გასაბნელები H 153
89	გ. არარისა	არავისა Q 548, H 153
90	დ. უუქმარი	მოსაქმარი H 153
93	გ. მეფისგან	მეფეთგან Q 548, H 153

95	ა. სძებნეს	სიბრძნეს H 153
103	ა. მტყუანი	მტყუანი და Q 548 (ჩაწერილი), H 153
106	გ. მკლეველი	მლეველი H 153
117	ა. ზრახებსა	მზრახებსა H 153
	დ. მას... დასაახებსა	მის... დაასახებსა H 153
120	ა. აგროვებ	ანგარობ Q 548, H 153
124	ა. ძვირი	ბევრი რამ H 153
	დ. მავალსა	მრავალსა H 153
125	ბ. დაანელებს	დააბნელებს M 3
126	ბ. გამწვანული	დამწვანული Q 548, H 153
127	დ. სახლი შეგიქნას	~ Q 548, H 153
130	ა. ჰკითხეს	ჰკითხავს Q 548, H 153
133.	ა. მიჩხრეკ	მირჩეე H 153
	დ. აღიღე	აიღე H 153
134	ა. წახდენა	წახედა H 153
139	დ. ძმა არი	მიმარი H 153
142	ა. დანერგულად	დაფარულად H 153
	გ. განაგულად	გამაგულად H 153
143	ბ. მავლად	მრაელად H 153
146	გ. ვთქვენ	ეჭენ M 3
149	ა. ჩასაგდებლად	ჩასაგებელად H 153
	დ. გარდსადებლად	გარდასადებლად Q 548, H 153
153	დ. გიჰირდეს	გიჰერდეს M 3
154	დ. იწვრთიდე... იწვრთენ	იწვრთნიდე... იწვრთნე Q 548, H 153
155	ა. მოგიხდებისა	მოიხდებისა Q 548, H 153
162	გ. ჯარში	ჯავრში H 153
168	გ. მრცხვენიან	გრცხვენიან H 153
171	გ. გააწლობს	გააწყობს Q 548, H 153
184	გ. ასრულა	ასრეღა Q 548, H 153
186	ბ. მომყვა	მოჰყვა Q 548, H 153
	დ. დამიქცია	დამექცია Q 548, H 153 და სხვა.

როგორც ვხედავთ, ეს ვარიანტები უმნიშვნელოა და უმეტესი წილი ტექსტის გაუგებრობის ნიადაგზეა გაჩენილი. მაგრამ აქედან მაინც ჩანს Q 548 და H 153 ხელნაწერთა ერთმანეთთან განსაკუთრებული სიახლოვე. ადვილი შესაძლებელია, პირველი მეორეს უშუალო დედანი იყოს და ის განსხვავებული წაკითხვები, რომლებიც H 153-ს ახასიათებს, მის გადამწერს ეკუთვნოდეს.

ამრიგად, „ამირ-ნასარიანის“ ლექსითი ვერსია ორ რედაქციას იძლევა. პირველადია S 4500, M 3, Q 548 და H 153 ხელნაწერთა ტექსტი, მეორადი — S 171 ხელნაწერის ტექსტი. პირველი რედაქციის ნუსხებიდან ყველაზე ადრინდელია S 4500 ხელნაწერი და მისი ტექსტი, უფრო გვიანდელი — M 3-ის ტექსტი. განსაკუთრებით ახლოს არის ერთმანეთთან და მცირეოდენი საკუთარი წაკითხვები მოეპოვება

Q 548 და H 153 ნუსხებს, რომლის ტექსტი S 4500 ხელნაწერიდან მომდინარეობს. გამოცემაში M 3-თან ერთად გამოყენებულია Q 548 ხელნაწერი და ზოგიერთი წაკითხვა აქედან არის აღებული.

ე. „კაეშანი"

ხელნაწერთა უმრავლესობის ცნობით, სევდის მოტივზე შექმნილი ეს თხზულება[46] ვახტანგს დაუწერია 1730 წელს მოსკოვში, S 171 ხელნაწერის ცნობით, — პეტერბურგში. ამ უკანასკნელში დაწერის თარიღი, 1730 წ., შემდეგ, გვიანდელი ხელით არის მიწერილი. სათაური გვაუწყებს: „მოცალეობასა (-ლებ- S 171 და სხვ.) შინა მყოფსა ჰმუნვა (—S 526) -ნავღლისა (-ღვ- S 171 და სხვ.) მაქარვებელად (-ბლ- S 171 და სხვ.) იწერების (იწყების Q 548, H 153, ლიტ. მუზ.) საქართველოს (+მპყრობელის Q 548, H 153, მპყრობელი ლიტ. მუზ.) მეფის (მეფე H 153, + მიერ უფლისა H 1048, S 526, მიერ უფლისა უფლისა A 1776, ც/არქ. № 138, H 21) ვახტანგისა (-ის S 171 და სხვ., -საგან A 1776 და სხვ.) მიერ (—A 1776 და სხვ.) დიდსა (დიდს ც/არქ. № 297 და სხვ.) ქალაქსა (სამეფოსა Q 548, H 153, ლიტ. მუზ.) მოსკოვსა (პეტერბუხსა S 171, + შინა A 1776 და სხვ.) წელსა 1730 (1830 ლიტ. მუზ., — ც/არქ. 297, H 1048, S 526)".

კ. კეკელიძე უპირატესობას ანიჭებს მეორე ცნობას. იგი წერს: „ელეგია დაწერილია 1730 წელს მოსკოვში (S 4500), ანდა, მეორე ნუსხით (S 171) — პეტერბურგს, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან 1728—1730 წლებში ვახტანგი პეტერბურგში იყო და არა მოსკოვში"[47].

ამის შესახებ იგივე უნდა ვთქვათ, რაც ზემოთ „სალბუნად გულისა"-ს დაწერის ადგილის შესახებ ვთქვით. შესაძლებელია, ორივე ცნობა სიმართლეს აღნიშნავდეს: ერთი რედაქცია მოსკოვში იყოს დაწერილი, მეორე — პეტერბურგს. ეს პატარა თხზულება პოეტს მოსკოვში ერთხელ ჩამოსვლისას, ერთ დღე-ღამეში შეეძლო დაეწერა.

„კაეშანი" ზემოთ დასახელებულ ყველა ხელნაწერ-კრებულში დასტურდება[48], რომელიც კი დაზიანებული არ არის. დაზიანების გამო

[46] ამ თხზულების შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 602; ალ. ბარამიძე, ნარკვევები...; II, გვ. 444, VII, გვ. 183—184; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 510; გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 26—28; მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 183—184 და სხვა.

[47] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 602.

[48] S 4500 (გვ. 266), M 3 (21v.—23r.), S 171 (15—16), Q 548 (26—27), A 1776 (66r.—67r.), ც/არქ. № 138 (16v.—17r.—v.), № 297 (110v.—111v.), H 21 (69r.—70r.), H 1048 (16v.—17r.), S 526 (21—23), H 153 (22—24), ლიტ. მუზ. (9r.—v.)

აკლია S 1624 და H 957 ხელნაწერებს. S 4500 ხელნაწერში გადარჩენილია პირველი სტროფი და მეორე სტროფის პირველი-მეორე სტრიქონები.

ამ თხზულების სამი სტროფი, ვახტანგისავე ხელით ნაწერი, მოიპოვება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M 1 ხელნაწერში, რომელიც გამოქვეყნებულია თ. ჭყონიას მიერ[49]. ესენია: პირველი (დაბეჭდილში — სტრ. 48, ხელნაწერში — გვ. 2v.), მეოთხე (=70; გვ. 3r.) და მეათე (=33; 2r.) სტროფები.

თხზულება რედაქციათა მიხედვით გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ. ძირითად ტექსტში შეიტანა M 3 ნუსხის ტექსტი (1975 წ., გვ. 22—23), დამატებებში დაბეჭდა S 526 (C რედაქცია, გვ. 168—169), Q 548 (B რედაქცია, გვ. 170—171) და S 171 (D რედაქცია, გვ. 172—173) ხელნაწერთა ტექსტები.

ნაწარმოები რედაქციული თვალსაზრისით განხილული აქვს კ. კეკელიძეს და გამოყოფს სამ რედაქციას — S 4500 და S 171 ხელნაწერთა ტექსტებს. „ეს ნაწარმოები — წერს იგი, — სამი რედაქციით შენახულა ჩვენამდე: ერთია S 4500-ში, ორი, რომლებიც რამდენიმე სიტყვით განსხვავდება ერთიმეორისაგან, S 171-ში“[50].

S 171 ხელნაწერში მართლაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა ახალი რედაქციისა, შემდეგ ჩაწერილი. ამიტომ ამ ხელნაწერის ტექსტის ორ რედაქციად მიჩნევა სამართლიანი არ იქნება.

„კაეშნის“ ტექსტების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ პოეტს იგი სამი ძირითადი რედაქციული სახესხვაობით დაუმუშავებია. არსებითად ერთნაირი ტექსტი გვაქვს S 4500, Q 548 და დანარჩენ, არაავტორიზებულ, მათ შორის S 526, ხელნაწერებში. განსხვავებულ ტექსტებს იძლევა დანარჩენი, ავტორიზებული M 3 და S 171 ხელნაწერები.

S 4500 და Q 548 ნუსხებში იგი ასე იკითხება:

1 დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ეჭმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწებ მისად კალმად,
ლხინსა პირად, ჩანგ-ბარბითსა დაუყონლად ცრემლთა ლამად;
და კ-დევ ველი გამოვიჩნდეს იგ მკურნალი ჩემად მალმად.

---

[49] თ. ჭ ყ ო ნ ი ა, ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, გვ. 273, 274, 277.

[50] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 602.

2 სწავლა ჰგავს წყალსა წმიდასა, რუდ რასმე მომდინარესა,
კეთილსა მიწას, თუ სულსა, მისცე იგ დროზე არესა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწუნარესა,
და მაგრამ თუ ქვიშას მორწყვიდე, გაიდენს, გაიტარესა.

3 ჩვენი სიცოცხლე მწვედა ჰგავს რუსთა წალკოტის წესებსა:
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა;
სისრულეშია სიცივე დაჟრის და დაკვნესებსა,
და სიმწიფეშია ყინული ფოლადებრ დაკვესებსა.

4 რა მრყო, ხედავთ, სოფელმან ცრუმან და ანასდეულმა!
აწ გაათავე, დასწუნარდი, სიჩქარით ანასდეულმა,
შენი სიგლისპე, სიმკვახე აწუნარე ანასდეულმა,
და კვლავე კეთილი მოიღე სიავის ანასდეულმა!

5 თუ შენ სჩქარობ, მე კი ესწუნარობ, მოგითმენ და მოგიჭირებე,
რახანც რასმე შენ მოიყვან, არც ერთს არას გაეიკვირვებ;
იმას უფრო დაგიმადლებ, რასაც ჩემთვის დაიძვირებ,
და სხვა ადგილი, სხვა ნომჭმარე მყავს და იმას მივაშურვებ.

6 ყმაწვილს ატყუებ უცებსა, ყმას ამაყობით დარევ და,
შუაკაცს დაუცდელობით ჭკვსა სიჯაბნით დარევ და,
მაგრამ ბერიკაცს რაღა სჯის, ისიც იმასვე დარევდა!
და შენ გასცვდე, ჩვენ კი ქვე დაერჩეთ, იქ თუცა ჩვენთვის დარევდა.

7 ვაი, რა ცუდად ვაშრომებ ჩემსა ღვეთა და ქამსაო,
რუსთ ზაფხულისებრ მალ გავლით ამა სოფლისა წამსაო,
არცა რა მიმდევს, არც მრჩების, ვით როგორ ჩემთვის ჯამსაო,
და უნაყოფოსა ვემსგავსე. ხისა რასამე გვამსაო!

8 რად ზრუნავ, კაცო ცხოველო, ხედავ დროთ მიწყივ ქცევასა,
ბორბლის მუდამად ბრუნვასა, სხვადასხვა რიგად ზევასა,
ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ქამისა რევასა,
და ბზე თუ მზერს მუშთარს ხუთ კუთხით, შენ მოგცემს მტერზე ძლევასა!

9 წყალმან არა ქნას სისველე, ვინღა უწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დაწვას რაც ნივთი, ვით გამოჩნდება ალია?
აგრევ სოფელმა ცქაფობა, მითხარ, რას მოეკრძალია?
და თვის თვისა საქმეს ბუნებით შვრებიან დაუმალია.

10 სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო საზომი განა სრულითა,
უსხეულონი მსახურად, ზოგი ყო განასრულითა,
და არვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა!

არაავტორიზებული ხელნაწერები აქედან მხოლოდ გრამატიკული და ორთოგრაფიული ვარიანტებით განსხვავდება. აქა-იქ გვაქვს ტექს-

ტის მცდარად, დამახინჯებულად გადმოღების შემთხვევებიც. აი, ეს უმთავრესი ნაირკითხვებიც:

	ძირითადი ტექსტი:	ვარიანტები:
1	ა. დამიმონა კაეშანმა	დამიმონდა კაეშანი S 526
	წამლად	წილად ლიტ. მუზ.
	ბ. ვაწვევ	ვაწებ Q 548, H 153
	გ. დაუყონლად	დაუყოვნლად H 1048
2	ბ. თე სულსა	თესულსა A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 21, H 1048
	მისცე	მისცემს S 526
	გ. ას-	აწ ც/არქ. № 297
	შესაწყნარესა	შესაწყნარებსა H 1048
	დ. ქვიშას	ქვიშა ც/არქ. № 297
	გაიტარესა	გაიტარებსა ც/არქ. № 297, H 1048, S 526
5	ბ. რახანც	რასაც A 1776, ც/არქ. № 297, H 21, H 1048, S 526
	გ. დაიძვირებ	დაიძვირებ H 1048
	დ. ადგილი	ადგილსა S 526
6	ა. ყმას	ყრმას H 1048
	ამაყობით	ამაყოფით ც/არქ. № 297, ამყოფთა H 1048
	დარევდა	დარეულდა ც/არქ. № 297
	ბ. შუაკაცს დაუცდელობით	შუა კაცსა უცდელობით H 1048
	გ. ბერიკაცს	ბერკაცსა A 1776, ც/არქ. № 138, H 21, H 1048, ბერს კაცსა ც/არქ. № 297 („ბერს"-ში „ს" შემდეგ არის ჩაწერილი)
	იმასვე	იმათვე A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 21, H 1048, S 526
7	ა. დღეთა	დღესა ლიტ. მუზ.
	ჟამსაო	ჟამსადა H 153
	ბ. რუსთ	რუს A 1776, ც/არქ. №138, 297, H 21, H 1048, S 526
	წამსაო	წამსადა H 153
	გ. არც მრჩების	არ მორჩების ლიტ. მუზ.
	მრჩების	მრჩება A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 21, H 1048, S 526
	ჯამსაო	ჯამსადა H 153
	გვამსაო	გვამსადა H 153
8	ა. რად	რას ლიტ. მუზ.
	ბ. ბორბლის	ბორბლისა A 1776, H 21, ბროლისა S 526
	მუდამად	მუდამ A 1776, ლიტ. მუზ., მუდმად ც/არქ. № 297
	გ. შენთვის ცა	შენთვისაც ც/არქ. № 297, H 1048

9	გ. მითხარ რას	მითხრა ლიტ. მუზ.
	დ. თეის თეისა	თავის თავის ც/არქ. № 297, H 1048

საყურადღებოა, რომ ამ ნაწარმოებშიაც გამოჩნდა Q 548. ლიტერატურული მუზეუმისა და H 153 ხელნაწერთა განსაკუთრებული მსგავსება და სიახლოვე. სათაურში „იწერების“ ნაცვლად ამ ნუსხებში სწერია „იწყების“. დამატებულია სიტყვები „მპყრობელის“ და „სამეფოსა“; პირველ სტროფში „ვაწვევ“-ის ნაცვლად სწერია „ვაწებ“. ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის.

ამავე რედაქციულ ტექსტს მიჰყვება M 1-ის ტექსტიც. განსხვავება შემდეგია:

	Q 548-ის ტექსტი:	M 1-ის ტექსტი:
1	ა. დამიმონა კაეშანმა სევდა მომხვდა	დავემონე კაეშანსა სევდა შექნა
	მისთვის	მისა
	ბ. გულსა ვაწებ	ფიქრსა მისა
	გ. დაუყონლად	დაუყოვნლად
	ცრემლთა	ცრემლის
4	ა. სოფელმან ცრუმან	სოფელმა ცრუმა
	ა. ბ. გ. დ. ანასდეულმა	ანაზდეულმა
	დ. კვლაე	ახლა
10	ბ. შეამკო	შეუმკო

ამ წაკითხვებიდან მხოლოდ ერთი ფრაზა „დავემონე კაეშანსა“ ემთხვევა M 3-ის წაკითხვას.

S 4500 და Q 548 ნუსხათა ტექსტს ბევრ შემთხვევაში მიჰყვება, მაგრამ ამაღე დროს თავ-დან ბოლომდე ბევრჯერ შორდება M 3-ის ტექსტი:

1 დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიჯმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;
ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად
და ველი, სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასამალმად.

2 სწავლა გავს წყალსა წმიდასა რუულად მომდინარესა,
რა მიხვდეს კარგსა სათესსა დროსა, ჟამსა და არესა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა;
და მორწყული ქვეშა ანასდად გაიდენს, გაიტარესა.

3 მიაგავს ჩვენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებსა:
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჰია სჭამს ბევრ ათასებსა,
სისრულეშია სიცივე დაჟრის და დააკენესებსა,
და დანამწიფარსა ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.

4 მიხედე, ჟამმა რა მიყო ცრუმა და ანაზდეულმა,
დასწუნარდი, ბოლო მოუღე სიჩქარით ანასდეულმა,
სიგლისპისაგან სიმკვახე ამწიფე ანასდეულმა,
და აწ სვიანობა მოიღე, სიავის ანასდეულმა!

5 რადგან სჩქარობ, დავსწუნარდები, მოგითმენ და მოგიჭირვებ,
რაცა მოგყავს მოსავალი, არა რადმე გაეიკვირვებ,
დამადლებით დაგიმადლებ, რას[ა]ც რასმე მომიძვირებ;
და სხეა ადგილი მოსაჯმარი მიმაჩნია, მივაშურებ.

6 ყრმათა ატყუებ უგბილთა, ვაჟთა სილაღით დარევ და,
შუაკაცს გამოუცდელსა ჭელსა სიჯაბნით დარევ და,
მიკვირს, ბერკაცსა რაღა სწადს, ისიც იმათვე დარევდა!
და ქვე დავრჩებით და გაცვდები, თუ იქღა ჩვენთვის დარევდა.

7 ცუდ უბადობით ვაშრომებ დღესა, დროსა და ჟამებსა,
რუსთა ზაფხულებრ გაიელით მოსოფლიოსა წამებსა,
რა გამყვეს, ანუ რა დამრჩეს, ვით რამე დამიამებსა?
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რისამე გეამებსა!

8 რა არის ზრუნვა კაცისა, დროთასა ეხედავ ქცევასა,
მიწყივ ბორბლსა ბრუნვასა, სხვადასხვა რიგი ზევასა,
ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ჟამისა რევასა,
და მზეს შეხვდეს დია ხუთ კუთხად, მოგცემსცა მტერზედ ძლევასა!

9 წყალმან არა ქნას სისველე, რითღა ეწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დასწვას ნივთები, სად გამოჩნდება ალია?
აგრევ სოფელმან ცქაფობა, მითხარ, რა მოსაკრძალია?
და ბუნების საქმეს იქმონენ უცვლელად, დაუმალია.

10 სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო, საზომი განა სრულითა,
არვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა,
და უსხეულონი მს[ა]ხურად ზოგნი ყო, განასრულითა!

სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს ტექსტი ცალკე რედაქციად უნდა იქნეს სახელდებული.

კიდევ უფრო განსხვავებულ ტექსტს იძლევა S 171 ხელნაწერი:

1 კაეშანმა დამიმონა, ნაღველიმცა მისთვის წამლად,
სამელნეა სევდისაგან, ამოვაწებ გულსა კალმად,
ნაცვლად ჩანგი-ჩაღანისა ცრემლოვნობა გასალამად,
და გამოველი, გამომიჩნდეს მკურნალიეე დასამალმად.

2 მიაგავს წყალსა სასწავლო რუულად მომდინარებსა,
მიწასა კარგსა მიეცა ჟამიერობით არებსა,
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარებსა,
და ქვეშოვანისა მომრწყველი გაადენს, გაატარებსა.

3 დღენი მიაგავს რუსისა წალკოტებისა წესებსა:
ნაყოფსა ნარუქობასა ჰია შჯამს განათასებსა,
სისრულეშია სიცივე დაჟრობით დაკვნესებსა,
და დანამწიფარსა ყინული ფოლადებრ დაკვეთებსა.

4 რაები მიყო სოფელმან, სიცრუვით ანასდეულმან!
გაათავე და დასწყნარდი სიჩქარით ანასდეულმან,
დანამკვახები სიგლისპე აწყნარე ანასდეულმან,
და კრდევ სიკეთე მოიღე სიავის ანასდეულმან!

5 მოიჩქარებ, დავსწყნარდები, მოთმინებით მოგიჯირვებ,
რასაც რასმე მოსავალსა, არცა ერთსა გავიკვირვებ,
დამადლებით დაგიმადლებ, რაოდენსა მომიძვირებ,
და სხვას ადგილსა უმჯობესსა მოვიგონებ, მივაშურებ.

6 უგუნურობით ყმაწვილსა, ყმას ამაყობით დარევ და,
მჭცოვანსა გამოუცდელსა ჭელსა სიჯაბნით დარევ და,
მოხუცებული მიკვირან, რასათვის მათვე დარევ და,
და განაცუდარი დაგვრჩები, თუცაღა მოგვედარევ და.

7 ცუდაობითა ვაშრომებ დღეებსა გასაჟამებსა,
რუსთ ზაფხულისებრ გავივლით მოსოფლიოსა წამებსა,
ურჩომლად, მიუდეკარად როგორცა შემოჯამებსა,
და უნაყოფოსა ევმსგავსე, ხისა რისამე ტაძებსა.

8 შეზრუნებულმა მიხედე მოსავალისა ქცევასა,
ბორბლისა საბრუნავებსა, განასხვავებად ზევასა,
გამობრუნდების შენთვის ცა, მორჩები ჟამთა რევასა,
და მზე მუშთარს ხუთით შეხედავს, გაგიადვილებს ძლევასა!

9 წყაროთა დაუსველებსა ვინ დაუძახოს წყალია?
საჭმილსა დაუწველობით გამოუჩენი ალია?
სოფლისაგანი სიცრუეს ეითამცა მოეკრძალია!
და სათავისოსა ბუნებას იქმონენ დაუმალია.

10 სიბრძნითა აღმაგებელმან საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკოს საზომი განა სრულითა,
უსხეულონი მსახურად, ზოგნი ყო განასრულითა,
და არვინ დააგდო წყალობით კარითა განასრულითა.

წარმომავლობის თვალსაზრისით როგორი ურთიერთმიმართებაა ამ ტექსტებს შორის? როგორც ვთქვით, და ამ ტექსტების თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, ერთმანეთთან უფრო ახლოს არის Q 548 და M 3 ხელნაწერთა ტექსტები. ბევრ შემთხვევაში, როდესაც S 171 გამოიყოფა, Q 548 და M 3 ერთად არის. აი, ეს ნიმუშებიც:

	Q 548 და M 8-ის წაკითხვები:	S 171-ის წაკითხვები:
1	ა. სევდა მომხვდა	ნაღველცა
	ბ. ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად (მელნად ნაღველს მოვიხმარებ M 3)	სამელნეა სევდისაგან
2	ა. სწავლა ჰგავს წყალსა წმიდასა	მიაგავს წყალსა სასწაულო
	ბ. იგ დროზე (დროსა ჟამსა M 3)	ჟამიერობით
3.	ა. ჩვენი სიცოცხლე მწვედა ჰგავს (მიაგავს ჩვენი სიცოცხლე M 3)	დღენი მიაგავს
	ბ. რა გამოჩნდება ნაყოფი... ბევრ ათასებსა	ნაყოფსა ნარუქობასა... განათასებსა
	გ. დაჟრის და	დაჟრობით
5	ა. მოგითმენ და	მოთმინებით
8	ა. რად ზრუნავ კაცო ცხოველო ხედავ დროთ მიწყივ (რა არის ზრუნვა კაცისა დროთასა ვხედავ M 3)	შეზრუნებულმა მიხედე მოსავალისა
	ბ. ეგებ მობრუნდეს	გამობრუნდების
9	ა. წყალმან არა ქნას სისველე ვინღა (რითღა M 3) უწოდოს (ეწოდოს M 3)	წყაროთა დაუსველებმა ვინ დაუძახოს
	ბ. ცეცხლმან არ დაწვას რაც ნივთი (ნივთები M 3) ვით (სად M 3) გამოჩნდება	სახმილსა დაუწველობით გამოუჩენი
	გ. აგრეც სოფელმა ცქაფობა მითხარ რას მოეკრძალია (მოსაკრძალია M 3)	სოფლისაგანი სიცრუეს ვითამცა მოეკრძალია
10	ა. აღაგო ყოველი	აღმაგებელმან

ბევრად ნაკლებია ისეთი ნიმუშები, როდესაც Q 548 და S 171 ერთად არის და M 3 გამოიყოფა:

	Q 548 და S 171-ის წაკითხვები:	M 8-ის წაკითხვები:
1	ა. დამიმონა კაეშანმა (~ S 171)	დავემონე კაეშანსა
2	ბ. კეთილსა მიწასა (მიწასა კარგსა S 171)	კარგსა სათესსა
4	ა. რა მიყო ხედავთ სოფელმა (რაები მიყო სოფელმან S 171)	მიხედე ჟამმა რა მიყო
	ბ. აწ გაათავე დასწუნარდი (გაათავე და დასწუნარდი S 171)	დასწუნარდი ბოლო მოუღე
	დ. კვლავე კეთილი (კიდევ სიკეთე S 171)	აწ სვიანობა
5	ბ. არც ერთს არას (არცა ერთსა S 171)	არა სადმე
6	ა. ყმას ამაყობით	ვაჟთა სილაღით

კიდევ ნაკლებია ისეთი მაგალითები, როდესაც M 3 და S 171 ერთად არის და Q 548 მათ უპირისპირდება:

	Q 548-ის წაკითხვები:	M 3-ისა და S 171-ის წაკითხვები:
1	ბ. გულსა ვაწებ მისად კალმად	ამოვაწებ გულსა კალმად
2	ა. რუდ რასმე	რუელად
3	დ. სიმწიფეშია	დანამწიფარსა
5	ა. მე კი ვსწუნარობ	დავსწუნარდები
	გ. იმას უფრო	დამადლებით
7	ბ. ამა სოფლისა	მოსოფლიოსა
	სარითმო დაბოლოებანი: -ამსაო	-ებსა

რა თქმა უნდა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, ოღონდ ცოტა, როდესაც სამივე ხელნაწერი განსხვავებულ წაკითხვებს იძლევა. მაგალითად, მეოთხე სტროფის მესამე, მეხუთე სტროფის მეორე და მეოთხე, მეშვიდე სტროფის მეოთხე სტრიქონები.

ეს ვარიანტული შეფარდება, — M 3 და S 171 ხელნაწერები უფრო მიჰყვება Q 548 ხელნაწერს, ვიდრე ერთმანეთს, და ერთმანეთთან დაშორებისას ჩნდება Q 548 ხელნაწერის წაკითხვა ან მისი კვალი, — იმის მაჩვენებელია, რომ „კაეშანის“ ტექსტის ძირითად ბირთვს ქმნის Q 548 და მისი მიმყოლი ხელნაწერები. ამ ნუსხათა ტექსტი, როგორც ვახტანგის სხვა თხზულებებშია, აქაც პირველადია, ხოლო M 3-ისა და S 171-ის ტექსტები შემდეგ არის მიღებული. ის ფაქტები, რომ M 3 ნაკლებად და S 171 მეტად შორდება Q 548 ხელნაწერს და M 3-ის თავისებურებანი, მცირე ნაწილის გარდა, არ შესულა S 171 ხელნაწერში, — ყოველივე იმის შედეგია, რომ M 3 რედაქციული სწორების ერთ დამოუკიდებელ ეტაპს ქმნის, ხოლო S 171 მეორე, ასევე დამოუკიდებელ ეტაპს, უფრო ძლიერსა და ღრმას, რომელიც პირველი ცვლილების უშუალო გაგრძელებას არ წარმოადგენს. ბევრ შემთხვევაში ჩანს, იგი პირველადი ტექსტიდან იღებს სათავეს.

ამ რედაქციულ ურთიერთმიმართებას ამტკიცებს იმ ცვლილებათა გააზრიანება, რომელიც „კაეშანში“ გვაქვს და რომლითაც იგი ენათესავება დანარჩენ თხზულებათა რედაქციულ ცვლილებებს, სადაც რედაქციული წარმომავლობის დასამტკიცებლად სხვა, დოკუმენტური მასალები მოიპოვება.

„კაეშნის“ ტექსტის ცვლილებათა პრინციპები იგივეა, რაც განხილულ თხზულებებში არის: სათქმელის უფრო დახვეწა და გამოკვეთა, სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირება, კონკრეტულიდან განმაზოგადოებელი აზრის შექმნა. მაგალითად, პირველი სტროფის მეორე სტრიქონში პირველ რედაქციაში არის 8 სიტყვა, მეორეში —6,

მესამეში — 5. მეოთხე სტრიქონში პირველ რედაქციაშია 6 სიტყვა, მეორეში — 5, მესამეში — 4. მეხუთე სტროფის პირველ სტრიქონში კავშირისა და ნაწილაკის ჩათვლით პირველ რედაქციაშია 9 სიტყვა, მეორეში — 6, მესამეში — 4. მერვე სტროფის მეოთხე სტრიქონში პირველ რედაქციაშია 10 სიტყვა, მეორეში — 8, მესამეში — 6 და ა. შ.

პირველ-მეორე რედაქციაში ადამიანის სიცოცხლე შედარებულია რუსეთის მოკლე გაზაფხულსა და ზაფხულს:

„ჩ ვ ე ნ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე მწვედა ჰგავს რუსთა წალკოტის წესებსა..."
(3, 1)

აქ ლოკალიზებულად გამოთქმული აზრი, რომელიც „ჩვენს სიცოცხლეს" ეხება, S 171 ხელნაწერში შეცვლილია უფრო განმაზოგადებელი სიტყვით:

„დ ღ ე ნ ი მიაგავს რუსისა წალკოტებისა წესებსა".

რომელშიც იგულისხმება არა მარტო ჩვენი, ერთი თაობის, ან, საერთოდ, ადამიანთა სიცოცხლე, არამედ, საზოგადოდ ამქვეყნიური ცხოვრება, დღენი.

ანალოგიური ცვლილებაა ჩატარებული მერვე სტროფის პირველ სტრიქონში. პირველ რედაქციაში ავტორი უშუალოდ მიმართავს კაცს, ადამიანს დროის, სიცოცხლის შეუჩერებლივ ცვლილებებისა და წარმავლობის, ამქვეყნიური ზრუნვის ამაოების თაობაზე:

„რად ზრუნავ, კაცო ცხოველო, ხედავ დროთ მიწყივ ქცევასა..."

მეორე რედაქციაში მიმართვა მოხსნილია და მას მეტი განმაზოგადებელი ძალა აქვს:

„რა არის ზრუნვა კაცისა, დროთასა ვხედავ ქცევასა..."

მესამე რედაქციაში აქცენტი გადატანილია ამქვეყნიური ზრუნვის უაზრობაზე და კატეგორიული ფორმით გამოხატულია მისი ამაოება:

„შეზრუნებულმა მიხედე მოსავალისა ქცევასა..."

ამრიგად, „კაეშანი" ვახტანგს სამი რედაქციული სახესხვაობით დაუმუშავებია. პირველი რედაქცია დაცულია S 4500, Q 548, M 1 და სხვა, არაავტორიზებულ, ნუსხებში, მეორე — M 3 და მესამე — S 171 ხელნაწერებში.

ამ ნაწარმოებშიაც ჩანს Q 548, ლიტერატურული მუზეუმისა და H 153 ხელნაწერთა ორგანული კავშირი.

3. „სატრფიალონი“

პოეტის ეს ერთ-ერთი ვრცელი ლირიკული ნაწარმოებია, რომელსაც სიდიდის მიხედვით „სიბრძნე მალალობელისა“ და „ამირ-ნასარიანის“ შემდეგ მესამე ადგილი უჭირავს; შეიცავს 148 სტროფს. როგორც S 171 ხელნაწერში წარმოდგენილი სათაური იუწყება, დაწერილია მოსკოვში. ეძღვნება საღვთო მიჯნურობის თემას[51].

„სატრფიალონი“ შესულია დასახელებულ 14-ვე ხელნაწერში[52], ოღონდ ესაა, ყველგან სრულად არ არის წარმოდგენილი. S 4500 ხელნაწერს დაზიანების გამო აკლია 1—7, 39—63, 66. 1—2, 99—106 და 115—122 სტროფები. დაზიანების გამო დიდად ნაკლულია S 1624 და H 957 ნუსხები. პირველში გადარჩენილია 25—43, მეორეში — 10, 2-4—26 სტროფები. საქართველოს ცენტრალური არქივის № 297 და H 1048 ნუსხებში გვაქვს მხოლოდ 1—26, ხოლო ლიტერატურული მუზეუმის ნუსხაში — 1—68 სტროფები. ეს დანაკლისი დაზიანებით არ არის გამოწვეული. ხელნაწერებში ადგილი დატოვებულია, ხოლო გადამწერს წერა არ გაუგრძელებია. S 526 არ იცნობს 23. 3-4, 24, 29, 60, 65 და 66. 1-2 სტროფებს. როგორც გადამწერის შენიშვნები გვაუწყებს, აღნიშნული სტროფები მის პროტოგრაფში არ ყოფილა. 23 სტროფის ადგილას წერია: „აქ აკლია, რა ვუყო“ (გვ. 27); 29 სტროფის ადგილას — „აქაც აკლია“ (გვ. 28); 60 სტროფის ადგილას — „აკლია“ (გვ. 33).

„სატრფიალონის“ 65 სტროფი, ვახტანგის ხელით ნაწერი, მოიპოვება ლენინგრადულ M 1 ნუსხაში (გვ. 1r.—3r., 70v.—71r.), რომლებიც თ. ჟყონიამ გამოაქვეყნა[53]. ესენია[54]: 2(20), 5(21), 6(23), 7(22), 8(24), 9(25), 10(26), 11(27), 12(71), 15(72), 16(73), 18(74), 25(60), 26(62), 27(28), 29(63), 31(66), 33(69), 34(68), 35(59), 37(32), 38(49),

---

[51] ამ ნაწარმოების შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 597—599; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 284—285; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 515—517; ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 65—72; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 108—116; მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, გვ. 188—190 და სხვა.

[52] S 4500 (გვ. 267—290), M 3 (23r.—40v.), S 171 (16—34), Q 548 (28—54), A 1776 (68r.—82v.), არქ. № 138 (18r.—32r.), № 297 (111v.—114v.), S 1624 (23—26), H 957 (116r.—117v.), H 21 (71r.—88v.), H 1048 (17v.—20r.), S 526 (23—48), H 153 (24—43), ლიტ. მუზ. (9v.—14v.).

[53] „ლიტერატურული ძიებანი“, VI, გვ. 270—277.

[54] ფრჩხილებში მითითებულია ხელნაწერში დაცული სტროფთა თანმიმდევრობა, რომელიც ემთხვევა თ. ჟყონიასეულ პუბლიკაციის ნუმერაციას.

39(41), 40(46), 41(37), 42(53), 58(51), 59(35), 62(1), 63(2), 64(3), 65(4), 66(5), 68(8). 69(9), 70(12), 71(13), 72(14), 73(15), 74(16), 75(17), 76(18), 77(19), 78(29), 79(30), 80(31), 80-ა(36), 81(38), 82(40), 83(42), 84(43), 85(52), 86(75), 87(76), 88(77), 89(64), 91(65), 92(67), 93(50), 94(47), 95(54), 95-ა(55), 96(58), 97(56), 98(57).

ეს სტროფები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაწერილია ვახტანგის გაკრული ხელით სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფერის (სიმუქის) მელნით. ზოგი მიწერილია გვერდებზე. დიდი ნაწილი ავტორის მიერვე გადახაზულია. ყოველივე ეს იმას გვიდასტურებს, რომ ისინი შავი, სამუშაო ვარიანტებია, თუმცა პირველ გვერდზე რამდენიმე სტროფი კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული და მათ ხელნაწერი წიგნებისათვის დამახასიათებელი გაფორმებაც აქვთ (სარითმო ასოების დაყოფით დაწერა).

ერთი, მე-40, სტროფი („გული სევდისა სალხენად...") ვახტანგის ხელითვე მიწერილია ვახტანგის ნათარგმნ „ჰიდაჲათ ილ-ნუჯუმის" ერთ ხელნაწერზე, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (Q 1493) და გამოქვეყნებულია კ. დონდუას მიერ[55].

ერთი აფორიზმი „სატრფიალონიდან" „არ იცი თაფლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად" (სტრ. 95, 3) ვახტანგს მიუწერია მის მიერ გამოცემულ „ქმნულების წიგნის" ერთ-ერთ ეგზემპლარზე, რომელიც დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (E-19, გვ. 79v.). აქვე წარწერის მოპირდაპირე მხარეს, ყდის შიდა ნაწილში (გვ. 80r.) ვახტანგს დაუწერია და შემდეგ გადაუხაზავს: „თაფლი — უთქვამს ბრძენს ვინმე — არა ღირს ფუტკრის კბენად"[56].

კიდევ ერთი სტროფი ამავე თხზულებიდან (80, „უნდა მიგვანდეს ეკალსა...") შესულია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში"[57].

„სატრფიალონის" მთლიანი ტექსტი დაბეჭდილია მხოლოდ ალ. ბარამიძის გამოცემაში (1947, გვ. 24—42; 1975, გვ. 35—49), რომელ-

---

[55] სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926, გვ. 56.

[56] „ქილილა და დამანაში" ჩართული ლექსის ვახტანგისეულ პროზაულ თარგმანში იკითხება: „... არ ღირს სოფელი ამ დაჭრის და ფუტკრების კბენად", რომელიც ვახტანგს ასე გაულექსავს: „არ იცოდი, ფუტკრის კბენად თაფლი, უთქვამთ, არა ღირსა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M 53 ნუსხა, გვ. 35v.; „ქილილა და დამანას" ს. ყუბანეიშვილისეული ნუსხა, გვ. 50r.).

[57] მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 125; მ ი ს ი ვ ე, სწავლა ლექსის თქმისა [რედაქცია და გამოკვლევა ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ი ს ა], თბ., 1981, გვ. 8.

საც საფუძვლად უდევს M 3 ხელნაწერი. სხვა, ზემოთ დასახელებული ვახტანგ მეექვსის ლექსების, პუბლიკაციებში გამოქვეყნებულია „სატრფიალონის“ მცირე ნაწყვეტები.

„სატრფიალონის“ რედაქციების საკითხს ეხება კ. კეკელიძე და სამ რედაქციას გამოყოფს. პირველ რედაქციად ასახელებს S 4500 ხელნაწერის ტექსტს, ბოლო რედაქციისად — S 171-ის ტექსტს. მკვლევარი წერს: ეს ნაწარმოები „სამი რედაქციით შენახულა, სამივე რედაქცია ვახტანგს ეკუთვნის. პირველი რედაქცია, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერში S 4500, თვალსაჩინოდ განსხვავდება ორი დანარჩენისაგან... ორი უკანასკნელი რედაქცია წარმოდგენილია S 171 ხელნაწერში, მათ შორის დიდი განსხვავება არაა, მხოლოდ ვახტანგს რამდენიმე ახალი სტროფი ჩაუმატებია მერე და ორიოდე სტროფი სულ შეუცვლია“[58].

S 171 ხელნაწერის ეს შეფასება არსებითად სწორია. მასში ცვლილებები, მართლაც, ცოტაა. ვახტანგს აქ ბოლო სტროფს წინ შეუტანია ერთადერთი ახალი ორსტრიქონიანი სტროფი:

„ისმინე გამონათქვამი, არა ქნა დაკარგული,
და ყური ფუნდუკად იქონე და ენა დალაგმული!. (სტრ. 145-ა, გვ. 33)

და შეუცვლია ორ სტროფი. ადრე იყო:

„უნდოს ხილსა ვაშლისასა ებევრების შევნებანი,
თვალ-ცხვირებსა გაახარებს პირისაგან სანებანი.
კაცსა გჭირდეს გონიერსა ამა გზითა მოკლებანი,
და საძნელოა მოყვასისა დასაკლისი სავსებანი!“ (სტრ. 84[1], გვ. 26)

„საუდაბნონი სახლია, საზღელი მკალი, თაფლია,
სამოსი, მოსარტყამები — ტყავები მოსასწრაფლია,
შექცევა, ქადაგებანი, მსმენელნი წყალად დაფლია;
და სულისთვის გარდამიქცია მებრძოლნი დასაღაფლია!“ (სტრ. 104[1], გვ. 29)

ვახტანგს ეს სტროფები გადაუხაზავს და მათ ნაცვლად გვერდზე მიუწერია:

„ვაშლისა ხილსა უნდოსა უბევრობს შევნებანია,
თვალსა და ცხვირსა ახარებს პირისა სანებანია,
გონება ვრცელსა მოგქონდეს მაზედა მოკლებანია,
და ძნელია მოყვასისათვის საქნელად სავსებანია!“

„თაფლი და მკალი საზრდელად, საუდაბნონი — სახებად,
შესამოსელად — ადიმი, სანახად მოსაჩმახებად,
ქადაგებისა მსმენელი წყლითა შექნიან ვახებად;
და მებრძოლი გარდამიქცია სიკვდილის დასასახებად!“

---

[58] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 599.

სხვა ცვლილებები მხოლოდ აქა-იქ, თითო-ოროლა სიტყვას შეეხება. ესენია:

	ძველი, გადახაზული ტექსტი:	შემდეგ ჩაწერილი ტექსტი:
1	ა. ლექსი თქმულა	~
2	ბ. შენ	რომ
14	გ. პურებსა	ცხობილსა
48	ბ. მამლისებრ... მღდამ	ვითა მამალი... სხვადა
66	ა. ძაღლებსა ძელისა გამოხერით	ძელისა გამოხერით ძაღლებსა.
	ბ. გემოვნებითა სიმლაშის	~
	გ. შეევნებისა	ეტკვნებისა
67	გ. შენ გადებენ	დაგადებენ
76	გ. შენითა გამომაეალი	~
80	ბ. მოყვარენი საყვარელნი	~
81	ა. რაცა რამე ცარიელი	ცარიელი რაცა რამე
	ბ. სამძიმარი გაჭირდების	~
	გ. სატკნენი შეიმძიმე	~
	დ. სამსუბუქო შეგეკნებ-ს	შეგეკნების საალქატე
82	ა. ბულბულებსა მერცხალი სჯობს	მერცხალი სჯობს ბულბულებსა.
	ბ. შინაურად ჰიკჰიკებენ	~
86	დ. ბოლო ჟამ	მოუქცეველსა
87	ბ. მოსავალები დაუთმე	~
99	ბ. ზამთარ გაახმობ მინდორსა	ვითა ზამთარი გაახმობ
	გ. შევნებას	ვარდსა და
109	გ. ჩრდილოსა დამათბობად	~
118	ა. ახველ წმინდაე სვიმონ კანანელო	ახდა წმინდა სვიმონ კანანელი
	ბ. მოგწყლა... გამობრწყინდი დაუნელო	მოსწყლა... გამობრწყინდა დაუნელი
	გ. გაანათლე... გამომხსნელო	გაანათლა... გამომხსნელი
	დ. დასაბნელო	დასაბნელი
123	ა. საქნელია	ნესი არი
131	ა. სანამდის (?)	მანამდის

ამათ ემატებათ სათაურები „ათი მცნება“, „ზ საიდუმლო“, „სასიკეთინენი“, „ნეტარება“, რომლებიც სხვა ნუსხებშია, ხოლო S 171-ში არშიებზეა მიწერილი.

ეს არის და ეს!

მაშასადამე, ახალი ფენა S 171 ხელნაწერში მცირეა, უფრო მცირე, ვიდრე „სალბუნად გულისა“-ში.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის თავისებურებანი, რომლებიც თვით ამ ხელნაწერის პირვანდელ ტექსტსა და სხვა ნუსხებში მოგვეპოვება.

„სატრფიალონის“ ავტოგრაფული და ავტორიზებული ნუსხები გვიჩვენებს, რომ ამ თხზულების დასახვეწად პოეტს ბევრი უშრომია. გარდა ზემოთ აღნიშნული S 171-ის ახალი ფენისა, სამივე ხელნაწერი

განსხვავებული რედაქციის ტექსტებს იძლევა. განსაკუთრებით გამოირჩევა S 171.

სტროფული შედგენილობის მხრივ სხვაობა ცოტაა. S 171 არ იცნობს S 4500-სა და მის მიმდევარ ნუსხათა 3 სტროფს[59]: 27 („ამით უთხარ წამწამითა..."), 40 („გული სევდისა სალხენად...") და 94 („თუ თივა ცეცხლით გაზარდო...") სტროფებს. ერთი ერთსტრიქონიანი სტროფი („ბევრს ჭიქას კენჭი ეყოფა, უგუნურს — დრამის წონანი") S 171 ხელნაწერში ძირითად ტექსტშია 143 სტროფის შემდეგ (გვ. 333), S 4500-ში მოგვიანებით მიწერილია (გვ. 290), სხვა ნუსხები მას არ იცნობს.

თუ ამათ დავუმატებთ ზემოთ აღნიშნულ ორსტრიქონიან 145-ა სტროფს, რომელიც დემეტრესეულ ხელნაწერში ვახტანგს შემდეგ ჩაუწერია, ვღებულობთ: ერთმანეთისაგან განსხვავებით, S 4500 და მის მიმდევარ ხელნაწერებში მეტია სამი სტროფი (27, 40, 94), ხოლო S 171-ში — ორი სტროფი (143-ა და 145-ა), რომელთაგან პირველი S 4500-ში მოგვიანებით არის ჩაწერილი.

სტროფული შედგენილობის მიხედვით M 3 მიჰყვება S 4500-ს. მათ შორის განსხვავება არის მხოლოდ ერთ სტროფში: M 3 არ იცნობს 27-ე სტროფს[60].

40 და 41 სტროფებში, რომლებიც S 4500-ს დაზიანების გამო აკლია, M 3 მეორე და მესამე სტრიქონებს შენაცვლებით კითხულობს.

წაკითხვების მიხედვითაც ერთმანეთისაგან უფრო განსხვავდება S 4500-ისა (თავისი მიმდევარი ნუსხებითურთ) და S 171-ის ტექსტები. მნიშვნელოვან თავისებურებას ამჟღავნებს M 3, მაგრამ უფრო მიჰყვება S 4500-ს.

დავიმოწმოთ რამდენიმე ნიმუში სტროფებად თხზულების სხვადასხვა ნაწილიდან: სტროფი 24. S 4500 (გვ. 271):

„მდელო ყოველ წლივ მცენარობს, სიმწვანით სამე გაჭოსა,
ხესა ფურცელი მოესხმის და მანცა იგი სახოსა,
ღამე შავდების სიბნელით, შენ ნათლად გამოგსახოსა,
და ყოველმან საკვირველად უცხომან შენივე ქება ზრახოსა".

M 3 (გვ. 26r.) და გამოცემა:

„მდელო ყოველ წლივ მცენარობს, სიმწვანით რამე გაჭოსა,
ფურცელი ხესა მოესხმის, იგივე დაგვანახოსა,
შავდების ღამე სიბნელედ, შენ ნათლად გამოგსახოსა,
და საანჯმნოდ გასაკვირალმა შენივე ქება ზრახოსა".

---

[59] მე-40 სტროფი S 4500 ხელნაწერში დაზიანების გამო არ მოიპოვება.
[60] M 3 არ იცნობს აგრეთვე S 4500-ში შემდეგ მიწერილ 143-ა სტროფს.

S 171 (გვ. 19):

„მწვანე ჟამობით მწვანდების, ამითი შემოგაქოსა,
ფურცენი ხესა მოესხმის, ესევე გამოსახოსა,
ღამისა შებნელებამა ნათელად გამოგსახოსა,
და საკვირველობით უცხომან შენავე გამოგძრახოსა“.

სტროფი 47. Q 548 (გვ. 36. S 4500-ს დაზიანების გამო აკლია):

„ჰია რა ბოქსა შემზადებს, მოიცავს მისსა გარებსა,
ქარი არ ეცეს, მავნეთგან არამცა მიხვდეს მწარებსა:
თუ ის შემქმნელზე ამას იქს ცხოველთში გასაგარებსა,
და შენთა მშობელთა შენაჲ პატივს რა დაგაზარებსა?!“

M 3 (გვ. 28v.) და გამოცემა:

„ჰია რა ბოქსა შემზადებს, მოიცავს მისა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი არ მიხვდეს გასამწარებსა.
თუ ის მოქმედზე ამას იქმს, რა ეხედავთ შეუგვარებსა,
და მისთა მშობელთა პატივის-ცემას რად დაიზარებსა?!“

S 171 (გვ. 22):

„ჰია ბოქისა ნამზადი შემოიცავსცა გარებსა,
ქარი არ ეცეს, საწყენი მიეცეს გასამწარებსა.
მშობელსა ზედა ესე სჯირს ცხოველზე გასაგარებსა,
და მამა-დედათა პატივსა რაღამცა დაგაზარებსა?!“

სტროფი 66. S 4500 (გვ. 275):

„ძვალსა ძაღლი ხვრას დაუწყებს, კბილსა სისხლი ედინება,
თვისი სისხლი ემლაშება, ეჯვს, უსრულდა მისი ნება;
ბოლოს ძვალი ჴმელად დარჩა, მას მიხვდება კბილთა ვნება.
და სოფლის ნივთთა შემშჳალულთა აგრეეე ხედეს შენანება!“

M 3 (31r.) და გამოცემა:

„ძაღლსა ძვალთა მოხვრისაგან კბილსა სისხლი ედინება,
ემლაშება, მეჯეელეობს, გაუსრულდა მისი ნება.
ძვალი დარჩა უვნებელი, გაუმრავლდა კბილთა ვნება.
და სოფლისაგან შემსჳალულთა ასე მიხვდა შენანება!“

S 171 (გვ. 24):

„ძვლისა გამოხვრით ძაღლებსა სისხლიმცა ედინებისა,
სიმლაშის გემოვნებითა საწადი ეგონებისა;
ძვალი ჴმელადვე დარჩება, კბილები ეტკივნებისა.
და სოფელსა შენამსჳალათა ეგეთი ენებებისა!“

სტროფი 87. S 4500 (გვ. 280):

„დასჯერდი, რაცა მოგეცეს ღმთისაგან მინიჭებითა,
დაუთმე ყველა უფალსა, რაზომცა გაირჯებითა!
მაშინ იხილოს უფალმან ეს საქმე თვალუხვეებითა,
და ორშივე მოგცეს გვირგვინი, საფერი მით უხვებითა".

M 3 (33v.) და გამოცემა:

„დასჯერდი, რაცა მოგეცეს ღვთისაგან მონანიჭარსა,
მოთმინებითა დაუთმე მაღალსა გასაბიჭარსა!
რა დაანახვებ უფალსა თვალითა დაუხუჭარსა,
და დაგაგვირგვინებს საამოდ, შეგმოსავს გამოუჭარსა".

S 171 (გვ. 27):

„დაჯერდი მოსაცემელსა ზეგარდმო მონიჭებითა,
დაუთმე მოსავალები, რაზომცა გაირჯებითა!
გამოიხილოს უფალმან საქმენი თვალუხვეებითა,
და ორგანვე დაგაგვირგვინოს საქმისა სიუხვეებითა!"

აქედან, უფრო 91 სტროფიდან S 4500 და M 3 ერთად არის.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მასშტაბური და სისტემური ხასიათი აქვს ამ ნუსხათა თავისებურებებს, ვაჩვენებთ განსხვავებებს პირველ ოც და ბოლო ათ (81—90) სტროფთა მიხედვით:

	S 4500 და სხვა ნუსხათა წაკითხვები:	M 3:	S 171:
1	ა. სწავლის სიტყვით	სწავლით უნდა	სასწაულოთი
2	ა. ჩემთვის სატრფოო შენთვის ვსტირ	ვტირ სატრფოვ მეტრფე საბრალოდ	სატრფიალოო შემოგტირ
	დ. ვასრულო მისი ნებანი	ნება ვასრულო სასრული	ნებასა აღვასრულებდე
3.	დ. ქვე დაკლებანი	დანაკლებანი	მოსაკლებანი
9	ა. მაწვევს ხოლმე	მაწვევს მეტად	მიმიწოდებს
	ბ. მაგრამ მე ვერ მივყოლივარ	ვერ მივსულვარ უხამსობით	განამხდარი ვერიდები
	დ. ვიქმენ მისგან	მისგანა ვარ	დარჩომილი
10	ა. რა იხილა	რა შეიტყო	დამინახა
	ბ. კაცისაა მწვე	კაცთააო	არის რამე
11	დ. თვით მეცე მჩანს	ჩემს წინა	მიმაჩანს
12	გ. კვლავ ყოველის სოფლ[illegible]ს; გაცვდა თუცა	ყოელი სოფლისა; გაცვდება ვინცა	სადიდებელი სოფლისა; გასაცვეთელად
	დ. ესენი ყავ შენგან	შეშვენის გარეგან	თქვენობით განაძეთ
13	ბ. არ სდიან კეკლუცსა ვერა ვარ მისად	არ უდის საამო გამხდარა	გამოუცემი უქებარია
	გ. მაგრამ ჩამფალსა სუნი სდის	სუნის სიკეთით ჩამფალი	ჩამფალი სურნელობითა

14 ა.	ანწლსა თუცა ხელს შეახებ	ანწლი ხელად შემოიგდო	ანწლისა შემახებელსა
ბ.	შაშპრა ხელსა რა მოხვდება	შაშპრა მოგხვდეს მოსაკრეფად	შაშპრისა დაახლოება
დ.	ნუ გაიცლი	გაუვლელი	ერიდე
15 ბ.	ეს საქმე	ესე რამ	ესენი
დ.	მისი მამზერი მას მიგავს	მასეე მიაგავს მიმდეეი	მომდომელები მიაგავს
16 ა.	მე იგ ვარდი ვარ რომელსა აქვს მრავლად ეკალ-ბზირობა	მივგავარ ვარდსა ტურფასა ეკლისა მონახშიროსა	ვარდი ვარ გამომჩენია ეკლოვანისა ხშირობა
ბ.	ჩემთჳს მიჯნურსა ხამს ჰქონდეს მისთჳს ჸირობა	ჩემთჳს ტრფიალი მის გამო მონამჸიროსა	განახელებსა შეუხამს განაჸირობა
დ.	მივსცე უკუდავი ხლებისა არა ძვირობა	ჩემი შეყრისა ხლება არ დაეძვიროსა	მიეხვედრების უკუდავი დაეძვირობა
17 ა.	ებრძანა ნურას მოზარობ	ნუ მოზარეობ ებრძანა	დაუზარლობა ებრძანა
ბ.	მე დაცემულთა	დანაცემულთა	დაცემულებთა
გ.	მივსცემ ყოველთა	მისდის მრავალთა	მიმიცემია
დ.	არ იქნა	ინდომოს	ინებე
18 ა.	პირველ გიხამს	პირველ მართებს	პირველითგან
ბ.	შეყრას უნდა მწუე გამოცდა	შემყრელს მართებს დაიცადოს	შეყრისათჳს დანაცადი
19 დ.	მითხარო რაცა იცით მომხვდა გულსა	რაცა იცით მიამბე	მიბრძანა მითხარ ნაწნარი ხანისა
20 დ.	და მისი	ცხოველი	

ბოლო 10 სტროფი:

81 ბ.	მაგრამ მძიმე	მძიმე რამე	სამძიმარი
გ.	მაშე გჭონდეს თავი მძიმე ტვინის	დაიმძიმე თავი შენი სიბრძნის	შეიმძიმე სატვინენი ჰკუის
დ.	თვარ მსუბუქი მალ შეგექნას	საალქატო გაგვიხადოს	შეგექნების საალქატე
82 ა.	სჯობს მერცხალი მწუე ბულბულსა და ის უფროა ნაქებარი	მერცხალი სჯობს იადონსა ის უფროა ნაქებარი	მერცხალი სჯობს ბულბულებსა იგი არი ნაქებია
ბ.	ამად შინ ზის სულ ჸიკჸიკობს იგ ხომ ძვირად სახლებია	შინ გვიზის და დაგეჸიკჸიკობს იგ ძვირად რამ სახლებარი	ჸიკჸიკობენ შინაურად ესი ძვირი სახლებია
გ.	თვარემ ხმით და უსულითა თქვით თუ რითა ნაკლებია	ხმოვანების უსულითა ვინ თქვა რითმე ნაკლებ არი	უსულისა ხმოვანებით არაფერათ ნაკლებია
დ.	ცოტა თქვი და ბევრს ისმენდი არ გხვდეს მისი ეკლებია	უსმენი და ბევრის მთქმელი შედარებით დამლებ არი	ნამეტანმა საუბრითა გა[ა]მრაელო ეკლებია

83	ა. თუცა გინდა	მოინდომო	გნდა იყო
	ბ. მრავალგზისად გარდაიდნე წიდას უქმენ ცეცხლით წვანი	გამრავლებით გარდაადნეე წიდა ნახო დანაწვანი	გარდაიდნეე სიმრავლითა წიდა გექნას დასაწვანი
	გ. ნახე კაცი რამთონით სჯობს	მას კაცი სჯობს რამდონ რიგად	უმჯობე აქვს კაცობასა
	დ. თუცა ბეერჯერ არ გადიდნა	არ გადიდნეს მრავალ რიგად	გარდუდნობლად საძნელოა
84	ა. ნახე ვაშლი უნდო ხილი რა კარგი აქვს	ვაშლსა ხედაე უნდო ხილსა რა გეარი აქვს	უნდო ხილსა ვაშლისასა ებევრების
	ბ. თეალსა ალხენს ცხვირსა აყნოს პირსა მისცეს მან ნებანი	თეალს ალხინებს საყნოსელსა პირის არი სანებანი	თეალსა და ცხვირსა ახარებს პირისა სანებანია
	გ. კაცსა გჳრდეს გონიერსა ამა გზითა მოკლებანი	თეითონ კაცსა გონიერსა გჳრდეს რითჱ ნაკლებანი	გონება ვრცელსა მოგჭონდეს მაზედა მოკლებანია
	დ. საძნელოა მოყვასისა დასაკლისი	ავი არის გასაგონად სამწუხარო	ძნელია მოყვასისათვის საქნელად
86	გ. ღმერთიც მოუშვებს გასინჯოს	მიუშვებს ღმერთი გასინჯოს	მიუშვებს გამოისინჯოს
	დ. ბოლოს გაცდების აივსოს სამყოფი მისი	გაუცუდდების ბოლოჟამ ნაქნარი დასან...	მოუქცეველსა სამყოფი გამოევების
67	ბ. დაუთმე ყველა უღალსა რაზომცა	მოთმინებითა დაუთმე მაღალსა	დაუთმე მოსავალები რაზომცა
	გ. მაშინ იხილოს უფალმან ეს საქმე	რა დაანახვებ უფალსა თჳლითა	გამოიხილოს უფალმან საქმენი
	დ. ორშიე მოგცეს გვირგვინი საფერი მთ	დაგაგვირგვინებს საამოდ შეგმოსავს	ორგანვე დაგაგვირგვინოს საქმისა

88 სტროფი M 3 და S 4500-ში ერთნაირია, განსხვავებულია S 171-ში.

89	ა. მიკვირს სოფლის გულისათვის	დამაკვირვებს სოფლისათვის	უცხოა ამის გამოით
	ბ. მისის ნდომით ვფიქრობ ვცეფრობ	ჭოსახმარად გამაფიქრებს	მისითა მჭიშნობით
	დ. ცოდვის გვარლით გადახვანჯვით	შეიგვარლის დახვანჯული	ცოდვისა დახვანჯვით
90	ა. სწადს	უნდა	.
	დ. მაშ ლექსობაცა	მოლექსობაცა	ლექსობაც გამო...

ამ ნიმუშებიდან ჩანს, რომ M 3-ში ნაწილობრივ, ხოლო S 171-ში ბევრად მეტად სიტყვათა რაოდენობა შემცირებულია.

როგორც ვთქვით, 91 სტროფიდან ბოლომდე ერთად არის S 4500, M 3 და სხვა ნუსხები და მათ მხოლოდ S 171 ნუსხა უპირისპირდება. ამის ნიმუშადაც დავიმოწმოთ რამდენიმე სტროფი მთლიანი სახით:

სტროფი 91. S 4500 (გვ. 281), M 3 (34r.), გამოცემა და სხვა ნუსხები:

„ტოლსა შინა გამოჩენით არა სადა დამედარა,
მტერთა ზედა რას მარგებდა, თუცა სადმე დამედარა!
თუ დამაკლეს, რა დამაკლეს, საქმეშია დამედა რაჲ
და მაგრამ ბოლოს ყველა ვინმე, რა გავსინჯე, დამედარა".

S 171 (გვ. 27):

„ტოლებშია გამოჩენით არაოდეს დამედარა,
რას მარგებდა სამტეროსა, კიდეც სამე დამედარა!
დამაკლესცა, რად დამაკლეს, საქმეშია დამედა რაჲ
და საბოლოოთ, ერთპირობით გამოვსინჯე, დამედარა".

სტროფი 128. S 4500 (გვ. 286), M 3 (38v.), გამოცემა და სხვა ნუსხები:

„თუ ტრფიალებ, ყოვლთვის იყავ საბრძოლველად შეკურვილი,
მჭნედ იყავ და განძლიერდი, მტერი გყვანდეს მწვე ურვილი,
ნუ შედრკები დაცემასა, მისი გქონდეს შენ სურვილი,
და სიყვარულსა იგონებდი, ფარად გქონდეს დაბურვილი!"

S 171 (გვ. 32):

„მეტრფიალე საბრძოლელად მუდამ უნდა შეკურვილი,
მჭნეობითა განძლიერდი, მტერი შექენ შეურვილი,
დაცემისა შეუდრეკი მოიპოვე კვლავ სურვილი,
და საყვარელსა იგონებდე, გაგეფაროს დაფარული!"

სტროფი 140. S 4500 (გვ. 289), M 3 (40r.), გამოცემა და სხვა ნუსხები:

„ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყმაწვილი ბერთ უბერე,
ბერი ცუდად მწვე აჩქარდა, ყრმა დაწუნარდა, რაც უბერე,
უხუცესი არას ნაღლობს, უმცირე სწუხს: ვარ უბერე!
და ის უფროსი იბერება, ეს უმცროსი არს უბერე".

S 171 (გვ. 33):

„მჯოვანები ყმაწვილობენ, ყმაწვილები — მის უბერე,
ბერნი ცოტას აყვებიან, ყმა დასწუნარდა, რაც უბერე,
უხუცესი უნაღვლობენ, სწუხს უმცროსი: ვარ უბერე!
და სიკეთისა საბურველი გამჭდარია იქ უბერე".

დაახლოებით ასეთივე სხვაობაა დანარჩენ სტროფებშიაც.

ერთი, მთავარი, რაც თვალში საცემია ამ ნუსხების ურთიერთობის დახადგენად, ის არის, რომ S 4500-ში ვახტანგის მიერ ნასწორები და

დამატებული ტექსტი უკლებლივ შეტანილია S 171-ის ძირითად ტექსტში. ამასთან დაკავშირებით 145-ა სტროფის შესახებ უკვე ვთქვით. ახლა ვაჩვენებთ წაკითხვებს:

	S 4500-ში გადახაზულია:	S 4500-ში ჩაწერილია, S 171-ში ძირითად ტექსტშია:
71	მოცდით, იცოდე, ისრიმი ტკბილისა მომცემელია!	ისრიმს ტკბილად გადააქცევს დრომდი საქმის შემომცდელი!
72	ამ სოფელს და იმ სოფელსა ორისავე ხარ მონამჭირი, ვის უნახავს ერთის ხელით ორი ნესვი დანამჭირი!	საწუთროსა მინდობილსა ის დაებშას გასაღებლად, — ერთის ხელით ორი ნესვი საძნელოა ასაღებლად!
80	მასვე მიხვდა	მიიხვედრა
81	ამაზე ბრუნავს ბრუნაი სხვა რა აქვს რამცა გებული, რომ შენას ორი მოყვარე გაყრილი, გათვისებული!	მბრუნავისა მიწყივ ბრუნვა მისთვის წესად დაემყარნეს, საყვარელნი მოყვარენი (~ S 171) ერთმანერთსა გაეყარნეს!
95	აბრამ შვილს ჰკლავს, იეფთაცა მას უქეს და მას უგინეს, უადგილოდ კარგიც რამ ჰქნა, არად ვარგა, გიძეს წინ ეს!	აბრამის ბაძი იეფეთს გაუხდა დასაგმობელი (დასაგმობარი S 171), ასეა ადგილს უქნელი, სასაქმო საამბობელი (საამბობარი S 171)
95-ა	არ იცი, თაფლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად!	ვერა სჯობს თაფლს სიტკბილე ფუტკრისა დაკბინებასა!
141	თუ შენს ტვირთს შენ კი არ აზევ, ნუ ჰკიდებ სხვას, ვერ აზევსა!	ტვირთი შენგან უზიდავი სხვამან ვითა აიცდოს!
142	თუ სიტყვას კარგა არ კრძალავ, მზირნი სხედს, მოიტაცებენ!	მზირმა ღუნვე მოიტაცოს უსარგებლო საუბარი!

საყურადღებოა, რომ S 4500 ხელნაწერში ვახტანგს ჯერ სხვა ტექსტი ჩაუწერია და შემდეგ გადაუხაზავს: „შეუკრძალავსა სიტყვასა მზირები მოიტაცებენ!“

143	ისარსა გაეს პირით სიტყვა, რა გასტყორცო, არ მობრუნდეს!	ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცო, არ მობრუნდეს!
144	ბუზს მწვე მიჰგავს, ამპარტავნად ურიდობით მოარული, არ იციან ფთა თხელი აქვს, ვერას უზამს საქმე მტრული	ბუზი მსგავსია ამაყსა, მოურიდალის ქცევითა, მაგრამ მისებრივ (მისებრივ მაღლა S 171) აფრენა არ შეუძლია ზევითა
145	კაცს გულს აურევს, თვარა და ბუზი არ არის ფინთია; თუ შენ ავი არა ხარ, არც კარგი გამოგინთია!	გულს აურევს, თვარამ ბუზი საფინთარი არსად არი; კარგი ხარ და კარგს არა იქ, შეიქნები შესადარი!

ეს მაგალითები დოკუმენტურად ამტკიცებს სხვა თხზულებებში სხვა საბუთებით მიღებულ დასკვნას: S 4500-ის ტექსტი პირველადია, ხოლო S 171-ის ტექსტი — პოეტის შემდგომი მუშაობის ნაყოფი. ამ

ნიმუშებშიაც თვალნათლივ გამოჩნდა ტექსტის სწორების ის პრინციპები, რომელთა შესახებ ყველა თხზულების განხილვისას ვამახვილებდით ყურადღებას: სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირება და განმაზოგადებელი აზრის შექმნა.

ახლა გასარკვევია, რა ადგილი უჭირავს აღნიშნულ რედაქციებს შორის M 3-ს ტექსტს.

როდესაც S 171 გამოიყოფა და თავისებურებას გვიჩვენებს, უმეტეს წილად S 4500, მისი მიმყოლი ნუსხები და M 3 ერთადაა: ნიმუშად ავიღოთ რომელიმე, ნებისმიერი, მაგალითად, 28-ე სტროფი. S 4500 (გვ. 272) და მის მიმყოლ ხელნაწერებში იგი ასე იკითხება:

„რაც ვიუბენ შენთვის ქება, არცეთია საკადრისი,
ამისთვის რომ შენ სხვათ აძლევ, ღირსი იყოს ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშეერია ზრახვა მისი“.

თავიდან ბოლომდე განსხვავებულ რედაქციას იძლევა S 171 ნუსხა (გვ. 20):

„მოვიუბნე შესასხმელი შეუფერი უკადრისად,
შენითავე მიიღებენ, საქებია ვინცა რისად,
უძლურებით შეუძლებნი უმაღლისა გამოთქმისად,
და უდარია სამკობარი, გაცუდდების შრომა მისად!“

აქაც ტექსტი სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირების მეთოდით არის ნასწორები. პირველ სტრიქონში სიტყვათა შეფარდება არის ექვსი ოთხზე, მეორე სტრიქონში — ცხრა ხუთზე, მესამეში— შვიდი ოთხზე, მეოთხეში — ცხრა ხუთზე.

M 3-ში (გვ. 26v.) განსხვავებულია მხოლოდ პირველი ორი სტრიქონი:

„მოვიუბნე შენი ქება არცა ერთი საკადრისი,
შენ სხვათ აძლევ შესაქებსა, ღირსი არი ვინცა რისი...“

მესამე და მეოთხე სტრიქონები ზუსტად ემთხვევა S 4500-ის წაკითხვას. იმ განსხვავებულ პირველ-მეორე სტრიქონებშიაც M 3 უფრო მიჰყვება S 4500-ს, ვიდრე S 171-ს. ამ უკანასკნელს ენათესავება მხოლოდ ორი სიტყვით: ორივეში იკითხება „მოვიუბნე“, ხოლო მეორე სტრიქონში გამოყენებულია ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფორმით „საქებია“ და „შესაქებსა“, რომლებიც S 4500-ში არ დასტურდება.

M 3-შიაც არის დასაწყისი სტრიქონების შემადგენელ სიტყვათა შემცირებისა. მეორე სტრიქონში სიტყვები ერთით ნაკლებია, ხოლო

პირველში თუ ურთნაირია, იმის გამო, რომ „არცეთი“ ერთ სიტყვად გვაქვს წარმოდგენილი, ხოლო „არცა ერთი“ — ორ სიტყვად, თორემ აქაც სიტყვათა რაოდენობა M 3-ში ერთით ნაკლებია: ორი სიტყვა „რაც ვიუბენ“ ერთი სიტყვით „მოვიუბნე“-თი არის შეცვლილი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ S 171-თან შედარებით რამდენად ახლოს არის ერთმანეთთან S 4500-ისა და M 3-ის ტექსტები, აქაც მაგალითებს დავიმოწმებთ პირველი-ოცი და ბოლო ათი (81—90) სტროფებიდან:

	S 4500, M 3 და სხვა ნუსხების წაკითხვები:	S 171-ის წაკითხვები:
1	გ. მისი გზა და მისი მხარი	საამბობად მოსახმარად
	დ. სალხინო და საწუხარი	მოსალხენი სამწუხარად
2	გ. რას ვაქნევ სოფლის დიდებას თუ შენ კი (სოფლის დიდებას რას ვაქნევ რადგან შენ M 3)	მოუხმარია სიმდიდრე რადგან რომ
	დ. რაც ბრძანო (-ოს M-3)	მიბძანოს
3	ა. შევუმკევ	შემოუკრიბე
	ბ. ვიხმარე ენა უგბილად (ენა უხმარი უგბილად M 3)	უგბილად ენა მძრახველი
	გ. ნუთუ (ეგებ M 3) დამივსოს რომე მჭირს მძაფრთა სახმილთა	დამივსოს ამაღლებული მოტყინარენი
	დ. მივხედე მას ჩემსა საწადსა (წადილსა M 3) ვისი (რაც M 3) მაქვს (მივის M 3)	საწადსა შემომახვედროს გამხდია
4	ა. მას ჩემსა სატრფოს (ჩენსა სატრფოსა M 3) ვაქებდე ვისი მსურს	სატრფიალოსა ვაქებდე მსურიან
	გ. ნაზად ამღერებს კეკლუცად ტრფიალთა	მაშვენებელი კეკლუცთა მიჯნურთა
	დ. ფერს მისცემს ყოველთა	მაფერებელი
5	გ. მან მიათხოვოს ერთს კაცსა უბიწოდ (უფრჩქნელად M 3) ვარდკოკობთა (მოსამკობითა M 3)	გამოათხოოს უბიწოდ ვარდულად საკოკობითა
6	ა. წყნარი სათუთი ტურფა კეკლუცი	სათუთობითა სატურფალია
	ბ. მისი ტრფიალი შევქნილვარ გულლახვარ	ტრფიალებითა შევქნილვარ ლახვრითა
	დ. თუ მამაცი ვარ მეც მმართებს	კაცობის ჭდომსა მწადია
7	ა. ეზომ ტურფა	სატურფალსა
	ბ. რომ შემიშვან	შემაეალი
	გ. სოფლის საქმით	სამეებელსა
	დ. ნუთუ მაშინ ღირსად ვიქნა	შემოვიქცე საღირსალი
8	ა. კაცსა მართებს სამიჯნუროს (სატრფიალოს M 3) რომ ეძებდეს (დაეძებდეს M 3) ერთ რამ (ტურფად M 3) კარგსა	უმჯობეა დაეძებდეს სამიჯნუროს გასაკარგსა

ბ. არ შეუდრკეს მისთვის პირსა (შეპირვებას M 3) არ ხედევდეს (მიხედოს M 3) — შეუდრეკი პირისათვის დაუხედი

გ. ბანბად უჩნდეს — გაემბაბოს

9 ა. ჩემი მისვლა მაწვევს — მიახლება მიმიწოდებს

გ. მწიკვლითა ვარ შემოსილი — მწიკვლისაგან შესვარული

10 ბ. ებრძანა თუ ეგე საქმე კაცისაა (კაცთააო M 3) — მიბრძანებდა ეგეები არის რამე

გ. კაცთა ვეძებ კაცთა წესით (ვეძებ კაცსა კაცთა წესსა M 3)... ჩემის ხლების — წესიერსა გამოვეძებ...მოახლების

11 ა. ვინ პოეთ (პოა M 3) მეფე მდიდარი ქვეყნად ამისი — უპოვარია მეფენი შესაძლებელად

ბ. კაბა ემოსა (ემოსოს M 3) — შემოემოსოს

გ. თვით სოლომონცა ვერ უძლო ნახეთ ანბავი (ამბავი M 3) ძველია — სოლომონსაცა შეუბნდა ამბავი დანაძველია

დ. მაგრამ იგ თივა — იგი თივანი

12 ა. ოქრო და ვერცხლი რა არის — ოქროვანობა ვერცხლობა

ბ. მიწაა სხვადასხვა ფერი კვლავე მიწათა იდებენ. — მიწათა დაფერებულნი გასამიწებლად იდები

13 ა. ყაყაჩო მრავალ-რიგია (~ M 3) სიტურფით (-ის M 3) — შეენიერობით ყაყაჩო სატურფო

გ. არ ნახვად მისოდნობითა — უმჯობე ასაკობითა

დ. მას პატივსცემენ მას არა (ზედა M 3) — უფროსად პატივებენ

14. ა. აე სღნს მოცემს გაცრმწარებს — ავ სუნად გაუმწარებსა

გ. კვლავ (რა M 3) სოლინჯი პურსა შერთო — სოლინჯიანად ცხობილსა

დ. იყავ ორთა (~ M 3) მობაძავი — ორისავ მიმბაძავი

15 ა. შვენება ხორცა ფუფუნი (ფუფუნი ხორცა შვენება M 3) სურნელთა მრავალფერია — კეკლუცებისა ფუფუნი სურნელობისა ფერია

ბ. არარად — უხამსად

გ. ხედაეთ მატლს (მატლს ხედავ M 3) რაში ფუფუნებს რა კარგა (-ად M 3) — სამყოფელები მატლებსა საკარგოდ

დ. ბრძენთ ასრე — ბრძენებსა

16 გ. დასთმოს ყოველი — შემოითმინოს

17 ა. თუ ჩემკერძ (ჩემკენ M 3) — საჩემოდ

ბ. ყოვლთა — ანაზდად

გ. ვისაც რისა აქვს — ვისცა ქონია

დ. თუ ჩემზე შემშვალა (შემსშვალოს ჩემზედა M 3) — შემომემშვალე

18 ა. ბნელმან კაცი დააბნელოს ჭირით ბაძე — სიტკბოებამ დააბნელოს მიებაძე

გ. მაშინ ჰპოებ (პოვებ M 3) — თავსა პოებს

დ. ეს იცოდე ეშმაკისგან (-ისა M 3) — მოარული ემსგავსების

19.	ა. ესე რა მესმა (რა მესმა ესე M 3)	მონასმენარსა მომეცა საგონებლისა
	ⴰმისგან მომხვდა გულისა	
	ბ. ჰედეგ და მის კარს მიემართე (მის კარს მიემართე მაშინვე M 3) ვისთვისცა მჭონდა	მაშინვე კარსა მიემართე დავიდასტურე·
	გ. ამგვარი	ასეთი
20	ა. ყოველი რაც გულსა მჭონდა დებანი	სრულობით გულისა დანადებანი
	ბ. უშიშრად დაურიდებლად და (დაურიდლად და უშიშრად მას M 3) მივეც ჩემი	ურიდად შეუშინებლად ჩემი მივართვი·
	გ. ან მომკლა ან დამარჩინო (ან დამარჩინე ან მომკალ M 3) მაქეს ამის	სიკვდილისაგან დამიხსნა მომეცა
	დ. გნუკავ	შემოგეედრივარ

81 — 90 სტროფები:

81	დ. მტრობის კლტით	საადგილოდ
83	ა. ოქრო იყო ურიოშო	ურიოშო ოქრო წმინდა
	გ. რამთონი აქეს	რამთენი რამ
	დ. არ იქნების კაცთა გვანი (მგვანი M 3)	სიკეთისა დასაგვანი
85	ა. ყრმა ახალ ნორჩი რგულებსა	მოყმენი დანერგულებსა
	გ. არ (ნუ M 3) სატაცურსა გველსა ჰგავს (გავს M 3)	გველს სატაცური მიაგავს
	დ. ვერც ხუთოს მოგცემს ვერც შხამსა სარგოსა	ხუთოს და შხამსა ვერ მოგცემს შესარგო
86	ა. ბაძავ კაცსა	ებაძები
	ბ. ჰგონებ (გონებს M 3) ყოლითა (-სა M 3) დავითა	იგონებს დასადაევითა
87	ა. რაცა მოგეცეს ღმთისაგან	მოსაცემელსა ზეგარდმო
89	ა. კაცი ასრე რად იჸირვის	ვინმეცა რად იჸირვისა
	ბ. ანუ ვინმცა	ჴონდომებითა
	გ. უხამს მისცემს სიმდიდრესა ზოგნი ხამსი მწვე იჸირვის	ზე აამაღლა უხამსი სახამსო სულ იჸირვისა
90	ა. რადგან კაცია მოკვდავი	მოკვდავებისა საწადი
	ბ. რამცა ჰქმენ რამც	რაღამცა შე...
	გ. მოგიგონებენ ყოველნი ამითი	მოსაგონია სამუდმოდ დასა...
	დ. იქნება ამის რამ	გამოგვიჩნდება ამისი

S 4500-სა და M 3-ს შორის ანალოგიური მსგავსება არის 21—80 სტროფებშიაც.

28-ე სტროფის განხილვიდან, სადაც, წინააღმდეგ S 4500-ისა, M 3-სა და S 171-ში ორი სიტყვა ერთნაირი აღმოჩნდა, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ S 171-ის ტექსტი უშუალოდ M 3-დან მოდის, რედაქციულად მის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ასე არ არის.

S 171-ის ტექსტის თავისებურებათა უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ იგი რედაქციულად უფრო ახლოა S 4500-თან, ვიდრე M 3-ის თავისებურ ტექსტთან. მაგალითად, 31-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი სამივე ხელნაწერში განსხვავებული რედაქციით იკითხება. S 4500-ში გვაქვს (გვ. 272):

„უჯობს კაცსა ს ო ფ ლ ი თ გასვლა, თვარ ლახვარი შეეყრებისა".

M 3-ის წაკითხვა (გვ. 26v.):

„ვინ არ მისდევს სადევარსა, მას ლახვარი შეეყრებისა".

S 171-ის ვარიანტი (გვ. 20):

„მოურჩომსა ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ნ ლახვარიმცა შეეყრებისა".

აშკარაა, S 171-სათვის ამოსავალია არა M 3-ის ტექსტი, არამედ S 4500-ისა. მასში შემორჩენილია S 4500-ში ნახმარი სიტყვა „სოფელი".

კიდევ ერთი მაგალითი: S 4500 ხელნაწერში 37 სტროფის პირველი ორი სტრიქონი ასე იკითხება:

„მის დ ა რ ა დ მ ს გ ა ვ ს ა დ მაგ ქვებსა ცუდად აწითლებ, იამან,
ხ ა ნ ი გამოვა, მანამდის იმას უდაროს ია მან..." (გვ. 274)

M 3-სა (გვ. 27v.) და გამოცემაში გვაქვს:

„მისა ს ა მ ს გ ა ვ ს ო დ მაგ ქვებსა ცუდად აწითლებ, იამან,
ჟ ა მ ი გამოჰხდეს მანამდის, იმას უდაროს ია მან".

S 171-ის წაკითხვა (გვ. 21):

„დ ა ს ა დ ა რ ე ბ ლ ა დ მა ქვებსა ნუ გააწითლებ, იამან,
ხ ა ნ ი გამოვა, მანამდის შემოუდარის ია მან".

აქაც ნათლად ჩანს, რომ M 3-ისა და S 171-ის ტექსტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომდინარეობს S 4500-ის ტექსტისაგან. პირველში შემორჩენილია S 4500-ში გამოყენებული სიტყვა „მსგავსი", მეორე ნუსხაში — ორი სიტყვა „დარი" და „ხანი".

ამგვარი ნიმუშების მოტანა მრავლად შეიძლება.

ისეთი შემთხვევები, რომ M 3 და S 171 ერთნაირ წაკითხვებს იძლეოდეს და ამითი სხვა ნუსხებს, კერძოდ S 4500-ს, უპირისპირდებოდეს, შედარებით ცოტაა. აი, თითქმის ყველა შემთხვევა ალნიშნულ სტროფთა ფარგლებში:

S 4500 და სხვა ნუსხები ერთად არის:	M 3 და S 171 ერთად არის:
1 ა. ტკბილ-გვარითა	გვარიანი
ბ. არ სახარი	მოუხარი (მოუხარად S 171)
2 ა. მოლბე და	მოლბობით
4 დ. თვალით არ დამალულითა	თვალითა დაურულითა (დაულულითა M 3)
5 ა. ტურფად შემკული	კეკლუცობასა (კეკლუცად M 3)
8 დ. კეთილობა	საშვებელი
9 ა. სძალს მწვე; დიაღ ხშირად	სძალსა; დანახშირად
10 ა. გამრიდა და	მორიდებით
გ. ღირსი იყოს	საღირსალსა
დ. არა	ვითა
11 ბ. ველის შროშანთა ფეროვნად	შროშანთა ფეროვნებითა
12 დ. რათგან ტრფიალებ	მეტრფიალეთა
15 ბ. გონიერთ კაცთა	გონიერთაგან
18 ა. სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი	მეტრფე სატრფოს მაძებარი
19 დ. ...ამება	დაუხანება
20 დ. მახილვო	მაჩვენოს (მაჩვენო M 3)

81—90 სტროფები:

81 ა. რაც რამ ფერი ცარიელი	ცარიელი რაცა რამე (~ M 3)
85 ა. უნდა მიჰგვანდეს	მიეგვანენით
ბ. ითბობდენ იმით	გამოითბობდეს (-დნენ M 3)
86 ა. რაზომ გაღიდდეს	განამდიდარსა
ბ. მის უმეცრების	უმეცრებისა (-ის S 171)
90 ა. რამე და	რამეო
ბ. დარჩეს; იამე და	დაურჩეს; იამეო
გ. ჟამედა	ჟამეო
დ. შესაწამედა	შესაწამეო

კიდევ უფრო ნაკლებია ისეთი შემთხვევები, როდესაც S 4500, მისი მიმდევარი ნუსხები და S 171 ერთნაირ წაკითხვებს იძლევა და მათგან საკუთარი წაკითხვებით გამოიყოფა M 3. აი, აღნიშნული სტროფების თითქმის ყველა შემთხვევა:

S 4500, S 171 და სხვა ნუსხები ერთად არის:	M 3 განსხვავებულია:
2 ბ. მინდერად (მინდორად S 171)	ველად
5 ბ. მისებრივ (მისებარი S 171)	სამსგავსო
გ. უბრწო ვარდ კოკობითა (ვარდულად საკოკობითა S 171)	უფრჩქნელად მოსამკობითა
9 ბ. საქმითა ესჩან (საქმისაგან S 171)	თავი მიჩანს
გ. არ სიწმინდით (უწმინდური S 171)	უღირსალი
13 ბ. მკობითა	განაგდობითა
86 გ. ან სიავითა	განთავითა
დ. ... სვავითა	დასანთქმავითა

87	ა. მონიჭებითა	მონანიჭარსა
	ბ. გაირჯებითა	გასაბიჭარსა
	გ. თვალუხვებითა	დაუხუჭარსა
	დ. უხვებითა	გამოუჭარსა
90	ა. აქა	—

ყველა ეს სტატისტიკური მონაცემი ნაწარმოების სხვა ნაწილთა საერთო სურათს შეესაბამება.

ამრიგად, „სატრფიალონის“ მიხედვით, აღნიშნული სამი ხელნაწერის ტექსტთა ურთიერთმიმართება ასეთია: ყველაზე მეტი თავისებურება აქვს და ყველაზე მეტად შორდება ერთმანეთს S 4500 და S 171 ნუსხები. გარკვეული რედაქციული თავისებურებანი ახასიათებს M 3-საც, რომელიც რამდენადმე ენათესავება S 171-ს, მაგრამ ყველაზე ახლო დგას S 4500-თან. გარდა იმისა, რომ იგი ამ ხელნაწერს შიგადაშიგ მთლიანი სტროფებისა და სტრიქონების ან ცალკეული წაკითხვების მიხედვით ემთხვევა, 91 სტროფიდან ბოლომდე ზედმიწევნით მიჰყვება მას.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ S 4500-ის ტექსტი პირველადია, ხოლო M 3-ისა — მეორეული, ნაწილობრივ შეცვლილი, S 171-ისა კი — მესამეული, საბოლოოდ, უფრო ფართოდ და ღრმად გადამუშავებული ვარიანტები. მაგრამ, ჩანს, ეს რედაქციული გრადაცია სწორხაზობრივი არ არის. მესამე რედაქცია მარტო მეორეს არ ეყრდნობა, მის რედაქციულ გაგრძელებას არ წარმოადგენს, თუმცა აქა-იქ ზოგიერთი მსგავსება, გავლენა კი შეიმჩნევა. ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ ბოლო ორი რედაქციის მსგავსებანი, ზოგიერთი მაინც, წერილობით გაფორმებული მეორე რედაქციული ტექსტიდან კი არ მომდინარეობდეს, ქვეცნობიერად, პოეტის მეხსიერებიდან იღებდეს სათავეს. ეს კიდევ უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგი თავის თხზულებებს რუსეთში ყოფნისას ამუშავებს. ეს მით უფრო ითქმის „სატრფიალონზე“, რომელიც თავიდანვე რუსეთში, მოსკოვში, დაიწერა. რუსეთში პოეტი ყოველთვის ერთ ადგილას არ იმყოფებოდა. სიტუაციისდა მიხედვით, მას ყოფნა უხდებოდა ასტრახანს, მოსკოვს, პეტერბურგს და ხან კიდევ სად. სავსებით მოსალოდნელია, როდესაც იგი ამ თხზულების მესამე რედაქციას ქმნიდა, მეორე რედაქციის ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში არც ჰქონოდა ხელთ. მეორე რედაქციის ტექსტი, ისე როგორც მესამე რედაქციისა, ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერითაა მოღწეული და, უნდა ვიფიქროთ, არც მაშინ იქნებოდა დიდად გამრავლებული.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ „სატრფიალონის“ მეორე და მესამე რედაქციათა ტექსტებს საერთო ცოტა აქვს და ორივე ცალ-ცალკე ორგანულ კავშირს პირველი რედაქციის ტექსტთან ამყარებს.

როგორც დამოწმებული ნიმუშებიდან ჩანს, ამ რედაქციებს შორის „სატრფიალონშიაც“ იგივე სტილური განსხვავებანია, რაც სხვა თხზულებებში. სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირების ფაქტები გზადაგზა უკვე აღვნიშნეთ. გაკვრით მივუთითეთ განმაზოგადებელი აზრისაკენ პოეტის სწრაფვის თაობაზეც, რაც შესანიშნავად ჩანს იმ აფორიზმებში, რომლებიც S 4500-ში შემდეგ არის ჩაწერილი, ხოლო S 171-ში თავ-თავის ადგილას იკითხება. ამ მაგალითებიდან ისიც კარგად გამოჩნდა, თუ თავდაპირველ ტექსტთან შედარებით ზოგიერთ შემთხვევაში რამდენად ნატიფი და დახვეწილია ბოლო რედაქციის ტექსტი. მოვიგონოთ ერთი მაგალითი:

„თუ შენ ტვირთს შენ კი არ აზევ, ნუ ჰკიდებ სხვას, ვერ აზევსა!“ (141)

ბოლო რედაქციაში არის:

„ტვირთი შენგან უზიდავი სხვამან ვითა აიკიდოს!“

ეს უკანასკნელი ყოველმხრივ იმდენად სჯობს პირველს, რომ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ამგვარი ნიმუშების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამასთან ერთად, „სატრფიალონშიაც“ საკმაოდ გვაქვს ისეთი ნიმუშებიც, სადაც პირველი რედაქციის ტექსტი უფრო ნათელი და გასაგებია, ვიდრე შემდგომი რედაქციებისა. მაგალითად, მესამე რედაქციაში 50-ე სტროფის პირველ-მეორე სტრიქონები ასე იკითხება:

„მშობელისაგან ნაშობი გამოვა დასამსგავსებით,
გიმართებს იშვა სულისგან სულითა განსავსებით...“ (S 171, გვ. 22)

აქ ხელოვნური ფორმების „დასამსგავსებით“, „გიმართებს“ და „განსავსებით“ გამო აზრი ბუნდოვანია. კერძოდ, არ ჩანს, ნაშობის ვისთან მსგავსებაზეა საუბარი. აზრი ერთბაშად ნათელი ხდება, როცა ვეცნობით პირველი რედაქციის ტექსტს:

„რაც რამე რისგან იშვების, მისივ იქნების მსგავსებით,
მაშ, გმართებს იშვა სულისგან, სულითვე იყო სავსებით!...“ (Q 548, გვ. 36)

მეორე რედაქციაში არის:

„რაცა იშვების შობილი, მშობელსა შეემსგავსებით,
უმართებს იშვნენ სულისგან სულითა მოისავსებით...“ (M 3, გვ. 59r.)

ეს ტექსტი გაგების თვალსაზრისით მესამეს ჯობს. შეიძლება მის მხატვრულ ღირსებაზეც ლაპარაკი, გვაქვს ალიტერაცია, მაგრამ გრამატიკული გამართვისა და აზრის სისწორით გამოხატვის თვალსაზრი-

სით. იგი პირველ რედაქციასთან ვერ მოვა: მასში სტრიქონების პირველი ნახევრები მესამე პირს გამოხატავენ, მეორე ნახევრები — მეორე პირს, რაც აზრობრივ შეუსაბამობას ქმნის.

ანალოგიური ვითარებაა 89-ე სტროფის პირველ და მეორე სტრიქონებშიაც. მესამე რედაქციაში იკითხება:

„უცხოა, ამის გამოით ვინმემცა რად იჭირვისა,
მონდომებითა მისითა მჭიშნობით ვით იჭირვისა!...“

აქედან სრულებით გაუგებარია, რა ჭირსა თუ გასაჭირზეა საუბარი. ვერაფერს ხსნის წინა სტროფი. პირველ ვარიანტში კი აზრი ნათლად არის გამოთქმული:

„მიკვირს, სოფლის გულისათვის კაცი ასრე რად იჭირვის,
ანუ ვინმცა მისის ნდომით, ვფიქრობ, ვცვიფრობ, ვით იჭირვის!...“
(S 4500, გვ. 281)

მეორე რედაქციის ტექსტი გაგების თვალსაზრისით ახლოს არის პირველთან:

„დამაკვირვებს, სოფლისათვის კაცი ასე რად იჭირვის,
ანუ ვინმცა მოსახმარად, გამაფიქრებს, ვით იჭირვის...“ (M 3, გვ. 34ვ.)

მაგრამ აქაც ხელოვნური ფორმა „დამაკვირვებს“, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობით სხვა გაგება აქვს (დაკვირვება, ყურადღების გამახვილება, გულდასმით გასინჯვა), ხელს უშლის იმ შინაარსის აღქმას, რომელიც მას მოცემულ კონტექსტში აქვს — გაკვირვება, გაოცება. არც „გამაფიქრებს“ არის მთლად ბუნებრივი ფორმა და სხვა.

ახლა სხვა ნუსხების შესახებ. ზოგიერთი რედაქციული თავისებურება ახასიათებს M 1 ხელნაწერის სტროფებს. ნაწილი დამოუკიდებელი რედაქციისაა. უმეტესობა პირველ რედაქციას მიჰყვება. ვაჩვენებთ, ზოგიერთი მათგანი როგორ მოჩანს სხვა რედაქციათა ფონზე. მე-2 (20) სტროფი:

„მეტრფისთვის გვიხამს ტირილი, მოლბეს და შეგვიწყალოსა,
გაჭრა — მინდორად, ტყე და კლდე, სოფელსა გაეძალოსა;
რას ვაქნევთ სოფლის სიმდიდრეს, თუ ის კი მოგვეკრძალოსა,
ვასრულოთ მისი ბძანება, რაც ბძანოს მისმა რძალოსა!“ (1v.)

ეს სტროფი Q 548 ხელნაწერში ასე იკითხება (გვ. 28. S 4500 დაზიანებულია):

„ჩემთვის სატრფოო, შენთვის ვსტირ, მოლბე და შემიწყალო და,
გავიჭრე მინდერად, ტყე და კლდე, სოფელსა გავეძალო და,
რას ვაქნევ სოფლის დიდებას, თუ შენ კი მომეკრძალო და,
და ვასრულო მისი ნებანი, რაც ბრძანო მისმა სძალო და!“

M 3-ის (23r.) და გამოცემის ვარიანტი:

„ვტირ, სატრფოვ, მეტრფე საბრალოდ, მოლბობით შემიწყალო და,
გავიჭრე ველად, გაჭრილი სოფელსა გაეძალო და,
სოფლის დიდებას რას ვაქნევ, რადგან შენ მომეკრძალო და,
და ნება ვასრულო სასრული, რაც ბრძანოს მისმა სძალო და!"

S 171-ის ვარიანტი (გვ. 16—17):

„სატრფიალოო, შემოგტირ, მოლბობით შემიწყალო და,
განავარდნილი მინდორად სოფელსა გაეძალო და,
მოუხმარია სიმდიდრე, რადგან რომ მომეკრძალო და,
და ნებასა აღვასრულებდე, მიბძანოს მისმან სძალო და!"

როგორც ვხედავთ, სხვაობა საკმაოდ დიდია, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლები, ვიდრე აღნიშნული ძირითადი რედაქციები იძლევა.

სტროფი 65 (4):

„სულმან უთხრა: უგუნურო, რადგანა ვარ შენზე მეფე,
შენ ჩემი ხარ ჯური რამე, საყვარელი, გულის სეფე,
ამად მოგდევ, ნდომისაგან არ შემექნა გასაყელეფე,
შენ შენ ნივთსა შეერევი, მე დავრჩები მტერთ საყეფე". (1r.)

სხვა რედაქციათა წაკითხვები: S 4500 (გვ. 275):

„სულმან უგო: უგუნურო, რადგანა ვარ შენზე მეფე,
შენ ჩემი ხარ ჯური რამე, საყვარელი გულის სეფე,
ამად მოგდევ შენს ნებასა, სანდომელი გიიფე,
და შენ შენს ნივთსა შეერევი, მე გამხადე მტერთ საყეფე".

M 3 (31r.) და გამოცემა:

„უთხრა სულმან: რადგანა ვარ პატრონი და შენი მეფე,
ჩემი ხარო ჯური რამე, სამყოფელი, გასასეფე,
მოვდევ შენსა სანდომელსა, რაცა გწადღეს, გიიფე,
და ნიეთა შენთა შეეერთვი, მე გავხდები მტერთ საყეფე".

S 171 (გვ. 24):

„სულმან უთხრა: რადგანა ვარ შენსა ზედა განამეფე,
შენღა — ჯური საყვარელი, გულისათვის გასასეფე,
ამად მოგდევ სანებარსა, სანდომელი გიიფე,
და შენ ნივთებსა გაერევი, დაგირჩები დასაყეფე".

დაახლოებით ამგვარივე რედაქციულ სხვაობას გვიჩვენებს სტროფები 6(23), 7(22), 8(24), 9(25), 10(26), 11(27), 12(71), 15(72), 25(60), 58(51), 59(35), 62(1), 69(9), 70(12), 73(15), 83(42), 84(43), 97(56).

დანარჩენი მიჰყვება პირველი რედაქციის ტექსტს და მხოლოდ ცალკეული წაკითხვებით გამოირჩევა. ეს სხვაობაა:

	პირველი რედაქციის წაკითხვები:	M 1-ის წაკითხვები:
5	დ. ვინმე არს მრუშ-მსმელი არაკობითა	იგია მემრუშე მსმელ კოკობითა
16	ა. იგ; რომელსა; ეკალ	ის; რომელსაც; ეკლის
	გ. სოფელი	სოფლისა M 3
	დ. უკვდავი	+ სოფლის
18	გ. შეყრას	ეშყსა
	დ. ეშმაკისგან	ეშმაკისა M 3
27	ბ. ესვის	ეშყის
	დ. წყულებრ	წყულებრ უყოთ
31	ა. ვისმე	ვინმე
	ბ. ცუდად რასმე	ცუდათ რათმე
33	ა. სურვილი ზღვათ	ეშყის ზღვისა
	ბ. ესე მიყავ	ერთი ესე
	გ. გაეხეთქო	განეხეთქ
	დ. მისი	შენი
35	ა. ერთს ფეხზედა დგას	ერთ ფეხზე დგას და
	დ. რა მნახოს	რომე (გადახაზულია)
37	ა. მის დარად მსგავსად	მის ღაწვის დარად (ზევიდან აწერია: იმისად მსგავსად)
	გ. ნაგრუზი	ნაგრეხი
	დ. დარჩე	დარჩი
38	გ. სცემს მზე დაატფობს; ლხინთა	აქვს ანუ სითბო; ლხინის
41	ა. ვხედავ; რასმე	არის; სამე
42	ბ. თავისა მტერსა ძალს	თავის მტერს მიწყივ
63	ბ. არები	ზარები
64	გ. ცხოველ; შექმნულო	ცხოველად; შექმნილო (შექნილო M 3)
	დ. საწადსა შენ გახე	საწადზე შეიქმენ
66	ბ. თვისი	თავის
	გ. ხმელად	ძვალად
	დ. შემშჯვალულთა აგრევე ხვდეს	შემსჯვალულსა მალ ხვდეს ასე
68	ბ. მაგრამა ცუდად	მაგრამ ცუდათა
	გ. ისე	ისეუ
	დ. იმ; იმ ცუდს ვლი სოფლის ცუდასა	ამ; სხვას ცუდსა ვლეუ სოფლისა ცუდს
72	ბ. ვის უნახავს	არ იქნების (ვით იქნება M 3)
74	გ. დაშვრების	დაშვრები
75	ა. შიწასა მისცეს	მიწას მიეცეს M 3, S 171
	გ. მლაშეს და ქვიშასა არა აქეს ნაყოფთ	ქვიშას და მლაშესა სიმწვანის არ [ა]ქვს
	დ. ებაძე	ბ[ა]ძევდე
77	ა. გალატოზს; თვის საქმესა ;	კალატოზს M 3; თავის საქმეს M 3
	გ. კვლავ უფროსი მოგხვდებოდეს; კვლავე	კვლავე ადგილს გდებოდეს; კიდევ (გადახაზულია)

79	ბ. სუნს ფერსა გაუვანობსა	სულს და ფერს მოუვანობსა
	გ. სოფლად ამასვე ჰგვანობსა	სოფელში ამას მგვანობსა
	დ. ფერს მატებს და სუნსა შესაგვანობსა	ფერსა და სულს მატებს შესამგვანობსა
81	ა. რამ	რომ
	ბ. ასაწევლად	ასაწეველ
	დ. მალ შეგექნას	შეგექნების
82	ბ. იგ	ის
	გ. რითა	რათი
	დ. ისმენდე	ისმენდეს
85	გ. მის	მას
	დ. მოგცემს	მოგეცემს
87	ბ. დაუთმე	დაუთმეთ
89	დ. დაიჭირვის	რად იჭირვის
93	ბ. გაანათებს	აღენთების
94	ა. თივა ცეცხლით	~
	ბ. ვირი ქნა კაი მზმელია	ქათამს ამოყვსო მელია (გადახაზ.)
	გ. ჭრელი ფრთით გამფრენელია	ვირი ქნა კაი მზმელია (გადახაზ.)
95	ა. იეფთაცა	ქალებც მას იქ (გადახაზ.)
96	ბ. გულის	მელნის
	გ. ნარნარად	სათუთი
	დ. ტანს კვიპაროზის მემშურნეს იქით და აქათ	ტანსა ალისებრ ნაზარდსა იქით და აქეთ
98	გ. საროსა; ვარდსა ღაწვთ	ალვასა; ვარდს ღაწვთა
	დ. მოვრჩები ზამბახს უმზერი თეთრ პირით არამდარებსა	დაგვას მოვრჩები ზამბახსა უმზერ პირირთ (!) ვერა (?) მდარებთა

ამ მაგალითებში M 3 და S 171 პირველი რედაქციის ტექსტს მიჰყვება ან თავისებურია. M 1-ს რომ ემსგავსებოდეს, ამგვარი შემთხვევები მითითებული გვაქვს და, როგორც ვხედავთ, მათი რიცხვი უმნიშვნელოა.

აქ მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს და სხვა სტროფებიც ამას ადასტურებს, რომ, მიუხედავად M 3 და S 171-თან ზოგიერთი ნათესაობისა, M 1-ის რედაქციის საყრდენი და ამოსავალი პირველი რედაქციის ტექსტია. სანიმუშოდ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

მე-12 სტროფის მე-4 სტრიქონი მეორე და მესამე რედაქციებში თავისებურია:

„მეტრფიალეთა შეშვენის გარეგან განაკიდებით". (M 3, გვ. 24v.)
„მეტრფიალეთა თქვენობით განაძეთ განაკიდები!" (S 171, გვ. 18)

M 1-სა (70v.) და S 4500-ის (გვ. 268) ტექსტები არსებითად ერთნაირია:

„რადგან ტრფიალებ, ესენი ყავ (ჭენ M 1) შენგან (ყველა M 1) განაკიდებით (-ები M 1)".

მე-15 სტროფის პირველი სტრიქონი: M 3-ის წაკითხვა (25r.):

„ფუფუნი — ხორცთა შვენება — სურნელთა მრავალფერია“.

S 171-ის ვარიანტი (გვ. 18):

„კეკლუცობისა ფუფუნი სურნელობისა ფერია“.

M 1-ისა (73v.) და S 4500-ის (გვ. 268) წაკითხვა აქაც არსებითად ერთნაირია:

„შვენება. ხორცთა ფუფუნი, სურნელთა (ფშვა სურნელთ M 1) მრავალფერია“.

59-ე სტროფი M 3-სა (30r.—v.) და Q 548-ში (გვ. 38. S 4500 დაზიანებულია) ერთნაირია. რამდენადმე განსხვავებულია მე-2 სტრიქონი. M 3-ში გვაქვს:

„არ დასჯერდება ცოტასა, მჯიღვსა აღივსებს ძე, სადა“.

Q 548-ში არის:

„ცოცოტას არ დასჯერდება, მჯიღს იესებს, უნდა ძე, სადა“.

M 1-ის ტექსტი უფრო მიჰყვება Q 548-ის ტექსტს:

„ცოტ-ცოტას არა სჯერდება, მჯიღვს იესებს, უნდა ძე, სადა“.

კიდევ უფრო განსხვავებულია S 171-ის ტექსტი (გვ. 23):

„ცოტასი დაუჯერები მჯიღვსა აივსებს ძე, სადა“.

ამგვარი ნიმუშების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათი ნათელია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამრიგად, გარკვეულ რედაქციულ თავისებურებას გვიჩვენებს M 1 ხელნაწერიც. მსგავსად მეორე, და მესამე რედაქციებისა, მისთვისაც პირველი რედაქციის ტექსტია ამოსავალი.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ „ჰაშნიკში“ მოთავსებულ და ვახტანგის ხელით ნაწერ „სატრფიალონის“ სხვა სტროფებს, ისინი, ყველა, პირველი რედაქციისაა.

„ჰაშნიკში“ მოთავსებული სტროფი სამი რედაქციული სახესხვაობით არის დამუშავებული. M 3-ში (გვ. 33v.), რომელიც გამოცემაშია დაბეჭდილი, იგი ასე იკითხება:

„მიეგვანენით ეკალსა ყრმა ახალ-ნორჩი რგულებსა,
ბერი ბანბასა გაჰქონდეს, გამოითბობდნენ გულებსა,
ნუ სატაცურსა, გველსა გაეს, იჩემებს მის უსულებსა,
და ვერც ხუთოს მოგცემს, ვერც შხამსა, სარგოსა, დასაწყულულებსა“

რამდენადმე განსხვავებულ ვარიანტს იძლევა S 171 (გვ. 26):

„მიეგვანენით ეკალსა მოყმენი დანერგულებსა,
ბერი ბანბასა გაქონდეს, გამოითბობდეს გულებსა,
გველს სატაცური მიაგავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ხუთოს და შხამსა ვერ მოგვცემს, შესარგო-დასაწყულულებსა“.

ასევე განსხვავებულია S 4500-ისა (გვ. 280) და მის მიმყოლ ხელნაწერთა ვარიანტი:

„უნდა მიჰგვანდეს ეკალსა ყრმა ახალ-ნორჩი რგულებსა,
ბერი ბაბბასა გაჰქონდეს, ითბობდენ იმით გულებსა,
არ სატაცურსა, გველსა ჰგავს, იჩემებს მის უსულებსა,
და ვერც ხუთოს მოგცემს, ვერც შხამსა სარგოს და დასაწყულულებსა“.

ამ უკანასკნელს ემთხვევა „ჭაშნიკის“ ტექსტი. მათ შორის განსხვავებას ორიოდე გრამატიკული ფორმა ქმნის. „ჭაშნიკში“ იკითხება: „მოგვანდეს“, „ბამბასა გაქონდეს“ და „მოგვცემს“.

„ქმნულების წიგნზე“ ვახტანგის ხელით მინაწერი აფორიზმი ორი რედაქციით არის დამუშავებული. S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილია (გვ. 282), S 171-ში კი თავის ადგილას იკითხება (გვ. 28):

„ვერა სჯობს თაფლის სიტკბილე ფუტკრისა დაკბინებასა!“

„ქმნულების წიგნზე“ კი ვახტანგს თავისი ხელით მიუწერია ის ვარიანტი, რომელიც S 4500-ში თავიდან ეწერა და რომელიც M 3-სა (34v.) და S 4500-ის მიმყოლ ნუსხებში გვაქვს:

„არ იცი, თაფლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად!“

„ჰიდაჲათ ილ-ნუჯუმის“ ნუსხაზე მინაწერი მე-40 სტროფი („გული სევდისა სალხენად განსა ვკარ აჴარხალითა“) S 171 ხელნაწერისათვის უცნობია, S 4500-ს დაზიანების გამო აკლია. დანარჩენ ხელნაწერებში იგი ერთნაირად იკითხება, მხოლოდ ერთი განსხვავებით: M 3-ში მეორე და მესამე სტრიქონები ერთმანეთს ენაცვლება. ჩვენთვის საინტერესო მინაწერი M 3-ის თავისებურებას არ იზიარებს და Q 548-ისა და მის მიმყოლ ხელნაწერთა წაკითხვას იმეორებს. სხვაობა მხოლოდ ერთ გრამატიკულ ფორმაშია. დამოწმებულ პირველ სტრიქონში Q 548 და მასთან მყოფი ხელნაწერები კითხულობს „გული“, M 3-ში, M 1-ში

და ამ მინაწერში არის „გულის“, რაც, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ გულისხმობს საერთო წყაროს.

დასასრულს, ტრადიციული საკითხი: როგორი ურთიერთმიმართება არის S 4500-სა და მის მიმდევარ ხელნაწერებს შორის.

ოთხ ხელნაწერში — A 1776, ც/არქ. № 138, H 21 და S 526-ში რამდენიმე სტროფი გადაადგილებულია: 120-ე სტროფი გადატანილია 110-სა და 111-ს შორის, 129 და 132—133 სტროფები — 140-ის შემდეგ, რომელსაც მოსდევს ბოლო, 146, და შემდეგ 134 სტროფები. დასასრულს არის 141—145 სტროფები. სტროფული შედგენილობა 110 სტროფიდან ამ ხელნაწერებში ასეთია: ...110, 120, 111—119, 121—128, 130—131, 135—140, 129, 132—133, 146, 134, 141—145.

სტროფთა ამგვარი წყობა თხზულების რაიმე მნიშვნელოვან შინაარსობრივ ცვლილებებს არ იწვევს. აი, ყველაზე საყურადღებო, რაც არის: სხვა ხელნაწერთა მიხედვით ლირიკული გმირი მიმართავს ჯერ წინასწარმეტყველებს — პეტრეს, პავლეს, ანდრიას, იოვანეს და ა. შ. და ბოლოს უფლის ძმას (სტრ. 120). ამ ხელნაწერების მიხედვით, უფლის ძმისადმი მიმართვა გადატანილია ანდრიას შემდეგ. ეპილოგის (სტრ. 146) წინ გადმოტანით ბოლოს დარჩა და ამით 4-სტრიქონიანი სტროფებისაგან გამოიყო თითო და ორსტრიქონიან სტროფებად გამოთქმული აფორიზმები. კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა სხვა სტროფთა გადაადგილების შედეგები. ასე რომ, ჩვენთვის ნათელი არ არის, ხსენებულ ნუსხათა დედანში მექანიკური მიზეზებით მოხდა ამ სტროფთა გადაადგილება, თუ მას გარკვეული, ვთქვათ ახლახან აღნიშნული, მიზანდასახულობა ჰქონდა.

ეს ნუსხები აქა-იქ წაკითხვებითაც გამოიყოფა, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან ვარიანტს არ იძლევა. აღვნიშნავთ უმთავრეს მათგანს:

S 4500, Q 548-ის წაკითხვები:	აღნიშნულ ნუსხათა ვარიანტები:
1 დ. მაგრამ	შიგ რამ A 1776, ც/არქ. № 497, H 1048, H 21, H 153, ლიტ. მუზ.
15 ა. შევნება	ჩვენება A 1776, H 21, შვება S 526
17 ა. რებანი	რაბანი A 1776, H 21
27 ბ. ესვის	ეშვის A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 21, H 1048, S 526
37 ა. დარად მსგავსად მაგ ქვებსა	დროდ მგზავსად მაქებსა A 1776, H 21
48 გ. სად გზაა	სადა გზა A 1776, H 21
55 დ. და	— A 1776, ც/არქ. № 138
57 დ. ყაპუზინათა	ყაპუზანისა A 1776, ც/არქ. № 138, H 21, S 526
60 გ. ანაკიდებით	განაკიდებით A 1776, ც/არქ. № 138, H 21

61 ა. მგლოვარესა	მგლოვარეთა A 1776, ც/არქ. № 138, H 21
106 ბ. ბეებნისგან	ბებნისაგან A 1776, ც/არქ. № 138, ძებნისაგან H 21, S 526, H 153
111 დ. საყვარელო	საკურველად A 1776, ც/არქ. № 138, საკვირველად H 21, S 526
126 დ. სიმშვიდე	მშვიდობა A 1776, ც/არქ. № 138, H 21
130 ბ. სჯულსა	სულსა A 1776, H 21
137 გ. მასვე სახესა	მას სანახესა A 1776, ც/არქ. № 138, H 21, მას სანახსა S 526

134-ე სტროფის მეორე სტრიქონი არ არის A 1776 და H 21 ნუსხებში.

ეს არის თითქმის ყველა მეტად თუ ნაკლებად საყურადღებო თავისებურება, რომელთაც ეს ნუსხები ერთად ან რამდენიმე ერთად ამჟღავნებს. როგორც ვხედავთ, თავისებურებანი ცოტა და უმნიშვნელოა.

„სატრფიალონშიაც“ განსაკუთრებით ახლოს არის ერთმანეთთან Q 548, ლიტერატურული მუზეუმისა და H 153 ნუსხები. გარდა იმისა, რომ ისინი ზედმიწევნით მიჰყვებიან ერთმანეთს და მხოლოდ უმნიშვნელო წაკითხვებით განსხვავდებიან, აქა-იქ ნიუანსური საერთო წაკითხვებით გამოიყოფიან კიდეც. მაგალითად, მხოლოდ ამ ხელნაწერებში იკითხება „თუ ხელსა“ (14, 1), „ძე სადა“ (59, 1), „მომაბეროს“ (69, 4), ნაცვლად ფორმებისა „თუცა ხელს“, „ზე სადა“, „მოაბეროს“ და სხვა. მხოლოდ Q 548 და H 153 ნუსხებში გვაქვს ფორმები „მსგავსი“, „გაუნობსა“ (79, 2), „დასაწვილებსა“ (85, 4), „სასიაო“ (132, 2), ნაცვლად ფორმებისა „მას გავს“, „გაუვანობსა“, „დასაწყლულებსა“, „სასიავო“ და სხვა. Q 548-ში აღდგენილია ნაწილები რამდენიმე სტროფისა, რომლებიც განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვებს იძლევა. გვაქვს „შტო“ (102, 3), „ჩჩვილ“ (104, 2), ნაცვლად ფორმებისა „რტო“, „ჩვილ“. იმავე აღდგენილ ტექსტში გვაქვს „ხილად“, ნაცვლად სიტყვისა „ფოთლად“ (102, 4); გამოტოვებულია სიტყვები „მათ“ (103, 2), „გულსა“ (129, 3). ყველა ამ თავისებურებას იმეორებს H 153. მე-20 სტროფის ბოლო სტრიქონში მხოლოდ ლიტერატურის მუზეუმისა და H 153 ნუსხებშია მცდარი წაკითხვა „მალხიდვო“, ნაცვლად „მახილვო“-სა. Q 548-ში წერია „მალხილვო“, სადაც „ი“-სა და „ლ“-ს შორის ერთი ასო წაშლილია.

თავის მხრივ Q 548 აქაც გამორჩეულად ემსგავსება S 4500-ს, უფრო ზუსტად, მის პირვანდელ სახეს. S 4500-სა და სხვა მის მიმყოლ ხელნაწერებში მე-14 სტროფის პირველ სტრიქონში იკითხება „თუცა ჯელს“. როგორც ზემოთ მივუთითეთ, Q 548, ლიტერატურული მუზეუმისა და H 153-ში მის ნაცვლად არის „თუ ჯელსა“. თავიდან ასევე ყო-

ფილა S 4500-შიაც (გვ. 268), სადაც დღეს „თუცა“-ში „ცა“ ზემოდან არის ჩაწერილი, ხოლო „კელსა“-ში „ა“ გადახაზულია.

მე-19 სტროფის პირველ სტრიქონში S 4500-ში იკითხება: „ესე რა მესმა იმისგან“. Q 548, A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 975, H 1048, ლიტერატურული მუზეუმის, S 526 და H 153 ნუსხებში მის ნაცვლად წერია „რა ვისმინე ესე მისგან“. ჩანს, თავიდან ასევე ეწერა S 4500-შიაც[61].

ვფიქრობთ, ეს მაგალითები აქაც მიგვანიშნებს S 4500, Q 548, ლიტერატურული მუზეუმის, H 153 ნუსხათა ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირზე.

სხვა ვარიანტები რედაქციული თვალსაზრისით რაიმეს საყურადღებოს არ იძლევა. აი, უმთავრესი კითხვა-სხვაობანი, რომლებითაც ეს ხელნაწერები გამოიყოფა:

S 4500, Q 548 ნუსხების წაკითხვები:	სხვა ნუსხათა წაკითხვები:
1 დ. მაგრამ	შიგ რამ A 1776, ც/არქ. № 297, H 21, H 1048, H 153, ლიტ. მუზ.
10 ბ. კაცისაა მწვე ნაკლების	კაცისა მწვეთ მე ნაკლების S 526
11 დ. მევე	მეღე H 957
20 ა. გულსა მჭონდა	~ ლიტ. მუზ.
დ. გნუკავ	განუკვ A 1776, ც/არქ. № 138, 297, H 21
21 ა. მჯვრეტთ მალხინებელო	მჯვრეტელთა მჭებელო S 526
ბ. ზნეთა	ზენარ A 1776. H 957, H 21, ზნე რა ც/არქ. № 138, 297, H 1048
22 დ. ვინცა რასმე	ვინმე რასა S 526
23 ა. ბულბულს	შევბის S 526
გ. მათში	მთაში H 957, ცაში H 1048
25 ბ. რა	რომ ლიტ. მუზ.
26 დ. მეტყვის ხარო	ეტყოდიან H 153
28 გ. თქმისი	ღირსი S 526
დ. სხვაა უშვერია ზრახვა მისი	სხვა არს შენი ბრწყინვალების საკადრისი S 526
31 ბ. თვალს	ალს H 21
32 გ. რამ	რომ S 1624
35 დ. ისევ	მისვე H 21
36 დ. იშნის	ნიშნის ლიტ. მუზ.
37 ა. ჭვებსა	ჭებას Q 548, S 1624, H 153, ლიტ. მუზ.
გ. ნაგრუზი	ნარგიზი ლიტ. მუზ.
38 ბ. მისად	მისთვის A 1776, ც/არქ. 297, H 21, ლიტ. მუზ.

[61] Q 548, A 1776, ც/არქ. № 138, S 526 და სხვა ნუსხებში 40 და 41 სტროფთა მეორე და მესამე სტრიქონები ერთმანეთს ენაცვლება. ადვილი შესაძლებელია, ასევე ყოფილიყო S 4500-შიაც, რომელსაც დაზიანების გამო ეს სტროფები აკლია.

	დ. ჩემსა გულსა	~ A 1776, ც/არქ. № 297, S 1624, H 153
	არს	აქვს A 1776, ც/არქ. № 297, S 1624, H 21, ლიტ. მეზ.
45	ბ. ჩვენს მოქმედს ჩვენგან	ჩვენგან ჩვენს გამჩენს ლიტ. მეზ.
46	ა. ზმნისანი	მზისანი A 1776, ც/არქ. № 297, H 21, მზიანი S 526
	დ. ყვავილის მსგავსად ღაწლი	ღაწლი ყვავილის მსგავსი ლიტ. მეზ.
47	ა. რა	რამ Q 548
51	გ. ნაქნარი	ცოდვანი ლიტ. მეზ.
52	გ. იცის	ოცის H 21
	გზანი ძნელები	წინამძღოლები S 526
53	ბ. მრავალ	ჯარის S 526
54	ბ. ეის	ეინ Q 548, A 1776, ც/არქ. № 297, H 153
	ვის სიბრძნის	სიბრძნისა S 526
67	ბ. თვით	თაეს S 526
70	ა. შეღმა	შალმსა H 21
	ბ. გაღიდდებისა	გადინდებისა S 526
73	ბ. ალარ დაიზარა	აღა დაიძასრა S 526
	დ. გარის	კარის S 526
76	ბ. იტყვის უარსა	იცნობს ეს რა S 526
	გ. მაშ შენგან რაცა	ანუ შიგან რაც S 526
81	დ. შეგეჭნას მტრობის კლიტით	შემზერდა ნაძლაობის კლიტის S 526
86	გ. ან	თუ S 526
87	ბ. გაირჯებითა	გიყოს რაეითა S 526
	გ. ეს საქმე თვალუხვებითა	ყოველი კეთილი რაეითა S 526
92	ა. ღელვის	ელვის S 526
94	დ. რაცა გაქვს	რაღაც შენი S 526
96	გ. ნარნარად	სანდომათ S 526
99	დ. მქცეელსა	მცველსა S 526
114	გ. ხურობის განმაგულია	ხურობისა გულია S 526
119	დ. მტერის	მზრის S 526
120	ა. იყავ გამომხდელი	მსმელი S 526
	ბ. არა შუამე ცხოველად მზდელი	არას ჰამდა ცხოვარ მმგელი S 526
	გ. სამურკვნელო; მცდელი	სამკურნალოდ; მქნელი S 526
121	ა. ვის არ ჰქონდეს ესე გულად	ვისაცა ეაქვსთ მისთვის გული S 526
	ბ. მონაკლულად	გულზე წყლული S 526
	გ. სრულად	რგული S 526
	დ. მონაძულად	მონამული S 526
122	ა. წინა	ფიქრი S 526
125	ა. მოგერება	მოხმარება S 526
126	ა. მეტრფე სატრფოსთვის	უტურფე მარად S 526
	ბ. შეფრფინვიდეს და შემზერდეს	მივიდეს მზერდეს S 526
129	დ. გაუცივდება	გაუცვდება H 153
130	ა. მოლაშქრეს	მოყვარეს S 526
	ბ. სჯულსა	სულსა A 1776, ც/არქ. № 138
136	ა. განეგო	გამოვა S 526

137	გ. მღვრიეთ	მოდრეკით S 526
	დ. ასე იქმს რას	მოუშვებს რათ S 526
138	დ. ამ საკრულებსა	საკურველებსა S 526
140	ა. ყრმათა უყრმე	ბერთა უბრმე S 526
	ბ. ცუდად	ასე S 526

და სხვა.

ამრიგად, „სატრფიალონი" ვახტანგ მეექვსეს თავიდან ბოლომდე ორი, ნახევარზე მეტი სამი და მცირე ნაწილი ოთხი რედაქციული სახესხვაობით დაუმუშავებია. პირველი რედაქციისაა S 4500, Q 548 და სხვა არაავტოგრაფულ და არაავტორიზებულ ნუსხათა ტექსტი. შიგადაშიგ რამდენიმე სტროფით, ცალკეული სტრიქონებითა და წაკითხვებით, ხოლო 91-ე სტროფიდან ბოლომდე ამავე რედაქციას განეკუთვნება M 3. ორი ათეული სტროფისა და ცალკეული წაკითხვების გარდა, ამავე რედაქციულ ტექსტს იძლევა M 1.

დაახლოებით 1—90 სტროფებში მეორე, ე. წ. შუალედური რედაქციისაა M 3.

მესამე, ბოლო რედაქციის ტექსტის შემცველია S 171.

ცალკეულ, დაახლოებით ორ ათეულ სტროფში მეტწილად და სხვებში აქა-იქ თავისებურ რედაქციულ ტექსტს იძლევა M 1.

ეს რედაქციული გრადაცია სწორხაზობრივი არ არის. ყველა მომდევნო რედაქციული ტექსტის საფუძველთა საფუძველი პირველი რედაქციის ტექსტია.

გარკვეული ორგანული კავშირი აქვს ერთმანეთთან, ერთი მხრივ, A 1776, ცენტრალური არქივის № 138, H 21 და S 526, ხოლო, მეორე მხრივ, Q 548, ლიტერატურული მუზეუმისა და H 153 ხელნაწერებს.

ზ. „სიბრძნე მალალოგელი"

ეს ვახტანგის ყველაზე ვრცელი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც სიდიდით საგრძნობლად აღემატება ყველა მის პოეტურ თხზულებას, ერთად აღებულს. შეიცავს ერთ-, ორ-, უფრო მეტად ოთხ-, იშვიათად შვიდ და მეტსტრიქონიან 820-მდე სტროფს.

როგორც დადგენილია და გაკვრით შესავალშიაც აღვნიშნეთ, ამ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს რუსულიდან ერასტი თურქისტანიშვილის მიერ ნათარგმნი „აპოფთეგმეტას" პროზაული ტექსტი, მისი მოკლე რედაქცია[62]. ეს თარგმანი გამოაქვეყნა ლ. ძოწენიძემ[63], სადაც

[62] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 487—490; ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას" ქართული რედაქციები; ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 282—286 და სხვა.

[63] სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, ტექსტი გამოსაცემად

პირველი ორი წიგნი (გვ. 27—79) სწორედ იმ ტექსტის შემცველია, რომელიც ვახტანგმა გამოიყენა, ხოლო მესამე წიგნი (გვ. 80—88) ვრცელი რედაქციისაა, საიდანაც ვახტანგმა მხოლოდ მცირე ნაწილი გალექსა, კერძოდ, ის ტექსტი, რომელიც გამოცემაში 75—84 სქოლიოებად არის დაბეჭდილი.

ლ. ძოწენიძემ გაარკვია, რომ მთარგმნელს უსარგებლია „აპოფთეგმატას" მეოთხე, 1723 წლის პეტერბურგული გამოცემით[64].

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აღნიშნული თხზულება ერასტი თურქისტანიშვილმა ვახტანგის დავალებით თარგმნა. ადრე ეს თვალსაზრისი ვარაუდის სახით იყო წამოყენებული. ლ. ძოწენიძე წერდა: „როგორც ჩანს, ამ კრებულის არსებობა და მისი ასეთი პოპულარობა უყურადღებოდ არ დარჩენიათ იმ დროის ქართველ მოღვაწეებს და მომწიფებულა აზრი, მიეწოდებინათ იგი ქართველი მკითხველისათვის.

მოსკოვის კოლონიის ერთ-ერთ მოღვაწეს ერასტი თურქისტანიშვილს, ვფიქრობთ, ვახტანგის თხოვნით (თუ დავალებით) უთარგმნია ეს კრებული ქართულად...

როდესაც ჩვენ ვეცნობით „აპოთეგმატას" აგებულებასა და იდეალებს, გასაგები ხდება ვახტანგ VI-ის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ინტერესი მისდამი. ვახტანგის მიზანი იყო ეთარგმნა და შეედგინა პრაქტიკულად გამოსადეგი წიგნი ადამიანისათვის საჭირო ზნეობის წესების და ჩვევების სასწავლო სახელმძღვანელოდ"[65].

ე. მეტრეველი წერს: „თურქისტანიშვილის «აპოთეგმატა» გამოკრებილი და თავისებური თარგმანია... საფიქრებელია, რომ იგი ვახტანგის განკარგულებით და ვახტანგისათვის იყო შესრულებული თავიდანვე მისი გალექსვის მიზნით"[66].

ლ. ძოწენიძის ბოლოდროინდელ გამოკვლევაში აღნიშნული აზრი გადაჭრით არის გამოთქმული: „«აპოფთეგმატა», ანუ «სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა» ქართულ ენაზე ითარგმნა ვახტანგ მეექვსის სურვილითა და დავა-

---

მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლალი ძოწენიძემ, თბ., 1978.

[64] ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას" ქართული რედაქციები, გვ. 43: თუმცა აქ შეცდომით მოსკოვისა წერია, მაგრამ, ჩანს, პეტერბურგისა იგულისხმება, შდრ.: გვ. 36.

[65] იქვე, გვ. 36—37.

[66] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 265.

ლებით ერასტი თურქისტანიშვილის მიერ მოსკოვში. ვახტანგის დაინტერესებას ამ ძეგლით ალბათობებდა უპირველესად მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ქართულ მწერლობას ჰქონდა დიდაქტიკურ-მორალური და იგავ-არაკული ლიტერატურის თარგმნის საქმეში"[67].

დ. ბრეგაძე აღნიშნავს: „ინიციატივა «აპოვთეგმატას» ქართულ ენაზე თარგმნისა ერასტის არ უნდა ეკუთვნოდეს. მთარგმნელი მოქმედებს ვახტანგის დავალებით..."[68]

იგივე აზრი კატეგორიული ფორმით გამოთქმულია „ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეულის მეორე ტომში: „ვახტანგ VI-ის დავალებით მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთმა მოღვაწემ ერასტი თურქესტანიშვილმა (გარდ. 1735 წ.) რუსულიდან თარგმნა «აპოვთეგმატა»" (გვ. 519).

იგივე გამეორებულია ბოლო დროს გამოქვეყნებულ საცნობარო ლიტერატურაში. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" გ. იმედაშვილი წერს: „თურქისტანიშვილი ერასტი... ქართველი მწიგნობარი. ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში 1724. მეფის დავალებით რუსულიდან თარგმნა «აპოვთეგმატა»" (ტ. 5, 1980, გვ. 19).

წიგნში „ქართული მწერლობა. ლექსიკონი-ცნობარი" ვკითხულობთ: „თურქისტანიშვილი ერასტი (?—1735) — მთარგმნელი, მოსკოვის ქართული კოლონიის მოღვაწე, ვახტანგ მეექვსის დაახლოებული პირი. 1724 წ. მოსკოვში გაჰყვა ვახტანგის ამალას. ვახტანგის დავალებით რუსულიდან პროზად გადმოიღო დიდაქტიკურ-მორალისტური კრებული «აპოვთეგმატა»..." (წიგნი I, თბ., 1984, გვ. 123—124).

ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ცნობა არსად მოიპოვება. ვახტანგის ნასწორებ და მისგან მომდინარე ნუსხების სათაურებში მითითებულია, რომ პროზაული ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ერასტი თურქისტანიშვილს, ლექსითი ვერსია — ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ არაფერია მინიშნებული ვახტანგის როლზე პროზაული თარგმანის შესრულებაში.

პირველი წიგნის სათაურია: „ქ. მოკლედ სიტყვისგება სოგრატისი, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანიშვილისაგან და ლექსად ნაბრძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან,

[67] შესავალი წერილი გამოცემისა: სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, გვ. 11.

[68] დ. ბრეგაძე, წარსულის სიახლოვე, გვ. 87.

რომელსა ეწოდების «სიბრძნე მალაღობელი». მრავალჟამიერ ყოს უფალმან[69] (+ამინ Q 548, S 1624, H 153)" M 3, S 171, Q 548, S 1624, H 153 (S 4500 დაზიანებულია).

მეორე წიგნის სათაური: „მოკლედ გამოსახსნელი ამბავი, წიგნი მეორე, რომის კეისრებისა, სხვათა მეფეთა (+ და S 171), მთავართა და მხედართმთავრებისა (მხედართა S 171) მეფის (საქართველოს პატრონის Q 548, H 153) ვახტანგისაგან ლექსად თქმული" S 4500, M 3, S 171, Q 548, H 153.

აღნიშნულ საკითხზე არაფერია ნათქვამი ერცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერთა სათაურშიაც: „აპოფთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვათა წიგნი სამი. მათ შინა არიან დადებულნი თვითეულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრება და ქცევა, იგავნი (რომელ არიან სახისმეტყველებანი) და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილოსოფოსთა"[70].

ამავე საკითხზე ვახტანგი დუმს „სიბრძნე მალაღობელის" ეპილოგში, სადაც მოცემულია ცნობები ამ თხზულების შექმნის თაობაზე.

„ლექსი მას უქეთ, ვინც იყოს ამბისაც თვითვე მთქმელები,
მე ბრძენთა სიტყვა გავლექსე, სათქმელად გასაძნელები,
და ვეცადე, იყოს სიმოკლით, სხვისა სხვად საგებელები..." (810)

ანალოგიური ვითარებაა მელქისადეგ კავკასიძის ანდერძშიაც, რომელიც ვახტანგის პოეტურ თხზულებათა მთელ კრებულს ეხება და არა მარტო „სიბრძნე მალაღობელს": „ბრძანებითა მეფეთ მეფისა პატრონის ვახტანგისათა, ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზმი ხელოვან ოსტატისათა, «ბრძენთ სალაღობელ» წოდებით, სიტყვითა გვარადისათა, და ესწერ მესხი ვინმე[71] მდივანი გვარითა კავკასძისათა".

(S 4500, გვ. 290—291).

[69] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 175.

[70] სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა, გვ. 25; შდრ.: გვ. 27, 71, 80; ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას" ქართული რედაქციები, გვ. 44—46.

[71] M 3-ში „მესხი ვინმე"-ს ნაცვლად წერია „მელქისადეგ". როგორც ეხედავთ, არ არის სწორი ცნობა, რომ თითქოს „ეს სტროფი არ ახლავს S 4500-ს. იგი «თავისებური ხელნაწერი გამოცემის» (ე. ი. M 3-ის. — ბ. დ.) საკუთრებაა" (დ. ბრეგაძე, წარსულის სიახლოვე, გვ. 92).

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა, კერძოდ, პირადად ვახტანგის და მის სამეფო კართან შემოკრებილ მწიგნობართა ნამუშევრების გაცნობა გვიჩვენებს, რომ საგანგებოდ ხდებოდა აღნიშვნა იმ ღვაწლისა, მათ შორის საინიციატივო ხასიათისა, რომელიც ამა თუ იმ პირს და მით უფრო მეფეს, მიუძღოდა ძეგლის დამუშავებაში[72]. და, რადგან ზემოთ დამოწმებულ დოკუმენტებში, რომელთა უმრავლესობას ვახტანგი კარგად იცნობდა, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, „აპოფთეგმატა" ვახტანგის დავალებით ითარგმნა თუ არა, უნდა ვიფიქროთ, იმიტომ რომ ამგვარი რამ არ ყოფილა.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს თვალსაზრისი, თითქოს „აპოფთეგმატა" ერასტი თურქისტანიშვილს ვახტანგ მეექვსის დავალებით ეთარგმნოს[73].

ცნობილია, რომ, და ეს თხზულების ეპილოგშიც არის აღნიშნული, „სიბრძნე მალალობელი" პოეტს მოსკოვში დაუწერია:

„ქირმანს «ქილილა-დამანა», მოსკოს ვარ ამის მთქმელია..." (807, 1)

„აპოფთეგმატაში" და ამის კვალობაზე ქართულ პროზაულ თარგმანსა[74] და ლექსით ვერსიაში გადმოცემულია: პირველ წიგნში — სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ანტისთენეს, დიოგენეს, თალესის, ზენონის, სოლონის, არისტოფანეს, ანაქსაგორას, აღათოკლეს, ეპიკურეს და სხვა ფილოსოფოსთა ბრძნული გამონათქვამები; მეორე წიგნში — ჰკუის სასწავლო მოკლე ეპიზოდები კეისრების, მეფეებისა

---

[72] ამ საკითხზე იხ. ჩვენი ნარკვევი: ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჯაშნიკი", წიგნში: მწიგნობარი-83, თბ., 1984, გვ. 244—258.

[73] ჩვენ არც ის თვალსაზრისი მიგვაჩნია სარწმუნოდ, რომ „თურქისტანიშვილმა იმთავითვე თარგმნა «აპოთეგმატას» სამიეე წიგნი, შემდეგ გარკვეული მიზნით (ვახტანგ მეექვსისათვის) შექმნა «აპოთეგმატას» თავისებური მოკლე რედაქცია, რომელიც ვახტანგ VI-მ გალექსა. თურქისტანიშვილის თავდაპირველი თარგმანი დავიწყებას მიეცა და დაიკარგა; შემოგვრჩა მხოლოდ ის რედაქცია, რომელიც ვახტანგ VI-მ გამოიყენა" (ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას" ქართული რედაქციები, გვ. 48).

ამ შეხედულებამაც ძლიერ მოიკიდა ფეხი (იხ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 519; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 143; დ. ბრეგაძე, წარსულის სიახლოვე, გვ. 87—88; ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, I, გვ. 124).

სწორი უნდა იყოს ელ. მეტრეველის შეფასება: „ჩვენ ვფიქრობთ,... მან (ერასტი თურქისტანიშვილმა. — ბ. დ.) ზუსტად კი არ თარგმნა «აპოფთეგმატა», არამედ გამოკრიბა, დახვეწა და უფრო კომპაქტური გახადა ტექსტი. ეს მიზანი მას თავიდანვე უნდა ჰქონოდა" (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 265).

[74] თუმცა ლ. ძოწენიძემ აჩვენა, რომ დედანთან შედარებით ე. თურქისტანიშვილისეული თარგმანი თავისუფალი და თავისებურია (რუსული „აპოთეგმატას" ქართული რედაქციები, გვ. 59—77).

და მხედართმთავრების, სახელდობრ, იულიანე და ავგუსტუს კეისრების, ციცერონის, ალექსანდრე მაკედონელის და სხვათა ცხოვრებიდან, მათი შეგონებანი; მესამე წიგნში, რომლისაგან ლექსით ვერსიაში მცირე ნაწილი შევიდა, მოთხრობილია ლაკედემონის სახელმწიფოს მკვიდრთა ასევე სიბრძნის შემცველი სიტყვები და სათავგადასავლო ეპიზოდები.

ლ. ძოწენიძემ ისიც გაარკვია, რომ ვახტანგს მხოლოდ ერასტი თურქისტანიშვილისეული თარგმანი გამოუყენებია და რუსული დედნით არ უსარგებლია[75].

ვახტანგს, როგორც ეს ძველად მიღებული იყო და „ამირ-ნასარიანშიაც“ გვაქვს, თავისი თხზულებისათვის დაურთავს სამსტროფიანი პროლოგი და შვიდსტროფიანი ეპილოგი, ხოლო მეორე წიგნისათვის— სამსტროფიანი შესავალი.

გარდა ამისა, ვახტანგი ხშირად ავითარებს დედნისეულ აზრებს და ცალკე ლექს-სტროფებად ჩამოყალიბებულ ახალ-ახალ დარიგებებსა და სენტენცია-აფორიზმებს გვთავაზობს.

ამრიგად, „სიბრძნე მალაღობელში“, გარდა ლექსითი და რედაქციული სიახლეებისა, ტექსტის საკმაოდ დიდი ნაწილი ვახტანგის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის პოეტურ კრებულთა რედაქციული შესწავლისას მთავარი ყურადღება ყოველთვის „სიბრძნე მალაღობელზე“ იყო გადატანილი. მაშინ, როდესაც პოეტის სხვა თხზულებათა შესახებ მხოლოდ გაკვრით არის მსჯელობანი, ეს ნაწარმოები ამ თვალსაზრისით რამდენჯერმე და საგანგებოდ არის განხილული. მიუხედავად ამისა, იგი ჯეროვნად შესწავლილი მაინც არ არის და საკვანძო საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. მაგალითად, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის (1966 წ.) ცნობით, „თურქესტანიშვილისეული თარგმანი მან (ვახტანგმა. — ბ. დ.) გალექსა რამდენიმე რედაქციით“ (გვ. 519). კ. კეკელიძე წერს: „მერე ერასტის პროზაული თარგმანი გაულექსავს ვახტანგ მეფეს მოსკოვში ორი სხვადასხვა რედაქციით, ზოგიერთი ადგილი სამითაც“[76]. ლ. ძოწენიძე 4 რედაქციას ასახელებს: „დანარჩენი ხელნაწერები, რომელნიც ლექსითს რედაქციას შეიცავენ, გვიანდელია და არც რედაქციულ სხვაობას იძლევა, არსებითად იმეორებენ ერთ-ერთს ამ 4 რედაქციიდან“[77]. ლ. მენაბდე წერს: „ხელნაწერებში «სიბრძნე მალაღობელი» რამდენიმე რედაქციითაა შემონახული. ზოგჯერ

---

[75] რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, გვ. 79.
[76] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 490.
[77] რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, გვ. 80.

ტექსტის ერთი და იგივე ადგილი სამნაირადაა წარმოდგენილი... მეტწილად კი ერთი და იგივე ადგილი ოთხი რედაქციითაა ცნობილი"[78]. გამონაკლისის გარეშე, ოთხი რედაქციაა აღიარებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში: „ყველაზე სრულია «აპოფთეგმატა», რ[ომელ]იც ერასტი თურქისტანიშვილს გადმოუღია... ეს კრებული ოთხი სხვადასხვა რედაქციით გაულექსავს ვახტანგ VI-ს" (I, 1975, გვ. 516).

განსხვავებული შეხედულებანია გამოთქმული რედაქციათა ურთიერთმიმართებისა და წარმომავლობის თაობაზე[79].

„სიბრძნე მალალობელი" ნ ხელნაწერშია შესული. ესენია: S 4500 (გვ. 1—210), M 3 (41r.—113v.), S 171 (გვ. 35—107), Q 548 (გვ. 55—206), S 1624 (გვ. 39—53), H 153 (გვ. 44—165). S 4500, Q 548, S 1624 და H 153-ში ის პროზაულ ტიქსტთან ერთად არის: ცალკეულ ლექსტროფებს წინ უძღვის შესაბამისი პროზაული ტექსტი. M 3-სა და S 171-ში მხოლოდ ლექსითი ვერსიაა, თუმცა M 3 პროზაულ ტექსტსაც შეიცავს, ოღონდ ცალკე, გამოყოფილად (გვ. 141r.—194r.).

S 4500 დაზიანებულია. აკლია 1—19, 1—3 და 44—54 სტროფები.

„სიბრძნე მალალობელი" სრული სახით დაბეჭდილია მხოლოდ ალ. ბარამიძის გამოცემაში (1947 წ., გვ. 92—168; 1975 წ., გვ. 96—157). მისი პირველი პუბლიკაცია („ცისკარი", 1853, № 4, გვ. 57—80, № 6, გვ. 51—80) ნაწილს, თავის პროზაულ ტექსტთან ერთად 1—168 სტროფებს შეიცავს.

ამ თსზულებას რედაქციული თვალსაზრისით განიხილავენ კ. კეკელიძე, ლ. ძოწენიძე და დ. ბრეგაძე.

კ. კეკელიძე, რომელიც ორ ძირითად რედაქციას გამოყოფს, პირველადად თელის S 171-ის ტექსტს, ხოლო მეორადად — S 1624 და S 4500-ის ტექსტს. „ვახტანგის ამ შრომას — წერს იგი, — თვით ვახტანგის დროს და მისი ხელით განუცდია რამდენიმე რედაქცია: ერთი რედაქცია ჩვენ გვაქვს S 171 ხელნაწერში (გვ. 35—107), ხოლო მეორე — ხელნაწერებში: S 1624 და S 4500 (უთავოდ). პირველში მოყვანილია მარტო ლექსი, უკანასკნელში — ჯერ პროზაული თარგმანი ერასტისა, მუსლობრივ, მერე ლექსი ვახტანგისა (ნაწილი მეორე რედაქციისა დაბეჭდილია «ცისკარში»). თავდაპირველი რედაქცია უნდა იყოს S 171, რომელიც სულ ერთიანად აჭრელებულია ვახტანგის ხელით: მას წაუშლია და შეუცვლია არა მარტო სიტყვები და წინადადებანი, არამედ სტრიქონები და სტროფები, ჩაუმატებია ახალი

---

[78] ვახტანგ მეექვსე, გვ. 144.

[79] გარდა დასახელებული ლიტერატურისა, „სიბრძნე მალალობელის" შესახებ იხ.: გ. ჯობლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VI, გვ. 15—18.

სტროფები, ზოგი კიდევ პატარა ქაღალდის ნაგლეჯებზე დაუწერია და შიგ ჩაუწებებია. ეს შესწორებული რედაქცია მოთავსებულია S 1624 და S 4500-ში. უკანასკნელში ამ კრებულის ორი წიგნი კიდევ შეუსწორებია და შეუვსია ვახტანგს. ეს შესწორება-შევსება გამოიხატება იმაში, რომ არშიაზე მოუწერია ამა თუ იმ სტროფის ახალი რედაქცია"[80].

აქვეა გაკეთებული შენიშვნა: „ამ თხზულების მესამე რედაქცია გამოცემულია ა. ბარამიძის მიერ" (გვ. 489).

ალ. ბარამიძის პუბლიკაციის ტექსტი აქაც M 3-იდან მოდის. ზემოთ უკვე რამდენჯერმე იყო მითითებული, რომ მკვლევარი მას ბოლო რედაქციად თვლის. პირველი რედაქციის ტექსტად ასახელებს S 4500-სა და Q 548-ს, ხოლო S 171-ს „ახლად შესწორებულ რედაქციად" მიიჩნევს.

ანალოგიური დასკვნებია მიღებული ლ. ძოწენიძისა და დ. ბრეგაძის ნაშრომებში, რომლებშიაც საგანგებოდ არის განხილული ეს საკითხი.

ლ. ძოწენიძე ხელნაწერებს ამ რიგით განიხილავს: S 4500, Q 548, S 171, და M 3. ჩანს, ეს რიგი, გარდა Q 548-ისა, მათ რედაქციულ თანმიმდევრობას გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ S 4500, Q 548 პირველი რედაქციისაა, ხოლო M 3 — ბოლო რედაქციისა. „ამ ხელნაწერთაგან — წერს ავტორი, — რედაქციულად ყველაზე ადრინდელი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს S 4500, რომელიც თავის მხრივ ორ რედაქციას იძლევა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ვახტანგ VI-ს ძირითადი რედაქცია შეუსწორებია. შეუცვლია არა მარტო სიტყვები და წინადადებები, არამედ სტროფებიც და ზოგჯერ აშიაზე დამატებითი სტროფებიც ჩაურთავს. Q 548 თითქმის უცვლელად იმეორებს S 4500-ის პირველ, ძირითად რედაქციას"[81].

S 171 და M 3-ს შესახებ ციტირებულია ალ. ბარამიძის შეხედულება ამ ხელნაწერთა რედაქციულ რაობაზე: „S 171 ძირითადად ეყრდნობა S 4500-ის ნასწორებ ტექსტს, თუმცა აქაც საკმაო თავისებურებას იჩენს — S 4500-ის შეუსწორებელი ტექსტის მიმართ. თავის მხრივ S 171-იც ნასწორებია ვახტანგის მიერ (იშვიათად); ამ ნასწორებ ტექსტს სხვაგან ალარ უპოვია გამოძახილი. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 83 ხელნაწერი (ე. ი. M 3. — ბ. დ.) ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერზე გვიანდელი უნდა იყოს, რადგან მასში

---

[80] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 488.

[81] რუსული „პოეთეგმატას" ქართული რედაქციები, გვ. 79—80.

ყველა მათგანის კვალი ჩანს“ (იქვე, გვ. 79—80). თავის მხრივ მკვლევარი უმატებს: „აქ გათვალისწინებულია სამივე რედაქცია, და ამდენად, თავისებურად არის ტექსტი რედაქტირებული. დანარჩენი ხელნაწერები, რომელნიც ლექსითს რედაქციას შეიცავენ, გვიანდელია და არც რედაქციულ სხვაობას იძლევა“ (გვ. 80).

ამ ხელნაწერებს ასეთივე რიგითა და შეფასებით განიხილავს დ. ბრეგაძე. „თავისთავად S 4500 — წერს მკვლევარი, — ყველაზე უძველესი ხელნაწერია. მასში შეტანილი არის «აპოთეგმატას» პირველი პროზაული ვერსია და გალექსილიც. პროზის ყველა მონაკვეთს გალექსილი ადგილები ახლავს პარალელურად. მელქისედეგი, ალბათ, ვახტანგის მიერ შესრულებული შავიდან ახდენდა გადაწერას, როგორც ჩანს, მისი დახმარებითა და თვალმიდევნებით. S 4500 ხელნაწერის სიძველეზე ისიც მიუთითებს, რომ აქ მოთავსებული გალექსილი ვერსიის პირვანდელი ვარიანტის სიტყვიერი მარაგი თითქმის პროზაულიდან მომდინარეობს და დიდად არ სცილდება მას“[82].

„Q 548 — განაგრძობს ავტორი, — არსებითად მიჰყვება S 4500-ში შეტანილ პირვანდელ რედაქციას და საერთოდ ვერ ითვალისწინებს ვახტანგისეულ შესწორებებს, თვით სიტყვის თავზე ასოების დასმით გადააღგილებაც კი არაა გათვალისწინებული. ეს ადასტურებს, რომ Q 548 გადაწერილია S 4500-იდან მანამ, სანამ მასში შეტანილი იქნებოდა შესწორება-ჩამატებანი.

ხელნაწერი S 171 ...ითვალისწინებს S 4500 თითქმის ყველა შესწორება-ჩამატებას, მაგრამ გააჩნია მრავალი თავისებურება. იგი აქაიქ ჩასწორებულია ვახტანგის მიერ, მაგრამ ეს ტექსტი შემდეგ სხვაგან აღარაა შეტანილი“ (გვ. 94).

M 3 შესახებ კი წერს: „საკავშირო სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 83 ლამაზადაა გადაწერილი მელქისედეგ კავკასიძის მიერ. იგი, ძირითადად, მიჰყვება S 4500-ის ნასწორებ ტექსტს (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის) — Q 548-სა და S 171-ს, მაგრამ საკუთარი, სხვა ხელნაწერებიდან მომდინარე, თავისებურებანიც გააჩნია“ (გვ. 97). აქაც მსჯელობა ალ. ბარამიძის სიტყვებით გრძელდება: „იგი «სუფთად გადათეთრებული საავტორო ეგზემპლარია, რედაქციულად ნაგვიანევი და სრული»“ (გვ. 97—98).

ამასვე აღნიშნავს ავტორი შემდეგაც: „მიუხედავად იმისა, რომ № 83 ხელნაწერი ყველაზე გვიანდელია და ერთგვარი თეთრია, იგი მაინც ბევრ ხელნაწერთან განსხვავებულ წა-

[82] წარსულის სიახლოვე, გვ. 93.

კითხვას იძლევა: ზოგჯერ S 4500-ის ნასწორებ ტექსტს მიჰყვება, ზოგჯერ კი პირვანდელ რედაქციას ღებულობს მცირეოდენი შესწორებით, ხშირად ანგარიშს არ უწევს S 171-ის წაკითხვებსაც. ჩანს, ვახტანგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ ხელნაწერის ჩამოყალიბებაში: შიგადაშიგ ასწორებს, აკლებს ან უმატებს და ახალ სტროფებსაც ურთავს. შემდეგ ყველა ეს ჩამატება-შესწორება შეაქვს ხელნაწერში მდივან მელქისედეგ კავკასიძეს" (გვ. 98).

ცალკეული მაგალითების განხილვის შემდეგ წერია: „აღნიშნული სხვაობანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ ვახტანგს თხზულების სრულყოფა-დახვეწაზე ბევრი უმუშავნია და ეს საქმე კარგა ხანს გაგრძელებულა. ამის კვალი ემჩნევა ხელნაწერებს: S 4500, Q 548, S 171 და თხზულების საბოლოო რედაქციას, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 83 ხელნაწერს" (გვ. 101) და სხვა.

S 4500-ის ტექსტის პირველადობა აღნიშნული აქვს ელ. მეტრეველს[83].

„სიბრძნე მალაღობელის" ტექსტების ერთმანეთთან დაწვრილებითი შედარება გვიჩვენებს, რომ მათ შორის აქაც არსებითად იგივე ურთიერთმიმართება არის, რაც გვაქვს „კაეშანსა" და „სატრფიალონში". აქაც თავიდან ბოლომდე ყველაზე მეტად ერთმანეთს უპირისპირდება S 4500 (თავისი მიმყოლი ნუსხებითურთ) და S 171. შიგადაშიგ საკმაოდ ხშირად გამოიყოფა და თავისებურია M 3.

ნიმუშად დავიმოწმოთ რამდენიმე სტროფი თხზულების სხვადასხვა ნაწილიდან:

სტროფი 21. პროზაული ტექსტი[84]: „...ამას ჰკითხეს: კაცმან თავის შემდგომად სახელი რით უნდა დაიგდოს? მიუგო: აქ კეთილის ქმნა გმართებს, რომ ერმა გიცნას, და ბოლოს სახელი დაგრჩება" (28, 13).

S 4500-სა (გვ. 1) და მის მიმყოლ ნუსხებში გალექსილია:

„რისგან დაგვრჩება — ჰკითხვიდენ, — ბოლომდი კაი სახელი?
— პირველ, თუ გიცნეს კეთილად, ის შეგექნება სახელი".

M 3-ისა (43r.) და გამოცემის ვარიანტია:

„რით იშოვება — ჰკითხეედენ, — სახელი საქებარენი?
— გიცნან სიყმითგან აქავე სიკეთით საამბარენი,
ბოლომდი გასწევს — ეტყოდა, — ესეთი მისაბარენი,
და მიხედე მას შენსა საწადსა მტერთაგან დაუბარენი".

---

[83] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 267—268.

[84] გვერდები და ტექსტის მუხლები მითითებულია ლ. ძოწენიძის პუბლიკაციის მიხედვით. თვით ტექსტი მოგვყავს S 4500-ის (თუ დაზიანებულია, Q 548-ის) მიხედვით.

S 171-ში (გვ. 36—37) არის:

„მოიშოების ამისგან სახელი საქებარენი,
გაგიცნან სიყმაწვილითა, სიკეთით საამბარენი,
ბოლომდი გასაწეველი, უფასო მისაბარენი,
და საწადლის მისახვედრელი, მტერთაგან დაუბარენი".

სტრ. 115. დედანი: „ამას უძრახეს: შენს მოწაფეთ ძლიერად ჰგვემ? მიუგო: დაკოდილს დასტაქარიც მრავალს ჭირს აჩვენებს, მაგრამ მოარჩენს. ეგრეთვე მკურნალიც, როდესაც სნეულთ მორჩენას მოიწადინებენ, მრავალს ფარეზს აქნევინებენ და მწარეს წამლებსაც შეასმევენ და, თუმცა არ დაუჯერა, უსაცილოდ მოკვდება" (35, 76).

S 4500 (გვ. 23):

„შაგირდის ბევრის ცემისთვის იყვნენ ძრახვისა მთქმელია;
თქვა: დასტაქარი დაჭრილთა ბევრის სარჯლისა მჭნელია,
აგრევ მკურნალიც ფარიზის ავ სასმელთ შემასმელია,
და თუ არ უსმინა, მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?!"

M 3 (გვ. 52რ.) და გამოცემა:

„მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მთქმელია.
დაჭრილთა დასტაქარები — ეტყვის, — სარჯლისა მჭნელია,
აფარიზებენ მკურნალნი, უგემოდ შემასმელია,
და არ შეასმინა, მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?!"

S 171 (გვ. 46):

„მოწაფეების ცემისთვის დაუძრახევდენ, მთქმელია:
დასტაქარები დაჭრილთა გასარჯელისა მჭნელია,
მკურნალნი აფარიზებენ, უგემოს შესასმელია,
და შეუსმენელი მოკვდება, მისი რა დასანთქმელია?"

სტრ. 207. დედანი: „სტუმრად რომ წავიდოდა, ცარიელს პურსა სჭამდა. ჰკითხეს: რასა სჭამ? მიუგო: პურსა ვსჭამ, კარგა გამომცხვარს" (42, 143).

S 4500(გვ. 46)[85]:

„სტუმრობაში ცარიელს პურს სჭამდა, ჰკითხეს: სჭამო რასა?
და უთხრა: პურსა, გამომშრალსა, კაცის გულის გასახარსა".

---

[85] ეს და ქვემოთ დამოწმებული ბევრი სხვა სტროფიც S 4500-ში გადახაზულია და მათ ნაცვლად ჩაწერილია ახალი სტროფი, რომლებიც მეტ-ნაკლები განსხვავებით შესულია S 171-ში. გადახაზული სტროფი ხელუხლებლად დაცულია Q 548 და სხვა ნუსხებში. ვინაიდან ჩვენი საკითხისათვის ამას ამჯერად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, პირვანდელ ტექსტს ვიმოწმებთ S 4500 ხელნაწერის მიხედვით, ბოლონდელს — S 171-ის მიხედვით.

M 3 (60v.) და გამოცემა:

„მშრალს პურსა სჭამდა წვეული, ჰკითხევდენ ამა თქმულებსა:
და რასა სჭამ? ეტყვის გაკილვით: პურსა კეთილად ქმნულებსა“.

S 171 (გვ. 54):

„ვინ იჯდეს ლხინთა მდიდართა, ედგას საჭმლისა სახება,
და მას მშრალი პური ენებოს, სჭამდეს, არ დაიძრახება!“

სტრ. 289. დედანი: „ავად გახდა და მისნი მეგობარნი სანახავად და ნუგეშის-საცემელად მივიდნენ და უთხრეს: ნუ გეშინიან, ეგ ღმრთისაგან არის. მიუგო: კიდეც მაგისთვის მეშინიან, რომ ღმრთისაგან არის “ (48, 195).

S 4500 (გვ. 70):

„მას, ავადმყოფს, მეგობართა ნუგეში სცეს: ღმრთისგან არსო!
და კიდეც მაგის მეშინიან, — რქვა, — ღმთისგან ვარ საქმეს მწარსო!“

M 3 (68r.) და გამოცემა:

„ღმთისგან არისო, — მოყვასთა იმედი მისცეს მდებარსა.
და უთხრა: მაგისთვის მეშინის, ველი მის მოსაგებარსა!“

S 171 (გვ. 62):

„ნუგეშის, ღმთისგან მოგეცა, — სნეულს იმედსა უდებენ;
და — უფრო საშიში ეგ არის, რისხვანი გააცუდებენ!“

სტრ. 359. დედანი: „ბერს კაცსა და პატიოსანსა პატივს ნუ დააკლებ!“ (53, 238).

S 4500 (გვ. 90), Q 548 (გვ. 125):

„მისცემდი დიდსა პატივსა მხცოვანს (ბერკაცს Q 548) და პატიოსანსა!“

M 3 (74v.) და გამოცემა:

„პატივს მისცემდი დიადსა, მხეც-რეულ პატიოსანსა!“

S 171 (გვ. 68):

„საპატიოთა პატივი, მხცოვანთა დაემდაბლენით!“

სტრ. 452. დედანი: „თავხედობა არის, მდიდრისათვის რომ სიმდიდრე გშურდეს და გლახაკსა სიგლახაკისათვის დასცინოდე“ (59, 302).
S 4500 (გვ. 111):

„გლახის ძრახვა, მდიდრის შური უმეცრება არის დიდი!“

M 3 (81r.) და გამოცემა:

„უმეცრებად ჩაუგდიათ გლახის ძრახვა, მდიდრის შურის!“

S 171 (გვ. 74):

„თავხედობა გლახაკს ძრახავს, მდიდრის შურსა მოიპოებს!“

სტრ. 574. დედანი: „საიდუმლო მტკიცედ იპყარ, თვარემ, თუ შენს გაგონილს საიდუმლოს ყველანი შეიტყობენ, იგინიც შენისთანა იქნებიან“ (66, 395).

S 4500 (გვ. 140):

„საიდუმლონი დაფარე, არავინ პოოს იქ ნება,
იდუმალს შენსა ვინცა სცნობს, ისიც შენთანა იქნება!“

M 3 (89v.) და გამოცემა:

„ხვაშიადსა არ დაჰფარავ, გამოგიჩნდა გასაგონად,
და შენისთანა შეიქნების, ვინცა მიხვდა მოსაგონად!“

S 171 (გვ. 83):

„ხვაშიადსა არ დაფარავ, სხვასაც მისცემ გასაგონად,
და შენისთანა შემტყობელი შეიქნების დაუყოვნლად!“

სტრ. 614. დედანი: „ცხოვნების დასაწყისი ცოდვის ცნობა არის“ (68, 432).

S 4500 (გვ. 146):

„ცხოვნებისა დასაწყისი არს, იცოდე, ცოდვის ცნობა!“

M 3 (91r.) და გამოცემა:

„ცოდვის ცნობისგან გამოვა ცხოვნების აღსავალია!“

S 171 (გვ. 85):

„ცოდვის ცნობა გამოაღებს ცხოვრებისა შესავალსა!“

და სხვა.

დაახლოებით ასეთივე სხვაობა არის დანარჩენ სტროფებშიაც, რომლებიც სამი რედაქციით წარმოგვიდგება. ამ რედაქციებს იძლევა S 4500 (თავისი მიმყოლი ხელნაწერებით), M 3 და S 171 თავიანთი პირველადი, გადამწერის ხელით შესრულებული ტექსტებით. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, S 4500-სა და S 171-ში ვახტანგს (S 171-ში ზოგჯერ გადამწერს) მრავალი შესწორება აქვს შეტანილი. ტექსტის

ამ ცვლილებათა ნიადაგზე ზოგიერთი სტროფი სამ, ოთხ და მეტ რედაქციულ სახეს გვიჩვენებს. ამ გზით მიღებული სამი რედაქციის ლექს-სტროფებია:

სტრ. 5. დედანი: „ნიშანი ჭკუისა ის არის, კაცს კაცის განსაცდელში ჩაგდება უმძიმდეს“ (27, 2).

Q 548 (გვ. 55; S 4500 დაზიანებულია), M 3 (41v.) და გამოცემაში იკითხება:

„მართებს, სხვისა განსაცდელი სხვასაც ჰქონდეს საწუხარად!“

S 171-ში (გვ. 35) წერია და შემდეგ გადახაზულია:

„ჰირად მოგაჩნდეს სხვა, სხვისა განსაცდელი და ჰირები!“

მის ადგილას ვახტანგს ჩაუწერია (სურ. 3):

„სხვის განსაცდელი სხვისათვის დიდი რამ საწუხარია!“

სტრ. 50. დედანი: „ამპარტავანს ყურს ნუ მიუგდებ, სანამ ამპარტავნება არ მოიშალოს!“ (30, 36).

Q 548 (გვ. 63; S 4500 დაზ.), M 3 (45r.), გამოცემა:

„ყურს ნუ უგდებ ამპარტავანს, სანამ კარგა არ დამდაბლდეს!“

S 171 (გვ. 39):

„მაშინ მიხედე ამაყსა, რა კარგა დაემდაროსა!“

მის გასწვრივ არშიაზე ვახტანგს მიუწერია:

„დაუმდაბლებლად ამაყსა ყური არ მიეგდებისა!“

სტრ. 402, 2. დედანი: „კაცის სახელი ამ სოფლის ზაფხულს ჰგავს, ამიტომ რომ მალ გაიელის“ (55, 269).

S 4500 (გვ. 99; გადახაზულია), M 3 (77r.), გამოცემა:

„კაცის სახელი ზაფხულს გავს, მისებრივ მალ წახდებისა!“

S 4500-ში ვახტანგს შემდეგ ჩაუწერია და გადაუხაზავს:

„სახელი მოგავს ზაფხულსა მალიად გარდახდომითა!“

ბოლოს აქვე ვახტანგს ისევ ჩაუწერია ახალი ტექსტი, რომელიც შესულია S 171-ში (გვ. 70):

„ზაფხულურად გარდიცვლების სახელი და მისი პოვნა!“

სტრ. 517. დედანი: „შენის სახლიდამ გამოსვლა რომ გინდოდეს, ჯერ ის იფიქრე, სად გინდა მისვლა, და მერმე ისრე გამოდი“ (63, 347).

S 4500 (გვ. 128; გადახაზ.), M 3 (86r.), გამოცემა:

„რა გინდოდეს დროსა რასმე შენი სახლით გარეთ გასვლა,
და ჯერ იფიქრე, ისე გადი, სადაც გინდა შენი წასელა!“

S 4500-ში ამ ადგილას ვახტანგის ხელით ჩაწერილია:

„ოდესცა შენის სახლიდამ გარეგან გამავალობდე,
და სად გმართებს, იგი გასინჯე, მერმეღა შეიცვალობდე!"

ეს ტექსტი იკითხება S 171-შიაც, რომელიც ვახტანგს გადაუხაზავს და მის ნაცვლად დაუწერია: (გვ. 79):

„სახლიდამ გასვლა გინდოდეს, სადამე მოარებანი,
და პირველად იგი დაასკვენ, სად გმართებს გაგარებანი!"

და სხვა.

სულ „სიბრძნე მალალობელში" სამი რედაქციით წარმოდგენილია დაახლოებით 120 ლექს-სტროფი. გარდა დასახელებულისა, ასეთებია შემდეგი ლექს-სტროფები: 9, 12, 13, 15, 23—27. 1, 32, 42, 46, 47, 52, 53, 55, 56, 58, 63, 69, 70, 75, 83, 84, 86, 87, 89, 93, 97—101, 117—119, 123, 126, 128—132, 138, 145, 146, 153—155, 159, 161—163, 165, 167, 168, 184, 193, 195. 3, 242, 257, 261, 290—292, 296, 299, 308, 309, 320, 345—348, 359, 380, 399, 402. 2, 407, 413, 415, 435, 442, 450—452, 484—488, 494, 495, 500, 502, 520, 543, 544, 546, 547, 555, 558, 559, 567, 572, 574, 575, 578, 590, 591, 602, 605, 615.

ოთხი რედაქციაც, როგორც ვთქვით, S 4500-ისა და S 171-ის სწორების შედეგად არის მიღებული. ასეთი ძალიან ცოტაა, 10—15 სტროფი. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს:

სტრ. 11. დედანი: „არიან მრავალნი, თვისსა დაჰკარგვენ და სხვისა სხვის ეჭიდებიან" (27, 8).

Q 548 (გვ. 56; S 4500 დაზ.):

„მისსა დაჰკარგავს უცები და სხვისას ეჭიდებისა!"

M 3 (41v.) და გამოცემა:

„ზოგნი თავისას დაჰკარგავს, სხვისა სწადს მოსახვეჭარად!"

S 171 (გვ. 35; გადახაზულია):

„მისას მისთვის გააცუდებს, ზოგნი სხვათა ეცილების!"

ამავე ხელნაწერში ვახტანგის ხელით ჩაწერილი (სურ. 3):

„მისას ვერ ხმარობს, რაც[ა] აქვს და სხვასა ეცილებიან!"

სტრ. 38. დედანი: „ჰკითხეს: კაცი რით იცნობების? მიუგო: როგორც ჩინური წკრიალით შეიტყობა, ეგრეთვე კაცი ლაპარაკით იცნობების" (29, 25).

S 4500 (გვ. 5; გადახაზული):

„— კაცს რით იცნობ? მან მიუგო: ვით ჩინური იცნობების,
კაცი სიტყვით, ის წკრიალით განცხადებად შემოკრბების“.

M 3 (44v.) და გამოცემა:

„— კაცი რა გვარად იცნობა? ის ეტყვის, ვითა მგოსანი:
და მსგავსად სიტყვისა მოგებით, ვითა ჩინური ხმოსანი“.

S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილი და გადახაზულია:

„ჩინურთა და კაცთა ცნობა ერთმანერთსა და[ა]სახეს:
და ორივ ხმითა იცნობების, გამგონეთა გაივახე“.

S 4500-ში ვახტანგის ხელით არშიაზე მიწერილია, S 171-ში ძირეულ ტექსტშია (გვ. 38):

„ხმა გამოაჩენს ჩინურსა, კაცსა — ამბისა მბობანი!“

სტრ. 74. დედანი: „იმას უფრო ბევრი აქვს. ვისაც სწავლისათვის ყური მოუკრავს, ამისთვის რომ ყოველს საქმეს მსწრაფლ იქმს“ (31, 50).

S 4500 (გვ. 11; გადახაზული):

„უფრო ბევრი აქვს, ვის სწავლა გულშია დაუთესია,
ამად ყოველს საქმეს ძალა იქს, რაც რომე უკეთესია“.

M 3 (47v.) და გამოცემა:

„უმდიდრესია, ვის სწავლა გულსა აქვს დანათესია,
მალ შეუძლიან საქნელად, რაცა რამ უკეთესია“.

S 4500 (ვახტანგის მიერ ჩაწერილი):

„სწავლა გულსა დანადები უმდიდრეა სამდიდროსა,
და რაცა არის უკეთესი მარჯვედა იქს მას მას დროსა“.

S 171 (გვ. 41):

„სწავლისაგან გამდიდრება უმდიდრეა სამდიდროსა,
და რაცა არის უკეთესი, მარჯვედა იქს თავის დროსა“.

სტრ. 127. დედანი: „იტყოდა: სწავლა კაის ბედში კაცის განმაშვენებელი არის და უბედობაშიაც გამოსადეგი: როგორადაც დიონეს მეფე სირაკუზისა თავის ტახტიდამ გარდააგდეს და თვითან კორინთეს შივიდა, სწავლული კაცი იყო, ყრმათ სწავლა დაუწყო და ამით გამოიზარდა, უკეთუ არა სცოდნოდა რა, საქმე გაუჭირდებოდა“ (36, 86).

S 4500 (გვ. 25):

„სწავლა ბედში კაცს აშვენებს, გამოდგების უბედობას,
ვით დიონოს სირკუზთ. მეფემ მოიხმარა გარდმოგდობას:
ყრმათ კორინთელთ ასწავლიდა, მიხვდა მისგან საზდოს მზობას;
და თუ არ იცის კაცმა სწავლა, უპირს სოფლის დაუნდობას!“

M 3 (53r.) და გამოცემა:

„ბედში სწავლა გამოდგების, დააშვენებს უბედობას,
ვით დიონოს სირკუზელმა მეფემა ქნა გარდმოგდობას:
კორინთელთა ასწავლიდა, მიენიჭა საზდოს მზობას;
და ვინცა რამე არა იცის, უპირს სოფლის დაუნდობას!“

S 171 (გვ. 47; გადახაზული):

„ბედში სწავლა გამოდგების, დააშვენებს უბედობას,
სირკუზელმა დიონოსი მეფობიდამ გარდმოგდობას:
კორინთელთა ასწავლიდა, მიენიჭა საზრდოს მზობას;
და გაუსწავლსა გაუპირდეს სოფლისაგან დაუნდობას!“

S 171 (ვახტანგის ხელით არშიაზე მიწერილი):

„სწავლა — სახმარი ბედისა, შვენება — უბედობასა,
სირაკუზს მეფემ დიონოს იხმარა გარდმოგდობასა:
სწავლიდა კორინთ, მიეცა საზდოსა დასამზობასა;
და გაუპირდების უსწავლსა სოფლისა დაუნდობასა!“

სტრ. 157. დედანი: „უდიერს ნურავის უზამ ცოდნითა, გინა ნდომითა“ (38, 111).

S 4500 (გვ. 32; გადახაზული):

„ცოდნით და ნდომით ნურას იქ საქმეს საუდიეროსა!“

იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილი და გადახაზული:

„საუდიეროს ნურას იქ ცოდნით და მონდომებით[ა]!“

M 3 (55r.) და გამოცემა:

„შეტყობით და მონდომებით არამც წაგცდეს უდიერი!“

S 4500 (ვახტანგის ხელით ჩაწერილი) და S 171 (გვ. 49):

შეტყობისა (შეტყობით და S 4500) მონდომებით უდიერსა დაერიდე!“

ოთხ რედაქციას იძლევა აგრეთვე ლექს-სტროფები: 4, 7, 12, 27. 2—3, 73, 90. 1—2, 249 და რამდენიმე ალბათ კიდევ. ერთ და ოთხ რედაქციას ჩვეულებრივ იძლევა ერთ- და ორსტრიქონიანი ლექს-სტროფები.

ხუთი რედაქციით არის დამუშავებული 276-ე სტროფი.

დედანი: „ერთხელ თვითონ სირჩით წყალსა სმიდა და ნახა, რომ ერთმა ბიჭმა პეშვით სმა დაუწყო. განაგდო სირჩა და თვითონც პეშვით სმა იწყო და თქვა: ჩემის აგებულობის ჭურჭლით დავლიო, ის არ სჯობს, სხვის ნივთით სმასა?!“ (47, 188).

S 4500 (გვ. 67; გადახაზული):

„პეშვით ვინმე წყალსა სვემდა, სტაქნით მსმელმა უგდო ყური;
და — ჩემის ნივთით დალევა სჯობს, სხვის ნივთის მაქვს რად სასმური?!

იქვე ვახტანგის ხელით ჩაწერილი:

„პეშვით დამლევსა თასითა უპვერეტდა: — ეს სახმარია!
და — ჩემს ნივთსა თვითან შე[ე]ძლოს, სხვისა რა მოსახმარია?!“

M 3 (66v.) და გამოცემა:

„ჭიქით წყალს სვემდა, სხვა ნახა პეშვითა დამლეველია,
ჭიქა ქვე დასცა, იტყოდა: ჩემგამო რასაც ველია,
რად ჩემის ნივთით არა ვსვამ, სხვა რასთვის დავასველია? —
და დაიწყო ბღუჯით დალევა, გააგდო მოსაშველია“.

S 171 (გვ. 60; გადახაზული):

„ჭიქითა მსმელმა შეხედა, პეშვითა დამლეველია,
ჭიქით დამცემი იტყოდა: ჩემ გამო რასაც ველია,
ჩემის ნივთითა არა ვსვამ, სხვა რასთვის დავასველია? —
და პეშვით დაიწყო დალევა, გააგდო მოსაშველია“.

იქვე ვახტანგის ხელით მიწერილი:

„უყურებს სტაქნით შემსმელი სხვასა, პეშვითა მსმეველსა,
ქვე დასცა, იტყვის: რად ეხმარობ უხმარსა მოსაწეველსა,
თავით შეგეძლოს საქნელი, დაუგმობ სხვათა მდეველსა! —
და მიწყივ დაიწყო პეშვით სმა, აუქმებს დასალეველსა“.

გვაქვს კიდევ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ოთხზე მეტი რედაქციით წარმოდგენილია ცალკეული სტრიქონები, ფრაზები[86].

---

[86] ვახტანგის პოეტური ლაბორატორიის გასაცნობად ყურადღებას იპყრობს S 171 ხელნაწერში მოთავსებული რამდენიმე ფურცელი, რომლებზედაც ასახულია მისი შრომა, რომელიც პოეტს გაუწევია ზოგიერთი სტროფის დამუშავებისათვის. კერძოდ, 82—83 გვერდებს შორის ჩაწებებულ ფურცლებზე ვახტანგის ხელით ჩამოწერილია დამოწმებული სტროფის ცალკეულ სტრიქონთა ვარიანტები, რომელთაგან ზოგიერთი გადახაზული და ჩასწორებულია:

„სტაქნითა სვემდა შეხედა სხვანი პეშვითა მსმელობსა
უყურებს ჭიქით მსმეველი სხვასა პეშვითა მსმელადო
სტაქანი დასცა იტყოდა უხმარად დასაცემლადო
შეძლოს ჩემს ნივთს საქნელად სხვაც (?) უსაქნელადო დასაბმელადო
და დაიწყო პეშვით დალევა გადო (?) უსაზმელადო

ერთ რედაქციას რომ იძლეოდეს, ასეთი ლექს-სტროფები „სიბრძნე მალალობელში“ ცოტაა. მხოლოდ რამდენიმე ლექსითი ერთეულია, ზედმიწევნით რომ მიჰყვება ერთმანეთს, ან უმნიშვნელო წაკითხვებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ესენია:

„უჰკუოდ კაცის სიკუთე, ვაი, რა ცარიელია!“ (6)

„კაცსა სწაელა გაანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა!“ (122)

„თავსა ნუ იქებ, არა თქვან: ავად რამ არის მქცეველი!
და ნურცა იძაგებ დაგწამონ: კაცია ფარისეველი!“ (135)

S 171-ში არის: ნუცა.

ზომიერ გაჯავრდებოდეს, მეტსა ნუ შეიწყნარებსა,
მეტი ყმაწვილთა ამსგავსებს, უგუნურს დაადარებსა!“ (137)

„სხვისგან ავის მოთმინება კაცსა კარგა მოუხდება,
და ბოროტი და უსამართლო სხვაზე თვითანც მოუხდება!“ (140—141)

S 171-ში გადამწერის ხელით „ბოროტი“ გადახაზულია და მის ნაცვლად წერია „საწყინო“.

„შენს სასწორსა სიმართლისას მაგრა ხელი მოუჭირე!“ (156)
„ბევრ სიმდიდრეს ბედიც უნდა, უბედობა გააცუდებს!“ (361)

„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არის სახისა,
და დაცემულთ მაღლა ამწევი მადიდებელი გლახისა“. (642)

M 3-ში არის: „სიბძნე“, „არი“.

100—150-მდე ლექს-სტროფი მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით შორდება ერთმანეთს. თხზულების შიგნით ასეთია ორი ათეული თუ ცოტა მეტი ლექს-სტროფი, დანარჩენები თხზულების ბოლო ნაწილიდანაა. ნიმუშად დავიმოწმოთ რამდენიმე მათგანი:

ნამეტანისა (?) მონდომონ საქმეა უსაქნელადო
უყურებს სტაქნით შემსმელი სხვასა პეშვითა მსმეველსა
ქვე დააქცია იტყოდა რად ეხმარობ უხმარსა მოსაწეველსა
თავით შეძლოს საქნელი დაუგმობ სხვისა მდეველსა
და მიწყივ დაწყო პეშვით სმა აუქმებს დასალეველსა.

აქეა „სიბრძნე მალალობელის“ ზემოთ დამოწმებული 127-ე სტროფის („სწაელა ბედისა სახმარი...“) ვარიანტები. ცალკე ფურცლის ნაჭერზეა ამავე თხზულების მე-13—14 სტროფების („ქალი არ სკიდებს (?) სიკვდილსა...“) და „სალბუნად გულისა“-ს პირველი სტროფის („სარჯელმა დახსნა სარჯელი...“) ვარიანტები.

88—89 გვერდებს შორის ჩაკერებული ფურცლის პატარა ნაჭრის პირველ გვერდზეა „ამირ-ნასარიანის“ 171-ე სტროფის („სადაც მოხვედება სიკეთე...“), მეორე გვერდზე — 166-ე სტროფის („ცხენად იყოლე...“) ვარიანტები. 112—113 გვერდებს შორის მოთავსებული ფურცლის ნაჭერზე კი არის „ამირ-ნასარიანის“ პირველი სტროფის ვარიანტები („არსისგან დავიარსენით...“).

სტრ. 80.

„წესია სოფლის მოყვასთა, ხან ეს უნდა და ხან ისი,
ლხინი, შვება და სიამე დიდის რამ შესაგვანისი,
ხან სიბრძნე, გონიერება თვალს წინა მისაყვანისი,
და მალე დააზროს სოფელმან იგ მისი გასამწვანისი".

S 4500 (გვ. 13) და მის მიმყოლ ხელნაწერებში აღნიშნული სიტყვების ნაცვლად იკითხება: პირველ სტრიქონში — „ესე უნდა", ბოლო სტრიქონში — „ცუდია ყველა სოფლისა დააზროს". მესამე სტრიქონში „მისაყვანისი"-ს ნაცვლად S 171 გვთავაზობს „მოსაყვანისი" (გვ. 42).

სტრ. 228.

„რა სახმარია კაცისა მოწყენა გაუხარები,
ჩამოსტიროდეს ცხვირ-პირი, მიდამო, არემარები?
უშვერებისა ხუმრობით უცილოდ გაიმწარები,
და კარგია ადგილს ლაღობა, რიგიან დაუზარები!

ასე იკითხება ეს სტროფი S 171-ში (გვ. 56). დანარჩენ ნუსხებში აღნიშნული სიტყვების ნაცვლად წერია: „თვალ-წარბთა", „მაგრამ უშვერის", „ბრძენთაც აქვს".

ანალოგიური სხვაობა არის 77, 79, 96, 135, 136, 205, 267, 282, 283, 286, 339, 340, 408, 588, 599, 642 და კიდევ რამდენიმე სტროფში, ბოლოს, დაახლოებით 655 სტროფიდან დაწყებული — 100-ზე მეტ სტროფში.

თხზულების დიდზე დიდი ნაწილი ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. როგორც წესი, ცალკე დგას S 171 და ცალკე და ერთად ყველა დანარჩენი ნუსხა. როგორც „სტრფიალონშია", აქაც წინა ნაწილთან შედარებით ბოლო 200—230 სტროფებში მათ შორის სხვაობა ნაკლებია. ნიმუშად აქედანაც დავიმოწმოთ რამდენიმე სტროფი:

სტრ. 592. დედანი: „ყოველივე გასწორდება, ბოროტის საქმის მეტი" (67, 412).

S 4500 (გვ. 143), M 3 (90r.), გამოცემა:

„სულ გასწორდეს, რაც რომ არის, ბოროტისა საქმის კიდე!"

S 171 (გვ. 84):

„არ გასწორდების სიავე, სხვა ყველა გაესწოროსა!"

სტრ. 595. დედანი: „დიდს კაცის წესი არ არის, რათა ტკბილ მოუბნარობით მაფერებელნი კაცნი თავის თანა იყოლიოს" (67, 414).

S 4500 (გვ. 143):

„მეფეთ არ მართებს ტკბილ სიტყვით მფერებელს შეინახევდეს!"

ასევეა M 3-ში, ოღონდ დასაწყისი სიტყვები გადაადგილებულია. არის: „არ მართებს მეფეს“ (გვ. 90v.).

S 171 (გვ. 84):

„განეშორენით მეფენი სიტყვითა მიმაფერავთა!“

სტრ. 610. დედანი: „ბევრს კაცს თავისი ცხოვრება მრავალ რიგად განუწესებიათ, მაგრამ სიკვდილი ყოველსავე განასწორებს“ (68, 428).

S 4500 (გვ. 146), M 3 (91r.), გამოცემა:

„ბევრს კაცს თავის ცხოვრებანი ბევრის რიგით გაუყვია,
და მაგრამ სიკვდილს გასასწორად მაღე პირი მიუყვია“.

S 171 (გვ. 84):

„ზოგთა თავის ცხოველობა მრავალ რიგად გაუყვია,
და სიკვდილს სწორად გაუხდია, რა რომ ხელი მიუყვია“.

სტრ. 626. დედანი: „გაურჯელად ვერას ისწავლი“ (69, 443).

S 4500 (გვ. 148), M 3 (91v.), გამოცემა:

„გაურჯელად არ იქნება არას კარგის მოსწავლობა!“

S 171 (გვ. 85):

„მოსწავლობა სიკეთისა გაურჯელად არ იქნების!“

სტრ. 644. დედანი: „ამისთვის ნეტარ არს, რომელმან პოოს სიბრძნე“ (70, 452).

S 4500 (გვ. 152), M 3 (93r.), გამოცემა:

„ვინც პოოს სიბრძნე, ამისთვის დავითც თქვა ნეტარებანი“.

S 171 (გვ. 86):

„სიბრძნეს ნატრიან ერთობით ფილასოფოსთა კრებული“.

აქედან მოყოლებული ტექსტი, მცირე გამონაკლისის გარდა, 4-სტრიქონიანი სტროფებისაგან შედგება. ამ სტროფებში S 171 უმეტეს წილად ემთხვევა დანარჩენ ხელნაწერებს და მხოლოდ მცირეოდენ ვარიანტებს იძლევა. გავეცნოთ რამდენიმე ნიმუშს:

ხელნაწერების უმრავლესობასა და გამოცემაში 645 სტროფი ასე იკითხება:

„წიგნის კითხვა, შეგონება დაუდვიათ დ ი ა ს ა რ გ ა დ,
ზღაპარი და ყ ბ ე დ ი ს ი ტ ყ ვ ა სანახავად დასაკარგად,
ს ა ღ მ თ ო რ ი ს მ ე გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
და აქაც პოებს სარგებელსა, ვინცა ისმენს ორსავ კარგად“.

S 171-ში მას ასეთი სახე აქვს (გვ. 86):

„წიგნის კითხვა, შეგონება დაჯდეიათ მოსასარგად,
ზღაპარითა დ ა ს ა ყ ბ ე დ ი, სანახავად დასაკარგად,
ს ა ღ თ ო ე ბ ი ს გაგონება საუკუნოდ გასაბარგად,
და აქაც პოებს სარგებელსა მ ო მ ს მ ე ნ ე ლ ი ორსავ კარგად“.

სტრ. 658:

„თქმა და ვერა ქნა საქმისა არ მართებს გულით სალებსა,
ცუდი რამ ქცევა კაცისა კაცსა დამართებს ძალებსა,
უადგილოსა სიტყვანი მიგავს დამწველსა ალებსა,
და ავია ცუდი ტრაბახი, წაახდენს პირის წყალებსა“.

ასეა ეს სტროფი წარმოდგენილი ხელნაწერთა უმრავლესობაში. M 3-ში მესამე სტრიქონში არის ფორმა „მიჰგავს“ (95r.). ორიოდე განსხვავებულ წაკითხვას იძლევა S 171 (გვ. 88): „და ვერა ქნა“-ს მაგივრად იკითხება „უქნელობა“ და „რამ ქცევა“-ს ადგილას — „მოქცევა“.

სტრ. 700. ხელნაწერთა უმრავლესობა და გამოცემა:

„ესმა კაცისა ვისგანმე ავად იმისი ხსენება;
«ერთი რამ იარაღია მეფისა, — ბრძანა, ენება, —
ყველაზე კეთილს იქმოდე, ამისი გქონდეს შენება,
და შეცოდებისა პასუხზე კაცთა არ უყოს ყენება»“.

S 171 (გვ. 93):

„ესმა ერთისა ვისგანმე ავად იმისი ხსენება;
«იარაღია მეფისა, — ბრძანება მისი ენება, —
ყველაზე კარგსა იქმოდეს, ამისი ქონდეს შენება,
და შეცოდებისა პასუხზედ არავის უყოს ყენება»“.

სტრ. 738:

„სიკილის მეფე დიონოს შვილის სახლს შემავალია,
ნახა ოქრონი წყობილნი, უბრძანა: დასაბრალია,
სამეფო კაცი არ არი ოქროთი განამცხრალია,
და მოყვასნი გარდაგიყრია, ეგე გაქვს განამრავლია“.

S 171-ში (გვ. 98) სიტყვების „შვილის სახლს“ მაგივრად წერია „შვილისას“, „არი“-ს მაგივრად — „არის“.

სტრ. 780:

„ჰკუა ბევრია კაცისა, ვით სახე უგვანებელი,
ზოგს ხელთ უფლება, ზოგს სიბრძნე, ზოგს რჩევა უნანებელი,
ზოგს ჯარის მოვლა, გაძღოლა, გზა მისი გასაგნებელი,
და მაგრა სჯობს მამაცობასა სარდლობა გამომგებელი“.

Q 548-სა და H 153-ში მესამე სტრიქონში იკითხება „გასაგებელი“, ბოლო სტრიქონში — „სჯობს მაგრამ“.

S 171-ის ვარიანტებია: „კაცისა ვით სახე“-ს ნაცვლად — „ვითამცა სახეა“; „მაგრა სჯობს“ ნაცვლად — „სჯობია“; „ზოგს“ ნაცვლად უველგან არის „ზოგთ“ (გვ. 103).

სტრ. 805:

„ვინცა რაზედა იჩინე, ზეცის ან ქვეყნით წილობით,
სჯობს მაზედ დამტკიცებული, არ სხვათა შენაცილობით,
ხან ესე გინდა, ხან ისი, წახდები უსაცილობით,
და ერთზედა დაუდგრომელი გაჰხდები სასაცილობით!"

Q 548-სა და H 153-შია: „ქვეყნის". S 171-ის ვარიანტებია: ზეცის ან ქვეყნით] ზეცისა ქვეყნის; სჯობს მაზედ] მასზე სჯობს; არ სხვათა შენაცილობით] სხვებისა შეუცილობით; ესე გინდა] ეს გინდა და; ერთზედა] ერთს ზედა.

ცოტა მეტი სხვაობა შეიმჩნევა ეპილოგის (სტრ. 806—812) ზოგიერთ სტროფსა და ერთ- და ორსტრიქონიან სტროფებში. ეპილოგიდან:

სტრ. 806. ხელნაწერთა უმრავლესობასა და გამოცემაშია:

„აწ გაუსრულდა წადილი ამბისა ლექსად მკონოსა,
სედისა განსაბნეველად, რაც მქონდა მოსაგონოსა,
ეგების სხვათაც იამოს, თუ ვისმე მოეწონოსა,
და არ ისმენ, დასდევ, ხანს უკან სხვა მოვა, გაიგონოსა".

ამ ნუსხათა ვარიანტებია: ლექსთა M 3, გამოცემა; გასაბნეველად Q 548, H 153: გასაგონოსა Q 548, H 153.

S 171-ის (გვ. 106) ვარიანტი:

„აწ გაუსრულდა წადილი ლექსისა შემაკონოსა,
გასაბნეველად სედისა, რაც მქონდა მოსაგონოსა,
ნუთუ იამოს რომელსა, თუცაღა მოეწონოსა,
და არ ისმენ, დასდევ მას უკან ეგებ სხვამ გაიგონოსა".

ერთი და ორსტრიქონიანი ლექს-სტროფები:

სტრ. 761. დედანი: „ყოვლი სიკეთე საქმით უნდა, არა სიტყვით. რასაც მიწა დაბადებს, ყოველივე კაცის მოსახმარისია" (77, 47—48).

S 4500 (გვ. 194):

„საქმითა უნდა სიკეთე, სიტყვითა რა საკმარია,
და რაც მიწისაგან იზდება, კაცსა მოსახმარია!"

ასევე იკითხება პირველი სტრიქონი M 3-სა და გამოცემაში, მეორე სტრიქონს არც ერთი და არც მეორე არ იცნობს.

S 171 (გვ. 101):

„უნდა საქმითა სიკეთე, სიტყვითა რა საკმარია,
და მიწისგან აღმონაცენი კაცთაგან მოსახმარია!"

სტრ. 767. დედანი: „ამას უფთხილდი, დანაშაულზე რისხვა მეტი არ იყოს!" (77, 53).

S 4500 (გვ. 196), M 3 (108v.), გამოცემა:

„უფთხილდი, შეცოდებაზე რისხვა არ იყოს მეტია!“

S 171 (გვ. 102):

„წყენას რისხვა არ მეტობდეს, მასზე იყავ განაკრძალად!“

სტრ. 768. დედანი: „ვინც მრისხანე არ არის და სიმართლე უყვარს, მსაჯულად ის უნდა დასვა“ (77, 54).

S 4500 (გვ. 196), M 3 (108v.), გამოცემა:

„მას მიანდეე სამართალი, მშვიდი იყოს, მართლის მთქმელი!“

S 171 (გვ. 102):

„მართალსა და მომთმინოსა სამართალი მიაბარე!“

სტრ. 774. დედანი: „ქვეყნის მმართავთა ურჩევდა: სარჯელი მიიღევით და კეთილი ქმენით. სარჯელი მალ განქარდების და სიკეთე საბოლოოდ დაგრჩებათ“ (78, 60).

S 4500 (გვ. 198), M 3 (109r.), გამოცემა:

„ქვეყნის მნეთ ურჩევ კარგსა და სარჯელს ნუ ეურჩებისა,
და წავა სოფლისა სარჯელი, სიკეთე ქვე დაგრჩებისა!“

S 171 (გვ. 102):

„მართებს მფლობელსა სარჯელი, სასიკეთოსა მცდელობა,
და იგი დარჩების, სხვა წავა მოსოფლოსა ტრელობა!“.

ამრიგად, „სიბრძნე მალაღობელში“ დაახლოებით 10—15 ლექსტროფი თითო რედაქციითაა წარმოდგენილი, ამდენივე — 4 რედაქციით, თითო-ოროლა — 5 რედაქციით, 120-ოდე — 3 რედაქციით, უველა დანარჩენი — 2 რედაქციით, რომელთაგან 100—150 სტროფი რედაქციულად ცოტათი განირჩევა ერთმანეთისაგან.

ახლა მთავარი საკითხი: — ამ რედაქციათა ურთიერთმიმართება და წარმომავლობა.

ალ. ბარამიძის, ლ. ძოწენიძის, ე. მეტრეველის და დ. ბრეგაძის მიერ სამართლიანად არის განსაზღვრული, რომ ეს ნაწარმოები თავდაპირველი სახით დაცულია S 4500 და Q 548 ხელნაწერებში. თავის მხრივ კ. კეკელიძემ უჩვენა S 1624-ის სიახლოვე S 4500-თან.

აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტია დასახელებული:

1. ამ ხელნაწერებში შემორჩენილია დედანი, პროზაული ტექსტი.

2. S 4500-ში ვახტანგის ხელით შეტანილი სიახლენი S 171-ში ძირითად ტექსტშია მოთავსებული. ალ. ბარამიძე წერს: „S 171 ხელნა-

წერი იმეორებს S 4500-ის ნასწორებ ტექსტს"[87]. ამასვე აღნიშნავს დ. ბრეგაძე: „S 171 ხელნაწერი ითვალისწინებს S 4500 თითქმის ყველა შესწორება-ჩამატებას"[88].

მართლაც, S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილი ზოგიერთი სტროფი სიტყვასიტყვით, ზოგიერთი გარკვეული განსხვავებით შესულია S 171-ის ძირეულ ტექსტში. თუ „სატრფიალონში" ამისი რამდენიმე მაგალითი მოიპოვება, „სიბრძნე მალაღობელში" უამრავი შემთხვევა გვაქვს. ნიმუშად დავიმოწმებთ რამდენიმე სტროფს:

90-ე სტროფის შემდეგ S 4500-ში არშიაზე მიწერილია (გვ. 16), ხოლო S 171-ში ძირითად ტექსტში იკითხება (გვ. 44) სტროფი, რომელიც არც ერთ სხვა ნუსხაში არ დასტურდება:

„საფერს ფერი თუ არ მისცე, შეიქნების მონამდურად,
კეკლუცი და სახაფიფო მიაჩნია იმას დურად,
შენ გონია უმჯობესი, მისთვინ არის მოსაცთურად,
და თავისივე ნავარგალი სხვისთვის მოსწორნს, მიკვირს, თუ რად!"

S 171-ის განსხვავებული წაკითხვებია: ა. მიეც; ბ. კეკლუცობით; გ. მისთვის; დ. ნავარგალსა სხვისას გონებს მოსასურად.

სტრ. 24, 1. S 4500-ში თავიდან ეწერა:

„გულმწყრალთა უსახურობას სახისმეტყველნიც სწერენო". (გვ. 1)

ასევე იკითხება ეს ტექსტი Q 548 (გვ. 58) და H 153 (გვ. 46) ნუსხებში. S 4500-ში ვახტანგს იგი გადაუხაზავს და თავზე დაუწერია:

„გულმრისხანე სახის მწერთა უსახურსა დაასახეს".

ზუსტად ეს ტექსტი გამეორებულია S 171 ხელნაწერში (გვ. 37). M 3-ში განსხვავებული ვარიანტია (გვ. 43r.):

„სწერენ სახისა მეტყველნი: მრისხანე უსახურია".

სტრ. 164. S 4500-ში გადახაზულია (გვ. 34), M 3-სა (56r.) და სხვა ნუსხებში წერია:

„ნუ სჯერხარ, ცოდვის განწმენდა ცუდის წყლით არ იქნებისა!"

S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილია, ხოლო S 171-ში ძირეულ ტექსტში იკითხება (გვ. 50):

„ვერ განსწმენდს წყალი ცოდვილსა, ცუდი რამ მომდინარენი".

სტრ. 241. S 4500-ში (გვ. 57) გადახაზულია, M 3-სა (63v.) და სხვა ნუსხებშია:

---

[87] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 162.
[88] წარსულის სიახლოვე, გვ. 94.

„უცები სწერს თავის კარზე: ნუ შემოვა უმეცარი!
და თვით სით შევა, — დიოღენ თქვა, — თუ ასეა ის მეცარი?!“

S 4500-ში ჩაწერილია და S 171-ში (გვ. 57) შესულია:

„ავს კაცს ეწეროს კარზედა: ავი ნუ შემოიარსა!
და თვით სითღა შევა, მაკვირვებს, ეგეთი ვითა იარსა?!“

სტრ. 345. S 4500-ში (გვ. 85) გადახაზულია, მის მიმდევარ ნუსხებში არის:

„არჩევინეს გარიგება: თემთა ჩვენთა ვის მივანდოთ?
და — ვის ცხოვრება მისი კარგად გაერიგოს, ის სჯობს ხადოთ!“

S 4500-ში ჩაწერილია და S 171-ში (გვ. 66) შესულია:

„კაცი ხამს ქვეყნის მომვლელი, მართ ამას შეეძაროსა,
და თავის ჟამისა სიცოცხლე სიკეთით გაეტაროსა!

M 3-ში (გვ. 72v.—73r.) განსხვავებული ვარიანტია:

„რჩევა დაჰკითხეს თემისა: ვის ვანდოთ, ვის ებაროსა?
და — დღე მისი ვისცა სიკეთით დაეხსნას, დაებაროსა!

სტრ. 445. S 4500 (გვ. 110), M 3-სა (80v.) და სხვა ნუსხებშია:

„— გაგინებენ, რა გულად ხარ? თქვა: დესპანი უპასუხო!“

S 4500-ში ჩაწერილი და S 171-ში ძირეულ ტექსტშია (გვ. 74):

„ნაგინებარი გული გავს დესპანსა უპასუხოსა!“

სტრ. 544. S 4500 (გადახაზ.; გვ. 133), M 3 (87r.) და სხვა ნუსხები:

„რა უხამს ქალსა მზითევი? — ნამუსი, სიწმინდენია!“

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 81):

„ეყოფის ქალსა ზითევად სიწმინდე, ნამუსობანი!“

სტრ. 644, 1. S 4500 (გადახაზ.; გვ. 152), M 3 (93r.) და სხვა ნუსხები:

„ვინც პოოს სიბრძნე, ამისთეის დავითც თქვა ნეტარებანი!“

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 86):

„სიბრძნეს ნატრიან ერთობით ფილასოფოსთა კრებული!“

სულ ასეთია 330-ზე მეტი ლექსითი ერთეული, ჩვეულებრივ, ერთი და ორსტრიქონიანი ლექს-სტროფები. სახელდობრ: 23, 24, 27. 1, 31—33, 37—39, 41—43, 57, 58, 69, 75, 76, 90, 101, 104—107, 113,

119—121, 124—126, 129—132, 138, 139, 143—146, 151—159, 164, 165, 170, 179, 182, 193, 195—204, 206, 207, 210—216, 225, 226, 229, 230, 233—236, 238—241, 245, 246, 251—258, 261—263, 266, 269—273, 287—298, 301—314, 319, 320, 329—334, 342—347, 359, 360, 362—368, 371—375, 379—383, 386—388, 392—397, 398. 2, 401—404, 409, 410, 413—419, 423—427, 434, 435, 438—441, 445, 448—454, 463, 466, 469, 473, 475, 480, 483—491, 494—536, 540—548, 551—554, 559, 564, 565, 567—570, 573—580, 583—587, 589—633, 638, 641, 643, 644. 1, 761, 767, 768, 774, 783, 789—790, 793 სტროფები.

3. S 4500 და მისივე ტიპის ხელნაწერთა ტექსტი ზედმიწევნით მიჰყვება, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თავის დედანს, ხოლო M 3-ისა და S 171-ის ტექსტები საგრძნობლად დაშორებულია მას[89]. ე. მეტრეველი შენიშნავს: „თავდაპირველად ვახტანგს სიტყვასიტყვით გაულექსავს «აპოვთეგმატას» პროზაული ნაწილი... თუ გავადევნებთ თვალს ვახტანგის მუშაობას ყველა რედაქციის მანძილზე, დავრწმუნდებით, რომ, რაც უფრო ასწორებდა ვახტანგი თავის ლექსებს, მით უფრო სცილდებოდა პროზაულ დედანს. ამით ირღვეოდა შესაბამისობა პროზასა და ლექსით ვარიანტს შორის"[90].

დ. ბრეგაძე წერს: „S 4500 ხელნაწერის სიძველეზე ისიც მიუთითებს, რომ აქ მოთავსებული გალექსილი ვერსიის პირვანდელი ვარიანტის სიტყვიერი მარაგი თითქმის პროზაულიდან მომდინარეობს და დიდად არ სცილდება მას"[91].

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი იმდენად თვალნათლივ არის ნაჩვენები, ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებულ მაგალითებშიაც ისე საკმაოდ ვლინდება და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ქვემოთ მოხმობილ საილუსტრაციო მასალებში ისე უხვად გამოჩნდება, რომ მის შესახებ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და აქაც მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

სტრ. 47. დედანშია: „ბოროტს აგებულებას შეუძლია კეთილის საქმის წახდენა" (29, 33).

Q 548 (გვ. 63) და H 153 (გვ. 50) ხელნაწერებში (S 4500 დაზიანებულია) გალექსილია:

„ბოროტის ბუნებისაგან წარხდეს კეთილის ბოლონი"

---

[89] როცა ამას აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს აბსოლუტურად უმრავლესი შემთხვევები. მაგრამ ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, ტექსტის სწორებისას ვახტანგი დაბრუნებია დედანს და ამ გზით M 3-ისა და S 171-ის რედაქციულ ვარიანტებში შესულია დედნისეული სიტყვიერი მარაგი.

[90] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 267—268.

[91] წარსულის სიახლოვე, გვ. 93.

როგორც ვხედავთ, აქ გამეორებულია დედნის სამი სიტყვა. M 3-სა (გვ. 45r.) და გამოცემაშია:

„ავს ბუნებას ასე მოუდგს, გააცუდებს კეთილს ბოლოდ!“

აღნიშნული სიტყვებიდან აქ დატოვებულია ერთი („კეთილს“). დანარჩენი ორი შეცვლილია სხვა სიტყვებით („ავს“, „გააცუდებს“).

S 171-ში (გვ. 39) არ ჩანს მხოლოდ ერთი სიტყვა — „ბოროტი“; შემორჩენილია სიტყვა „წაახდენს“, ხოლო „კეთილის“ ნაცვლად არის „სიკეთის“.

„წაახდენს ავი ბუნება სიკეთის გასაბოლოსა!“

სტრ. 399. დედანი: „როგორც ზღვის ღელვისაგან ნავთსაყუდელში კეთილს მოელიან, აგრევე უბედურობიდამ სიბერეში მიწევასა და აღსასრულს მოელის“ (55, 266).

S 4500 (გვ. 98) და მის მიმყოლ ხელნაწერებში გვაქვს:

„ვითა ზღვისა ღელვისაგან ნავთსაყუდელს ელის კარგსა,
და უბედურც სიბერითა სიკვდილს შემზერს მისთვის მარგსა“.

M 3-სა და S 171-ში ეს 2-სტრიქონიანი სტროფი 4-სტრიქონიანად არის გაღლექსილი და შესაბამისად დედანს დაშორებული:

M 3 (76v.) და გამოცემა:

„რა ზღვა აღელდეს სასტიკად, საზაროდ მფოფინარენი,
ნავთსაყუდელი მენავეს მიაჩანს სალხინარენი,
უბედოთათვის სიბერე მართ აგრე მოსახმარენი,
და მოკვდეს და დარჩეს, რაც არის სოფლისა საძებარენი“.

S 171 (გვ. 70):

„რა ზღვანი შემოუღელდეს სასტიკად მფოფინარენი,
მიაჩანს ნავთსაყუდელი მენავეს სალხინარენი,
უბედოთათვის სიბერე ეგრეა მოსახმარენი,
და მოკვდესღა, დარჩეს სრულობით სოფლისა საძებარენი“.

სტრ. 520 .დედანი: „შენს უბედურობას შენის ნებით ნუ გამოაცხადებ, ამისთვის რომ შენს მტერს იამება“ (63, 351).

S 4500 (გადახაზ.; გვ. 128) და მის მიმყოლ ხელნაწერებშია:

„შენს უბედობას ნებითა ნუ იჩენ, მტერს იამება!“

როგორც ვხედავთ, აქ დედნისეული ოთხი სიტყვაა გამეორებული. M 3-ის (86r.) ვარიანტში აქედან მხოლოდ ერთი სიტყვაა შენარჩუნებული:

„ნუ იჩენ უბედობასა, მტერისა გასახარია!“

S 171-ში (გვ. 79) აღნიშნულიდან ორი სიტყვაა გამეორებული, ოღონდ შეცვლილი წყობით:

„მტერს გაახარებ, ნუ იჩენ ნებითა უბედობასა!"
და უამრავი სხვა.

4. S 4500-ის ადრინდელ, ხოლო M 3-ისა და, განსაკუთრებით, S 171-ის გვიანდელ რედაქციულ სახეს გვიჩვენებს ტექსტის სწორების ის უცვლელი პრინციპები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ზემოთ განხილულ ყველა თხზულებაში ვლინდება. სახელდობრ, კონკრეტული შინაარსიდან ზოგადი, აფორიზმებამდე აყვანილი აზრის შექმნისაკენ სწრაფვა. თუ ზოგიერთ, უფრო მცირე მოცულობის თხზულებებში ეს ძუნწად შეინიშნება, „სიბრძნე მალაღობელში" იგი ყველაზე უხვად და უკეთ არის მოცემული. პირველად ეს ფაქტი ე. მეტრეველმა აღნიშნა. „პირველ რიგში — წერს მკვლევარი, — საჭირო იყო იმის ჩვენება, თუ რა პრინციპით შეუდგა ვახტანგი ლექსების გადამუშავებას... პროზაულ «აპოვთეგმატაში» მრავალ შემთხვევაში მოთავსებულია ბრძენთა თუ ისტორიულ პირთა პატარ-პატარა ეპიზოდები ან ანეგდოტები ბრძენთა თუ ისტორიულ პირთა ცხოვრებიდან, ეს ეპიზოდები რაიმე სენტენციის ჩამოყალიბებას ემსახურება. თავდაპირველად ეს ამბები ვახტანგს ისევე აღწერითად გაულექსავს, როგორც ეს პროზაშია. შემდეგ რედაქციებში კი ვახტანგი შეეცადა, სადაც კი შესაძლებელი იყო, კონკრეტული ამბავი ზოგადის სიმაღლემდე აეყვანა, მისთვის სენტენციის ან აფორიზმის ხასიათი მიეცა"[92].

დ. ბრეგაძის სიტყვებია: „გალექსვამდე ვახტანგს კარგად შეუსწავლია პროზაული დედანი, ჩასწვდომია მის აზრს და თავდაპირველად სიტყვასიტყვით გაულექსავს იგი, მაგრამ ზოგჯერ მაინც დასცილებია ტექსტს, გაუვრცია ან შეუმცირებია, აქა-იქ თავისი აზრიც გამოუთქვამს, შემდეგ რედაქციებში კი თანდათან დაშორებია დედანს, დამოუკიდებელი მოსაზრებანი შეუტანია გალექსილში და ლაღი პოეტური ფანტაზიის შედეგად ნაირფერი მხატვრული სახეები შეუქმნია. საკუთარი სენტენცია-აფორიზმებით შეუმკია ნაწარმოები. უმრავლესი კერძო შემთხვევისადმი მიძღვნილი ესა თუ ის მაგალითი ზოგადი მოსაზრების გადმოსაცემად გამოუყენებია და საერთო შეგონების ტოლფასოვანი დასკვნები გამოუტანია"[93].

ამ მოვლენის ტიპური ნიმუშია ზემოთ განხილული აფორიზმების

[92] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 267.
[93] წარსულის სიახლოვე, გვ. 102.

წარმოშობა: „ცემა გმართებს გზმზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“; „ხმა გამოაჩენს ჩინურსა, კაცსა — ამბისა მბობანი!“ დამატებით რამდენიმე მაგალითს კიდევ დავიმოწმებთ.

სტრ. 314. დედანი: „იგივე იტყოდა: სიკვდილი და სიცოცხლე ერთი არის. ერთმა ვინმე უთხრა: მაშ, რატომ არ მოჰკვდები? მიუგო: ამიტომ, ხომ გეუბნები, ორივ ერთი არის!“ (49, 218).

S 4500 (გადახაზ.; გვ. 75), M 3 (69v.) და მათ მიმყოლ ხელნაწერებშია:

„— ერთია სიკვდილ-სიცოცხლე! უთხრეს: მოიკალ თავია!
— წელანვე გითხარ, ერთია, სიტყვანი გაგითავია!“

S 4500-ში ჩაწერილია და S 171-ში (გვ. 63) ძირეულ ტექსტშია:

„თუ სიკვდილი ავი არის, სიცოცხლეა უქებარი!“

სტრ. 403. დედანი: „ამასვე ჰკითხეს: სიბრიყვე რა არის? მიუგო: სხვა არაფერი, ბედის წინა აღმდეგია“ (55, 270).

S 4500 (გადახაზ.; გვ. 99), M 3 (77r.) და მათ მიმყოლ ხელნაწერებშია:

„ჰკითხეს: სიბრიყვე რა არის? — ბედისა წინ აღმდეგია!“

S 4500-ში ჩაწერილია და S 171-ში (გვ. 70) ძირითად ტექსტშია:

„სიბრიყვე და უზრდელობა ბედსა წინა აღუდგების!“

სტრ. 410. დედანი: „ამას გამოძებულს ამბავი მოუვიდა: შვილები დაგეხოცნენო. არა ინაღვლა რა და თქვა: როდესაც დაიბადნენ, მაშინვე ვიცოდი, რომ დაიხოცებოდნენ“ (56, 273).

S 4500 (გადახაზ.; გვ. 101), M 3 (77v.) და მათი მიმყოლი ხელნაწერები:

„შვილთა დახოცა უანბეს თემთაგან გარდაგდებულსა,
და — როდისაც იშვნენ, ვიტყოდი, მისთვისვე დაბადებულსა!“

S 4500-ში ჩაწერილია და S 171-ის (გვ. 71) ძირეულ ტექსტშია:

„მაშინ გეგონოს მოკვდავი, რა კაცი დაიბადოსა!“

სტრ. 495. დედანი: „ჰკითხეს: რა უფრო ძნელი არის? მიუგო: ხვაშიადის შენახვა!“ (61, 328).

S 4500 (გადახაზ.; გვ. 124) და მისი მიმყოლი ხელნაწერები:

„ჰკითხეს: უფრო რა ძნელია? თქვა: შენახვა საიდუმლოს!“

M 3-სა და S 171-შიაც ეს აზრი განსხვავებული, მაგრამ ორივე შემთხვევაში განმაზოგადებელი შინაარსის შემცველ აფორიზმად არის გამოთქმული. M 3-სა (84v.) და გამოცემაშია:

„ყველასგან უფრო საძნელო — შენახვა საიდუმლოსა!"

S 4500 (ჩაწერილი) და S 171 (გვ. 78):

„ძნელია მაგრა შენახვა იდუმალ განპირისა!"

საინტერესოა, რომ, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა M 3-სა და S 171-ში სტროფის სტრიქონთა რაოდენობა გაზრდილია, აფორიზმული ლაკონიურობისაკენ სწრაფვა მაინც შენარჩუნებულია:

სტრ. 407. დედანი: „როდესაც ეს ათინელთ თავისის ქვეყნიდამ გამოაგდეს, მაშინ ერთმა ვინმე გაჰკიცხა, ათინელნი დაჰკარგეო. მიუგო: ათინელთ მე დამკარგეს, მე ათინელნი არ დამიკარგავს" (56, 272).

S 4500-სა (გადახაზ.; გვ. 100) და Q 548-ში (გვ. 132) გალექსილია:

„ჰკიცხეს, — ათინა დაჰკარგე, — ათინით გამოძებულსა.
და — არ თუ მე, იმათ დამკარგეს! — ეტყოდა მონებებულსა".

S 4500-ში ვახტანგს შემდეგ ჩაუწერია და გადაუხაზავს აფორიზმული ტიპის განმაზოგადებელი აზრის შემცველი ასევე ორსტრიქონიანი ლექსი:

„კარგს ვისმე თავის თემიდგან გააძობს და გაბარგავსა,
და თემისთვის დაიკარგება, იგ თავსა არ დაკარგავსა!"

M 3-სა (გვ. 77r.—v.) და S 171-ში (გვ. 71) აღნიშნული 2-სტრიქონიანი სტროფის ნაცვლად არის 4-სტრიქონიანი სტროფი, სადაც ბოლო სტრიქონი აფორიზმია:

ათინიდამ გამოაძეს, უძრახევდენ უვარგავი:
რად დაჰკარგე სატრფიალო, საქებარი, საკარგავი?
მათ (მან S 171) პასუხი შეუტყია სახსოვარი, საბარგავი (სანარგავი S 171):
დავინ ვის უფრო ეპირება, ის იქნება დამკარგავი!"
და მრავალი სხვა.

5. „სიბრძნე მალაღობელშიაც" შენარჩუნებულია სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირებისაკენ მიდრეკილება. თ. ჭყონია მიუთითებდა: „ვახტანგ VI-ის თხზულებათა ხელნაწერი კრებულების ურთიერთ შედარებით ირკვევა, რომ ლექსების გადამუშავება ძირითადად მიმდინარეობს სტროფის თითოეულ ტაეპში სიტყვათა რაოდენობის შემცირების მიმართულებით. ვახტანგ VI სხვადასხვა ხერხით აღწევს ტაეპში სიტყვის რაოდენობის შემცირებას"[94].

[94] „ლიტერატურული ძიებანი", VI, 1950, გვ. 285.

სტრიქონებში სიტყვათა შემცირების პროცესი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დამოწმებულ მაგალითებშიაც კარგად ჩანს. ამიტომ აქაც ნიმუშად რამდენიმე მაგალითის ჩვენებით დავკმაყოფილდებით:

სტრ. 154. S 4500 (გადახაზ.; გვ. 32):

„თუ ბოროტსა განიკითხავ, იცი, ღმერთიც განგიკითხავს".

M 3 (გვ. 55r.) და გამოცემა:

„განგიკითხავს განმკითხველი, თუ ბოროტსა განიკითხავ!"

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 49):

„გამკითხველი განგიკითხავს ბოროტისა გამკითხველსა!"

პირველ ვარიანტში 6 სიტყვაა, მეორეში — 5, მესამეში — 4.

სტრ. 320. S 4500 (გადახაზ.; გვ. 77):

„როგორც მშობელთ შენ ეპყრობი, შენც შვილთაგან მას ელოდე!"

M 3 (70v.) და გამოცემა:

„ვინ მშობელსა არ აამებს, იგიც მასვე მოელოდეს!"

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 64):

„როგორც მშობელთ მოეპყრობი, შენცა მასვე მოელოდე!"

პირველ ვარიანტში 8 სიტყვაა, მეორეში — 7, მესამეში — 6.

სტრ. 452. S 4500 (გადახაზ.; გვ. 111):

„გლახის ძრახვა, მდიდრის შური უმეცრება არის დიდი!"

M 3 (81r.) და გამოცემა:

„უმეცრებად ჩაუგდიათ გლახის ძრახვა, მდიდრის შური!"

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 74):

„თავხედობა გლახაკს ძრახავს, მდიდრის შურსა მოიპოებს!"

პირველ ვარიანტში 7 სიტყვაა, მეორესა და მესამეში — 6-6.

სტრ. 575. S 4500 (გადახაზ.; გვ. 140):

„ცილის მწამებელს, მეშურნეს, ამპარტავანს და ფიცხელსა,
და უცოდნსა კაცსა ერთპირად, ერიდე, გასაიცხელსა!"

M 3 (89v.) და გამოცემა:

„ცილის მთქმელსა, მემშურნესა, ამპარტავან, გულფიცხელსა,
და უსწავლელთაც მოერიდე, უცებობით განახელსა!"

S 4500 (ჩაწ.) და S 171 (გვ. 83):

„მემშურნე, ამპარტავანი, უსწავლი, გულფიცხელია,
და ცილისა გამომეტყველი სარიდი, საკიცხელიაა“

პირველ ვარიანტში სიტყვათა რაოდენობაა 6-5, მეორეში — 5-4, მესამეში — 4-4. და მრავალი სხვა.

საერთოდ, ამ თვალსაზრისით S 4500-სა და M 3-ს შორის განსხვავება დიდი არ არის. გვაქვს პირუკუ მაგალითებიც, როდესაც M 3-ში უფრო გრძელი სტრიქონებია, ვიდრე პირველში. მაგრამ, რაც შეეხება S 171-ს, აქ პრინციპული ვითარება არის. როგორც წესი, მასში სხვებთან შედარებით სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობა ყოველთვის ნაკლებია. გამონაკლისი შემთხვევებიც მცირეზე მცირეა.

6. დასასრულ, კიდევ ერთი უტყუარი საბუთი, რომელსაც აქამდე ყურადღება არ მიქცევია.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული და ამის შესახებ ზემოთაც ითქვა, ვახტანგს, გარდა დედნის გალექსვისა, ცალკეული ლექს-სტროფებისათვის დაუმატებია იმავე საკითხის შემცველი ან მასთან ახლო მდგომი განმაზოგადებელი შინაარსის სტროფები. ამ სტროფთა ერთი ნაწილი S 4500-სა და მის მიმყოლ ხელნაწერებში არ დასტურდება, ხოლო მეორე, ასევე დიდი ნაწილი ამ ნუსხებში არის, ოღონდ S 4500-ში ისინი მოთავსებულია არა ძირითად ტექსტში, არამედ მიწერილია არშიებზე, თუმცა ყველა მათგანი შესრულებულია გადამწერის მელქისადეგ კავკასიძის ხელით. ეს მინაწერი სტროფებია[95]:

26 — „არ გვემო კაცი არ იქნას...“ (გვ. 2)
36 — „ძნელია სიბრძნით სიკვდილი...“ (გვ. 5)
41 — „რისხვამ შექნას უადგილომ...“ (6)
56 — „კარგია ვისცა მიხვდება...“ (7)
60 — „სიმდიდრით თავი ნაქები...“ (8)
62 — „სანატრელია სოფლისა...“ (8)
65 — „ყოვლი უწვრთნელი იქნება...“ (9)
68 — „უცებს გონია ბრძენი ვარ...“ (10)
72 — „რა კაცსა გამოუვიდა...“ (11)
78 — „გაეწყობი, სახლში შეხვალ...“ (13)
80 — „წესია სოფლის მოყვასთა...“ (13)
82 — „ამბავს კითხავ, რა გიანბოს...“ (14)
84 — „ძნელია კაცის სიმაღლის...“ (14)
86 — „თუ უნდა ბრძენსა სოფელი...“ (15)

---

[95] სტროფთა დასაწყისებს ეუთითებთ გამოცემის მიხედვით.

89 — „რჩევა, გასინჯვა საქმისა...“ (15)
92 — „მაგინებელსა არ უნდა...“ (17)
94 — „მეფეს თუცა აქვს სიბრძნითა...“ (17)
96 — „ძნელია, კაცი კეთილი...“ (18)
98 — „სოფელი ნებას არ მოგცემს...“ (18)
100 — „ბოლომდე შვებით გამვლელსა...“ (19)
103 — „საცა ბოროტი გამოჩნდა...“ (20)
110 — „დაჰპირდები და არა გაქვს...“ (22)
112 — „მეფესა ბრძენსა, გლახაკსა...“ (22)
116 — „მწერთნელთა მოსწავლის ცემაზე...“ (23)
118 — „კარგია ვინმე კეთილსა...“ (23)
128 — „კაცს სოფლისაგან სოფელში...“ (25)
134 — „სიბრძნე ამისთვის კარგია...“ (27)
148 — „რა უმჯობეა იცოდეს...“ (30)
150 — „მდუმრობა არის სიკეთე...“ (31)
161 — „რაცა მისცეს ბედმან კაცსა...“ (33)
163 — „წყალია ერთხელ განმწმენდი...“ (33)
167 — „უცხოა ესე სოფელი...“ (34)
171 — „ვინ ვისცა აწვევს...“ (35)
172 — „ნუ მიგაჩანს უკეთესად...“ (35)
174 — „სოფლისგან ხელის აღებას...“ (36)
176 — „ვინ მოკლა ალექსანდრევით...“ (36)
178 — „ნუ უბნობ შენის უფროსის...“ (37)
181 — „ბრალი არის საწუთოსა...“ (37)
183 — „უმართისისა მოქმედი...“ (38)
185 — „სიზმრის მიმყოლი ყოველი...“ (39)
187 — „ვით იაგუნდსა მწვრეში...“ (40)
189 — „არად ჩანს ბრძენსა სიკვდილი...“ (40)
192 — „ვით ძრახვა, აგრევ შემკობა...“ (41)
196 — „რა სჯობს სხვა მეგობრობასა...“ (42)
377 — „რა კაცი გარეთ გამოვა...“ (93)
458 — „ეს სოფელია დიაცი...“ (113)

დაზიანების გამო აკლია, მაგრამ კვალი ჩანს, S 4500-ში მიწერილი ყოფილა მე-20 სტროფი („კარგია მადლის შეწირვა...“, გვ. 1). დაზიანების გამო ამავე ნუსხას აკლია აგრეთვე მე-14 („მშვიდი, წყნარი და მორცხვედი...“) და მე-18 („კეთილი მთქმელი, შემსმენი...“) სტროფები, რომლებიც დასტურდება Q 548 და ამავე ტიპის სხვა ნუსხებში. აღნიშნულ ნუსხათა ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე ეს სტროფებიც S 4500-ში ასევე არშიებზე იყო მიწერილი.

S 4500-ისა და მასთან მდგომი ხელნაწერებისათვის უცნობია შემდეგი სტროფები:

16 — „დაჰკარგეს ქმნულთა მოქმედი...“
22 — „თუ უნდა კაცსა სიკეთე...“
29 — „სიტყვა მოკლედ მოყვანილი...“
67 — „უთხრა, უცებო, რად უბნობ...“
71 — „ავ-მუცლობით არ მიქნია...“
88 — „რა ეს ნახეს მათ ყაზახთა...“
169 — „თუ მისცე კაცსა პატივი...“
250 — „ძრახვის მთქმელი სიკეთეში...“
277 — „ასე მართებს სოფლისაგან...“
279 — „კარგს გეტყვის კაცი...“
300 — „ვინ ღირსა ამა ნათქვამსა...“
400 — „ამ სოფლისა დაარსება...“
408 — „არვინ დაჰკარგა ცნობილმან...“
443 — „სიბრძნეს არ მისდევს სიმდაბლე...“
482 — „რადგან არის ქალწულება...“
556 — „თუ კარგი ვარ არვის მართებს...“

მართალია, მე-16 სტროფი S 4500-ს დღეს დაზიანების გამო აკლია, მაგრამ, რადგან იგი მის მიმყოლ ხელნაწერებშიაც არ დასტურდება, ამ ნუსხათა ურთიერთმიმართებაზე დაყრდნობით აქაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სტროფი S 4500-ში თავიდანვე არ იყო.

ეს სტროფული თავისებურებანი დამახასიათებელია მხოლოდ ამ რედაქციული ჯგუფისათვის.

ახლა, თუკი ამ სტროფებს დედანთან მიმართებით გავსინჯავთ, აღმოჩნდება, რომ პირველი ორასი სტროფიდან ყველა დედანს წამატებული ე. წ. განმაზოგადებელი სტროფი S 4500-სა და მის მიმყოლ ნუსხებში ან არ მოეპოვება (სტრ. 16 და 22), ან აღნიშნულ ხელნაწერში არშიაზეა მიწერილი. დანარჩენი სტროფებიდან ამგვარივე წამატებულ-განმაზოგადებელი ზასიათისაა ორივე მინაწერი სტროფი[96] (377, 458) და ამ რედაქციისათვის უცნობი ყველა სტროფი, გარდა სამისა (სტრ. 67, 71, 88).

---

[96] ერთადერთი სტროფი, რომელიც S 4500-ში არშიაზეა მიწერილი და დამატებულ-განზოგადებული შინაარსისა არ არის, ესაა 171 სტროფი. ეს გამონაკლისი, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ ვახტანგს გამორჩა გალექსვისას ან მელქისედეგ კავკასიძეს — გადაწერისას.

ეს ფაქტი, ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ ვახტანგს თავიდან მიზნად ჰქონია „აპოფთეგმატას“ ქართული პროზაული ტექსტის მხოლოდ გალექსვა, ხოლო მასზე დამყარებული, საკუთარი, განმაზოგადებელი შინაარსის სტროფების შექმნა მოგვიანებით გადაუწყვეტია. ამ აღრინდელ ვითარებას უნდა გამოხატავდეს S 4500 ნუსხა. სხვანაირად ჩვენთვის აუხსნელია, რატომ მაინცადამაინც ერთნაირი, აღნიშნული ტიპის სტროფები არ მოიპოვება ან მიწერილია დასახელებულ ნუსხაში, თანაც თხზულების დასაწყისში, მთელი 200 სტროფის მანძილზე. ჩანს, ვახტანგს ხსენებული ტიპის სტროფების ნაწილი S 4500 ნუსხის გადაწერამდე შეუთხზავს, რადგან ისინი ძირითად ტექსტში უკვე შესულია; ნაწილი კი, რომლებიც მასში არ არის, ამ ნუსხის დამზადებისას დაწერილი არ ჰქონია.

ამ მოსაზრებას, — S 4500 ხელნაწერის ტექსტის პირველადობას,— ადასტურებს აგრეთვე დასახელებული და მისი მიმყოლი ნუსხებისათვის უცნობი ის სამი გამონაკლისი სტროფიც (67, 71, 88), რომლებიც, აღნიშნული დამატებითი სტროფებისაგან განსხვავებით, უშუალოდ პროზაული დედნის გალექსვას წარმოადგენს.

ირკვევა, რომ ის დედნისეული შინაარსი, რაც M 3-სა და S 171 ნუსხათა მიხედვით ორ-ორ, აღნიშნულ და წინა სტროფებში (66—67, 70—71, 87—88) გაფართოებულად არის გადმოცემული, S 4500 და მისი ტიპის ხელნაწერებში იგივე თითო, წინა სტროფებში (66, 70, 87), შეკუმშულადაა წარმოდგენილი. ვნახოთ ეს მაგალითები:

66—67 სტროფთა დედანია: „რომელიმე სტრაფჩთაგანი დავიდოდა არისტოტელის მაგიერ მსაჯულთანა და კიდეც გაამართლა. მან სტრაფჩმა იფიქრა და თქვა: ჩემი ჭკუა სჯობს ამ ფილასოფოსის ჭკუასა და უთხრა: შენ რა სარგებელი გაქვს მაგ ფილასოფოსობითა? თუ მე არ ვყოფილიყავ, გაგამტყუნებდენ. მიუგო: მე ეს სარგებელი მაქვს: რაც მე აქა ვსთქვი, ის ჩემი ნათქვამი სიტყვა მსაჯულს მოხსენდა და იმითი განვმართლდი“ (31, 46).

M 3-სა (46v.) და გამოცემაში ეს ტექსტი ორ სტროფად არის გალექსილი:

„არისტოტელს საქმე ჰქონდა, მისმა სტრაფჩმა გაუმართა,
მისგან მისის უბრძნესობით დაიჯერა, დაემართა;
უთხრა: სიბრძნეს რასა ხმარობ? ესე ჩემგან წარგემართა,
და მოგხვდა დიდი შეძინება, რაზომიცა მოიმართა.

უთხრა: უცებო, რად უბნობ სიტყვასა მიუმხვდაროსა?
რაც გესმა, ჩემგან იტყოდი იმისა შესადაროსა,
მისგან მოგეცა პატივი ნაკლებსა, დანამცდაროსა,
და მოციქულს სიტყვას ვინ უსმენს, თუ მეფე დაემდაროსა?!“

ასევე ორსტროფიანია ეს ეპიზოდი S 171 ნუსხაში (გვ. 40—41):

„სამე რამე არისტოტელს ბჭეთმგებელმა გაუმართა,
მისგან მისის უბრძნესობით დაიჯერა, დაემართა:
ჰკადრა: სიბრძნეს რასა ხმარობ, ესე ჩემგან წარგემართა,
და მოგიყიდა შეძინება რაზომიცა მოიმართა.

ჰრქვა: უხმარია უბნობა, სიტყვასა მიუმხედაროსა,
ნასმენსა ჩემგან იტყოდი ამბისა შესადაროსა,
მისგან მოგეცა პატივი ნაკლებსა, დანამცდაროსა,
და მოციქულს სიტყვას ვინ უსმენს მეფისა დანამდაროსა?!“

S 4500 (გვ. 10) და მის მიმდევარ ნუსხებში მხოლოდ პირველი, 66-ე, სტროფია, ისიც M 3-ის რედაქციისა, ოღონდ განსხვავებულია ერთადერთი, მეოთხე სტრიქონი. იკითხება:

„თქმული ჩემი იქ იუბენ, გაღანამცა მოიმართა“.

ეს სიტყვები, რასაკვირველია, არისტოტელეს ეკუთვნის, რომლებიც სხვა რედაქციის ნუსხებში ვრცლად, მთელ მომდევნო სტროფად არის ჩამოყალიბებული.

მაშასადამე, S 4500 ხელნაწერში მოყვანილი პროზაული ტექსტი ერთ სტროფად არის გალექსილი, დანარჩენი რედაქციის ნუსხებში — ორ სტროფად.

70—71 სტროფების დედანი: „როდესმე იყიდა ერთი კაკაბი ხუთ მინალთუნად. ერთმა ვინმე ნაყროვანებაში ჩამოართვა და უთხრა: ის არა სჯობდა, მაშინ გეყიდა, როდესაც ოთხ ფოლად იქნებოდა? მიუგო: ჩემთვის ხუთი მინალთუნი ისე არის, როგორც შენთვის ოთხი ფოლი ფასობს. მე ეს ნაყროვნობით არ მიქნია. ამისთვის ვქენ, თეთრმა ჩემს ხელში ბევრი ხანი არ დაყოს. ვინც ძვირათ არას იყიდის, ამისთვის არა იქს, რომ სარვაგიანი კაცი დაუძახონ, თეთრის შენახვა უნდათ“ (31, 48).

აქაც ეს ტექსტი M 3-სა (გვ. 47r.) და S 171-ში (გვ. 41) ორ სტროფად არის გალექსილი:

„სამ ფლურს აძლევდა კაკაბში, უძრახეს მუცლად აობა;
— აგერ სამ ფულად გახდება, — დაუწყეს მისა დაობა.
— ჩემთვის სამ ფლურსა, — ეტყოდა, — ესე აქვს შესაგაობა,
და მეცა მჩანს, ვითა მიგაჩანს, მაგა ფულისა შაობა.

ავ-მუცლობით არ მიქნია, ვყოფილიყო დანამჭირად,
არას ვეძებ დასადებლად, თეთრი მინდა გასაწირად;
სარვაგობით არ იქმონენ, არ იყიდის ვინცა ძვირად,
და უნდა განძი დასადებად, მაგრა პარკთა მოსაჭირად“.

S 171-ში განსხვავება უმნიშვნელოა. პირველი სტროფის პირველ სტრიქონში ფრაზის „სამ ფლურს აძლევდა კაკაბში უძრახეს“ ნაცვ-

ლად არის: „სამ ოქროდ იღებს კაკაბსა, დაუგმეს“. ბოლო სტრიქონში „მეცა“-ს ნაცვლად არის „ეგრე“. მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში „უნდა განძი დასადებად მაგრამ პარკთა“-ს მაგივრად წერია: „განძი უნდა დასადებლად პარკებისა“.

S 4500 (გვ. 10—11) და მისი რედაქციის ნუსხებში ამ ორი სტროფის ნაცვლად არის ერთი სტროფი, რომელიც მოკლედ ამოწურავს დედნის შინაარსს:

„სამ ფლურად კაკაბს სყიდულობს, სძრახევდენ: — ავ-მუცელია!
— ჩემთვინ ისრეა, ვით შენდა ის ოთხი ფოლი ძნელია,
არა ვიქ მაგად, ამად ვიქ, არ დაყოს ჩემთან წელია;
და არ სავარგად იქს, ვინცა იქს, თეთრის შენახვის მცდელია!“

და ბოლოს, 87—88 სტროფების შესახებ. დედანია: „ერთხელ, როდისმე მოუხდა ზღვაში სიარული. დაინახა, ნავით მეკობრენი რომ ზღვაში ნავებს ამტვრევდნენ. ამოიღო ჩახვით ფლურები და თვლა დაუწყო, ხელიდამ გაუშვა და წყალში ჩააგდო და თქვა: ოქრო ჩემგან დაიკარგოს ისი სჯობს, ვირემ მე ოქროსგან დავიკარგო! ნახეს ეს ყაზახთა, რომ ოქრო აღარა ჰქონდა და ხელი აღეს“ (32—33, 57).

M 3 (49r.) და გამოცემა:

„ზღვად მიმავალთა შემოხედენ, ყაზახი, ნავთა მცრცველია,
ჩახვი გამოხსნა, სინჯევდა; ხედევდენ, ოქროს მთელელია,
ანაზდად ხელით გააგდო, დაინთქა დასანთქმელია:
და — წამიხდეს უნჯი, ის მიჯობს, მე მოვრჩე ისე მთელია!

რა ეს ნახეს მათ ყაზახთა, ოქრო ზღვასა ჩაუვარდა,
გასცილდენ და გაეცალნენ, მით ეკალი გაუვარდა,
რა მოურჩა თავი მთელად, დაჯერებას არ უვარდა,
და თათბირი და გამორჩევა არვის სადა დაუვარდა!

დაახლოებით ამგვარიევე რედაქციითაა ეს სტროფი S 171-ში (გვ. 43):

„ზღვად მიმავალსა შემოხდენ ყაზახობითა მძრცველია,
ჩახვი გამოხსნა; სინჯევდენ, უჰკერეტდენ ოქროს მთელელია;
ანასდათ ხელით გააგდო, დაინთქა დასანთქმელია:
და — მიჯობს წამიხდეს საუნჯე, მე გარდაურჩე მრთელია!

რა ეს ნახეს მათ ყაზახთა, ოქრო ზღვასა ჩაუვარდა,
გაიარნეს გარდამსელელთა, მ-თ ეკალი გაუვარდა,
გადაურჩა საშიშარსა, შესაწუხი გარდუვარდა,
და თათბირი და გამორჩევა ძნელად ვისმე დაუვარდა!“

S 4500 (გვ. 15) და მის მიმდევარ ნუსხებში ამათ ნაცვლად ერთი, პირველი სტროფია:

„ზღვით მივიდოდა, მიუხდენ ყაზახნი, ნავთა მცრცველია,
ჩახვი გახსნა და შინჯევდა, ეგონათ მისი მთვლელია;

ანაზდათ ხელით გაა[გ]დო, დაინთქა დასანთქმელია:
და — ჩემსას სჯობს ოქროს წახდენა! — მორჩა ამითი მთელია!"

აქაც ბოლო სტრიქონის ბოლო ფრაზით „მორჩა ამითი მთელია" დასრულებულია დედნისეული აზრი — როგორ გადაურჩა დიოგენე მეკობრეებს.

როგორც ვხედავთ, სამივე შემთხვევაში მეორე სტროფებში დამატებულია (სტრ. 67 და 88) ან წინ წამოწეულია (სტრ. 71) განმაზოგადებელი შინაარსის შეგონებანი:

„მოციქულს სიტყვას ვინ უსმენს მეფისა დანამდაროსა!"

„სარვაგობით არ იქმონენ, არ იყიდის ვინცა ძვირად,
უნდა განძი დასადებად, მაგრა პარკთა მოსაპირად!"

„თათბირი და გამორჩევა ძნელად ვისმე დაუვარდა!"

მაშასადამე, ეს სამი სტროფიც, რომლებიც დედნისეული ტექსტიდან მომდინარეობს, იმავე ტიპის განმაზოგადებელი შინაარსის შემცველია, როგორიცაა დანარჩენი მინაწერი სტროფებიც. რომლებიც უშუალოდ დედნის გალექსილ ვარიანტს არ წარმოადგენს. და ეს სამი სტროფიც S 4500 ხელნაწერის ტექსტის პირველადობას ისევე ავლენს, როგორც დანარჩენი აღნიშნული სტროფები.

ამრიგად, ყველა მხრივ ჩანს, რომ S 4500 და მის მიმყოლ ხელნაწერთა ტექსტი პირველადია, ხოლო M 3-ისა და S 171-ის ტექსტები — შემდეგდროინდელი.

წარმომავლობის, სიძველე-სიახლის თვალსაზრისით რა მიმართებაშია ერთმანეთთან M 3 და S 171?

უკვე რამდენჯერმე მიღუთითეთ, რომ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ბოლო რედაქციად მიჩნეულია M 3. მაგრამ ამ ნუსხის შედარება, ერთი მხრივ, S 4500-თან, ხოლო, მეორე მხრივ, S 171-თან, ამ შეხედულებას არ ამართლებს.

როგორც ვთქვით, M 3-ის ტექსტი S 4500-ის პირვანდელი ტექსტის განვითარებულ რედაქციულ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ არა იმდენად შორსწასულს, რამდენადაც S 171-შია. ამის დამადასტურებელია შემდეგი ფაქტები, რომელთაგან ზოგიერთი ზემოთ უკვე აღინიშნა:

1. M 3-ში, ისე როგორც S 171-ში, შესულია და ძირეულ ტექსტში იკითხება ზემოთ აღრიცხული 45-ზე მეტი სტროფი, რომლებიც S 4500-ში არშიებზეა მიწერილი და 20-მდე სტროფი, რომლებსაც S 4500 არ იცნობს.

2. M 3-ში დაახლოებით 120 სტროფი თავისებური, ყველასაგან განსხვავებულია.

3. არის რამდენიმე ათეული სტროფი, სადაც M 3 S 4500-ს შორდება და მიჰყვება S 171-ს:

სტრ. 78. S 4500-სა (გვ. 13) და მის მიმყოლ ხელნაწერებში იკითხება:

„კაცს ეწყობი, სახლში შეხვალ, მისას ნახავ რასაც რასა,
დაუწუნებ ყველაკასა, შიგ ნადებსა, გარე სრასა;
ეს კი გინდა, კარგა დაგხვდეს შეყრასა და გამოყრასა,
და არვინა იქს გონიერი ამ საქმეზე ენის ძვრასა".

M 3 (48r.), S 171-სა (გვ. 42) და გამოცემაში არის:

„გაეწყობი, სახლში შეხვალ, მისას ნახავ რასაც რასა,
ერთპირობით დაუწუნებ დანადებსა გარე სრასა,
გინდა დაგხვდეს შესაბამისად შეყრასა და გამოყრასა,
და არ იქმონენ გონიერნი ამ საქმეზე ენის ძრვასა".

S 171 მესამე სტრიქონში იძლევა მხოლოდ ასეთ განსხვავებულ წაკითხვას: „შესამსგავსად შენაყარს".

სტრ. 483. დედანი: „კაცმა კაცს ასეთი რამ უნდა ურჩიოს, თვითანც გარდაჰხდომოდეს" (60, 318).

S 4500 (გვ. 120; გადახაზ.) და მისი მიმყოლი ნუსხები:

„სხვამ სხვასა ასე ურჩიოს, თვითონც ის გარდახდომოდეს!"

M 3 (84r.), S 4500 (ჩაწ.), S 171 (გვ. 77), გამოცემა:

„ნუ ურჩევ სხვასა, არ გქონდეს რაშიგან გამოცდილობა!"

M 3-სა და გამოცემაშია „მაშიგან".

Q 548-სა (გვ. 63) და H 153-ში (გვ. 50) 52-ე ლექს-სტროფი ერთსტრიქონიანია (S 4500-ს დაზიანების გამო აკლია), M 3-სა (45r.) და S 171-ში (გვ. 39) — ორსტრიქონიანი:

დედანი: „უკეთუ მამამ შვილი სასწავლოში არ მისცა, შვილმა მაშინვე უნდა შეიტყოს, თურმე თავის მემკვიდრედ არ უნდა" (30, 38).

Q 548:

„მამა შვილსა არ ასწავლის, სცნას, არ უნდა მისსა მკვიდრად!"

M 3 და გამოცემა:

„მამა შვილსა არ ასწავლის, არცა ოდეს გაუმგუნდეს,
და სცნას, შემდგომი მემკვიდრობა მისთვის თურმე აღარ უნდეს".

S 171:

„მამა შვილსა არ ასწავლის, არაოდეს გაუმგუნდეს,
და საცნობია, მემკვიდრობა მისთვის თურე არა უნდეს".

S 4500-სა და მის მიმყოლ ხელნაწერებში სტროფი 2-სტრიქონიანია, M 3-სა და S 171-ში — 4-სტრიქონიანი.

სტრ. 15, 2—4. დედანი: „სოგრატ კვდებოდა და უკანასკნელი ლოცვა ესრეთ შესწირა ღმერთსა: დამბადებელო ღმერთო ყოელისა სულისა და სიბრძნისაო, შენ შეგვედრებ ჩემს სულსა“ (27, 12).

Q 548 (გვ. 57; S 4500 დაზიანებულია):

„სოგრატ მოკვდავი უფალსა ილოცავს, ევედრებოდა:
და სიბრძნის დამბადო ყოველ სულთა, სულსა შენ შეგევედრებოდა!“

M 3 (42r.) და გამოცემა:

„სოგრატ მოკვდავი უფალსა ამ სიტყვით გევედრებისა:
სიბრძნისა დამბადებელო, ყოელ სულთა სახმარებისა,
შენ შემოგევედრებ ჩემ სულსა, მყოფი ხარ საცა კრებისა,
და შემინდევ ჩემი ნაქნარი შენს წინა მოსახრებისა!“

S 171 (გვ. 37):

„სოგრატ მოკვდავი უფალსა გულითა ევედრებისა:
სიბრძნისა დამბადებელო, სრულისა სახმარებისა,
შემოგაევედრებ ჩემს სულსა, მყოფელო შესაკრებისა,
და შემინდევ ნასაქმარები წინაშე მოსახრებისა!“

როგორც ვხედავთ, პირველი რედაქციის ტექსტი მიჰყვება დედანს, ხოლო M 3-სა და S 171-ს შორის სხვაობა ცოტაა. ანალოგიური ვითარებაა 21, 28, 55, 70, 129, 168, 249, 278, 299, 399, 407, 442, 555 და სხვა სტროფებში.

4. S 4500-ში ვახტანგის მიერ შეტანილი ზოგიერთი, წვრილმანი შესწორებანი M 3-ის ძირეულ ტექსტში იკითხება. პირვანდელი ვარიანტები, როგორც ეს სხვა თხზულებებშიაც გამოჩნდა, Q 548-სა და მის მიმყოლ ნუსხებშია შემორჩენილი. მაგალითები:

S 4500-ის ადრინდელი, Q 548 და H 153-ის წაკითხვები:	S 4500-ის შესწორებული და M 3-ის წაკითხვები:
95 გ. მენავემ რქვა	მენავემან
117 დ. რისაც თქვენ	რისაცა
136 ბ. დაიწყოს უპატიურმან	~
191 ბ. კაი ბედი აქვს იტყოდენ	იტყოდენ კაი ბედი აქვს
205 გ. თვარემ რისა ხარ მგნებელი	რისა ხარ გამაგნებელი
218 ა. ყოველი	ერთობით
266 ა. ეტყვის და	ეტყოდა
274 გ. მასცა გაუწყრა ბოლო ჟამ	ბოლოჟამ მასცა გაუწყრა
285 დ. პურიე	ესევ
352 გ. ან გულსა ჰქნა	გულსა ჰქონდეს
354 დ. უთხრა მაქეთა	შემომაქეთა

359	ბერიკაცს	შხცოვანს, მხცოვანთა S 4500 (ჩაწ.), S 171
364	ბ. ლახვარ	ლახვრის
365	ბ. იმ ორში	ორთაგან
381	ა. ჰკითხევდენ	დაჰკითხეს
	ბ. სხვის სანდომია	სხვათა სანდომი
385	ა. დიაღ	მეტად
412	დ. აქ ხორცი	ხორციმცა
413	ბ. ნუ გაქვს კაცთ	ნუ სხვათა
423	ბ. ჰკუით თუ იქ	თუ ჰკუით იქ
436	გ. მერმე ბრძენი	ბრძენი მასვე
	დ. მის ნაქნართგან	ნაქნართაგან
448	ბ. მბაღმან	ღ˜თან (ღ˜მა S 171)
459	ა. ეჭმნა	არის
470	დ. თუ სხვაც	სხვაცა
473	ბ. ფარეხსა შეიყრებოდა	არად არ ეხმარებოდა
489	ბ. მას; მის ნადებისა	რა; დანადებისა
493	ა. რიგიანი და	რიგიანია
505	მალმალ უნდა უფრო	უფრო უნდა მალმალ
510	ა. ქვაზედაც	კიდონზე S 4500 (ჩაწ.), კიდონტზე M 3
518	ბ. ხამს შენც	შენცა
522	მებატონის და	მებატონისა
526	ვერ გიპოოსა	ვერა გპოოსა
566	ა. თეთრია ავ-მუცლისათვის	~
728	ბ. არტაშან	არტაბან+S 171
774	ბ. მალ წავა სოფლის	წავა სოფლისა

ამ მაგალითებიდან უფრო საყურადღებოა სხვა: ზოგიერთი ეს სტროფი, რომლებშიაც ვახტანგს მცირეოდენი შესწორებანი შეუტანია, რაც გადასულია M 3-ში, შემდეგ მასვე იმავე S 4500-ში მთლიანად გადაუკეთებია, მაგრამ ეს ახალი ტექსტი შესულია S 171-ში და არა M 3-ში. ვნახოთ ეს მაგალითები:

სტრ. 266. Q 548 (გვ. 107) და H 153-ში (გვ. 85) წერია:

„კაცს ხედავს ოქრო-მოსილსა, ე ტ ყ ო დ ა, ამას ინებსა,
და ვხედავ ამ კაცსა, მიმყიდე, ბატონის დანამჭირებსა!"

ასევე იკითხება იგი S 4500-ში (გვ. 63), ოღონდ ვახტანგს „ეტყოდა" გადაუკეთებია ფორმით „ეტყვის და". ეს სტროფი ამ შესწორებით გამეორებულია M 3-ში (გვ. 65v.). ამის შემდეგ S 4500-ში ვახტანგს აღნიშნული სტროფი მთლიანად გადაუხაზავს და მის ნაცვლად ჩაუწერია:

„დანატყვევი ბრძენი ხედავს ოქრო-მოსილს გაუჭირსა,
და ეუბნების: მას ნიმყიდეთ, ჰგავს პატრონის დანამჭირსა!"

S 171-ში გადასულია ეს ვარიანტი (გვ. 59), M 3 კი მას არ იცნობს.

როგორც ვხედავთ, M 3 ასახავს ტექსტის სწორების პირველ ეტაპს, S 171 — ბოლო ეტაპს.

სტრ. 287. Q 548 (გვ. 111) და H 153 (გვ. 88):

„ურმა გონჯი და კარგა ზრდილი შეხედა და დაინახა,
და თქვა სულისა კეთილობა პირს შვენებას აძლევს ახა“;

ასე იკითხება ეს სტროფი S 4500-ში (გვ. 70), ოღონდ ხაზგასმული სიტყვები ამოფხეკილია და გადარჩენილია მხოლოდ ბოლო ასოები — „....ლ...სახა“. ჩანს, თავის დროზე აქაც იგივე სიტყვები ეწერა, რაც გვაქვს Q 548-სა და H 153-ში.

M 3 (68r.) ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს იძლევა, სადაც ყველაზე უფრო აღნიშნული სიტყვებია შეცვლილი:

„ურმასა გონჯსა კარგა ზრდილად შეხედავს და დაინახავს,
და თქვა: სულისა კეთილობა შვენებასაც დაუსახავს“.

აშკარაა, წაკითხვა „შვენებასაც დაუსახავს“ შემდეგ გაჩენილი ვარიანტია, რომელიც M 3-ში აისახა.

S 4500-ში სტროფი მთლიანად გადახაზულია და ვახტანგის ხელით ჩაწერილია:

„მოყვესა გონჯად ნაქნარსა, ნაზარდსა სწაელულებითა,
და სახესაც სულის შვენება აჩვენებს განსრულებითა“.

ეს ვარიანტი მცირეოდენი სხვაობით შესულია S 171-ში (გვ. 62). სახელდობრ, გადასმულია მეორე სტრიქონის დასაწყისი სიტყვები. წერია: „სულის შვენება სახესაც“. ამ ახალ სტროფს M 3 არ იცნობს.

სტრ. 365. Q 548 (გვ. 126), H 153 (გვ. 100):

„თუ მეგობარი არ იყოს, ნუ რიდებ სამართლობასა,
და იმ ორში ერთი დაგიწყებს ამ საქმით მწვე მადლობასა“.

ასევეა ეს სტროფი წარმოდგენილი S 4500-სა (გვ. 91) და M 3-ში (გვ. 74v.), ოღონდ „იმ ორში“-ს ნაცვლად M 3-ში იკითხება „ორთაგან“. S 4500-ში თავიდან ყოფილა „იმ ორში“, ხოლო შემდეგ ვახტანგს ის გადაუკეთებია იმ ფორმით, რაც M 3-ში გვაქვს — „ორთაგან“.

ამის შემდეგ S 4500-ში ვახტანგს პირველი ვარიანტი სულ გადაუხაზავს და თავზე დაუწერია:

„უმოყვესოს სამართლობასა რასათვის დაერიდების,
და მოყვესად გაუხდის ერთსაცა, საკარგოდ მოეკიდების“

S 171-ში მცირეოდენი ცვლილებით სწორედ ეს ვარიანტი იკითხება (გვ. 68). არის: „უმოყვსო"; „რასათვის" ნაცვლად — „ნურათი". სტროფის ამ ახალ რედაქციას M 3 არ იცნობს.

სტრ. 473. S 4500-სა (გვ. 117) და M 3-ში (გვ. 83r.) იკითხება:

„ყალამის ტყავი კაცს ეცვა, კოხტად რამ იარებოდა,
და ჩასჩურჩლა: უწინ ცხვარს ეცვა, არად არ ეხმარებოდა".

S 4500-ში აღნიშნული სიტყვები ვახტანგის მიერ შემდეგ არის ჩაწერილი. ადრინდელი ნაწერი ამოფხეკილია. უნდა ვივარაუდოთ, თავიდან ეწერა „ფარეხსა შეყრებოდა", რაც გვაქვს დღეს Q 548-სა (გვ. 144) და H 153-ში (გვ. 115).

S 4500-ში აღნიშნული ვარიანტი ვახტანგს მიერ გადახაზულია და მის ნაცვლად წერია:

„ყალმით ვინმე მოარული თავსა პატივსა იდებსა,
და არ იცის, ცხვრისა ნაცვამი კაცსა ვერ გაადიდებსა!"

ეს ტექსტი გამეორებულია S 171-ში (გვ. 76), M 3 კი მას არ იცნობს.

სტრ. 489. S 4500-სა (გვ. 122) და M 3-ში (გვ. 84r.) გვაქვს:

„ხარბი ფუტკარსა ამსგავსა, თაფლისთვის გარჯებისა,
და რა დაავსებენ, სხვა არის მჭამელი დანადებისა".

S 4500-ში „რა" ვახტანგის მიერაა ჩაწერილი. მის წინ რაღაც სიტყვა ამოფხეკილია. ასევე, სიტყვაში „დანადებისა" „და" ვახტანგის მიერაა მიწერილი. მის წინ აქაც რაღაც სიტყვა ამოშლილია. თუ რა ეწერა აღნიშნული სიტყვების ნაცვლად. ამას Q 548 (გვ. 147) და H 153 (გვ. 117) გვიმჟღავნებს. ამ ნუსხებში „რა"-ს მაგივრად წერია „მას". „დანადებისა"-ს ნაცვლად — „მის ნადებისა".

S 4500-ში ეს ტექსტიც გადახაზულია და ვახტანგის მიერ ჩაწერილია სტროფის ახალი რედაქცია, რომელიც S 171-ის ძირეულ ტექსტშია მოთავსებული:

„ვამსგავსო ხარბი ფუტკარსა, თაფლისთვის განამრჯელოსა,
და დაავსებენ და სხვანი სჭამს საბრალოს, დასაბნელოსა".

სტრ. 510. S 4500 (გვ. 127) და M 3 (85v.):

„ოქრო და ვეცხლი კიდონტზე ადვილი საცნობელია,
და მაგრამ ჭკვიანი ჭკუითაც ძნელ საცნობ-საძებნელია".

S 4500-ში ძველი წაკითხვა ამოშლილია და მის ნაცვლად ვახტანგის მიერ ჩაწერილია „კიდონზე". Q 548-სა (გვ. 150) და H 153-ში (გვ. 120) აღნიშნული სიტყვის ნაცვლად წერია „ქვაზედაც", რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, თავის დროზე უნდა ყოფილიყო S 4500-ში.

ამ სტროფის ნაცვლად S 4500-ში ვახტანგის მიერ ჩაწერილია:

„ოქრო და ვერცხლი რიოში კიდონტით იცნობებიან,
და ცნობა კაცისა კაცთაგან საძნელოდ იამებიან“.

ეს რედაქცია უცვლელად შესულია S 171-ში (გვ. 79), M 3-ისათვის კი იგი უცნობია.

სტრ. 518. S 4500 (გვ. 128), M 3 (86r.):

„პერიანდრ თქვა: თუცა გინდა ბევრთა ჰქონდეს შენი შიში,
და შ ე ნ ც ა ბევრთგან გეშინოდეს, ასე არის მისი ნიში“.

S 4500-ში „შენცა“-ში „ა“ ვახტანგის მიერ შემდეგ არის დამატებული, წინა სიტყვა ამოფხეკილია. ჩანს, თავის დროზე აქ ეწერა Q 548-სა (გვ. 151) და H 153-ში (გვ. 121) დაცული სიტყვა „მას“.

აქაც ვახტანგს ეს სტროფი გადაუხაზავს და ჩაუწერია ახალი რედაქცია, რომელიც უცვლელად შესულია S 171-ში (გვ. 79):

„შენი, გინდა, ბევრთა ჭონდეს მორიდება, შიში, კრძალვა,
და შენც მრავალთა გეშინოდეს, გაიმრავლე მოუცალ ეს!“

სტრ. 522. S 4500 (გვ. 129) და M 3 (86r.):

„წინააღმდეგი ნუმცა ხარ მ ე ბ ა ტ ო ნ ი ს ა, მეფისა!“

S 4500-ში თავიდან ეწერა „მებატონის და“. „და“ ბოლომდი ამოფხეკილი არ არის. ის დღესაც კარგად იკითხება. „ა“ კი, კარგად ჩანს, „და“-ს ნაცვლად შემდეგ არის მიწერილი. ამავე ხელნაწერში ეს ლექსიც გადახაზულია და ვახტანგის მიერ ჩაწერილია:

„მბრძანებლისა დაურჩება შემძლებელსაც გააცუდებს!“

ეს ვარიანტიც შესულია S 171-ში (გვ. 79), M 3-სათვის კი იგი, როგორც ყოველთვის, უცნობია.

მოყვანილი მაგალითები საძიებელ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების კონკრეტული გამოხატულებაა. როგორც ვთქვით, M 3-ის თავისებურებანი, რომლითაც სხვა ნუსხებისაგან გამოირჩევა, დაახლოებით 120 სტროფულ ერთეულს შეადგენს, S 4500-თან შედარებით— 150 სტროფულ ერთეულს არ აღემატება. დანარჩენ ნაწილში ის S 4500-ის ტექსტს იმეორებს. იმ სტროფებშიაც კი, რომლებშიაც M 3, როგორც თავისებური რედაქციული ნუსხა, გამოიყოფა, ის ბევრად მეტ ნათესაობას ამჟღავნებს S 4500-თან, ვიდრე S 171. მეორე მხრივ, S 171-ში მხოლოდ ორი ათეული სტროფი თუ არის, რომლითაც ის ემთხვევა S 4500-სა და M 3-ს. ამ მცირე გამონაკლისის გარდა, ეს ნუსხა თავიდან ბოლომდე მეტ-ნაკლებად გამოიყოფა და თავისებუ-

რებას გვიჩვენებს. მარტო ისეთი ლექს-სტროფები, რომლებიც S 4500-ში ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი, 330-ს აჭარბებს.

ეს ზოგადი სურათი იმის მაჩვენებელია, რომ რედაქციულად ყველაზე განვითარებულია S 171, ნაკლებ განვითარებული — M 3. თავის მხრივ კი ეს იმას ნიშნავს, რომ S 171-ის ტექსტი ბოლო რედაქციისაა, M 3-ის ტექსტი — შუალედური, მეორე რედაქციისა. ეს თვალნათლივ ჩანს ბოლოს მოყვანილი მაგალითებიდან, სადაც ვახტანგის ადრინდელი შესწორებანი შესულია M 3-ში, გვიანდელი, საფუძვლიანი ცვლილებები — S 171-ში. ამასვე ადასტურებს ის საერთო ტექსტოლოგიური კანონზომიერებანი, რომლებიც კრებულებში შესულ ვახტანგის თითქმის ყველა განხილულ თხზულებას ახასიათებს: სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირება, დედანთან დაშორება და განმაზოგადებელი აზრის შექმნისაკენ სწრაფვა.

„სიბრძნე მალალობელში“ მეტი ორგანული კავშირი იგრძნობა მეორე და ბოლო რედაქციებს შორის, ვიდრე ეს „სატრფიალონშია“. როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, M 3-სა და S 171-ს შორის არსებობს მცირე, მაგრამ საყურადღებო მსგავსება, განსხვავებული S 4500 და მისი მიმდევარი ნუსხებისაგან. გარდა ამგვარი სტროფებისა, რომლებიც ამ ნუსხებში ერთნაირია ან ცოტათი შორდება ერთმანეთს, S 171-ის ზოგიერთ სტროფში იმდენად ხელშესახებია M 3-ის კვალი, რომ აშკარაა, პოეტს თხზულების ბოლო რედაქციული დამუშავებისას გამოუყენებია და ამოსავლად გაუხდია M 3-ის ტექსტი. ვნახოთ ზოგიერთი მათგანი:

სტრ. 7. დედანი: „თუ საქონელი გქონდეს, ასრე შეინახე, სხვისა არა გაურიო რა“ (27, 4).

Q 548-ის წაკითხვა (გვ. 56):

„გაცუდდებისა მისიცა, თუ სხვისა განარევია!“

M 3 (41v.) და გამოცემა:

„გააცუდებს მონაგებსა სხვისა ვისმე განარევი!“

S 171 (გვ. 35; გადახაზ.):

„გააცუდებს მონაგებსა უსამართლო განარევი!“

როგორც ვხედავთ, მეორე რედაქციიდან მესამეში გადმოსულა სიტყვა „მონაგებსა“.

სტრ. 83. დედანი: „ჰკუანაკლები კაცი იმას ეძებს, რომ კაის ალაგს იჯდეს, მაგრამ ფილასოფოსნი მაგას არ ეძებენ. ამისთვის შორაც იჯდეს, ახლომჯდომს უჰკუოს ხმას არ გასცემენ და იმ შორს მჯდომს ჰკუიანს ლაპარაკს დაუწყებენ“ (32, 55).

S 4500 (გვ. 14):

„უცები ცდილობს, იყოსმცა სხვათაგან ზეით მჯდომელი,
მაგრამე ბრძენი არ არის ამის რისამე მდომელი,
სადაცა იჯდეს, მაინც აქვს პატივი მიუწდომელი,
და მას ყურსა არვინ მიუგდებს, ხელია მიუხდომელი“.

M 3 (48v.) და გამოცემა:

„უცები ცდილობს, იყოსმცა უზეშთაესად მჯდომელი,
არ არი ბრძენი სიბრძნითა ამის რისამე მდომელი,
სადაცა იჯდეს, მიხვდება პატივი მიუწდომელი,
და არვინ მიხედავს ზემოსა, ხელია მიუხდომელი“.

S 171 (გვ. 42—43):

„უცებსა ნებავს ადგილი უმაღლე დასაჯდომელი,
უნებურია ბრძენისა ამგვარი მოსადომელი,
იჯდეს სადაცა, მიხვდება პატივი მიუწდომელი,
და არვინ მიხედავს ზემოსა, ხელია მიუხდომელი“.

ცხადია, ტექსტის ბოლო რედაქციული დამუშავებისას პოეტს მეორე რედაქციის ტექსტი გამოუყენებია.

სტრ. 184. S 4500 (გვ. 39):

„ცხადს ავს არ ნაღლობს, სიზმრისთვის არიან შეზარებული;
ჩვენებით ავი რა მოვა, ცხადად ავია ვნებული!
მას ძილთა შორის ნუ რიდობ, ცხადთ ბოროტთ იყავ კლებული,
და სიზმრიე არა და ცხადათცა კეთილი გექნას ხლებული!“

M 3 (58v.) და გამოცემა:

„ცხადად ქმნილსა არას ნაღლობ, სიზმრისათვის შეზარდებისს,
იმით არა არ გამოვა, ცხადისაგან გაწყარდების;
ცხადს ბოროტსა გაუფთხილდი, სიზმრით რაღა გაგვარდებისს,
და სიზმარ არა, საცხადოთცა ბევრი კარგი მოგვარდებისს!“

S 171 (გვ. 52):

„ცხადისათვინ უნაღველობ, სიზმრისათვის შეზარდებისს,
მისგან რამცა გამოვიდეს, საჩინოსგან გამწარდებისს;
ხილულებსა გაუფთხილდი, უხილავი გა[გ]ვ[ა]რდებისს,
და ართუ სიზმრით სახილავად სიხარული მოგვარდებისს!“

აქაც აშკარაა, ბოლო ტექსტისათვის ამოსავალი მეორე ტექსტია.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ზოგიერთ მაგალითს კიდევ ვუჩვენებთ კონტექსტების გარეშე:

S 4600-ისა და Q 648-ის წაკითხვები:	M 3-ისა და S 171-ის წაკითხვები:
9 სიხარბე გაუძლისია	არ მისცემს გახარებასა (განსვენებასა S 171)
15, 1 ვინ მოყვარეს	არ წახდე (წახდებოდე S 171)
25 გ. ბრძენი ასე ერიდება	პლატონ ასე ერიდების M 3, ნახეთ პლატონის რიდება S 171
26 გ. მწვირე დასცევედეს იგები	დასცევედეს და-ცა-რიგებით M 3, დასცევედეს ეგების და-ცა-რიგებით S 171
32 ა. უთხრეს შენაო	ხარ მინაშურად (გახადე მისაშურავი S 171)
ბ. მოსაწყენაო	შენაშურად (შენაშურავი S 171)
56 ა. სარგოა	კარგია
გ. უყოს	შეეძლოს
დ. გაუწილობა	განაწილობა
58 ა. რა იქნა არა აქვს	რაზომცა არა აქვს M 3, რაზომ უყოს S 171
63 ბ. სნეულთანც მიელენ მკურნალნი	სენი არ უნდა მკურნალთა M 3, მკურნალთა სენი არ უნდა S 171
70 ა. სძრახევდენ ავ-მუცელია	უძრახეს (დაუგმეს S 171) მუცლად აობა
84 ა. არარის... პატივის	ძნელია... სიმაღლის
92 დ. თვარ პასუხითა... გაჩვენებს	თუ შესაჩრლებით (შესარჩლებითა 171)... მიეცით (მიეცეთ S 171)
97 ა. კარსა ზედა გაუარა	დიონოს უნდა ხლებანი
ბ. უთხრა მოდი	უყივის მოდი (~S 171)
მაქეს გაუარა	მაქვანან (მაქვანო S 171) უამრებანი
გ. ვინც ეჩვევა ამის ჭამას	ამის ჭამისა დამჩვევსა (დამრჩევსა
უნებობა გაუარა	S 171) განეველთა (განეველთვის S 171) უნებებანი
დ. უნებობით კარგ საქმელსა	მიჯობს უნებურს გემოსა უგემოს გე-
ნებით ავი ჰგაო არა	მოვნებანი (უნებურს გემოს სჯობია ნებითა უგემებანი S 171)
99. გ. თქვა ვინცა თავით ბოლომდი	თავით ბოლომდი გარდაელის (თუ გან-
გარდაველო	ელო M 3) ბედითა
დ. თვარემ ხან ეს და ხან ისი	ზოგჯერ ესე (ისი S 171) და ზოგჯერ ის (ეს S 171)
117 ბ. ალექსანდრეს	მაკიდონლის (მაკიდონელი S 171)
118 დ. თვარამ ძალით და ცემითა	ძალისა (ძალით და M 3) უპატრობით
128 ბ. ჩეტად რამ არის	ნამეტანია
154 იცი ღმერთიც	ბოროტისა (თუ ბოროტსა M 3)
161 გ. გახადოს	დამდაბლდეს
162 ა. ცოდვილი ყვინთსა იქმოდა	ყვინთსა იქმოდა ცოდვილი
გ. ვერ	რით
დ. თვარა რით გასწმენდს მის გამტეხს	გარდამავალის გაწმენდა (ვერ გასწმენდს გარდამავალსა M 3)

163 გ. თვარამ სხვა ყველა	წყალი ყველაი ცუდია
დ. მიმცემი კეთილთა	სიკეთის მიმცემი
165 ა. იარებოდა	საძებნარია (საძებნაროსა S 171)
ბ. სიტყვის მგებოდა	მეტი საუბნარია (არა საუბნაროსა S 171) და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ M 3-ში თავისებური ბანი ცოტაა, 120-ოდე სტროფს მოეპოვება, ხოლო მესამე რედაქციული ცვლილებები პოეტს საკმაოდ მძლავრად, მთელი სიგრძე-სიგანით ჩაუტარებია, ადვილი მისახვედრი გახდება, რომ აღნიშნული მაგალითები ბევრი არ შეიძლება იყოს. მიუხედავად ამისა, რაც არის, იმის მიხედვითაც მეორე რედაქციის ტექსტი, მართლაც, შ უ ა ლ ე დ უ რ რ ე დ ა ქ ც ი ა დ წარმოგვიდგება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მეორე მხრივ, ისიც ჩანს, რომ ბოლო რედაქციული მუშაობისას პოეტს ხელთა აქვს დედანი, პირველი რედაქციის ტექსტი და საჭიროებისამებრ მათაც იყენებს. უპირველესად ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მესამე რედაქციული ტექსტის საკმაო დიდი ნაწილი შეტანილია სწორედ S 4500 ხელნაწერში, სადაც აქა-იქ გარკვეული ცვლილება პოეტს შემდეგაც მოუხდენია. გარდა ამისა და, რაც მთავარია, S 171-ის ახალ ტექსტში ჩანს დედნის კვალი. მაგალითები:

სტრ. 461. დედანი: „მეფეს ალექსანდრეს მრავალნი დატყვევებულნი კაცნი ჰყვანდა და ის ქალაქი მათ მიაბარა და უბრძანა: აქათგან ნურსად წახვალთ და აქ ნება მომიცია. სტილბონ ბრძენმან მოახსენა: ჰეშმარიტად ნება აქვსთ. აქ ერთი უნებური კაციც არ არის, და გაიცინა. ერთმა მათ ტყვეთაგანმან უთხრა: რას იკრიჭები პირუტყვსავით? მან უთხრა: არა, ჰეშმარიტს კაცსავით ვიცინი“ (59, 308).

S 4500 (გვ. 114), M 3 (გვ. 81v.—82r.) და სხვა ნუსხებში ეს ტექსტი ერთ სტროფად არის გალექსილი:

„ტყვე ჰყვანდა და მათ უბრძანა ალექსანდრემ ქალაქთ ცვანი:
«აქ ნება გაქვთ, სხვად ნუ წახვალთ!» სტილბონ ბრძენმან უთხრა სხვანი:
«ნება აქვსთო», — გაეცინა. ტყვემ შეჰკადრა გაკრიჭვანი.
და «მე კაცურად გავიცინე, ვარ მოკრიჭალთ არა მგვანი!»“

S 171-ში ეს ეპიზოდი ორ სტროფად არის წარმოდგენილი (გვ. 75):

„ჰყვა ალექსანდრეს პყრობილი, თემთაგან მონაყვანები,
ციხისა მცველად აგდებდა, ერთგულთა დანამგვანები;
«აქ ნება გაქვთო, სხვაგნითკენ არ მოიძებნოთ ვანები!»
და სტილბონ იცინის: «ნებაზედ შეიქენ დანაყვანები!»

ეწყინა ტყვესა იმისგან ამგვარი საუბარენი,
ეტყოდა: «რასთვის იკრიჭვი, გგონია გასახარენი?»
«მე არ ვიკრიჭვი, — მიუგო, — გაგიხდა გასამწარენი,
და კაცურად გამიცინია, მსმენელთა მოსახმარენი!»“

რასაკვირველია, ამ ახალი რედაქციის ტექსტის შექმნა იმან გამოიწვია, რომ პირველი მთლად ნათლად ვერ გადმოსცემდა დედნის შინაარსს. ტექსტის დამუშავებისას პოეტი დედნიდან ამოდის.

ზოგჯერ მესამე რედაქციის ტექსტში, მსგავსად ზემორე აღნიშნული შემთხვევებისა, თავს იჩენს პირველი რედაქციის ტექსტის ნაწილები. მაგალითები:

სტრ. 12. დედანი: „მორჩილის შვილისათვის მამის ბრძანება მძიმე არ არის“ (27, 9).

Q 548 (გვ. 56):

„ბრძენსა მამისა ბრძანება მძიმედ არ აუჩნდებისა!“

M 3 (41v.; ჩაწებებულია) და გამოცემა:

„არ მიაჩანს ძესა ბრძენსა მამის სიტყვა გასამძიმად!“

S 171 (გვ. 35; გადახაზული):

„არ ემძიმოს გონიერსა მამისაგან ბძანებული!“

როგორც ვხედავთ, მესამე რედაქციაში გამეორებულია დედანსა და პირველ რედაქციაში გამოყენებული სიტყვა „ბრძანება“.

სტრ. 25, 1—2; S 4500 (გვ. 2):

„პლატონ მწყარალსა შემოესწრა მას მოწაფე სენკრატ თვისი;
— შენა სცემე, მე გავსჯავრდი, ცემაო ჯავრში მქისი...“

M 3 (43r.) და გამოცემა:

„შემოესწრა განამწყრალსა იგ მოწაფე სენკრატ თვისი;
— გაარგნე, მე გავრისხდი, რისხვითაა მეტად მქისი...“

S 171 (გვ. 37):

„სენკრატ მოწაფე შეესწრა მონისგან გარისხებულსა,
უბრძანა ცემა: — მივაგავ რისხვისა მიახლებულსა...“

ერთი და იგივე სიტყვა („ცემა“) გამოყენებულია პირველ და მესამე რედაქციულ ტექსტებში. დედანშია „ჰგვემე“ (25, 16), მეორე რედაქციაში — „გაარგნე“.

სტრ. 89, 1. S 4500 (გვ. 15):

„რჩევა, გასინჯვა საქმისა ძნელსა იქს ადვილობითა...“

M 3 (49v.) და გამოცემა:

„რჩევა, გასინჯვა საქმისა ძნელი სჩანს გაადვილობით...“

S 171 (გვ. 43):

„გასინჯული გამორჩევა ძნელსა შ ე ი ქ ს განადვილსა...“

აქ, გარდა სიტყვიერი დამთხვევა-დაშორებისა, ყურადღებას იპყრობს აზრობრივი ერთიანობა და განსხვავება.

სტრ. 138. დედანი: „უკეთუ კეთილი არა ქნა, ბ ო რ ო ტ ს მაშინც ნუ იქ!“ (37, 95).

S 4500 (გვ. 28):

„თუ კეთილი აღარა ჰქნა, ბ ო რ ო ტ ს მაშინც განეყენე!“

M 3 (54r.) და გამოცემა:

„თუ კეთილსა აღარა იქ, ა ვ ს ა მაშინც განეყენე!“

S 171 (გვ. 48):

„სიკეთისა უმოქმედო ბ ო რ ო ტ ს მაშინც გაეშორე!“

სტრ. 320. დედანი: „როგორც შენს მშობელთ შ ე ნ მ ი ე პ ყ რ ო ბ ი, ეგრეთვე შენის შვილების იმედი შენზედა გქონდეს“ (50, 221).

S 4500 (გვ. 77):

„როგორც მშობელთ შ ე ნ ე პ ყ რ ო ბ ი, შენც შვილთაგან მას ელოდე!“

M 3 (70v.) და გამოცემა:

„ვინ მშობელსა არ ა ა მ ე ბ ს, იგიც მასვე მოელოდეს!“

S 171 (გვ. 64):

„როგორც მშობელთ მ ო ე პ ყ რ ო ბ ი, შენცა მასვე მოელოდე!“

აშკარაა, აქაც და ზემოთაც, ორივე შემთხვევაში, პოეტი ამოდის დედნისა და პირველი რედაქციის ტექსტებიდან და არა — მეორე რედაქციის ტექსტიდან.

სტრ. 415. დედანი: „სამართლიან იარე და ჯავრით სამართალს ნუ გ ა რ დ ა ხ დ ე ბ ი“ (56, 277).

S 4500 (გვ. 102; გადახაზული), M 3 (78r.) და გამოცემა:

„სამართლით განვლე (სიმართლითა ვლე S 4500), შურითა სამართალს ნუ წ ა რ ხ დ ე ბ ი ა!“

S 171 (გვ. 71):

„სამართალსა და სიმართლეს ნუოდეს გ ა რ დ ა ხ დ ე ბ ი ა ნ!“

აქ ბოლო რედაქცია იცავს დედნისეულ ფორმას.

მაშასადამე, ტექსტის ბოლო რედაქციული დამუშავებისას ვახტანგი უბრუნდება და იყენებს როგორც პირველი-მეორე რედაქციის ტექსტებს, ისე დედანსაც.

ამრიგად, წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული აზრისა, მტკიცდება, რომ S 171-ის ტექსტი ბოლო, მესამე რედაქციისა არის, ხოლო M 3-ის ტექსტი — მეორე, შუალედური რედაქციისა.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუმცა ალ. ბარამიძე ბეჯითად ამტკიცებდა, რომ ბოლო რედაქციის ტექსტის შემცველია M 3, მაგრამ ერთგან შენიშნავდა, რომ, შესაძლებელია, ასეთი იყოს S 171 ნუსხა. მისი სიტყვებია: „ერთი სიტყვით, D (S 171. — ბ. დ.) რედაქციულად ცალკე დგას და ერთ-ერთი ნაგვიანევი ხელნაწერია. შესაძლებელია D იყოს, ყველაზე გვიანდელი რედაქციული ტექსტის შემცველი“[97]. როგორც ვხედავთ, ალ. ბარამიძის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა.

ბოლო რედაქციული ტექსტის დახასიათებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილი და S 171-ში მოთავსებული ტექსტები ზედმიწევნით არ მიჰყვება ერთმანეთს, მათ შორის საკმაო სხვაობა არის. მაგალითად:

სტრ. 193. დედანი: „საცა ნება არ არის, იქ ბედიც ცოტა არის. აზნაურთ ანდაზა არის: სამსახური წითელი დაჭირება არის“ (40, 129).

S 4500 (გვ. 41; გადახაზ.), M 3 (59რ.) და გამოცემა:

„ბედი ცოტაა, მუნ სადა არა აქვს კაცსა ნებანი,
და სამსახურია წითელი, მაგრამ ჭირი და ენებანი“.

ამ ტექსტთან ახლოს არის S. 171-ის ვარიანტი (გვ. 53):

„ბედი ცოტაა, სადაცა უქონობს მოსანებანი,
და სამსახურია წითელი, მაგრამ ჭირი და ენებანი“.

ორივესაგან საგრძნობლად განსხვავებული ტექსტია ჩაწერილი S 4500-ში:

„სადაც ნება არ ექნება, ბედიც არი დანაბდარი;
და სამსახური წითელია, მაგრამ ჭირი მიუმხვდარი“.

დანარჩენი სხვაობა თითო-ოროლა სიტყვებს ეხება და მათ კონტექსტების გარეშე ვუჩვენებთ:

---

[97] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 162.

S 4500-ში ვახტანგის ჩაწერილი ტექსტი:	S 171-ის ტექსტი:
24 ა. გულმწყარალთა და მემთვრალეთა	გამწყარალთა მემთვრალეებსა
27 წყრომა და	წყრომითა
30 ა. არ შეეძლოს	ეძნელების
42 ა. სამეფო	სამყოფი
73 ა. არ მისცემ შვილსა საზრდელად	არიდებ შვილსა სასწაულოდ
ბ. ცუდი ქვაც	ქვანიცა
74 ა. სწაულა გულსა დანადები	სწაულისაგან გამდიდრება
ბ. მას მას	თავის
75 ა. შმაგსა ჰკვიანი	~
76 ა. რა საგმობია	დაუგმობია
90 ა. სიკეთით შენაცვალები	საკეთოდ შეუცვალები
გ. მან იგ სამივე წაასხა	სამივე წამოიყვანა
დ. განუტევა და განუშვა	დაუზარებლად გაუშვა
90 1 დ. სხვისთვის მოსწონს მიკვირს თუ რად	სხვისას გონებს მოსასურად
106 ბაძავს	ეძებს
121 ანასდად ჩამობერდების	ჩამობერდების ანაზდად
143 ბ. ძაგების გაუწყრომელი	არცა ძაგების მწყრომელი
195 ა. მდიდარსა... მორთულსა... მოუხმაროსა	მდიდარი... მორთული... მოუხმარონი
ბ. სჯობს ცხვარი... გაიკმაროსა	ცხვართა... გაიკმარონი
201 ა. უგვანად	უდროოდ
216 ბ. ყოელს ბედზედა ყოელთვინ	ბედისათვის მუდამ
226 ბ. ქნას	პოოს
251 ბ. თავს არ დაიჭერს წაგახდენს	თავისა დაუჭირავი
293 ყოელთვის	მუდამ
303 ა. ნამეტანმა	მოუცდენად
309 ა. უმაღლესია	დაუზევდების
330 ბ. რა	ვით
364 ბ. ერთიც არი	ორში ერთი
366 ეგე რა	უვარგი
368 მეტს	ბევრს
371 ა. ქენ	ხამს
ბ. მას მისი	სიმტკიცით
373 სიჩქარითა	ანასდათი
386 რა პოებს	ნაპოვნი
387 ბ. მასვე მიგავს	სამსგავსოა
409 ბ. რა ჟამსაც	როდესაც
419 ბ. არ დაბრუნდება	ვერ დააბრუნო
453 ნასაქმები	მინაგები
454 მალე არ	გვიანად
486 ა. სიმტისის ეს უფრო	სიმაგრის უფროა
623 ბ. მოთმინებას ვერ ჰპოებ	არ პოებ მოთმინებასა

და სხვა.

ეს მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ S 4500-ში ვახტანგის ხელით ჩაწერილი ტექსტები უშუალოდ ამ ხელნაწერიდან არ შესულა S 171-ში, ან პირიქით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია და ამაზე ზემოთაც იყო მსჯელობა, რომ, მსგავსად სხვა თხზულებებისა, „სიბრძნე მალაღობელის“ ტექსტიც ვახტანგს S 171-შიაც უსწორებია. ათზე ცოტა მეტ შემთხვევაში მთლიანი სტროფებია შეცვლილი:

სტრ. 4. S 171-ში თავიდან იყო (გვ. 35):

„პირს ქება, უკან ბასრობა გვარიანს გააცუდებსა!“

ვახტანგს ის გადაუხაზავს და თავზე დაუწერია:

„კარგი არ იტყვის პირს ქებას, თუ უკან დაუძრახავსა!“

სტრ. 70. S 4500-ში ჩაწერილია (გვ. 10), S 171-ის პირველადი ტექსტია (გვ. 41):

„ბძენი მოყვსისგან მალ-მალე სახარჯოს იღებს ვალადო, —
და თეთრის დახარჯვა ასწავლოს, ვის ეძებს დაუთვალადო“.

S 171-ში ვახტანგს პირველი სტრიქონი გადაუხაზავს და ჩაუწერია:

„მოყვსისაგან დაუცადად იღებს ვახშსა ბძენი ვალად,
და სხვას ასწავლოს თეთრის ხარჯი, ვისცა უძეს დაუთვალად“.

სტრ. 398. S 4500 (გვ. 98), M 3 (76v.) და სხვა ნუსხებში, მათ შორის, S 171-ში (გვ. 70) გვაქვს:

„რა მეშურნე სხვის კარგს ნახაეს, ხე ხმელსაეით ჩამოხმება!“

S 171-ში ვახტანგს ის გადაუხაზავს და თავზე დაუწერია:

„სხვის კარგს შეესწრას მემშურნე მელქანებრ ჩამოხმებისა!“

სტრ. 543. S 4500-ში ჩაწერილია (გვ. 132) და S 171-ში ძირითად ტექსტში იკითხება (გვ. 81):

„უსაბრალოე ყოველთა — საზრდოზე სუსუნატები!“

მომდევნო ლექსად ვახტანგს არშიაზე მიუწერია:

„და ნამუსი გაუძნელდების მემუცლე, ენა მჭირავსა!“

S 171-ში ვახტანგს მთლიანად შეუცვლია აგრეთვე მე-5, 7, 11, 12, 50 ერთსტრიქონიანი, 127-ე, 276-ე ოთხსტრიქონიანი და 517-ე ორსტრიქონიანი სტროფები, რომლებიც ზემოთ არის დამოწმებული. სხვა შემთხვევებში მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა სიტყვაა შეცვლი-

ლი ზოგი ვახტანგის მიერ და ზოგი გადამწერის, დემეტრე ორბელიანის, მიერ. ეს უკანასკნელი უფრო შეცდომებს ასწორებს. ასე რომ, ახალი, მეოთხე რედაქციული ფენა „სიბრძნე მალაღობელში“ მცირეზე მცირეა.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ S 171-ში სხვებისთვის უცნობი სტროფი მხოლოდ სამად-სამია. ერთია ადრე დამოწმებული 461-ის მომდევნო ოთხსტრიქონიანი სტროფი: „ეწყინა ტყვესა იმისგან ამგვარი საუბარენი...“, მეორე — აქვე აღნიშნული აფორიზმი: „ნამუსი გაუძნელდების მემუცლე, ენა მჭირავსა!“, მესამე — თხზულების დასაწყისში, 49-ის მომდევნო სტროფი:

„სავნებელია სოფლისგან ამაებისა მქნელობა,
გამოუჩინა სასმელად შესამსგავსევე ძნელობა,
მოეძებნოთ საფიქრებელი სამკვიდრებელის მგძნელობა,
და გაეაგდოთ გასაგდებელი, უხანო შენაძენელობა!“ (გვ. 39).

გარდა იმ ერთსტრიქონიანი აფორიზმისა, ეს ორი სტროფი S 171-ში ძირეულ ტექსტშია მოთავსებული.

თუ ამათ მივუმატებთ 90-ე სტროფის შემდეგ ჩართულ, ზემოთ მოყვანილ სტროფს („საფერს ფერი თუ არ მისცე...“), რომელიც S 4500-ში ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი, ხოლო S 171-ში ძირეულ ტექსტში წერია, სხვაგან კი არსად დასტურდება, მივიღებთ, რომ მესამე რედაქციაში ვახტანგს დაუმატებია ერთი ერთსტრიქონიანი და სამი ოთხსტრიქონიანი ლექს-სტროფი. ზემოთ ვნახეთ, რომ პირველი რედაქციისათვის უცნობია 17 სტროფი. ამრიგად, სტროფული შედგენილობის მიხედვით გამოირჩევა პირველი და მესამე რედაქციები. პირველისათვის უცნობია 17 ლექს-სტროფი, მესამეში მეტია 4 ლექს-სტროფი.

რა მიმართებაშია ერთმანეთთან პირველი რედაქციის ნუსხები?

მსგავსად სხვა თხზულებებისა, „სიბრძნე მალაღობელშიაც“ Q 548 და H 153 ზედმიწევნით მიჰყვება S 4500-ის პირველად ტექსტს[98]. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ის სტროფები, რომლებსაც S 4500 არ იცნობს, ამ ნუსხებისთვისაც უცნობია, ხოლო რომლებიც გადაწერის ხელით არშიებზეა მიწერილი, მათში ძირითად ტექსტში იკითხება. ამასთან, Q 548 და H 153 იზიარებს S 4500-ის თავისებურებებს. მაგალითად, S 4500-ისათვის უცნობია 169-ე სტროფი, ხოლო 172-ე სტროფი („ნუ მიგაჩანს უკეთესად...“) მასში მიწერილია არშიაზე 168 და 170 სტროფებს შორის. 169 სტროფი Q 548 და H 153-ისათვისაც უცნობია, 172-ე სტროფი კი მათში მოთავსებულია 168 და 170 სტროფებს შორის.

---

[98] სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი აღნიშნულია Q 548-ის შესახებ.

S 4500-ის ადრინდელი წაკითხვები, რომლებიც ამ ნუსხაში გადაშლილია, შემორჩენილია Q 548-სა და H 153-ში. ხოლო ამ უკანასკნელთათვის უცნობია ყველა შესწორება, რომლებიც S 4500-ში შემდგომ არის შეტანილი.

ეს მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ Q 548 და H 153 ნუსხათა ტექსტიც S 4500-ის პირვანდელი ტექსტისაგან იღებს სათავეს.

როგორც სხვა თხზულებებში გვაქვს, Q 548-სა და H 153-ს შორის ამ ეპიზოდშიაც ჩანს ორგანული კავშირი. მათ აქაც მოეპოვებათ ზოგიერთი სპეციფიკური რედაქციული ნიშანი. მაგალითად: Q 548-სა და H 153-ში არ არის 252—264, 1—2 სტროფები, ჩანს, Q 548-ის გადამწერს ეს სტროფები მექანიკურად გამორჩენია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მას მომდევნო გვერდზე გადასასვლელად დაუწერია (გვ. 106) აღნიშნული გვერდის დასაწყისი სიტყვა „ბოროტი“. მომდევნოა პროზაული ტექსტი: „ბ ო რ ო ტ ი დედაკაცი ნადირისაგან უფრო ძნელი არს...“, წერას კი აგრძელებს 264-ე სტროფის მესამე სტრიქონით: „მან მიუგო, იმან ჰკადრა...“ H 153-ის გადამწერს შეუმჩნევია, რომ დედანს აკლია, რის გამოც 264, 3 სტროფის გასწვრივ წერს :„აქ ფურცლები აკლდა“ (გვ. 85).

მხოლოდ Q 548-სა და H 153-ში არ არის 561-ე სტროფის მესამე სტრიქონი: „ზოგი თავისი შემძინე, ზოგი სხვის სარგოთ ქებული“. აშკარაა, ამ შემთხვევაში ორივე ნუსხა ნაკლული დედნიდან არის გადაწერილი.

Q 548-სა და H 153-ს მოეპოვება ცალკეული თავისებური, საკუთარი წაკითხვები. აი, ისინიც:

	S 4500-ის (ან M 3-ის) წაკითხვები:	Q 548, H 153-ის წაკითხვები:
8	უბრძოლველად (S 4500 აკლ.)	უბრძოლველ
25	დ. მისი	მჭისი
26	ბ. მიგები	მიმცემი
28	ა. ესე და	ესეო
	ბ. განიწესე და	განიწესეო
36	ა. ქცევა	ქცევით
48	ვინემდი (S 4500 აკლ.)	ვირემდის
51	ბ. ვინცა	ოუცა
59	ბ. ღარიბიც რომ	~
61	ბ. ყოველ	ყოელს
64	დ. რა გაიწვრთნება; ორსა	მაგრამ რას გავსწვრთნი; ორ შვილს
70	დ. ვინცა	ვინც მას
73	ა. ჰკილევდენ	ჰკითხვიდენ
84	ა. მგონელი	მგონელი
94	დ. ნათქვამსა	ნაქმარსა
101	კედლისგან	კედელთგან

128	ა. სოფლის	უცებ
164	განწმენდა	განწმედას
218	გ. ზეირთისა	სერიოთისა
	დ. რა	რაც
289	ბ. მაგის	მისგან
291	ა. თქვა	—
323	გ. სათქმელად	ახლა თქმა
386	სიმდიდრის	საჭონლის (გადმოსულია მომდევნო სტრიქონიდან)
422	გ. უმჯობე და	უმჯობესად
442	ბ. ბერი	ბრძენი
462	დ. მოუწონებსა	მოსაწონებსა
470	ა. აღაფოკლეა	აღაფოლ არის
491	ა. კსენეფენ	კსენეფონ
559	ბ. სცან	სცნა
598	სარჯელი მოეშოოსა	სასჯელი მოეპოოსა
625	იროს	ირგოს
640	ბ. ჰპოებს	ჰქონდეს
649	ა. ნავით	გემით
682	დ. ფიცი	ფიცით
693	ა. თუცა	თუ ცოტა
708	დ. ურჯისა	უნჯისა
735	გ. კირეზმან	კირემან
746	ა. მდაბალნი არა ქნეს	არა ქნეს მდაბალთა
	ბ. აბრალეს	აბრალებს
755	ა. მარკო	მარკოზ
758	ა. სცან	სცნა
764	გ. მწეველი	მზეველი
780	დ. მაგრამ სჯობს	~
787	ა. ლაკედომის	ლაკედონის
789	ა. ჰპოებს	პოობს
800	ა. ლეომენთანა	ლეომენთანა

და სხვა.

განსხვავება Q 548-სა და H 153-ს შორის აქაც უმნიშვნელოა. აი, უმთავრესი მათგანი:

	Q 548-ის წაკითხვები:	H 153-ის წაკითხვები:
17	ე. მის ენით	მიხსენით
59	გ. კარგი	ვარგი
75	ა. ხელს	თხელს
77	დ. არ ცხოვრებს	აცხოვრებს
	ვ. ხანს	ხან
82	ა. გონად	მონად
92	გ. სამთოსა	მთისა
94	ა. სიმართლითა	სამართლითა
116	გ. ჯრმალები	კრძალები

142	სეში	სიმდიდრეში
162	გ. წერილსა	წილსა
173	გ. მინდა	გინდა
194	დ. მისი	არა
216	გ. სისხლის მომმატე სასმელი წაახდენს	ღვინო სისხლის მომმატე სასმელი
222	ა. ბრძენთაგან	კარგთაგან
321	გ. ათინი	ათანი
323	დ. აღსასრულამდე	აღსრულებამდე
332	ბ. მუნ	შიგ
337	დ. 398 ბ. სიბერე	სიბრძნე
471	ა. მჭნელია	მთქმელია
494	ა. უშვერს	უშრეტს
512	ა. რა	არ
668	გ. ეგონებოდა	ენებებოდა
687	გ. ვით	ვინ
	დ. გაგრდიდება	გადიდდება
709	ა. მიადგება	მიაგდებს
716	გ. მამა მყვანდა	მამყვანდა
728	ა. სპასპეტი	სპარსეტი
753	დ. შლილობით	შვილობით
785	დ. რა	რაღა
787	დ. გაიმაგრებს	გაიმართებს

H 153 არ იცნობს 183 სტროფის მესამე სტრიქონს: „მისი გაწვრთნილი კირკიტა მალე ქნას მონახდელები“.

ყველა ეს სხვაობა, ადვილი შესაძლებელია, H 153-ის გადამწერს ეკუთვნოდეს და არა მის დედანს.

„სიბრძნე მალალობელში“ Q 548 და H 153 ნუსხათა ურთიერთმიმართების შესახებაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც სხვა თხზულებების მიხედვით აღვნიშნეთ. ეს ნუსხები აქაც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან და თუ მეორე პირდაპირ პირველისაგან არ მოდის, მათ ერთი უახლოესი წყარო მაინც აქვთ, რომელიც S 4500-ის პირვანდელი ტექსტისაგან იღებს სათავეს.

ამავე ნუსხებს მიჰყვება S 1624, ოღონდ მასში გამოკრებილად შესულია მხოლოდ 31 სტროფი: 1—14, 23, 25—26, 37—38, 42, 66, 68, 200, 205—206, 208, 267, 315—318 სტროფები. ამ სტროფებს თან ახლავს შესაბამისი პროზაული დედანი. აქვეა პროზაული ტექსტის სხვა ნაწილებიც, გამოკრებილად წარმოდგენილი.

S 1624-ს განსხვავებული წაკითხვები მცირეზე მცირე აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა-სხვაობანი:

Q 518-ის წაკითხვები:	S 1624-ის წაკითხვები:
2 დ. შენდობის	შენდობით
11 დაჰკარგავს; ეჰიდებისა	დაკარგვენ; ეჰიდებიან
23 ბ. ვებულმა	ებულმა
66 ა. გაუმართა	გაურიგა
205 გ. თჳარემ	თვარა

S 4500-ის პირვანდელ ტექსტს მიჰყვება აგრეთვე „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტიც. აი, ყველაზე მეტი სხვაობა, რომლებიც მათ შორის არის:

S 4500, Q 518-ის წაკითხვები:	„ცისკრის“ წაკითხვები:
11 მისსა	თვისას
13 გ. ის ერთია	ერთი არი
დ. ჰრი დიდი	შეჰირვებად
ზურგსა	ზურგსცა
18 გ. იკარებსა	იკადრებსა
27 დ. სიბრძნემ	სიბრძნით
46 საფუძველია	საძირველია
74 ბ. ძალა აქვს	მალე იქს
77 ა. ეგრე	იმას
96 დ. ძლიე იქს	ძლევას
120 ა. ვითა	როგორც
135 ა. მქცეველი	ქცეული

მაშასადამე, „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სიბრძნე მალაღობელის“ ტექსტიც პირველ რედაქციას განეკუთვნება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა რედაქციული ტექსტების ღირსებათა შესახებ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული და ამაზე სხვა თხზულებათა განხილვისას ზემოთაც გვქონდა მსჯელობა, ვახტანგი ნაწარმოებთა რედაქციული დამუშავებისას ყოველნაირად ცდილობს ტექსტის სტილისტურ დახვეწას, აზრის სხარტად, გამოკვეთილად, ნათლად გამოხატვას. პოეტის ეს მისწრაფება ყველაზე ღრცლად და მასშტაბურად „სიბრძნე მალაღობელში“ ჩანს, სადაც მრავალი შეგონება და აფორიზმია გამოთქმული და ჩამოყალიბებული. ამისი კლასიკური ნიმუშია აფორიზმი „ცემა გმართებს გამზრდელისა...“ და ზოგიერთი სხვა, ზემოთ დამოწმებული მაგალითი. რამდენიმეს დამატებით კიდევ მოვიყვანთ:

სტრ. 252. დედანი: „ბოროტი დედაკაცი ნადირისაგან უფრო ძნელი არის. თუ მაგრა არ შეიპყრობ, მრავალს ბოროტსა იქს“ (45, 171).

პირველი და მეორე რედაქციის ნუსხებში (S 4500 გადახაზ.; გვ. 60; M 3, გვ. 65r.) დედანი პირწმინდად არის გალექსილი:

„ბოროტი დედაკაცები ნადირთა უფრო ძნელია,
და თუ მაგრა არ დაიჭირე, ბევრის ავისა მქნელია!“

ბოლო რედაქციაში (S 4500 ჩაწ.; S 171, გვ. 58) შინაარსი უფრო კონტრასტულად, გამძაფრებულად და, ამდენად, უფრო შთამბეჭდავად არის გამოთქმული:

„ავი დიაცი ნადირთა დაჰყრობად უძნელესია,
და თავისა დაუჭირავი გველთაგან უგველესია!“

მომდევნო, 253-ე სტროფი: დედანი: „ბოროტი სიყვარული მოლხინის კაცის მოცლა არის“ (45, 172).

პირველი რედაქციის ნუსხებში გვაქვს:

„ბოროტის სიყვარულითა მოცლაა მოლხინებანი!“

აქ აზრი ისე გამოდის, თითქოს ბოროტი სიყვარული მომლხენის მოცლას იწვევდეს. სათქმელი კი საპირისპიროა — მოცლილი, უსაქმური, ლხინს გადაყოლილი კაცის სიყვარული ბოროტებაა, რაც ნათლად და გარკვევით გამოთქმულია ბოლო რედაქციაში:

„ავსა რასმე სიყვარულსა მოცლა შეიქს მოლხინისა!“

იქვე. სტრ. 255. დედანი: „ვინც უსარგებლოდ ლხინობს, ბოროტის მეტს ვერას მოილხენს“ (45, 174).

აქაც პირველი-მეორე რედაქციის ნუსხებში დედანი სიტყვასიტყვით არის გალექსილი:

„უსარგებლოდ ვინცა ლხინობს, ბოროტს მეტს ვერას ილხენს!“

გამოთქმა „ბოროტის მოლხენა“ ძნელი წარმოსადგენია. მას საგნობრიობა აკლია. ბოლო რედაქციაში ვეტტანგს ის შეუცვლია უფრო გასაგები სიტყვებით:

„ავის მეტსა ვერას მომკის უსარგებლო მოლხინარი!“

ახლა ვნახოთ თხზულების სხვა ნაწილი.

სტრ. 522. დედანი: „მეფეთა და დიდთა მეპატრონეთა წინააღმდეგი ნუ იქნები!“ (63, 353).

პირველ-მეორე რედაქციებში ტექსტი აქაც ზედმიწევნით არის გალექსილი (S 4500 გადახაზ.; გვ. 129; M 3, გვ. 86r.):

„წინააღმდეგი ნუმცა ხარ მებატონისა, მეფისა!“

ეს ბატონყმური საზოგადოების გაბატონებულ კლასთა ინტერესების გამომხატველი შეგონება, რომელსაც აკლია დემოკრატიულობა

და, რაც მთავარია, მოტივირება, ბოლო რედაქციაში შეცვლილია უფრო განზოგადებული, საყოველთაოდ მისაღები, დასაბუთებული შინაარსის აფორიზმით:

„მბრძანებლისა დაურჩება შემძლებელსაც გააცუდებს!"

იქვე, მომდევნო, 523-ე სტროფი. დედანი: „კეთილის მოქმედი იყავ და საწყალს მოწყალებას ნუ დააკლებ" (63, 354).

პირველი-მეორე რედაქციების ტექსტი:

„იყავ კეთილის მოქმედი, საწყალთა მწყალობელია!"

ბოლო რედაქციის ნუსხებში გვაქვს:

„სიკეთე და მოწყალება კაცსა ვარდებრ აღაყვავებს!"

თუ პირველ ვარიანტში შეგონება მშრალია, მოტივირება აკლია, შეორე ვარიანტში აზრი ისეა გამოთქმული, რომ ჩანს მისი საფუძვლიანობა, სიკეთე და სარგებლიანობა.

ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მაგრამ აქა-იქ აქაც გვაქვს საპირისპირო შემთხვევები, როდესაც ბოლო ვარიანტი მის წინამორბედზე ნაკლები ღირსებისაა. და ეს უპირველესად გამოიხატება იმით, რომ აზრს აკლია სინათლე და სტილისტური დახვეწილობა. ვნახოთ ამისი რამდენიმე ნიმუში:

სტრ. 42. ბოლო რედაქციაში გვაქვს:

„სარიდალია სამყოფი ყმაწვილთა შემცველობანი,
და ლაღობით ამპარტავანთა ადგილთა გამველელობანი!"
(S 4500 გადახაზ., გვ. 6; S 171, გვ. 39)

რომ არაფერი ვთქვათ ტლანქ ენობრივ-სტილისტურ გამოთქმებზე „შემცველობანი", „გამველელობანი", გაუგებარია, რატომ არის მოსარიდებელი ყმაწვილთა სამყოფი! დედანსა და ნაწილობრივ პირველ რედაქციაში კი ყველაფერი გასაგებად არის ნათქვამი. დედანი: „ჰკითხეს: როგორს ადგილს უნდა მოერიდოს კაცი? მიუგო: საცა მტყუანი და ამპარტავანი მპყრობლობდეს და ყმაწვილი მეფობდეს" (29, 28).

S 4500 (გადახაზ., გვ. 6), M 3 (გვ. 45r.) და გამოცემა:

„როგორსა თემთა ვერიდოთ? — ჰკითხვიდენ მასვე, მისასა.
და — ამპარტავანთა ადგილთა, სამეფოს ყმაწვილისასა!"

ბოლო რედაქციაში აზრის განზოგადებისას დაიკარგა ტექსტის პირვანდელი, კონკრეტული შინაარსი და ამან გამოიწვია აღნიშნული გაუგებრობა.

სტრ. 355, 1. ბოლო რედაქციაში არის (S 171, გვ. 67):

„საუმჯობეო სიმდიდრე — სწავლითა გამდიდრებანი..."

პირველ რედაქციაში კი იყო (S 4500, გვ. 89; M 3, გვ. 73v.):

„სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას სწავლითა გამდიდრებანი!“

სტრიქონში სიტყვების შემცირებამ და ამ მიზეზით ხელოვნური ფორმის შექმნამ („საუმჯობეო“) დააბნელა აზრი.

519. ბოლო რედაქციაში გვაქვს:

„რაზომ დაგმეტდეს სიმდიდრე, უფროა სამწუხარენი!“
(S 4500, ჩაწ.; გვ. 128; S 171, გვ. 79)

აზრი ნათელია, მაგრამ დამაჯერებელი არ არის, სიმდიდრის მომატება რატომ არის სამწუხარო. პირველ რედაქციაში იკითხება:

„ვინც უფრო არის მდიდარი, უფროა ჯავრით მწუხარი!“
(S 4500, გადახაზ.; M 3, გვ. 86r.)

ამ ბოლო ვარიანტში, რადგან ჯავრზე და ფიქრზეა ლაპარაკი, სიმდიდრით გამოწვეული მწუხარება უფრო გასაგები და მისაღებია. გარდა ამისა, რითმის გამო ის ბევრად მხატვრული და მიმზიდველია.

სტრ. 563, 1—2. პირველ რედაქციაში არის:

„მეფე მდაბალი, მოწყალე, მშვიდი და გულკეთილია,
და ქვეყნის მომველი, ერთგული უყვარდეს ვითა შვილია...“
(S 4500, გვ. 137; M 3, 89r.)

ბოლო რედაქცია (S 171, გვ. 82):

„მეფენი მოწყალებითა მდაბალი, გულკეთილია,
და ქვეყანა მომველობითა უყვარდეს ვითა შვილია...“

აშკარაა, პირველი ვარიანტი ენობრივად მეორეს ჯობს. მეორე ვარიანტიდან ისე გამოდის, თითქოს მეფენი მოწყალების გამო არიან მდაბალნი და გულკეთილნი. სათქმელი კი სხვა არის. მომდევნო წინადადება „ქვეყანა მომველობით უყვარდეს“ გრამატიკულად და სტილისტურად გაუმართავია.

„სიბრძნე მალაღობელში“, ისე როგორც სხვა თხზულებებში, ტექსტის დამძიმებას იწვევს სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირების მიზნით სიტყვების „დაგრძელება“ — ზმნების მიმღეობებად, არსებითი სახელების ზედსართავებად გადაკეთება, ნაირ-ნაირი სართების გამოყენება, რომლებიც ბევრ შემთხვევაში ხელოვნური და ნაძალადევია. ამის გამოა, რომ, თუმცა რედაქციული სწორების შედეგად ტექსტი უმეტესად აზრობრივად და მხატვრულად გაუმჯობესებულია, საკმაოდ ხშირად ენობრივ-სტილისტურად პირიქით არის. თუ პირველი რედაქციის ენა უფრო სადა, გამჭვირვალეა, ხალხურ მეტყველებასთან ახლო არის, ბოლო რედაქციის ენა საგრძნობლად

ხელოვნური და მწიგნობრულია. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად სისტემური ხასიათი აქვს ამ მოვლენას, ნიმუშად მიყოლებით მოვიყვანთ პირველ-ოც სტროფს თხზულების დასაწყისიდან:

	პირველი რედაქციის ტექსტი:	ბოლო რედაქციის ტექსტი:
2 დ.	უთხარით ღრცვა ძმობისთვის მეფეს შენდობის მწადესა	ძმობისთვის მომიგონებდეთ შენდობის მონამწადესა
3 დ.	მაგრამ შეატყოს შემტყობ-მან...	შეატყოს შემატყობელმან
13 ა.	კარგი ქალი თავის ქმრისთვის სიკვდილს თავსა არ არიდებს	საქები ქალი ქმრისათვის სიკვდილსა დაურიდობსა
დ.	ის მეორე — ჰრი დიდი (შეჰრევება M 3) ქმარს სასჯელსა ზურგს აჰკიდებს	ჰირისა ტვირთსა მომძიმოდ მეორე ანამკიდობსა
15	არ წახდე, ისე ეცადე მეგობარისა რგებასა	არ წახდებოდე, მოყვისა რგებაა სავარგნარენი
17 ბ.	მოწაფე იყო სოგრატის სიბრძნეთა შიგან მრთელია	სოგრატის მასწავლებელი, გაბრძნობაშიგან მთელია
18 ბ.	...კვლავ ცდილობს, არ იკმარებსა	ცდილობენ შეუკმარებსა
გ.	სახელი დარჩეს ბოლომდი, ვინც იწადს, ვინც იკარებსა	სახელი დარჩეს ბოლომდი მონაწადს, მონაკარებსა
19 ბ.	არ დაჰბადა ბარბაროზად...	უნაბადი ბარბაროზთა...
დ.	შემოასწრა სოგრატ მთელსა, სიბრძნეს მისსა დაიცვიდა	სოგრატისა შეჰმსწრები სიბრძნისაგან მონაცვიდა
20 ა.	კარგია მადლის შეწირვა დღე-დაღე ქამთა ქამისად	კარგია მადლის შეწირვა დღურად, დასაქამისად
ბ.	რაცა მოგეცეს სოფელში, მას ხადე ყოველ წამისად	სოფლისა მოსაცემელსა სამადლობელი წამისად

ბევრჯერ აღვნიშნეთ და აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს ენობრივი მოვლენა განხილულ კრებულებში შესულ თითქმის ყველა თხზულებაში შეინიშნება. აქ უნებლიეთ გვახსენდება ვახტანგის პოზიცია მხატვრული ენის მიმართ, რომელიც მან გამოთქვა „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში. ამ თხზულების თავისი თარგმანის ენის შესახებ ის წერს: „მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთა სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს.

არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები,
მეკითხა წიგნი საღვთო და საერო ამას წინებე;
ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები,
და არვინ გამხადოთ ამისთვის საკიცხარ-მოსაყინებლი!

ძრუნს გშართებსთ, ვისცა ხელად შემოგივარდესთ, ამის ამბის შეუტყობარი დარჩეთ, და ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარგმანზე, ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ“[99].

ალ. ბარამიძემ ყურადღება მიაქცია, რომ ვახტანგის ანდერძსა და ქართულ ვერსიაშივე ამ ანდერძამდე არსებულ სპარსული დედნის წინასიტყვაობას შორის ნიშანდობლივი მსგავსება არის. „ვახტანგის ანდერძი — წერს მკვლევარი, — მთლიანად ამ წინასიტყვაობის შინაარსეული გეგმითა და კომპოზიციით არის შედგენილი. აღსანიშნავია, რომ ენის საკითხი ორიგინალშიც არის დასმული. ქაშიფი ამბობს, რომ ძველი რედაქციები გაუგებარი ენით იყო დაწერილი, ხოლო მე უბრალოდ გამოვთქვი, რომ მკითხველთათვის იოლად მისახვედრი გახდეს. ქაშიფი განსაკუთრებით ჩივის ძველი ტექსტის არაბულით წარყვნაზე, თავის მხრივ «არაბულ ლექსს განვეშორე და სპარსული ენითა ლექსები მარგალიტსა და ძოწსავით ძაფზედ შეწყობით დავაცვი»-ო, გვარწმუნებს... უკანასკნელად ავტორი შენიშნავს, რომ მთელი თხზულება «საადვილოსა სიტყვითა (ეს დაყოფა აეტორისაა. — ბ. დ.) და ამოსა საუბრითა გავარიგე»-ო...“[100].

ეს აზრობრივი და სიტყვიერი მსგავსება, ჩვენი აზრით, სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ვახტანგი ბრმად, მიბაძვით იმეორებდეს დედანს. თვით ალ. ბარამიძე საგანგებოდ აღნიშნავს: „რამდენადაც ვახტანგი «გულწრფელია» (ამას საგანგებოდ ქვემოთ ვაჩვენებთ), იმდენად ქედმაღლურად პირფერულია სპარსელი ავტორი“ (იქვე, გვ. 251). მკვლევარს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ „«ანვარი სოჰაილი» ერთი უმძიმესი და უმჭევრესი ნაწარმოებთაგანია მთელ სპარსულ მწერლობაში. იშვიათი რიტორიკული ენაწყლიანობა და გაბერილი ხელოვნური «პიტიკა» ამ ნაწარმოების დამახასიათებელი თვისებაა“ (გვ. 251), რომ ვახტანგის თარგმნილი „ტექსტი დედნის მიმართ ძირითადში ამჟღავნებს ზედმიწევნილობით აღბეჭდილ ზუსტ შესატყვისობას“ (გვ. 302), „მთარგმნელი ნაწილობრივად მაინც ცდილა დედნის მხატვრულ ფორმალური სახეობის შენარჩუნებას“ (გვ. 305) და ა. შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ისევ ალ. ბარამიძის სიტყვებით ვაგრძელებთ, ქართული „ტექსტი მოკლებულია სპარსული თხზულების სტილისტიკურ სიმჭევრეს... რომ ვახტანგს თითქოს შეგნებულად უგულებელუყვია დედნის ზედმეტი ენაწყლია-

---

[99] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., II$_1$, 1962, გვ. 39; ჭილილა და დიმანა, 1975, გვ. 191—192.

[100] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 251.

ნობა...“ ქართული „ვერსიის ენა ბოლომდის მარტივ და სადა ხაზებშია მოცემული“ (გვ. 305). „«ქილილა და დამანას» ვახტანგისეული ვერსიის სტილისათვის დამახასიათებელია ენობრივი სისადავე და უბრალოება...“ (გვ. 323).

ამავე აზრს იზიარებენ სხვებიც. კ. კეკელიძე წერს: ვახტანგის თარგმანი „შესრულებულია მარტივი, სადა, უბრალო და ლიტონი ენით, თუმცა სპარსული კონსტრუქცია, სპარსულ სიტყვათა და გამოთქმათა ხმარება მისი დამახასიათებელი თვისებაა... საერთოდ კი მას მოუცია ამ საყურადღებო შრომის საკმაოდ ზუსტი და დედანთან შეთანხმებული თარგმანი“[101].

ერთი სიტყვით, ვახტანგის ცნობა „ვთქვი ენით მეტად ადვილით“ სრული სიმართლეა. ასევე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისივე სიტყვები — „ვიცოდი ენა მძიმები“[102].

ვახტანგის დამოწმებული ანდერძიდან კარგად ჩანს რამდენიმე ფაქტი, რომლებსაც მეტად საყურადღებო დასკვნებისაკენ მივყევართ:

1. ვახტანგი მკვეთრად და პრინციპულად უპირისპირებს ერთმანეთს „მძიმე“ და „ადვილ“, „მსოფლიოს“ ენებს.

2. „მძიმე“-ში საღვთო და საერო მწერლობის მწიგნობრული ენა იგულისხმება, ხოლო „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვა“-ში სოფლური, ხალხური მეტყველება[103].

---

[101] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 464.

[102] შდრ.: ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., I, გვ. 334; V, თბ., 1971, გვ, 331; ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, კრებული: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1959, გვ. 182; მ. თოდუა, ტექსტისათვის, წიგნში: ქილილა და დამანა, 1975, გვ. 91.

[103] სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განმარტავს: „მსოფლიო სოფლისაგან“. მეორე ადგილას: იარაღი ესე არს ჰურჭელ(ნ)ი ხელოვანთა სახმარნი რაინათა თუ ძელთაგან, მეომართა ალსაკაზმავი, გინა ცხენთა ანუ ხუროთა, მჭედელთა და გალატოზთა(ნი). ესე მსოფლიოთა ენითა არს, ხოლო სამღდელოთა ენითა ჰური, ჰურჭელი და რომელთამე ორღანო ეწოდება“.

ნ. ჩუბინაშვილი: „მსოფლიო სოფელი, სოფელში მდგომი, сельский, поселянин, мирянин“.

ვახტანგის დამოწმებულ სიტყვებს ამგვარადვე ხსნიან ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და სხვები. ალ. ბარამიძე: „მაშასადამე, თვითონ ვახტანგის ამ მოწმობით სწავლული მეფის თარგმანი უბრალო, მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით ყოფილა შესრულებული“ (ნარკვევები..., I, გვ. 250).

ე. მეტრეველი: „მსოფლიოს სიტყვით მდაბიური, ხალხური სიტყვით“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., დასახელებული გამოცემა, ლექსიკონი).

3. ვახტანგის დროს ხალხურ, სასაუბრო ენაზე მხატვრულ თხზულებათა წერა საჭოთირო ყოფილა, რისთვისაც მეფე-პოეტი საგანგებო ახსნა-განმარტებას იძლევა და შენდობას ითხოვს.

4 ვახტანგისათვის კარგად არის ცნობილი ენის ე. წ. სხვადასხვა სტილის თეორია, რომელიც მანამდე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში (მათ შორის, მე-18 საუკუნეში საქართველოსთან ისე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი და რუსეთი), რომლის გამოვლენა ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ პეტრიწის ნაწერებში ჩანს, ხოლო საბოლოოდ გაფორმებული სახით ანტონ ბაგრატიონის „გრამატიკასა“ (1753 წ.) და მის მიმდევართა ცალკეულ ნაშრომებში ჩამოყალიბდა[104].

ამის შემდეგ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: ის რედაქციული სხვაობა, რომელიც აშკარად იკვეთება პირველ და ბოლო რედაქციებს შორის, ხომ არ არის გამოვლენა პოეტური ენის შესახებ ვახტანგის აღნიშნული წეხედულებისა? კერძოდ, განხილულ თხზულებათა პირველი რედაქციის ტექსტი ხომ არ არის გამოხატულება „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვის“, ხოლო ბოლო რედაქცია „მძიმე ენისა“?

ამ თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა შესწავლა საგულისხმო შედეგებს იძლევა. ივ. გიგინეიშვილი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი უძღვნა ამ საკითხს, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ენა ერთგვარი არაა... სხვაგვარია ენა «სწავლანისა» და სხვაგვარია ენა «სიბრძნე სიცრუის წიგნისა» ან «ევროპაში მოგზაურობისა». კიდევ მეტი: ერთგვარი არ არის თვით საბას «ლექსიკონის» ენა.

დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი «სიბრძნე სიცრუის წიგნისა», რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას «სწავლანი ანუ ქადაგებანი» ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს«[105].

---

[104] ამ საკითხზე იხ.: ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, წიგნში: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 018—028; ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 1—94; ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 230—237; ჯ. კუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, მეორე გამოცემა, თბ., 1974, გვ. 72—75; ა. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 54—68; მისივე, გვჭირდება თუ არა კვლევა-ძიება?, „მნათობი“, 1979, № 4, გვ. 165—166; დ. გამეზარდაშვილი, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 4, თბ., 1978, გვ. 47—55 და სხვა.

[105] ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, გვ. 23.

აქედან გამომდინარე, მკვლევარი უფრო საყურადღებო და შორს მიმავალ დასკვნას აკეთებს: „სულხან-საბა ორბელიანის ენის შესწავლა ააშკარავებს, რომ ავტორის ენა სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის, რა ჟანრის ნაწარმოებს წერს იგი. რჩება შთაბეჭდილება, რომელიც ბადებს კითხვას: ხომ არ არის საბა მომხრე ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენისა და ხომ არ ატარებდა იგი ამ შეხედულებას პრაქტიკულადაც. ნაირსტილოვანი ენის თეორია ფართოდ იყო მოდებული ყველგან...“ (გვ. 41).

ამავე საკითხს ეხმიანება „ქილილა და დამანას“ სულხან-საბასეული რედაქციაც. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილი მიუთითებდა, რომ „Язык перевода Вахтанговской редакции простой и понятный[106]; в нем совершенно отсутствует тот витиеватый и возвышенный стиль, которым отличается проредактированный Саввою-Сулханом Орбелиани перевод“[107]. „Язык Орбелиани литературный, образный и цветистый...“ (იქვე, გვ. შესაბამისად 311, 125).

ალ. ბარამიძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიები და რედაქციები, ენობრივ-სტილისტურად გამოყოფს სულხან-საბასეულ ტექსტს: „სულ სხვაა ამ მხრით «ქილ·ლა და დამანას» საბასეული რედაქცია. საბას ტექსტს ძლიერად აჩნია განსწავლული მწიგნობარ-რედაქტორის გარკვეული ხელი. საბასეული ტექსტის საერთო ნიშანდობლივი თვისებაა ენობრივ-სტილისტიკური ბრწყინვალება, მაღალი პათოსი, პიიტიკური ზვიადობა, რიტორიკული ენაწყლიანობა, ერთი სიტყვით, მაღალ-მწიგნობრული «შტ·ლი». ეს რაც შეეხება სტილის გარეგან მხარეს. მეორე მხრით, საბას ტექსტის სტილი არქაულობითაა აღბეჭდილი და ქართული ნაციონალური კოლორიტის მქონეა. საბას რიტორიკული სტილის ზვიადობა საუცხოოდაა გამოხატული კერძოდ ლექსიკაში, რედაქტორს უხვად გამოუყენებია არქაული მჰევრქართული, მრავალი ტერმინი, გამოთქმა, ფიგურული სახე და ა. შ.[108]

---

[106] ე. თაყაიშვილს მხედველობაში აქვს „ქილილა და დამანას“ S 3177 ხელნაწერში დაცული რედაქცია და არა M 53 ხელნაწერის ვახტანგისეული ტექსტი.

[107] Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, Тб., 1902—1904, с. 309; ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 123—124.

[108] ნარკვევები..., I, გვ. 323.

მკვლევარი „ქილილა და დამანას“ სულხან-საბასეულ რედაქციას ენობრივ-სტილისტურად განარჩევს მწერლის სხვა თხზულებებისაგან, კერძოდ, „სიბრძნე სიცრუისაგან“: „სულხან-საბა ორბელიანის აწინდელი (ე. ი. გვიანდელი. — ბ. დ.) ლიტერატურული შრომების სტილიც სხვაგვარია. თუ «სიბრძნე სიცრუისა» დაწერილია სადა, მართივი სასაუბრო ენით, «ქილილა და დამანა» გამართულია ცალფარდოვანი, რიტორიკულ-მწიგნობრული, ღვარჭნილი სტილით. თუმცა ეს კია, «ქილილა და დამანას» სწორედ ამგვარი სტილი შეეფერებოდა. ვახტანგის თარგმანის ენა შედარებით უფრო სადაა და ამდენადვე დაშორებულია დედნის ენამჭევრობას. საბამ აღუდგინა «ქილილა და დამანას» შესაფერისი ენობრივ-სტილისტური ზვიადობა და ბრწყინვალება, ამასთან თხზულებას მისცა ეროვნული ქართული კოლორიტიც“[109].

ამასვე აღნიშნავენ სხვებიც:

ა. გაწერელია: „«სიბრძნე სიცრუისა» ავტორმა დაწერა «ჟამსა სიჭაბუკისა მისისა». ახალგაზრდობაშივე დაასრულა საბამ თავისი «ლექსიკონი». «მოგზაურობა ევროპაში» კი დაწერილია 60 წლის მწერლის მიერ. ორივეს — «სიბრძნე სიცრუისას» და «მოგზაურობას»—აერთებს სტილური მსგავსება. თხრობის სისადავე და ელიფსური წყობა ფრაზისა (დაყოფა ავტორისაა. — ბ. დ.). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ «ქილილა და დამანა» და ჰომილეტიკური ნაწარმოებნი. პირველი «გაიჩალხა» გარკვეული შეკვეთით, რის გამო მასში არქაული ელემენტი და რიტორიული ტონი სჭარბობს, ხოლო დავით გარეჯის უდაბნოში ნაწერ ლოცვებში ავტორს, ბუნებრივია, არ შეეძლო დაეცვა თხრობის საკუთარი მანერა. მიუხედავად ამისა, ორივეში გამოსჭვივის საბას სტილის ზოგიერთი თავისებურებანი“[110].

ე. მეტრეველი, ალ. გვახარია: „მხატვრული ფორმისა და სტილისტური ძიებების საბასეული მეთოდები ყველაზე კარგად ჩანს «ქილილა და ღამანას» საბასეულ თარგმანში. ჟანრის თვალსაზრისით, თავისი დანიშნულებითა და აგებულებით «ქილილა და დამანა» ენათესავება «სიბრძნე სიცრუისას». ამისდა მიუხედავად, ეს ორი ნაწარმოები დაწერილია სრულიად სხვადასხვა მხატვრული მანერით, სხვადასხვა სტილით“[111].

---

[109] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1959, გვ. 125; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 495—496.

[110] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962, გვ. 47.

[111] ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180.

მ. თოდუა: „ალ ბარამიძემ ჩინებულად დაამტკიცა, რომ საბას ვერსია მწიგნობრულ-ლიტერატურული ენითაა გამართული და ამდენად ერთგვარად არქაულიცაა“[112]. და სხვა.

როგორც ვხედავთ, ერთნაირად ისმის საკითხი სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის მხატვრული ენის რაობისა და ამ ენის შესახებ მათ თეორიულ შეხედულებათა გამოვლენის ერთიანობაზე.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალათა მიხედვით, გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ, რადგანაც სულხან-საბასა და ვახტანგის ნაწარმოებებში განსხვავებული სტილი აშკარად დასტურდება, ხოლო, მეორე მხრივ, ჩანს, ვახტანგი იცნობს „ნაირსტილოვანი ენის თეორიას“, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავუშვათ, რომ მითითებულ თხზულებათა განსხვავებული სტილი შეგნებული, მიზანდასახული შემოქმედების ნაყოფია, რომელიც, გარკვეული აზრით, აღნიშნული თეორიის უკუფენაა. ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ მეექვსე ითვალისწინებენ, შემოქმედებითად უდგებიან „ნაირსტილოვანი ენის თეორიას“ და საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებენ მას.

თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ კ-დევ ერთი ასპექტი ვლინდება მე-18 საუკუნეში ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესის გასათვალისწინებლად. ამ საქმეში სულხან-საბა ორბელიანის უდიდესი ღვაწლი განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ ჩვენი განთქმული მეიგავე და ლექსიკოგრაფი ხალასი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი და ბრწყინვალე მეჭართულე იყო, არამედ იმითაც, რომ იგი, სათანადო თეორიული ცოდნით შეიარაღებული, გარკვეულ ენობრივ პოზიციაზე იდგა.

სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ამასვე აღნიშნავენ ე. მეტრეველი და ალ. გვახარია: „საბას ლიტერატურული საქმიანობა და მის მიერ ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე შემუშავებული თვალსაზრისი მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. საბა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში პრაქტიკულად ახორციელებდა თეორიულ დებულებას ენის სიწმინდის შესახებ, რომელსაც ლექსიკონის ფურცლებზე აყალიბებდა“[113].

ვფიქრობთ, იგივე შეიძლება ითქვას ვახტანგის შესახებაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ, მსგავსად ლექსთწყობისა და სხვა საქმეებისა, ვახტანგს, როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორს, გარკვეული წვლილი

---

[112] ქილილა და დამანა, გვ. 91.

[113] ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 178.

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეშიაც აქვს. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტია, რომ „ქილილა და დამანას“ თარგმნისას, მიუხედავად რეალური, გარეგანი თუ შინაგანი, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობისა, ვახტანგს თვალი ხალხური ენისაკენ უჭირავს და შემდეგ თავის თარგმანს გასაჩარხავად აძლევს სულხან-საბას, რომელიც ამ საქმის გამობრძმედილი ოსტატი იყო. მოსალოდნელია, რომ, როდესაც ვახტანგი თავის ნამუშევარს გასამართავად სულხან-საბას აძლევდა, იგი სხვა მონაცემებთან ერთად ხელმძღვანელობდა თავისი ენობრივი მრწამსით და სულხანის ბუნებრივ ნიჭთან ერთად ითვალისწინებდა მის შეგნებულ ენობრივ თვალსაზრისს, მიდრეკილებას, რომ არაფერი ვთქვათ რაიმე მოლაპარაკებასა და სათანადო დავალების მიცემაზე[114].

ახლა, ჩვენსა პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, უნდა დავასკვნათ: ვახტანგ მეექვსეს „სიბრძნე მალაღობელის“ მცირეზე მცირე ნაწილი (10—15 სტროფი) დაუმუშავებია ოთხი რედაქციით, დაახლოებით 120 სტროფი — სამი რედაქციით, თავიდან ბოლომდე, გარდა მცირე გამონაკლისისა, — ორი რედაქციით.

პირველი რედაქციის ტექსტი დაცულია S 4500 (პირვანდელი ტექსტი), Q 548, H 153, S 1624 და ნაწილობრივ M 3 ხელნაწერებში. ასეთივეა ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტიც. მეორე რედაქცია წარმოდგენილია M 3-ში, საბოლოო რედაქცია — S 4500 (პოეტის ხელით ჩაწერილი ტექსტი) და S 171 ხელნაწერებში.

აქაც Q 548 მომდინარეობს S 4500-ის პირველადი ტექსტისაგან, ხოლო Q 548-სა და H 153-ს შორის ორგანული კავშირია.

საერთო დასკვნები

როგორც ვხედავთ, ვახტანგის თხზულებებს, დიდია ის თუ პატარა, რომლებიც ხელნაწერთა კრებულებშია შესული, გარკვეული რედაქციული ცვლილებები ყველას შეხებია. აქედან გამონაკლისია ფორ-

---

[114] ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია ა. გაწერელიას პასუხი მისსავე კითხვაზე — „როგორ აეხსნათ სულხან-საბას ასეთი (განსხვავებული ენობრივ-სტილისტური. — ბ. დ.) დამოკიდებულება მხატვრული მეტყველებისადმი?“ (გვ. 47).

„სულხან-საბა ორბელიანს — დაასკვნის მკვლევარი, — ამართლებს ის გარემოება, რომ «ქილილა და დამანას» რედაქცია მუშავდებოდა გარკვეული საზოგადოებისათვის, ისიც მეფის შეკვეთით. ამიტომ «ქილილა და დამანას» გაჩალხვის მხატვრული შედეგი ერთგვარად გამონაკლისს წარმოადგენს საბასათვის და ახასიათებს უფრო ეპოქის ლიტერატურულ გემოვნებას, ვიდრე თვითონ გამჩალხავს (გვ. 52. შდრ.: ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180; მ. თოდუა, ტექსტისათვის, ქილილა და დამანა, გვ. 95).

მალისტური ხასიათის ლექსები, ანბანთქებები — „არა ბრძანებ გიორგ დედად...“, „ასრე არის აგებული...“ და წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი — „აბანა ერსა მოშიშთა...“ ავტორიზებულ ნუსხებში ასევე უცვლელია ანბანთა რიგი, რომელიც „სატრფიალონის“ ტექსტშია ჩართული. ნაჩვენებია, პოეტი განხილულ თხზულებებს აზრობრივ-სტილისტურად ამუშავებს და, ბუნებრივია, აქ ამ მხრივ არაფერი იყო შესაცვლელი.

როდის უნდა ჩაეტარებინა ვახტანგს აღნიშნული რედაქციული სამუშაოები? ვახტანგის უმთავრესი და უმეტესი პოეტური ნაწარმოებები „ამირ-ნასარიანი“, „სიბრძნე მალაღობელი“, „სატრფიალონი“, „კაეშანი“ და სხვებიც რუსეთში, მოსკოვშია დაწერილი და მათი შემდგომი ყოველგვარი სწორება, რა თქმა უნდა, მომდევნო ხანას, პოეტის რუსეთში ცხოვრების პერიოდს განეკუთვნება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი, გარდა „კაეშანისა“, საკმაოდ ვრცელი თხზულებანია, ხოლო ვახტანგი მოსკოვში ჩავიდა 1725 წლის 10 მარტს, გარდაიცვალა კი 1737 წლის 26 მარტს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი რედაქციული დამუშავება პოეტის ცხოვრების ბოლო წლებში უნდა მომხდარიყო.

ზემოთ ვნახეთ, ყველა ხელნაწერი ერთ-ერთ რედაქციულ სახეს გვიჩვენებს: S 4500 — პირველ რედაქციას, ავტორის მიერ მასში შეტანილი შესწორებანი — ბოლო რედაქციას, ასევე, S 171, გარდა აღნიშნული ფორმალისტური ლექსებისა, — ბოლო რედაქციას. ვახტანგის პოეტურ თხზულებათა კრებულებში რედაქციულ აღრევას ადგილი არა აქვს. იგივე უნდა ითქვას M 3-ის შესახებაც. ერთი ნაწილი („სალბუნად გულისა“, „ამირ-ნასარიანი“ და სხვა) პირველი რედაქციისაა, მეორე ნაწილი, რომლებსაც კი ცვლილებები შეეხო („კაეშანი“, „სატრფიალონი“, „სიბრძნე მალაღობელი“), — მეორე რედაქციისა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული ნუსხები სხვადასხვა პერიოდში ერთ რომელიმე რედაქციულ ბრძმედში ერთდროულად, ერთიანადაა გატარებული. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, პოეტმა ჯერ დაწერა „სატრფიალონი“, მოგვცა მისი რამდენიმე რედაქციული სახესხვაობა და ამის შემდეგ შეთხზა „სიბრძნე მალაღობელი“ და ა. შ., არამედ პირიქით: მას შემდეგ, როცა კრებულში თავმოყრილ თხზულებათა პირველი ვარიანტი დაწერილი ჰქონდა, ერთიანად ჩამოუარა ყველა მათგანს და ზოგი ერთხელ და ზოგი მეორეჯერ მეტნაკლებად გადაამუშავა.

კონკრეტული მაგალითით რომ ვიმსჯელოთ: „სალბუნად გულისა“ ადრე, სპარსეთშია დაწერილი, მაგრამ, ვინაიდან იგი ისეთსავე რედაქციულ თვისებებს ამჟღავნებს, როგორსაც, მაგალითად, მოსკოვში გა-

ლექსილი „ამირ-ნასარიანი“, კერძოდ, მისი პირველი და მეორე (ბოლო) რედაქციული ტექსტიც იმავე ხელნაწერებშია წარმოდგენილი, რომელშიაც „ამირ-ნასარიანის“ შესაბამისი რედაქციები, — უნდა დავასკვნათ, რომ „სალბუნად გულისა“-ს მეორე რედაქციაც რუსეთშია შექმნილი.

მეორე მაგალითი: ვინაიდან „კაეშანი“ 1730 წელს არის დაწერილი, ხოლო ისიც ისეთსავე რედაქციულ სურათს გვიჩვენებს, რასაც „სატრფიალონი“, „სიბრძნე მალაღობელი“ და სხვებიც, შეგვიძლია ყოყმანოდ ვთქვათ: ამ თხზულებათა ბოლო რედაქციები 1730 წლის შემდეგ არის ჩამოყალიბებული.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“. როგორც ცნობილია, ამ პოეტიკური ტრაქტატის წერა მამუკას დაუმთავრებია 1731 წლის დამდეგს. ზემოთ მივუთითეთ, რომ მასში დამოწმებულია „სატრფიალონის“ ერთი, 85-ე სტროფი, რომელიც მოყვანილია პირველი რედაქციის მიხედვით. პოეტს კი ეს სტროფი სამგვარად აქვს დამუშავებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის, როცა „ჭაშნიკი“ დაიწერა, „სატრფიალონის“ მეორე ან მესამე რედაქციები შექმნილი არ იყო, თორემ, მამუკა იმდენად ახლოს იყო ვახტანგთან, მისთვის ცნობილი იქნებოდა ისინი და თავისი თხზულებისათვის, ნაცვლად პირველი რედაქციისა, ბოლო რედაქციას შეარჩევდა.

ამ მოსაზრებებითაც „სატრფიალონისა“ და, მის კვალობაზე, სხვა ნაწარმოებთა ბოლო რედაქციები 1731 წლის თებერვლის შემდეგ არის ჩამოყალიბებული.

ვფიქრობთ, დასმული საკითხი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით შეიძლება განისაზღვროს: აღნიშნული რედაქციული ცვლილებები გაჩენილი უნდა იყოს 1733 წლის 19 ივნისის შემდეგ, როცა დასრულდა გადაწერა S 4500 ნუსხისა. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ამ ნუსხის გადაწერისას მთელი რიგი ე. წ. განმაზოგადებელი შინაარსის სტროფები, რომლებიც მელქისედეგ კავკასიძეს ტექსტის გადანუსხვის პროცესში არშიებზე მიუწერია, პირველი რედაქციისაა. ვნახეთ ისიც, რომ ამ ნუსხაში ადრე შეტანილი მცირეოდენი შესწორებანი შესულია M 3-ში, გვიანდელი, ვახტანგის ჩაწერილები, — S 171-ში. ამ ნუსხათა ეს სიახლენი მეორე ან მესამე რედაქციულ ფენას ქმნის. გარდა ამისა, მეორე და მესამე რედაქციის ტექსტები სხვაც არის, რომლებიც S 4500-ში არ ასახულა. ბუნებრივია, ისინიც, ისე როგორც S 4500-ში შემდეგ შეტანილები, ამ ნუსხის დამზადების შემდეგ არის შეთხზული.

მაშასადამე, ვახტანგს თავის პოეტურ ნაწარმოებთა მეორე და მესამე რედაქციული ტექსტები დაწერილი უნდა ჰქონდეს დაახლოებით 1733 წლის მეორე ნახევრიდან 1737 წლის გაზაფხულამდე.

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ვახტანგ მეექვსეს თავისი პოეტური თხზულებანი „ყველის ქება“ (ნაწილობრივ), „შეგონება“, „სალბუნად გულისა“ და „ამირ-ნასარიანი“ ორი რედაქციით დაუმუშავებია, „კაეშანისა“ და „სატრფიალონის“ საკმაო ნაწილები — სამი რედაქციით, „სიბრძნე მალაღობელის“ უმცირესი ნაწილი — ოთხი რედაქციით, დაახლოებით მეშვიდედი — სამი რედაქციით, დანარჩენი, უდიდესი ნაწილი, გარდა მცირე გამონაკლისისა, — ორი რედაქციით.

2. პირველი რედაქციის ტექსტი დაცულია S 4500 (გადამწერის ხელით შესრულებული), Q 548 და ყველა სხვა არაავტორიზებულ ნუსხებში, მეორე რედაქციის ტექსტი — M 3-ში. ამ ნუსხის დანარჩენი, უმეტესი ნაწილი მიჰყვება პირველ რედაქციას, უმნიშვნელო შემთხვევებში — ბოლო რედაქციას. მესამე, ბოლო რედაქცია წარმოდგენილია S 4500 (ვახტანგის ხელით შეტანილი შესწორებანი) და S 171 ხელნაწერებში. რამდენადმე თავისებური რედაქციის ტექსტს იძლევა ავტოგრაფული M 1 ნუსხა, ძირითადად კი ისიც პირველი რედაქციისაა.

ბოლო რედაქცია არ არის მეორის უშუალო გაგრძელება. შიგადაშიგ, მართალია, ამ უკანასკნელიდან ამოდის, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მისი საფუძველი პირველი რედაქციის ტექსტია.

3. ვახტანგის პოეტურ თხზულებათა კრებულის გამოცემა (1947, 1975 წწ.) ეყრდნობა M 3 ხელნაწერს, ამიტომ მისი ტექსტის უდიდესი ნაწილი პირველი რედაქციისაა, ნაწილი — მეორე რედაქციისა. მესამე, ბოლო რედაქციული ტექსტი გამოუქვეყნებელია.

4. ყველა რედაქცია ენობრივ-სტილისტური ხასიათისაა. ყველა თხზულება ერთი და იმავე პრინციპით არის ნასწორები. პოეტი აზრობრივად და სტილისტურად ხვეწს ტექსტს, ცდილობს სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირებას და კერძო, კონკრეტული შინაარსისაგან განმაზოგადებელი აზრის შექმნას. თუმცა ბოლო რედაქცია ადრინდელთან შედარებით უმრავლეს შემთხვევაში აზრობრივად, მხატვრულად, სტილისტურად უკეთესია, საზოგადოდ, პირველი რედაქციის ენა უფრო სადა და სასაუბრო მეტყველებასთან ახლოა, ხოლო ბოლო რედაქციისა — საგრძნობლად მწიგნობრული და საკმაოდ ხშირად ხელოვნურიც.

5. ეს სტილისტური განსხვავება გამოძახილი უნდა იყოს „ნაირ-სტილოვანი ენის თეორიისა“, რომელსაც ვახტანგი იცნობდა. პოეტი ითვალისწინებს ამ თეორიას და შემოქმედებითად იყენებს მას.

6. M 3 და S 171 ხელნაწერებში დაცული რედაქციები შეთხზული უნდა იყოს დაახლოებით 1733 წლის მეორე ნახევრიდან 1737 წლის გაზაფხულამდე.

7. აღნიშნული რედაქციული ტექსტები ერთმანეთს არ ცვლის. თითოეულ მათგანს მოეპოვება საკუთარი ღირსება-ნაკლოვანებანი. ამიტომ ვახტანგის პოეტურ თხზულებათა გამოცემაში ყველა რედაქციული ტექსტი თანაბარ უფლებათა პრინციპით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

მეორე თავი

ახალი მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობიდან[1]

შესწავლამ გვიჩვენა, რომ ვახტანგის კალამს ეკუთვნის ჩვენში კარგად ცნობილი და არაერთხელ განსჯის საგნად ქცეული, თავისი ფორმითა და შინაარსით დიდად საყურადღებო ლექსები „ვახტანგური“ და „მუხრანული“. გამოვლინდა პოეტის უცნობი ლექსებიც.

ა. „ვახტანგური“[2]

„ვახტანგური“ თავისი მეტრით გამორჩეული ლექსია ქართულ პოეზიაში. ამის გამო იგი მკვლევართა ყურადღების არეშია მოქცეული.

ეს ლექსი დაუცავს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ ორ ხელნაწერს: ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდის იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 36 ხელნაწერსა (გვ. 15v. იხ. სურ. 5) და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 303 ხელნაწერს (გვ. 92). პირველი ნუსხა გადაწერილია 1731—1737 წლებს შორის[3]. მეორე (ან

---

[1] მოხსენებებად წაკითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსმცოდნეობის სემინარზე 1979 წლის 12 დეკემბერს („ახალი მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტიკიდან“), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისმცოდნეობის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესიაზე 1979 წლის 20 დეკემბერს („უცნობი მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობიდან“, თეზისები, გვ. 13—15), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XL სამეცნიერო სესიაზე 1980 წლის 24 ივნისს („«მუხრანულის» თავისებურებანი“, თეზისები, გვ. 7—8).

[2] ეს ნარკვევი გამოქვეყნებულია კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს, თბ., 1983, გვ. 98—110.

[3] ამ ხელნაწერის როტოპირი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფოტოპირები — გ. ლეონიძის სახელობის თბილისის ლიტერატუ-

უკეთ რომ ვთქვათ, ხელნაწერია ის ნაწილი, რომელიც „ჰაშნიკსა“ და ჩვენთვის საინტერესო ლექსს შეიცავს) — 1826 წელს გიორგი ავალიშვილის მიერ[4].

ლენინგრადულ ხელნაწერში იგი ასე იკითხება[5].

„ვახტანგური

ორი მისი თვალი, — ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,
კეკლუცობის ძალით კაცის მწყვნელი, გულზე მწერელი,
ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი, თვალის მკერელი,
იმას უცხოთ გავს ის ტურფა, დაუჯერელი;
არა, არა, ის არ არი, მე საყვარელს ეცნობ მისი მზერელი!“

ასევე იკითხება გ. ავალიშვილის ხელნაწერშიაც. განსხვავება არის მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის ორთოგრაფიულ დაწერილობაში. არის: „თუალი“, „ჰნახეთ მოყუასნო საყუარელი“, „ჰგავს“, „არის“.

ამ ლექსის ავტორი ცნობილი არ არის. იგი „ჰაშნიკის“ ხელნაწერებში შეტანილია ბოლოს, ე. წ. ქრესტომათიულ ნაწილში, სადაც სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის ლექსები იკითხება. „ვახტანგური“ სწორედ ვახტანგის ლექსებთან არის მოთავსებული. ლენინგრადულ ხელნაწერში იგი უშუალოდ მოსდევს „მუხრანულს“. ორივე ერთ გვერდზე წერია (15v.); თავში „მუხრანულია“, ქვევით — „ვახტანგური“, შუაში თავისუფალი ადგილია დატოვებული. წინა გვერდებზე (14r.-v.—15r.) ვახტანგ-ს ლექსებია — „უწყვეტელი“ („რა დავიბადე, სოფლით ვიბადე...“), „ბოლოერთი“ („მე შევამკევ ცა, ქვეყანა..“) და „შურით აღივსნენ უგბილნი...“ სამივე ეს ლექსი გადამწერის ხელით არის შესრულებული და ახლავს ავტორზე მითითე-

---

რულ მუზეუმში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

ხელნაწერის ბოლო აღწერილობა, სათანადო ლიტერატურის მითითებით, მოცემული აქვს გ. მიქაძეს (მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებელი დაურთო გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 143—144).

[4] თხზულების ბოლო აღწერილობა მოცემულია მ. ბარათაშვილის თხზულებათა ზემორე აღნიშნულ გამოცემაზე დართულ გ. მიქაძის გამოკვლევაში (გვ. 144—145). თვით ხელნაწერი ბოლოს აღწერა ქრ. შარაშიძემ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს, თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს, ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1959, გვ. 342—356). სათანადო ლიტერატურაც ამ შრომებშია მითითებული.

[5] ძველი პუნქტუაცია — ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი — ახლითაა შეცვლილი.

ბა — „მეფისვე ნათქვამი“. „ვახტანგურის“ შემდეგ, მომდევნო გვერდზე არის ასევე ვახტანგის ლექსი „ლექს-ამბავი“ (16r.), რომლის სათაურშიაც აღნიშნულია ავტორი — „მეფის ნათქვამი“. ამ ხელნაწერში ავტორზე მითითება არა აქვს მხოლოდ „მუხრანულსა“ და „ვახტანგურს“. „მუხრანული“ და „ლექს-ამბავი“ ხელნაწერში ვახტანგის გაკრული ხელითაა ჩაწერილი. „ვახტანგური“ რამდენადმე განსხვავებული, კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული.

მაშასადამე, „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში „მუხრანული“ და „ვახტანგური“ ვახტანგის ლექსებს შორის არის მოთავსებული, მაგრამ არ ახლავს აღნიშვნა, ვინ არის ავტორი, მაშინ როდესაც ვახტანგის აქ მოთავსებულ ყველა ნაწარმოებს, მათ შორის ვახტანგის ხელით ჩაწერილ „ლექს-ამბავსაც“ სათაურში უწერია ავტორი — „მეფისვე (მეფის) ნათქვამი“.

გ. ავალიშვილის ხელნაწერში ნაწარმოებთა ეს რიგი რამდენადმე დარღვეულია: „მუხრანულს“ და „ლექს-ამბავს“ ადგილები აქვს შენაცვლებული. ე. ი. ის ლექსები, რომლებსაც აქვს ავტორზე (ვახტანგზე) მითითება, ერთად არის, შემდეგ მოდის „ვახტანგური“ და სულ ბოლოს — „მუხრანული“ (გვ. 89—92).

სხვა, ძველი ცნობა „ვახტანგურის“ შესახებ არ მოგვეპოვება.

„ვახტანგური“ სათაურის გამო ალ. ბარამიძემ დაუკავშირა ვახტანგ მეექვსის სახელს და „ჭაშნიკის“ გ. ავალიშვილისეული ხელნაწერის მიხედვით პირობით, როგორც „ვახტანგის რომელიღაც უცნობი ლექსის წაბაძვით“, „ვახტანგის მეტრის კვალობაზე შეთხზული“ ნაწარმოები, შეიტანა ვახტანგის თხზულებათა კრებულში[6]. მკვლევარი წერს: „რა თქმა უნდა, ეს ლექსი არ არის ვახტანგისა, მაგრამ ვახტანგურია, ე. ი. ვახტანგის მეტრის კვალობაზეა შედგენილი. სამწუხაროდ, თვითონ ვახტანგის ორიგინალი ჯერ არსად ჩანს. არც ის ვიცით, თუ ვინაა «ვახტანგურის» ავტორი“[7].

გამოცემაზე დართულ შენიშვნებში წერია: „«ვახტანგური» დაუცავს გიორგი ავალიშვილის მიერ გადაწერილი «ჭაშნიკის» პირს... როგორც სათაურიდან ჩანს, ეს ლექსი თვითონ ვახტანგს არ უნდა ეკუთვნოდეს. ის დაწერილია ვახტანგის რომელიღაც უცნობი ლექსის წაბაძვით. მაინცდამაინც «ვახტანგური» შეთხზულია ვახტანგის სალექსო საზომით. ამ საზომის აღდგენის მიზნით ლექსმა ადგილი იპოვა ჩვენს გამოცემაში“[8].

---

[6] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1947, გვ. 66; 1975, გვ. 73.

[7] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 452; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1947, გვ. XVI.

[8] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1947, გვ. 174; 1975, გვ. 164.

ამ მოსაზრებაში საეჭვო არაფერი ჩანდა და იგი გაზიარებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში. გ. მიქაძე წერს: „დასახელებული ლექსი ვახტანგის ლექსის მეტრის გავლენითაა შეთხზული და ამიტომ ვახტანგური ეწოდება. სამწუხაროდ, ვახტანგის პროტოტიპი, თვითონ ვახტანგის ლექსი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის“[9].

საკითხის ისტორიის სისრულისათვის ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ადრე გაკვრით გაკეთებულ შენიშვნაში ალ. ბარამიძემ „ვახტანგურის“ სავარაუდო ავტორად მამუკა ბარათაშვილი დაასახელა. მკვლევარი ასე წერს: „ჩვენ სავარაუდო ავტორად თვითონ მამუკას მივიჩნევდით“[10].

ეს ვარაუდი უარყო გ. მიქაძემ. მისი მოსაზრებით, რომელიც ავტორმა სტუდენტობისას გამოთქვა და შემდეგაც გაიმეორა, „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში „მუხრანული“ და „ლექს-ამბავი“ ჩაწერილია მამუკას ხელით, ხოლო ამ ლექსებს შორის მოთავსებული „ვახტანგური“ — სხვა ხელით. „შეუძლებლად მიგვაჩნია, — წერს გ. მიქაძე, — რომ მამუკას თავისი ლექსი საკუთარი ხელით არ ჩაეწეროს დასახელებულ ხელნაწერში და ვიღაცას მამუკას მიერ ჩაწერილ ლექსებს შორის დაეწეროს თვით მამუკას ლექსი... გამომდინარე აქედან, «ვახტანგურის» სავარაუდო ავტორთაგან ჩვენ გამოვრიცხავთ მამუკას ავტორობას“[11].

„ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში ჩაწერილი ლექსების ხელის შესახებ დღეს მეტი ვიცით, ვიდრე ადრე იყო ცნობილი. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მუხრანული“ და „ლექს-ამბავი“ მასში ჩაწერილია არა მამუკას ხელით, არამედ ვახტანგის აშკარად გამოხატული, გაკრული ხელით. ამიტომ აღნიშნული ცნობა დასმული საკითხის გადასაწყვეტად არ გამოდგება.

საზოგადოდ, „ჭაშნიკის“ ლენინგრადული ხელნაწერი „ვახტანგურის“ ავტორის დასადგენად საყურადღებო მასალას იძლევა, მაგრამ — არა გადამწყვეტს. ის ფაქტი, რომ მასში „მუხრანული“ და „ვახტანგური“ ვახტანგის თხზულებებშია მოთავსებული, იქითკენ მიგვანიშნებს, რომ ისინი ვახტანგის ნაწარმოებებად ვცნოთ. მაგრამ, მეორე მხრივ, რადგან მათ, სხვებისაგან გარჩევით, ავტორის შესახებ სათანადო მითითება არ ახლავს, საეჭვოს ხდის ამგვარი ვარაუდის დაშვებას. ამ

---

[9] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 54.

[10] ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 452; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1947, გვ. XVI.

[11] გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბ., 1950, გვ. 108; მისივე, მამუკა ბარათაშვილი, თბ., 1958, გვ. 134.

ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს გ. ავალიშვილის კრებული, სადაც „ვახტანგური“ და „მუხრანული“ ვახტანგის სახელდებით მოხსენიებული ლექსებიდან განაპირებულია.

„ვახტანგურის“ ავტორობის საკითხს, ვფიქრობთ, შეუძლებელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული E 106 ხელნაწერი კრებული. ეს ხელნაწერი შეიცავს სხვადასხვაგვარ ჩანაწერთა ფრაგმენტებს, რომელთაგან უმეტესობა შესრულებულია ვახტანგ მეექვსის მიერ, მისი ხელით[12].

აქ მე-6 ფურცელზე[13] კიდით დაწებებულ პატარა ქაღალდზე, რომელიც დანომრილია რომაული ციფრით — XII, მეორე გვერდზე ვარიანტული და რედაქციული სახესხვაობითურთ წარმოდგენილია „ვახტანგური“, ვახტანგ მეექვსის ცნობილი, გაკრული ხელით შესრულებული (იხ. სურ. 6).

ვახტანგს ჯერ ერთ სტროფად დაუწერია[14]:

ორი მისი თვალი, — ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,
სასწაულის სახედველით მისნობის გამომჩენელი,
ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი, — ეს არის მომალხენელი,
იმ[ა]ს უცხოთ გავს ის ტურფა, — ეს არის შეუწყენელი,
არა, ის არ არის, მე საყვარელს ვიცნობ, ვარ მცნობელი!

ბოლო სტრიქონში „საყვარელს“ და „ვიცნობ“-ს შორის ვახტანგს შემდეგ ზევიდან ჩაუწერია „ვარ“.

ამას მოსდევს ასევე ერთ სტროფად დაწერილი:

ორი მისი თვალი, — ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,
სასწაულისა სახედველითა მისნობის გამომჩენელი,
ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი მომალხენელი,
იმას უცხოთ გავს ის ტურფა შეუწყენელი,
არა, ის არ არის, მე საყვარლის ვარ მცნობელი!

შემდეგ ვახტანგს ამ ბოლო სტროფის მარჯვენა გვერდზე რამდენადმე განსხვავებული მელნით მიუწერია:

ქეკლუცობის ძალით კაცის მწყენელი, გულზე მწერელი,
ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი თვალის მკერელი,
იმას უცხო გავს ის ტურფა დაუჯერელი,
არა, ის არ არის, მე საყვარელს ვიცნობ მისი მზერელი!

---

[12] ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ორბელს (Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения, I, М.-Л., 1956, с. 49—50).

[13] ამ ფურცელს კიდევ უზის მეორე ნომერი — 16.

[14] პუნქტუაცია ჩვენია. დედანში სიტყვები ერთმანეთისაგან აქაც ორწერტილით არის გამოყოფილი.

სწორედ ეს უკანასკნელი ვარიანტი დაერთო „ჭაშნიკის“ ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „ჭაშნიკის“ ნუსხებში ბოლო სტრიქონი ორი მარცვლით მეტია, დამატებულია ერთი „არა“.

ვფიქრობთ, აშკარაა, აქ საქმე გვაქვს ამ ლექსის შექმნის პროცესთან. ვახტანგის ხელი კი უცილობელია. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ „ვახტანგურის“ ავტორი ვახტანგ მეექვსე ყოფილა.

ახლა გასაგებია, „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში „ვახტანგური“ რატომაა მოთავსებული ვახტანგის ლექსებს შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ხელნაწერში მისი დაწერილობა ძალიან გვაგონებს ვახტანგის ხელს, განსაკუთრებით ეს ითქმის სათაურზე. ამიტომ ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში იგი უშუალოდ ვახტანგის მიერ იყოს ჩაწერილი. ამის დაბეჯითებით თქმა იმიტომ ჭირს, რომ აქ „ვახტანგური“ შესრულებულია კალიგრაფიული ხელით, ხოლო ვახტანგის კალიგრაფიული ხელით ნაწერი ჩვენამდე ცოტაა მოღწეული და რაც გვაქვს, სათანადოდ აღრიცხული და შესწავლილი არ არის. გარდა ამისა, ეპოქის, მით უფრო ერთი და იმავე კალიგრაფიული სკოლის ხელი ძლიერ გავს ერთმანეთს და მათი გარჩევა ბევრად ჭირს, ვიდრე გაკრულად ნაწერისა.

რაც შეეხება გ. ავალიშვილის გადაწერილ კრებულს, მასში „ვახტანგური“ და „მუხრანული“, ჩანს, იმიტომ არის ვახტანგის ლექსებიდან გამოცალკევებული და ბოლოს გადატანილი, რომ მათ არ მოეპოვებოდათ ავტორზე მითითება.

„ვახტანგური“ თემატიკურ-შინაარსობრივად და სტილით, გამოხატვის ფორმით, ორგანულ კავშირშია ვახტანგ მეექვსის პოეზიასთან. ვახტანგის პოეზიის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიული გაგება. სწორედ ამგვარი შინაარსისა უნდა იყოს „ვახტანგური“. ჩვენი აზრით, მასში გვერდიგვერდ წარმოსახულია და ერთმანეთს უპირისპირდება რეალური ქალი, სატრფო თავისი სიმშვენიერით და მისი სახით სიმბოლურად გამოხატული ღმერთი. მიწიერი ქალი უნდა იგულისხმებოდეს სიტყვებში — „კეკლუცობის ძალით კაცის მწყენელი, გულზე მწერელი“, „საყვარელი ჩემი, თვალის მკერელი“, ხოლო უზენაეს არსებას უნდა გამოხატავდეს: „ბოლოს მზერელი“, „დაუჯერელი“, პირველი ვარიანტიდან — „სასწაულის სახედველით მისნობის გამომჩენელი“. შედარება-დაპირისპირება ლექსში პირდაპირაა მოცემული: „იმას უცხოდ გავს ის ტურფა“, „არა, არა, ის არ არის, მე საყვარელს ვიცნობ მისი მზერელი“.

რეალურის სახით იმქვეყნიური, მისტიკური სამყაროს გამოხატვას, კერძოდ, ამქვეყნიური ქალის, მისდამი ტრფობის სახით ღმერთის,

ღვთისადმი სიყვარულის წარმოდგენას ქართულ მწერლობაში ვახტანგამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი ჩვენში ისეთი მასშტაბური, მკვეთრად გამოხატული, პრინციპულ სიმაღლემდე აყვანილი არ ყოფილა, როგორც ეს ვახტანგთან არის. საღვთო სიყვარულზეა დაწერილი ვახტანგის საკმაოდ ვრცელი ნაწარმოები „სატრფიალონი“. სიყვარულის, როგორც უმაღლესი სახეობის, აღნიშნულ ფორმად ესახებოდა ვახტანგს, — პოეტს, მეცნიერსა და მოაზროვნეს, — ვეფხისტყაოსნის მიჯნურობა. როგორც ვხედავთ, ეგეგე თემა დაუმუშავებია პოეტს „ვახტანგურშიაც“.

ვახტანგის შემდეგ სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულმა თვალსაზრისმა მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება. აქ, თუ ყველგან არა, ზოგიერთ შემთხვევაში, ვახტანგის ზეგავლენა აშკარაა[15].

„ვახტანგურს“ გარკვეული მსგავსება აქვს ვახტანგის სხვა ნაწარმოებთა მხატვრულ სახეებთან, სიტყვიერ მარაგთან. მაგალითად: 1. თვალების შედარება ჯ ე რ ა ნ თ ა ნ[16]. „ვახტანგური“: „ორი მისი თვალი, — ორი ჯ ე რ ა ნ ი...“, „სალბუნად გულისა“: „თვალი მიგიგავს ჯ ე რ ა ნ ს ა...“ (სტრ. 22, 1). „სატრფიალონი“: „თვალი იმისი შენს თვალსა აუუეუნებენ, ჯ ე რ ა ნ ო“ (სტრ. 134, 2).

2. სატრფო და მისი სახით სიმბოლურად გამოხატული ღმერთი არის ლ ხ ე ნ ის მომცემი. „ვახტანგურის“ პირველი ვარიანტი: „ნახეთ, მოყვასნო, საყვარელი ჩემი მ ო მ ა ლ ხ ე ნ ე ლ ი...“, „სატრფიალონი“: „ვით გაქო, ქების მაარსნო, მჭვრეტელთა ს ა ლ ხ ი ნ ე ბ ე ლ ო // მ ა ლ ხ ი ნ ე ბ ე ლ ო“ (სტრ. 21, 1).

3. ქალი კეკლუცია, რითაც იზიდავს და დაღუპვამდე მიჰყავს მამაკაცი: „ვახტანგური“ — „კ ე კ ლ უ ც ო ბ ის ძალით კაცის მწყენელი...“. „სატრფიალონი“: „კ ე კ ლ უ ც ი ა, ტურფა რამე, უკაზმავი მოიბაღით“ (სტრ. 25, 1).

„სიბრძნე მალალობელი“:

„ეს სოფელია დიაცი, სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კ ე კ ლ უ ც ად გ ა ჩ ე ნ ე ბ ს, ბოლო აქვს დასაქოლელი.
(სტრ. 458, 1—2)

---

[15] ვახტანგის პოეზიაში მისტიკურ-ალეგორიული სიყვარულის შესახებ ცალკე გვაქვს მსჯელობა („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 2—3).

[16] „ჯერანი“, ვახტანგის განმარტებით, ქ უ რ ც ი კ ი ა (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა, 1712, გვ. ტმ, კომენტარი ოვ სტროფისა).

4. ყურადღების გამახვილება ღვთის თვალზე. „სატრფიალონში“ ღმერთზე ნათქვამია: „ფერს მისცემს ყოვლთა ღაჟღაჟად თ ვ ა ლ ი თ ა დ ა უ ლ უ ლ ი თ ა“ (4, 4).

პირველი ვარიანტია: „თ ვ ა ლ ი თ არ დ ა მ ა ლ უ ლ ი თ ა“ (Q 548, გვ. 28).

მეორე ადგილას „სატრფიალონშივე“ ღმერთზე წერია:

„ბოროტის გამოუცდელო, არცა თ ვ ა ლ ი ს ა მ გ ე ბ ე ლ ო“.
(21, 3)

ვარიანტები:

„ყოვლის სიავის მოძულევ, ბოროტთ არ თ ვ ა ლ ი ს მ გ ე ბ ე ლ ო“.
(S 4500, გვ. 270)

„საძულელისა მოძულევ, თ ვ ა ლ ი ს ა მ ი უ გ ე ბ ე ლ ო“.
(S 171, გვ. 19)

„ვახტანგურში“ აშკარად გამოსჭვივის ვახტანგისათვის, განსაკუთრებით, მისი შემოქმედების ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელი გაუმჭვირვალი, ბურუსნარევი სტილი. ზუსტი და ნათელი არ არის გამოთქმები: „გულზე მწერელი“, „თვალის მკერელი“, „ტურფა დაუჯერელი“ და სხვა.

საყურადღებოა, რომ, მიუხედავად იმისა, ალ. ბარამიძე „ვახტანგურს“ არ თვლიდა ვახტანგის ნაწარმოებად, მან ვახტანგის პოეზიის ღრმა ცოდნისა და ფაქიზი, უტყუარი მეცნიერული ალღოს წყალობით, მასში უცდომლად შენიშნა ვახტანგის პოეტური ხელწერა. მკვლევარი წერს: „მაინცდამაინც ლექსის საერთო განწყობილებიდანაც იგრძნობა ვახტანგის აწ უკვე საკმაოდ ნაცნობი სტილი“[17].

„ვახტანგური“ გამომხატველია ვახტანგის იმ დაუცხრომელი რეფორმატული ძიებისა, რომელსაც იგი ლექსთწყობის სფეროში, ქართული ლექსის მდიდრული ბუნების, მისი ვერსიფიკაციული შესაძლებლობის გამოვლენისა და დამკვიდრებისათვის ეწეოდა. „ჰაშნიკზე“ დართული ვახტანგის ლექსები, რომლებიც მის თხზულებათა არც ერთ ხელნაწერ კრებულში არ დასტურდება და პირველად სწორედ აქ, ქართული ლექსის პოეტიკის საკითხებზე დაწერილ წიგნში იკითხება, ყველანი ერთი ნიშნით ერთიანდებიან, — ფორმის მხრივ გარკვეულ სიახლეებს შეიცავენ.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ პოეზიაში, დაწყებული რუსთველიდან, გაბატონებული ადგილი ეჭირა 16-მარცვლოვან კატრენულ სტროფებს. ალ. ბარამიძის თქმით, „მონური მიბაძვა რუსთველისა, მისი ყოვლისმომცველი და წამლეკავი ზეგავლენა... სახიფათო ხდებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით. საჭირო იყო დიდი პოეტური შემართება, დიდი მოქალაქეობ-

[17] ნარკვევები..., II, თბ., 1940, გვ. 452.

რივი გამბედაობა და ამის შესაფერისი შემოქმედებითი ნიჭი რუსთველური პოეტური ნორმებისგან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს გააკეთა არჩილმა. მაგრამ არჩილს არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მისთვის შესაფერისი ახალი ფორმით გამოეხატა. ამ ისტორიული როლის შესრულება წილად ერგოთ ვახტანგ მეექვსის წრის მოღვაწეებს, პირველ რიგში სულხან-საბა ორბელიანს... სულხან-საბა ორბელიანია ქართული ლექსის თამამი და დამსახურებული რეფორმატორი. სულხან-საბა ორბელიანის გზას მიჰყვნენ თვითონ ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი"[18].

ქართული ლექსის განახლების ისტორიაში „ვახტანგური" ყურადღებას იპყრობს ორი თვალსაზრისით: ერთი, რომ ის არის ხუთტაეპიანი და მეორე, — არათანაბარტაეპიანი, ჰეტერომეტრული ლექს-სტროფი.

5-სტრიქონიან სტროფებს ვახტანგამდე გარკვეული ისტორია აქვს[19]. როგორც ცნობილია, ასეთი იყო ჩვენს სასულიერო პოეზიაში გავრცელებული იამბიკო. ამ ფორმისათვის მიუმართავს სულხან-საბა ორბელიანს[20] და მამუკა ბარათაშვილს[21]. სხვა 5-ტაეპიანი ლექსი ვახტანგამდე აღრიცხული არ არის. „ვახტანგური" ამათგან განსხვავდება როგორც ზომით, ასევე რიტმული წყობით.

რაც შეეხება ადრინდელ არათანაბარტაეპიან სტროფებს, ამგვარი ჯერჯერობით მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის „ქილილა და დამანაში" ჩართული ერთი ლექსია ცნობილი, რომელსაც ალ. ბარამიძემ პირობით „ქალი" შეარქვა[22].

---

[18] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 150.

[19] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III$_1$, თბ., 1981, გვ. 194—198, 208—211, 219—220.

[20] მ. თოდუა, ტექსტისათვის, წიგნში: ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1975, გვ. 130.

[21] მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 8.

[22] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II$_2$, ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 46—47; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., I, თბ., 1945, გვ. 338—340; მისივე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 143—148; ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1975, გვ. 130—134, 704. შდრ.: ა. გაწერელია, დასახელებული წიგნი, გვ. 215—220.

ჰეტერომეტრულ ლექსად თვლის ა. ხინთიბიძე მამუკა ბარათაშვილის „ჯაშნიკში" დამოწმებულ ლექსს „გრძელდი შაირი სამკვეთი" (ა. ხინთიბიძე, ლექსთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 75, 109).

არაფერს ვამბობთ „ნარგიზოვანის" შესახებ, რადგან მისი გვიანდელი წარმოშობა დასაბუთებულად გვესახება.

ეს ლექსი 10-მარცვლიანი საზომით არის შესრულებული, სადაც ბოლო, მეოთხე სტრიქონი, რომელიც მთელ ლექსს რეფრენად გასდევს, 13-მარცვლოვანია. „ვახტანგური“ რიტმული წყობით არსებითად განსხვავდება მისგან.

ვახტანგს „ვახტანგური“ თავიდანვე ჰეტერომეტრულ ლექსად ჰქონია ჩაფიქრებული. სანამ საბოლოო სახეს მისცემდა მას, პოეტს საკმაო სამუშაო ჩაუტარებია. პირველად მხოლოდ ერთი სტრიქონი დაუწერია განსხვავებული ზომისა. ეს არის მეოთხე სტრიქონი, რომელიც 19-მარცვლიანია. ყველა დანარჩენი 16 მარცვალს იძლევა. მეორე ვარიანტში პირველი და მესამე სტრიქონები 16-მარცვლოვანია, მეორე — 18-მარცვლოვანი, მეოთხე — 13-მარცვლოვანი, მეხუთე — 14-მარცვლოვანი.

ბოლო რედაქციაში პირველი სამი სტრიქონი 16-მარცვლოვანი დარჩა, მეოთხე — 13-მარცვლოვანი, მეხუთე, ბოლო, სტრიქონი კი— 19-მარცვლოვანი (პირველი ვარიანტი — 17-მარცვლოვანი). ამ სახით ლექსი რიტმული და დინამიკური გამოვიდა, რომელსაც ცხოველმყოფელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ის გარემოება, რომ ლენინგრადულ ხელნაწერში „ვახტანგური“, მსგავსად „მუხრანულისა“, ჩაწერილია ავტორის აღუნიშნავად, ხომ არ აყენებს ეჭვის ქვეშ მისი, როგორც ლექსის გარკვეული სახეობის, ვახტანგის კუთვნილებას?

ვფიქრობთ, მოცემული მასალები ამგვარი ეჭვისათვის ადგილს არ ტოვებს. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორ შექმნილა ეს თხზულება, როგორ ეძებდა და აყალიბებდა პოეტი ამ ლექსის როგორც შინაარსობრივ, ისე რიტმულ და მეტრულ მხარეებს. მის, როგორც ლექსის სახეობის, ორიგინალობაზე უნდა მიუთითებდეს მისი სათაური. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმის დადგენას, ლენინგრადულ ხელნაწერში ლექსი, ან მისი სათაური ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი თუ არა. ეს ასეც რომ არ იყოს, ხელნაწერისა და თვით საძიებელი თხზულების ავტორიზებული ხასიათი აშკარაა: „ვახტანგური“ მოთავსებულია ვახტანგის ხელით ჩაწერილ „მუხრანულსა“ და „ლექს-ამბავს“ შორის. ვახტანგი უსათუოდ იცნობს მას და ვისი შერქმეულიც უნდა იყოს სათაური, იგი მისი ნების გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, ყოველმხრივ ჩანს, რომ „ვახტანგური“ ვახტანგ მეექვსის ორიგინალური ნაწარმოებია, ვახტანგურია, ვახტანგისაა იგი არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ მეტრული წყობითაც.

ბ. „მუხრანული“[23]

„მუხრანულიც“ ერთ-ერთი თავისებური და საინტერესო ლექსია ქართულ პოეზიაში. მკვლევართა ყურადღებას იგი უპირველესად იპყრობს თავისი ფორმის გამო და განიხილება როგორც ლექსის დამოუკიდებელი სახეობა[24].

როგორც აღვნიშნეთ, ეს ნაწარმოები „ვახტანგურთან“ ერთად მოიპოვება მამუკა ბარათაშვილის „ჰაშნიკის“ ორ ხელნაწერში: ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ნუსხასა (გვ. 15v.) და გ. ავალიშვილის მიერ გადაწერილ კრებულში (გვ. 92). დაბეჭდილია „ჰაშნიკის“ ყველა გამოცემაში[25]. უკანასკნელ ხანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში იგი გავრცელებული იყო გ. მიქაძისეული პუბლიკაციებით, რომლებიც წაკითხვების მიხედვით მიჰყვება ლენინგრადულ, ხოლო ფორმის მიხედვით გ. ავალიშვილისეულ ნუსხას:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო,
მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო, მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
რა მას დასცემ, მოისვენებ, ძალო, ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო!“

გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში „ძალო“-ს მაგივრად ყველგან იკითხება „რძალო“. აგრეთვე, არის ფორმები: „იქმ“, „ჰმზერს“, „დაჰსცემ“, „ჰპოვებ“.

ჩვენი მიზანია ამ ნაწარმოების ძირითადი მხარეების — ავტორობის, ფორმის, შინაარსის და მასთან დაკავშირებული საკითხების — განხილვა.

„მუხრანულის“ ავტორი დადგენილი არ არის. გ. მიქაძე, რომელიც საგანგებო ყურადღებას აქცევს ამ ნაწარმოებს, წერს: „დასასრულ

---

[23] აქედან ზოგიერთი ნაწილი ადრე გამოვაქვეყნეთ: ვახტანგ მეექვსე — ქართული ლექსთწყობის განმაახლებელი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3, გვ. 26—28; „მუხრანულის“ საკითხები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 3, გვ. 107—116; ლექსი „მუხრანული“, „კრიტიკა“, 1986, № 1, გვ. 125—136.

[24] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 56—57.

[25] ა. ხახანაშვილის პუბლიკაცია, ჟურნალი „მოამბე“, 1900, № 12, [II განყოფილება], გვ. 67; გ. ლეონიძე, ჰაშნიკი, მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა [თბ., 1920], გვ. 23; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950, გვ. 144; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 22; მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 137; მისივე, სწავლა ლექსის თქმისა [რედაქცია და გამოკვლევა ა. ხინთიბიძისა], თბ., 1981, გვ. 23.

უნდა შევჩერდეთ «ლექსის სწავლის წიგნში» სანიმუშოდ მოტანილ ორ ლექსზე: «მუხრანული» და «ვახტანგური». ეს ლექსები სადავოა. მათი ავტორები ცნობილი არაა"[20].

დასმული საკითხის გადასაწყვეტად სანდო მონაცემებს იძლევა „ჭაშნიკის" ლენინგრადული ხელნაწერი. გარდა იმისა, რომ „ჭაშნიკის" დასახელებულ ორივე ხელნაწერში „მუხრანული" მოთავსებულია ვახტანგის ლექსებს შორის, ლენინგრადულ ნუსხაში, მსგავსად „ლექს-ამბავი"-სა, იგი ჩაწერილია მკაფიოდ გამოხატული, ვახტანგის ცნობილი, გაკრული ხელით. ეს ორი ფაქტი, ვფიქრობთ, საკმაო საბუთია იმისა, რომ საძიებელი თხზულება ვახტანგ მეექვსის ქმნილებად ვცნოთ.

ისმის კითხვა: ამ მოსაზრებას ხომ არ აყენებს ეჭვის ქვეშ ის გარემოება, რომ „ჭაშნიკის" ხელნაწერებში შესულ ვახტანგის ყველა ლექსს, როგორც გადამწერთა ხელით, ისე თვით ვახტანგის მიერ ჩაწერილს („ლექს-ამბავი"), აქვს ავტორზე მითითება („მეფის ნათქვამი"), ხოლო ორ ნაწარმოებს — „ვახტანგურსა" და „მუხრანულს" — არ ახლავს ამგვარი აღნიშვნა? ან ის ფაქტი, რომ გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში ის ლექსები, რომელთა ავტორი განსაზღვრულია, ერთად არის, ხოლო „ვახტანგური" და „მუხრანული" გამოცალკევებულია და ბოლოშია გადატანილი?

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, მოპოვებული დოკუმენტური მასალები „ვახტანგურის" მიმართ ამგვარი ეჭვისათვის ადგილს არ ტოვებს, რასაც თავის მხრივ იქითკენ მივყევართ, რომ „მუხრანულზეც" ანალოგიური დასკვნა გავაკეთოთ. თანაც, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაკლებ მოსალოდნელია, ვახტანგს,—მეფე-პოეტს, თავისი დროისათვის გამოჩენილ მეცნიერს,—ავტორის დაუსახელებლად შეეტანა სხვისი ნაწარმოები, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პოეტიკურ სახელმძღვანელოში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელია სათაური „მუხრანული", ასე თუ ისე, დღეს ხალხური ლექსის ასოციაციას იწვევდეს, მაგრამ ამ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის გაშიფრვა უეჭველს ხდის, რომ იგი აშკარად ლიტერატურულ-მწიგნობრული ხასიათისაა და დაწერილია გარკვეული პოეტური მიზანდასახულობის, მაღალი განათლების მქონე, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანულ თეოლოგიის ნიუანსებში გათვითცნობიერებული პოეტის მიერ.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ „მუხრანულიც" ვახტანგის იმ დაუცხრომელი ვერსიფიკაციული ძიების შედეგია, რასაც, საზოგადოდ,

---

[20] თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, გვ. 107; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1958, გვ. 133.

პოეტი ეწეოდა და რისი გამოხატულებაც „ჭაშნიკზე“ დართული მისი ლექსებია.

„მუხრანული“ ვახტანგის პოეზიასთან დიდ ნათესაობას ამჟღავნებს აგრეთვე თავისი ალეგორიული შინაარსითაც, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ დასტურდება, რომ „მუხრანული“ ვახტანგ მეექვსის ნაწარმოებია.

„ჭაშნიკის“ ლენინგრადული ხელნაწერი, ვფიქრობთ, ამ ლექსის ფორმის გარკვევაშიაც გვეხმარება. ამ ნუსხაში ვახტანგს იგი შუაზე გაყოფილად, ორ სვეტად ჩაუწერია, ისე რომ, ერთი შეხედვით, გვერდიგვერდ დაწერილი ორსტროფიანი ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს: (სურათი 5):

„სამკალი გაქვს, სამუშაო ძალო.
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო,
მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო,
რა მას დასცემ, მოისენებ, ძალო,
თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
საუკუნოდ არ წახდების, ძალო,
მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო!“

„ჭაშნიკის“ გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში და აქედან გამოცემებში იგი გაერთიანებულია ერთ 20-მარცვლიან[27] სტროფად:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“ და ა. შ.

ამ ლექსის ფორმის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. გ. მიქაძე მას 20-მარცვლიან, 4-სტრიქონიან, შინაგანგარეგან რითმიან ლექსად თვლის[28], როგორიცაა იგი გ. ავალიშვილის ხელნაწერში. ა. ხინთიბიძე, პირიქით, რითმის გამო 10-მარცვლიან და, ამდენად, 2-სტროფიან ლექსად მიიჩნევს. ოღონდ იგი ეყრდნობა გამოცემებს და ამიტომ არ მიჰყვება ვახტანგისეულ გრაფიკულ სქემას. მისი დალაგებით, მეორე სტრიქონია მეორე სვეტის პირველი სტრიქონი, მესამე სტრიქონია პირველი სვეტის მეორე სტრიქონი, მეოთხეა მეორე სვეტის მეორე სტრიქონი და ა. შ. მაშასადამე, პირველი სტროფია:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო...“

და ა. შ.

მეორე სტროფია:

„მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო,
მას შეები გულმესისხლედ, ძალო...“

და ა. შ.[29]

---

[27] გარდა უკანასკნელისა, სადაც გათვალისწინებულია ჩვენი გამოკვლევა (ქ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, სწავლა ლექსის თქმისა, 1981, გვ. 23, 63).

[28] გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 56—57.

[29] ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ძველქართული ლექსი, გაზ. „ლიტერატურული საქარ-

„მუხრანულის“, როგორც ლექსის სახეობის განსაზღვრისათვის, ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი შინაარსი და დედნისეული გრაფიკული გამოსახულება. არა გვგონია შემთხვევითი იყოს, რომ დედანში ლექსი შუაზე გაყოფილად არის წარმოდგენილი. ვინაიდან ეს დაშორება დიდ ცეზურაზე მოდის, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ავტორმა ცეზურა გამოყო, მაგრამ ანალოგიური შემთხვევა აქ სხვაგან არსად გვაქვს. ავტორს რომ მიზნად ჰქონოდა შიდა რითმების წარმოჩენა, უფრო ბუნებრივი იქნებოდა იგი მეორე მხრიდანაც გამოეყო, რაც ხელნაწერში ოდნავადაც არ შეიმჩნევა. პოეტს თითოეული სვეტი რომ ცალკე სტროფებად ჰქონოდა გამიზნული, მოსალოდნელი იყო, მას იგი გვერდიგვერდ კი არა, ზევიდან ქვევით დაეწერა, როგორცაა აქ ყველა სხვა ლექსი. ადგილის უკმარისობის საკითხი მოხსნილია, რადგან „მუხრანულსა“ და „ვახტანგურს“ შორის ადგილი თავისუფალია.

ლექსის ეს გრაფიკული ფორმა აზრიანი ხდება, თუ მას შინაარსობრივად გავსინჯავთ. ირკვევა, რომ იგი იკითხება როგორც თარაზულად, ერთიან 20-მარცვლიან სტროფად, ისე შვეულად, ცალკე სვეტებად. ერთი და იგივე აზრი გამოდის, როცა ვკითხულობთ:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“

და სხვ.

მეორე მხრივ:

„სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
მოიმკე და შეიკრიბე, ძალო...“

და სხვ.

ან კიდევ:

„თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
საუკუნოდ არ წახდების, ძალო...“

და სხვ.

ამ სახის ლექსები, რომლებიც თარაზულად და შვეულად იკითხება, მწერლობაში კარგად არის ცნობილი და პოეტიკაში მას კვადრატული ლექსი ეწოდება. ამგვარი ლექსები მრავალი ხალხის პოეზიაში მოიპოვება, მათ შორის სპარსულსა[30] და რუსულშიაც[31], რო-

---

თველო“, 11 აპრილი, 1969, № 15, გვ. 2. შდრ.: მისივე, პოეტიკური ძიებანი, გვ. 169; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, თბ., 1965, გვ. 43.

[30] Е. Э. Бертельс, Избранные труды. Навои и Джами. М., 1965, с. 26—46; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 270—272.

[31] Дмитрий Чижевский, К проблемам литературы барокко у славян, Litteraria, XIII, Literarny barok, ბრატისლავა, 1971, გვ. 27—38.

მელთაც ვახტანგი უშუალოდ შეიძლებოდა გაცნობოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სპარსულის შესახებ, სადაც ფორმალისტური პოეზია, ფიგურული ლექსები ძლიერ იყო გავრცელებული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩვენი ფიქრით, სწორედ ამგვარ ფიგურულ, კვადრატულ ლექსს უნდა წარმოადგენდეს „მუხრანული“.

ახლა „მუხრანულის“ შინაარსის შესახებ.

თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ მასში მკაზე, ჩვეულებრივ სამეურნეო სამუშაოზე, პურეულის აღებაზე პირდაპირი მნიშვნელობით საუბარი არ არის. ეს ისეთი ს ა მ კ ა ლ ი ა, რომელიც „საუკუნოდ არ წახდების“, ხოლო მომკელი, როცა სამკალის მტერს დაამარცხებს, „ორსავ სოფელს სახელს პოვებს“. მაშასადამე, აქ ისეთ მ კ ა სთ ა ნ გვაქვს საქმე, რომელიც საიქიოს, სამოთხის მოპოვებას უკავშირდება.

ახალ აღთქმასა და მასზე დამყარებულ ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში მკა, პურეულის აღება და გადარჩევა იგავურად გამოხატავს ქრისტიანულ ესქატოლოგიურ მოძღვრებას — ქრისტეს მეორედ მოსვლასა და მის მიერ ბოროტთა და კეთილთა განსჯას. ეს პირდაპირ არის აღნიშნული მათეს სახარებაში, სადაც ქრისტე სხვადასხვა იგავით მოუთხრობს ხალხს, თუ რას წარმოადგენს წმინდანთა სამყოფელი — „სასუფეველი ცათაჲ“. ერთ-ერთი იგავი სწორედ მკის, ხორბლისა და ღვარძლის გადარჩევას ეხება და იქვეა ახსნილი მისი ნართაული შინაარსი[32]:

„სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მ ტ ე რ ი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. ოდეს აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოჴდა ღუარძლი? ხოლო მან ჰრქუა: მ ტ ე რ მ ა ნ კაცმან ყო ეგე. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე შ ე კ რ ე ბ ა ს ა ღუარძლისასა აღმოჰფხურეთ მის თანა იფქლიცა. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამამდე მ კ ი ს ა, და ჟამსა მ კ ი ს ა ს ა

[32] სახარების ტექსტი მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979.

უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ იგი ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“ (მათე, 13, 24—30).

იქვე ქრისტე განმარტავს, რომ აგარაკი სააქაო, ამქვეყნიურ ცხოვრებას აღნიშნავს. კეთილი თესლის მთესველი ღმერთია, თვით კეთილი თესლი, — ვინც კეთილსინდისიერად განვლო ეს ქვეყანა და სამოთხე დაიმკვიდრა; ღუარძლი უკეთურთ, ბოროტების ჩამდენთ წარმოგვიდგენს; მტერი, რომელიც ღუარძლს თესავს, ეშმაკია; მკა — ამქვეყნიურ აღსასრულსა და მეორედ მოსვლის დროს განსჯას გამოხატავს. ღუარძლის შეკრებასა და დაწვაში ცოდვილთა ჯოჯოხეთში გაგზავნა და იქ სამუდამო ტანჯვაში ყოფნა იგულისხმება; ხორბალი — მართალნი, სამოთხეში მოხვედრილები არიან:

„მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს: გამოგკითარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ მის და აგარაკისაჲ. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძჱ კაცისაჲ არს, ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწუან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი, და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი. და შთასთხივნენ იგინი საკუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზჱ, სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 13, 36—43).

იოანე ოქროპირი სახარების „თარგმანებაში“ საგანგებოდ ჩამოთვლის ქრისტეს წარმოთქმულ იგავებს, მათ შორის ასახელებს დამოწმებულ იგავსაც და აღნიშნავს, რომ ამ იგავურ ამბებში, რომლებშიც გადმოცემულია ხალხისათვის მახლობელი, ყოველდღიური საქმიანობა, მართალთა და ცოდვილთა გასამართლება იგულისხმება:

„...ამისთ[ჳ]ს გამოსაცხადებლად ჭ[ეშმარი]ტებისა თითო სახენი იგავნი. გამოჰსახნა უ[ფალმა]ნ მოძღურებასა შ[ინ]ა თ[ჳ]სსა და აბსენა კალოჲ და სამკალი და ვენახი და საწნეხელი, ყანაჲ სათესავი და თესუაჲ ღუარძლისა მტერისა მ[იე]რ და ვ[ითარმე]დ სათხეველნი და თევზობაჲ და საცხოვარი და ყ[ოველ]ივე,

რ[ომე]ლსა ჩუშულ იყუნეს კაცნი, რათა ეს[ვითა]რითა სახითა გულისხ[მ]ა უყოს განყოფა იგი მართალთა და ცოდვილთა“[33].

მკისა და პურეულის შეგროვების აღნიშნული გაგება მინიშნებულია იოანეს სახარებაში. ქრისტე თავის მოწაფეებს ეუბნება:

„არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: ოთხღა თუე არიან, და მოვალს მკაჲ? აჰა, ესერა მე გეტყჳ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწვე. და მომკალმან სასყიდელი თჳსი მოიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რაჲთა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა“ (იოვანე, 4, 35—36).

იოანე ოქროპირის განმარტებით, აქ ერთმანეთთან დაპირისპირებულია ყანა პირდაპირი და გადატანითი შინაარსით. მოწაფეები ქრისტეს ჩვეულებრივ ყანაზე ელაპარაკებიან, ქრისტე კი საუკუნო ცხოვრების მნიშვნელობით უპასუხებს მათ:

„აჰა, ესერა კ[უალა]დ იგავით ეტყვის, რ[ამეთუ] ჭამადი რა ჰსთქუა, ცხორებასა კაცთასა მოასწავებდა, რ[ომე]ლნი მოსულად იყუნეს მისა, და ყანა კ[უალა]დ ამასვე მოასწავებდა. სიმრავლესა მას სულთა მორწმუნეთასა და თუალთა იტყვის გონებისჲთაცა და ჯორციელთა, რ[ამეთუ] ჰხედვიდეს ვ[ითა]რ მოვიდოდეს სამარიტელნი. ხ[ოლო] ყანად განსპეტაკებულად გონებათა მათთა მოასწავებდა, რ[ომე]ლნი მზა იყუნეს შეწყნარებად. რ[ამეთუ] ვ[ითარც]ა ყანა, რაჟამს განჰსპეტაკნეს, მკად მზა არსო, ეგრეთვე ესე ცხოვრებად მზა არიან, ...რ[ამეთუ] ამის ხილულისა ყანისა საუნჯე არა საუკუნოდ ცხოვრებად არს, ა[რამე]დ საწუთოსა თ[ჳ]ს, რ[ამეთუ] ამის ყანისა, რ[ომე]ლსა მე ვიტყჳ, საუნჯე უკ[უნით]ი უკ[უნისადმდ]ე ცხოვრება არს. რ[ამეთუ] ვ[ითარც]ა ჰსთქუა რა, თუ რ[ომე]ლ[მა]ნ ამის წყლისაგან ჰსუას, არღა მოეწყუროს, გამოაჩინა, ვ[ითარმე]დ არღა ხილულისა წყლისათ[ჳ]ს იტყჳს, ეგრეთვე აქა ჰქმნა, ჰსთქუა რა, ვ[ითარმე]დ შეჰკრიბოს ნაყოფი ცხოვრებად საუკუნოდ“[34].

თეოფილაქტე ბულღარელიც ასევე იგავურ ნათქვამად თვლის სახარების მოყვანილ ტექსტს და მკას იგიც სამუდამო ცხოვრების მოპოვებას უკავშირებს:

---

[33] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 153, გვ. 64v.

[34] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 154, გვ. 188—189.

„იწყებს აწ უცხადესობით გამოცხადებად მ[ო]წ[ა]ფ[ე]თა იგავოანად თქმულთა პ[ირვე]ლ, რამეთუ თქ[უე]ნ ვ[იდრ]ემე იტყჳთო, ეტყჳს: ნაცვლად ვ[ითარმე]დ ჰგონებთ, ვ[ითარმე]დ მკაჲ ოთხ თუჱობასა ამას შ[ინ]ა მოვალს, გრძნობადი ცხად არს ვ[ითარმე]დ, ხ[ოლო] მე გეტყჳ თქ[უე]ნ, ვ[ითარმე]დ აწვე არს გონებითთა მკაჲ. ხ[ოლო] ამ[ი]თ იტყოდა სამარიტელთათ[ჳ]ს ეგერა მომავალთა მისდა: აღიხუჱნით უკუჱ თ[უა]ლნი თქ[უჱ]ნნი თანად გონებითნი, თ[ა]ნად გრძნობადნი და იხილეთ სიმრავლე მომავალთა სამარიტელთაჲ და სარწმუნოებად მიმ[ა]რთ გ[უ]ლსმოდგინენი და მზანი ს[უ]ლნი მ[ა]თნი. რა[მეთ]უ ვ[ითარც]ა რაჲ ყანანი გ[ა]ნსპეტაკებულნი მოქნე არიან მკისა, რ[ამეთ]უ ვ[ითა]რ იგი კუვილნი რ[ა]ჳ[ამ]ს გ[ა]ნსპეტაკნენ მზა მკისა მ[ა]რთ, ეგრეთდა ესენიცა მაცხ[ო]ვრებად მიმ[ა]რთ არიან განმზადებულნი და მომკალი სასყიდელსა მიიღებს და შეჰკრებს ნ[ა]ყოფსა ცხ[ო]რებ[ა]დმი ს[ა]უკ[უ]ნოდ, რ[ათ]ა მთესვარსაცა უბაროდის თ[ა]ნად და შომკალსა“[35].

მკისა და პურეულის გადარჩევაზე სახარებაში სხვაგანაც არის საუბარი. თუმცა მათ იქ ახსნა არ ახლავს, მაგრამ შინაარსი და კონტექსტები ისეთივეა და სახარების კომენტატორები მათაც ისევე განმარტავენ, როგორც ზემოთ დამოწმებულ ადგილებს:

იოანე ნათლისმცემელი ქრისტეს შესახებ ხალხს ეუბნება:

„...მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა, რომლისა ნიჩაბი კელთა მისთა, განწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბჯჱ დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა“ (მათე, 3, 11—12).

ეს გამეორებულია ლუკას სახარებაშიაც (3, 16—17).

იოანე ოქროპირი მათეს სახარების ამ ადგილს უშუალოდ უკავშირებს მათეს ზემოთ დამოწმებულ ტექსტს და ერთნაირად განმარტავს მათ:

„...ეგრეთვე განრჩევასა მის კეთილთა და ბოროტთასა და განწმედასა სოფლისასა ყოვლისავე არაწმიდებისაგან და იტყვის, რომლისა ნიჩაბი კელთა მისთა, განწმიდოს კალო თჳსი და შეჰკრიბოს იფქლი მისი საუნჯესა, ხოლო ბზე დაჰსწუას ცეცხლითა უშრეტითა, რომელი აწ ყოველივე აღრეულად მდებარე არს, დაღაცათუ ჰბრწყინავს იფქლი იგი, არამედ ბზესა თანა აღრეულ არს და ვითარცა კალოსა ზედა ჰსძევს არა ვითარცა საუნჯესა, ხოლო მაშინ ადვილ და უცთომელ იყოს განრჩე-

[35] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A 52, გვ. 31v.

ვა იგი და განყოფაჲ და შეკრება იფქლისა საუნჯესა, დღესა მას განკითხვისასა, რ[ომე]ლ არიან მართალნი, ხ[ოლო] ბზისა მის, რ[ომე]ლ არიან ცოდვილნი, — შთათხევაჲ ცეცხლად უშრეტად. სადა არიან რ[ომე]ლნი-იგი ურწმუნო იქმნებიან გეენიისათჳს ცეცხლისა მის უშრეტისა, ისჱინონ აქა ნათლის მცემელისა, რ[ამეთუ] ორიცე ესე ჰსთქუა, ნათელ ჰსცემსო მორწმუნეთა სულითა წ[მიდ]ითა და დაჰსწუნეს ურწმუნონი იგი ცოდვილნი...“[36].

აქვეა ნათქვამი: „...განსწმიდოს კალო თჳსი, რომელ არს სოფელი ესე...“ (გვ. 64r.).

ანალოგიურ განმარტებას აძლევს თეოფილაქტე ბულღარელი ლუკას სახარების მითითებულ ადგილს:

„...ორნი ჯამლნი არიან უ[ფლ]ისანი: ერთი იგი ზეცით ქ[უე]ყანად გარდამოსლუაჲ, და მეორე ქ[უე]ყნით ჯოჯოხეთად შთასლუაჲ. ამათ უკუჱ ორთა მოსლუათა სახეთა ვერვის ძალუძს განჴსნაჲ, ვერცა დაღათუ იოანესებრიცა იყოს, რ[ამეთუ] ვინ შემძლებელ იქმნეს გამოთქმად, გინა თუ ვ[ითა]რ განჴორციელდა, ანუ თუ ვ[ითა]რ შთავიდა ჯოჯოხეთს. ხ[ოლო] ესე ვ[ითარმე]დ, რ[ომ]ლისა ნიჭაბი ჴელთა მისთა, ამას დანიშნავს, ვ[ითარმე]დ დაღათუ ნათელ გცეს თქ[უე]ნ, ნუ ჰგონებთ, ვ[ითარმე]დ ეგერა უბიწო ქმნილ ხართ, არ არა თუ ამისა შ[ემდგომა]დ აჩუჱნოთ ცხოვრებაჲ უბრალო, დაგწვავს თქ[უენ] ცეცხლითა უშრეტითა, რ[ამეთუ] ბზე არს რ[ომე]ლსა უნაყოფოჲ აქუნდეს გონებაჲ და სისუბუქითა მრავლითა მიმოტაცებული მსოფლიოთა საქმეთაგან“[37].

სახარების სხვა ადგილი:

ქრისტემ „მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი — მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა“ (მათე, 9, 37—38).

ეგევე ნათქვამია ლუკას სახარებაშიაც (10, 2).

იოანე ოქროპირი კომენტარს უკეთებს რა მათეს სახარების ამ ადგილს, განმარტავს, რომ აქ იმ სამკალზეა საუბარი, რომლებიც წინასწარმეტყველთა ნაშრომებშია მოცემული, ხოლო სამკალის უფროსი თვით ღმერთია:

---

[36] S 153, გვ. 63v.

[37] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3625, გვ. 19v.—20r.

„...უკუჱ მკად წარავლინნა საცნაურ არს, ვ[ითარმე]დ არა უცხოსა რასმე სამკალსა წარავლინნა მკად, ა[რამე]დ რაჲ-იგი წ[ინა]წ[არმეტ]ყ[უ]-ელთა მ[იე]რ ეთესა, რათა აჩუჱნოს, ვ[ითარმე]დ იგი არს მუშაკი კეთი-ლი, იგი არს უ[ფალ]ი სამკალისა მის, იგი არს მეუფე წ[ინა]წ[არმეტ]ყ[უ]-ელთა, რ[ომე]ლმანცა პ[ირველა]დ მთესვრად მოავლინნა იგინი... გარნა ესე საძიებელ არს, თუ ვ[ითა]რ მუშაკად რა სახელ ჰსდუა მოწაფეთა?... ესრეთ უკუჱ გულისხ[მ]ა ვჰყოფთ, რ[ამეთუ] ჰრქუა რა, ვ[ითარმე]დ «ეჳედრენით უ[ფალს]ა სამკალისასა», გულისხ[მ]ა უყო, ვ[ითარმე]დ იგი თავადი არს უ[ფალ]ი სამკალისა...“[38].

მკის ესქატოლოგიური, ალეგორიული შინაარსი კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ მოცემულია იოანეს გამოცხადებაში და მის თარგმანებაში, რომელიც ანდრია კესარია-კაბადოკიელს ეკუთვნის[39]. იოანეს გამოცხადებაში მოთხრობილია:

„და ვიხილე, და აჰა ღრუბელი სპეტაკი, და ღრუბელსა მას ზედა მჯდომარჱ, მსგავსი ძისა კაცისაჲ. და აქუნდა თავსა ზედა თჳსსა გჳრგჳნი ოქროჲსაჲ და კელთა მისთა მანგალი აღლესული. და სხუაჲ ანგე-ლოზი გამოვიდა ტაძრისაგან და ჴმა-უყო ჴმითა დიდითა მჯდომარესა მას ღრუბელსა ზედა: მიყავ მანგალი ეგე შენი და მ ო მ კ ე, რ ა მ ე-თუ მ ო ვ ი დ ა ჟ ა მ ი მ კ ი ს ა ჲ, და გ ა ნ ჴ მ ა ს ა მ კ ა ლ ი იგი ქუეყანისაჲ. და მიყო მჯდომარემან მან ღრუბელსა ზედა მანგალი თჳსი ქუეყანად და მ ო მ კ ო ქ უ ე ყ ა ნ ა ჲ“ (14, 14—16).

ანდრია კესარიელი განმარტავს:

„ღრუბლად გულისჴმა-ვჰყოფთ ანგელოზთა ძალსა, რომელთა აღა-მაღლეს ქრისტე წინაშე მოციქულთა. ხოლო ღრუბელსა ზედა მჯდომა-რესა ვიტყჳით ქ რ ი ს ტ ე ს, რომელი მსგავს ძეთა კაცთა იქმნა. და გჳრგჳნი სახჱ არს ხილულთა და უხილავთა ზედა მეუფებისა მისისაჲ. და ოქროჲსაჲ იყო იგი, რამეთუ ჩუენ შორის ესე ნივთი პატივ-ცემულ არს. ხ ო ლ ო მ ა ნ გ ა ლ ი მ ო მ ა ს წ ა ვ ე ბ ე ლ ი. ა რ ს ა ღ ს ა-ს რ უ ლ ი ს ა ჲ. ანგელოზისა მის ჴმაჲ ყოველთა ზეცისა ძალთა მოას-წავებს, რომელთა სურის მ ა რ თ ა ლ თ ა პ ა ტ ი ვ ი ს ა თ ჳს და ურ-ჩულოთა ტანჯვისა, რაჲთა დ ა ს ც ხ რ ე ს ც ო დ ვ ა ჲ. ამისთჳს ეჳედრებოდეს ქრისტეს და ეტყოდეს, ვითარმედ: მ ო წ ე ვ ნ ულ ა რ ს ჟ ა მ ი ა ღ ს ა ს რ უ ლ ი ს ა ჲ, რ ა ჲ თ ა მ წ ი ფ ჱ ი გ ი ნ ა ყ ო ფ ი

---

[38] S 153, გვ. 195r.—v.

[39] იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი ე ვ ა ნ ე ი მ ნ ა ი-შ ვ ი ლ მ ა, წიგნში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961, გვ. 3—205.

წმიდათაჲ შეიღონ საუნჯეთა მათ ზეცისათა“ (გვ. 83—84).

ამის შემდეგ კიდევ უფრო სარწმუნოა, რომ მკა ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით არის აგრეთვე ნახმარი მარკოზის სახარებაში. აქაც ქრისტე ესაუბრება ხალხს:

„და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღ[მრ]თისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა და დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგე მან არა უწყინ, რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი, მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლ თავსა მას შინა. და რაჟამს მოსცის ნაყოფი, მეყსეულად მოავლინის მ ა ნ გ ა ლ ი, რამეთუ მოიწია მ კ ა ჲ“ (4, 26—29).

აქვე არაერთხელ არის მითითებული, რომ ქრისტე იგავურად ელაპარაკება მსმენელებს:

„და ასწავებდა მათ ი გ ა ვ ი თ ფრიად და ეტყოდა მათ ს წ ა ვ ლ ა ს ა მას მისსა“ (4, 2).

„ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა ღმთისაჲ, ხოლო მათ გარეშეთა — ყოველივე ი გ ა ვ ი თ ს ი ტ ყ უ ა დ“ (4, 11).

„და ჰრქუა მათ: არა იცითა ი გ ა ვ ი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი ი გ ა ვ ნ ი გულისკმა-ჰყვნეთ? (4, 13).

„და ესევითარითა ი გ ა ვ ი თ ა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად. და თჳნიერ ი გ ა ვ ი ს ა არას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გ ა მ ო უ თ ა რ გ მ ა ნ ი ს იგი ყოველი“ (4, 33—34).

თეოფილაქტე ბულღარელის განმარტებით, მარკოზის დამოწმებულ სიტყვებშიაც მეორე მოსვლის განკითხვა იგულისხმება:

„და ესრეთ რაჟამს წარმოჰსდგეს სამკალი, მაშინ მანგალი შეჰკრებს ნაყოფსა. ხ[ოლო] მ ა ნ გ ა ლ ა დ გ უ ლ ი ს ხ[მ]ა ჰ ყ ა ვ ს ი ტ ყ უ ა ღ[მრ თ]ი ს ა და მ კ ა დ — ყ ა მ ი ა ღ ს ა ს რ უ ლ ი ს ა“[40].

მკა და მასთან დაკავშირებული ტერმინები ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით დასტურდება აგრეთვე მხატვრულ მწერლობაში. ჰიმნოგრაფიაში არის:

„გამოშჩნდი ღელედ დაუთესველად, გ ა ნ მ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ ი ფ ქ ლ ი ს ა, და შენ მიერ მ ო ვ ი მ კ ე თ ჩუენ თავწარხმული ცხოვ-

[40] S 3656, გვ. 14.

რებისაჲ, და რომელნი ვეზიარებით, მივიღებთ მისგან უკუდავებასა“[41].

მე-13 საუკუნეში გადაწერილ წყაროსთავის (შემდეგ უბისის) სახარებაზე დართულ იამბიკოში, რომელიც მეორედ მოსვლის, ქვეყნის აღსასრულისა და მომავალი ცხოვრების თემისადმია მიძღვნილი, იკითხება:

„სიბრძნით მპყრობელმან ჟამთამან, რაჟამს იგი
ათასეულთა შჯდეულნი აარვნეს,
მკად ბრძანოს აგარაკი, ღუარძლნი განრჩევად,
მთესეარნი მისნი მრისხანებით აარვნეს,
ხოლო მართალნი აღტაცებად ღრუბელთა,
შემთხუევად [მისა] მყის, აერნი აარვნეს,
დაჯდეს საყდართა, კითხვად სცეს მატიანე,
უწოდოს ღირსთა მარჯუენით, ნიშნი აარვნეს“[42].

როგორც ვხედავთ, მკის შესახებ „მუხრანულსა“ და ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში შემუშავებულ და ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას შორის პირდაპირი, სიტყვიერი, აზრობრივი, ორგანული კავშირი არსებობს.

ეს კავშირი კიდევ უფრო რელიეფური ხდება ლექსის მიმართვის ობიექტის გარკვევის შემდეგ.

ვის ეხება ლექსში მოწოდება, ვინ იგულისხმება „ძალო“-ში?

„ჭაშნიკის“ გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში, როგორც ვთქვით, „ძალო“-ს მაგივრად „რძალო“ იკითხება. პირველ და მეოთხე სტრიქონების ბოლოებში ასევე ბეჭდავს ამ სიტყვას გ. ლეონიძე თავის პუბლიკაციაში. პირველი სტრიქონის ბოლოს „რძალოს“ ბეჭდავს აგრეთვე პ. ინგოროყვა[43]. ცნობილია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მათ შორის ქართლში, საიდანაც იყო ვახტანგ მეექვსე, „რძალი“ „რ“-ს გარეშე გამოითქმის — ძალო, ძალუა[44]. თავისთავად მოულოდნელი და კონტექსტისათვის მაინცადამაინც შეუსაბა-

---

[41] ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, II, № 163, გვ. 105.

[42] კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 107.

[43] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 43.

[44] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბ., 1964, გვ. 713—714; ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981, გვ. 487; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 683.

მო არ იქნებოდა, რომ ლექსში „ძალო“ რ ძ ა ლ ო ს მნიშვნელობით გაგვეგო. ეს სიტყვა, ძველი ორთოგრაფიით „სძალი“, ძველ მწერლობაში ხშირად ალეგორიული შინაარსით იხმარება და მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სძლავ ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი“[45]. კერძოდ, ამ სახელით ხშირად იხსენიება მარიამ ღმრთისმშობელი:

„ქერ(ო)ბინთაგან მიუწდომელი და სერ(ა)ბინთაგან უხილავი ღმერთი ჯორცითა გუშევ, უბიწოო და უქორწინებელო ს ძ ა ლ ო, ქალწულო მ ა რ ი ა მ“[46].

„გუნდნი უსხეულოთაჲ ზარგანკდილ იქმნა, რაჟამს იხილნეს ღმერთი შობილად შენგან, ს ძ ა ლ ო წმიდაო, და ღაღადებით იტყოდეს...“ (იქვე, II, 44, გვ. 53) და მრავალი სხვა[47].

ჩვენს ლექსს ს ძ ა ლ ი ღმრთისმშობლის გაგებით იმ მხრივაც მიესადაგებოდა, რომ სასულიერო და არა მარტო სასულიერო მწერლობაში მორწმუნენი ღმრთისმშობელს, ისე როგორც, საზოგადოდ, წმინდანებს, ხშირად ევედრებიან ეშმაკისაგან დახსნასა და სასუფეველში დასამკვიდრებლად შემწეობას. იმავე საგალობლებში ვკითხულობთ:

„ს ძ ა ლ ო, დედაო ქალწულო, სიმრავლჱ ანგელოზთაჲ ევედრებიან ჩუენთჳს ქრისტესა, ძესა შენსა, და შენცა მიგავლენთ მორწმუნენი ვედრებად: მოსავთა შენთაჳს ნუ დასცხრები, რაჲთა განმარინნეს ჩუენ ს ა ფ რ ჴ ე თ ა ე შ მ ა კ ი ს ა თ ა“ (II, 115, გვ. 85).

„სიქადულო მორწმუნეთაო, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ გევედრებით: ნუ დასცხრები ვედრებად უფლისა მიმართ, რაჲთა მ ი ჰ ს ნ ჩ უ ე ნ ც ო დ ვ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა გ ა ნ და ღ ი რ ს ვ ი ქ მ ნ ე თ დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა დ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ს ა მ ი ს ს ა მ ვ ე დ რ ე ბ ე ლ ნ ი შ ე ნ ნ ი, ს ძ ა ლ ო ღ მ რ თ ი ს ა ო“ (II, 26, გვ. 45).

უფრო მეტიც, თვით ვახტანგის ვრცელ, ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებში „სატრფიალონი“, სადაც სიყვარული მისტიკურ-ალეგორიული გაგებით არის მოცემული, სატრფიალო, სამიჯნურო ობიექ-

---

[45] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV$_2$, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა გამოსაცემად ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1966, გვ. 124.

[46] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, I, 12 (გვ. 9).

[47] ამავე წიგნში მარიამ ღმრთისმშობელი ამგვარივე სახელით არის აგრეთვე მოხსენიებული შემდეგ საგალობლებში: I — 3, 7, 8, 25; II — 28, 29, 52, 68, 81, 91, 99, 108, 115, 151, 159, 164, 167, 169, 188, 197, 202, 226, 242, 320, 349, 351, 355—357 და სხვებში.

ტია ს ძ ა ლ ი, ს ა ს ძ ლ ო, რომელიც ლამაზი, მომხიბვლელი ქალის სახით არის დახატული და სინამდვილეში არამიწიერ, ზეციურ არსებას წარმოადგენს[48].

ეს ფაქტი, რომ ს ძ ა ლ ი თვით ვახტანგის პოეზიაში ალეგორიული და თანაც ესქატოლოგიური აზრითაა გამოყენებული, თითქოს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის გ. ავალიშვილისეული ხელნაწერის წაკითხვისა და გაგების სისწორეს, — „მუხრანულში" ძ ა ლ ო რ ძ ა ლ ო ს მნიშვნელობით მივიღოთ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამგვარი გაგება მაინც არ არის სამართლიანი. საქმე ის არის, რომ ვახტანგის თხზულებებში „რძალი" ყველგან „სძალი" ფორმით არის ნახმარი, როგორც ეს ძველ ქართულშია[49]. „მუხრანულის" ავტოგრაფში, ლენინგრადულ ხელნაწერში კი, როგორც ვთქვით, აღნიშნული სიტყვა სანის გარეშეა წარმოდგენილი.

მეორეც, კონტექსტს უფრო შეესატყვისება სწორედ ავტოგრაფული წაკითხვა ძ ა ლ ო, ძ ა ლ ი.

ძ ა ლ ი ძველ ქართულში ბევრნაირი გაგებით იხმარება. ერთ-ერთი გავრცელებული მნიშვნელობა, რომელიც ახალ ქართულშიაც შემორჩა, არის ძ ა ლ ა, ძ ლ ი ე რ ე ბ ა, ღ ო ნ ე[50]. ვახტანგი ამ სიტყვას ძველი ორთოგრაფიით რომ ხმარობს, რამდენიმე ნიმუშს „სიბრძნე მალალობელიდან" დავიმოწმებთ:

„არისტოფ თქვა: სიტყვის ძ ა ლ ი არაოდეს დაგეცალა..." (91, 3)
„სახელსა და კარკაცობას ძ ა ლ ი აღარ ეპირება". (248, 4)
„იმათ ძ ა ლ ი მოსცემოდა, მაგრამ ნახეს რა ეთმინა". (357, 3)
და სხვა.

ქრისტიანულ ლიტერატურაში მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით ხშირად და საგანგებოდ აღინიშნება ძ ა ლ ა, როგორც ზეციური ძლევამოსილება:

---

[48] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 597—599; მ ი ს ი ვ ე, ეტიუდები..., II, გვ. 284—285; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II, გვ. 448—449; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, გვ. 65—67.

[49] ეს საკითხი ვრცლად გვაქვს განხილული ნაშრომში: „სატრფიალნის" სიყვარულის გაგებისათვის, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 2, გვ. 65—70, № 3, გვ. 58—65.

[50] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV₂; ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; ლ. გ ე ლ ე ნ ი ძ ე. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბ., 1974, გვ. 252—253; ლ. ა ხ ო ბ ა ძ ე, სამძალის მნიშვნელობის გაგებისათვის ძველ ქართულში, კრებული: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. VII, თბ., 1980, გვ. 131—135; და სხვა.

„ხოლო მოვიდე ადრე თქუენდა... და ვცნა არა სიტყუაჲ იგი განლაღებულთაჲ მათ, არამედ ძალი. რამეთუ არა სიტყჳთა არს სასუფეველი ღმრთისაჲ, არამედ ძალითა“ (1 კორინთელთა, 4, 19—20).

„...მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზჱ დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი... და მაშინ იხილონ ძჱ კაცისაჲ მომავალი ძალითა და დიდებითა მრავალთა (მარკოზი, 13, 24—26).

იგივეა გადმოცემული მათესა (24, 29—30) და ლუკას (21, 26—28) სახარებებშიაც.

სულხან-საბა ორბელიანი:

„...მოვალს უფალი ჩუენი, მოვალს ღმერთი ჩუენი, მოვალს მოძღვარი ჩვენი... მივეგებოდეთ ნებსით, ვინაითგან ძალად მისაგებად ვართ. იგი მოვალს ძლიერი ძალითა უძლეველითა...“[51]. და მრავალი სხვა.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ძალი გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იგი ერთ-ერთი სახელი, ზედწოდებაა ღვთისა, კერძოდ სამპიროვანი ღმერთისა, ან მამა ღმერთისა. საილუსტრაციოდ უპირველესად მითითებულია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი[52].

ფსევდო-დიონისე ერთგან ჩამოთვლის იმ მეტსახელებს, რომლებითაც ღმერთი მოიხსენიება და მათ რიგში ასახელებს ძალს.

„და კუალად, ოდეს თჳთ ღმრთივ განბრძნობილნი იგი მრავალსახელ ჰყოფდენ მას და ყოველთა ამათ მიზეზისაგანთაგან უგალობდენ მიზეზსა ყოველთასა, ვითარცა კეთილსა, ვითარცა ბრძენსა, ვითარცა უფალსა უფალთასა, ...ვითარცა არსსა, ვითარცა მიზეზსა საუკუნეთასა, ვითარცა მომცემელსა ცხორებისასა, ვითარცა სიბრძნესა, ...ვითარცა ძალსა, ვითარცა ძლიერსა, ვითარცა მეუფესა, ...ვითარცა გამოჯსნასა...“ და ა. შ.[53].

ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების შესახებ აქ საგანგებო მსჯელობა არის ცალკე თავში — „ძალი სათჳს, სიმართლისათჳს,

---

[51] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1963, გვ. 69.

[52] ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 53, 161—163; გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977, გვ. 27, 33—34, 262—268.

[53] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 12.

ცხორებისათჳს, გამოჯსნისათჳს, რომელთა შინა არს უსწორებისთჳსცა“ (გვ. 74—79).

შესავალში პირდაპირ არის დასმული საკითხი:

„ვინაჲთგან საღმრთოსა ჭეშმარიტებასა და სიბრძნეთა უზეშთაესსა მას სიბრძნესა ვითარცა ძალად და ვითარცა სიმართლედ უგალობენ ღმრთის-მეტყუელნი და ცხორებად და გამოჯსნად სახელ-სდებენ მას, მოვედ, რაჲთა ესეცა ღმრთის სახელები განვჰმარტოთ“ (გვ. 74).

შემდეგ ჩამოთვლილი და ახსნილია ის თავისებურებანი, რის გამოც მიიღო ღმერთმა ეს სახელი. ნათქვამია, რომ ღმერთი თავად არის ძალა, ყოველივე ძალის მფლობელი და შემძლებელი, ყველაფერი მისგან გამოდის და მის ძალაზეა დამყარებული... „მოკლედ: არ არის არც ერთი არსება, რომელი ღმრთეებრ ძალასა და ძლიერებას არ ემორჩილებოდეს...“[54]. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ:

„ესე საძიებელ არს, ვიტყჳთ უკუე, ვითარმედ ძალ არს ღმერთი, ვითარცა ყოვლისავე ძალისა თავსა შორის თჳსსა მჭონებელი და წინაჲთვე მჭონებელი და ვითარცა ყოვლისავე ძალისა მიზეზი და ყოველთავე ძალისა ებრობასა მიუდრეკელად და გარეშეუსაზღვრებელად მომყვანებელი და თჳთ მის ძალ-ყოფისა, გინა თუ ზოგად ყოველთაჲსა, ანუ თჳსაგან თითოეულისა მიზეზ-მყოფი და ვითარცა ძალ-განუზომელი და არა ხოლო ყოვლისა ძალისა მოყვანებად, არამედ ზეშთა ყოველთა და თჳთძალ-ყოფისაცა და ზეშთა-ძალისაცა, აურაცხელობით ურიცხუთა სხუათაცა ძალთა დაბადებად შემძლებელი, რომლისასა ვერ შეუძლებს ოდესცა დაბადებაჲ ძალთა ურიცხუთა ზეშთაურიცხუებისათაჲ მოკლებისა ანუ დამცირებისა შეძლებად ზეშთაგანუზომელობისასა მას ძალმყოფელსა ძლიერებასა მისსა და ძალსა უთქმელსა და უცნაურსა და მოუგონებელსა ყოველთა უზეშთაესობასა, რომელი-იგი სიმდიდრითა ძლიერისაჲთა უძლურებასაცა ძლიერ ჰყოფს და უუკანაჲსკნელსსა ნაკმევთა მისთასა იპყრობს და სცავს, ვითარცა-იგი გრძნობადისა ამის ძლიერისაგან ვსცნობთ და ვხედავთ“ (გვ. 74) და სხვა.

ძალი სამების სახელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში იგი უხვად გვხვდება. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს:

---

[54] ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, გვ. 161.

„არსებით მიუწდომელსა ერთსა ღმერთსა აღვიარებთ სამგვამოვნებით თუთებითა, რომელი-იგი არს სრული სიბრძნჱ და ძალი, მხოლოჲ, სამებით ცნობილი, რომელსა ღირსად ქებით ვადიდებთ“[55].

„ერთი ძალი, უალრეს ბუნებათაჲ, სამგუამოვნად გუესწავა მორწმუნეთა სამებისაჲ და თაყუანის-ვსცემთ უფალსა და ღმერთსა მამათა ჩუენთასა“[56].

„დაუსაბამოო ღ[მერთ]ო, ყ[ოვე]ლთა დამბადებელო, უხილავო, მხოლოო, მიუწდომელო, სამებაო ერთარსებაო, ერთ ღ[მრ]თეებაო, სრულო, განუკვეთელო ძალო, გამოუთქმელო მთავრობაო, ...მოგუმადლე ჩ[უე]ნ მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ“[57]. და სხვა.

ძალი, როგორც უზენაესთან დაკავშირებული ცნება, იხსენიება ვახტანგ მეექვსის პოეტურ ნაწარმოებებში: „სიბრძნე მალალობელი“:

„ერთისგან არის სიმრავლე, ნუ სიმრავლისგან ერთები,
ძალი, სიბრძნე და წადილი, არ ერთმანეთსა ერთები...“
(646, 1—2)

შდრ.: მომდევნო სტროფი:

„როდესაც სული შეიქნა, დაჰყვა სიბრძნე და წადილი,
არც ერთი პირველ არ იყო, არც ბოლოს მოსახადილი;
განყოფა, გინა შერევა არის რამ შეუცადილი,
და ასე თქვა მოსემ, გაცუდდა ფილასოფოსთა ცხადილი“.

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს „სატრფიალონში“:

„წადილი და ძალი, სიბრძნე მჴედლობად გაქვს შესადარი,
მზე — ალმასად, მთვარე — ლალად, იაგუნდად — ვარსკვლავთ ჯარი,
ცა — ოქროდ და მინანქარად, ქვეყანაა მრავალ-გვარი;
დაამით გიცნობთ, ამით გაქებთ, მექმენ სულის გამახარი!“
(101)

ამ მასალებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია „მუხრანულის“ ძალი მთლიან ღვთაებას, სამპიროვან ღმერთს წარმოადგენდეს.

გარდა სამებისა, ზედწოდება ძალი მიემართება აგრეთვე მის ერთ ჰიპოსტასს, ძე ღმერთს — ქრისტეს[58]. ცნობილია, რომ ქრისტიანული დოგმით, სამპიროვანი ღმერთი განუყოფელია და რაც მიეწერე-

[55] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი II, 219 ბ (გვ. 128).

[56] იქვე, II, 383 (გვ. 195).

[57] მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გვახარიამ, თბ., 1978, გვ. 127—128.

[58] ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 38—40 (იხ. ამავეთვე მისივე ამავე სახელწოდების წიგნი, თბ., 1984, გვ. 26—29). შდრ.: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, გვ. 254, 264—265.

ბა ერთიან სამებას, იგივე ერცელდება თითოეულ მის წევრზე. ეს ეხება „ძალსაც“. მაგალითად, ეტვიფანე კეპრელის ნაშრომში ვკითხულობთ:

„ესე მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ არა განყოფილ, — ნუ იყოფინ!— არამედ ერთ სამება წმიდა, ერთ ძალ, ერთ კელმწიფება, ერთ უფლება, ერთ მთავრობა, რომელი პირველ ყოველთა საუკუნეთაჱსა იყო და იყოს და არს“[59].

ძალი ქრისტეს მიმართ იხმარება ახალ აღთქმაში[60]. ეს პირდაპირ არის მოცემული კორინთელთადმი მიწერილ პავლეს პირველ ეპისტოლეში:

„ხოლო მათვე ჩინებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“ (1, 24)[61].

ანალოგიური გამოთქმები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში, ნათარგმნებში და ორიგინალურებშიაც, საკმაოდ უხვად გვხვდება:

„ქრისტე მხოლოჲ უფალი ღმრთისა ძალ არს და ღმრთისჲ სიბრძნეჲ შეიმოსა უძლური ბუნებაჲ კაცობრივი, რომლითა სძლო ძლიერსა და დააკუეთა იგი ჯუარს ცემითა“[62].

„შენ, ქრისტე, ღმრთისა ძალო, მიყსენ მე კელთაგან ძტერთაჲსა“[63].

---

[59] სინური მრავალთავი. 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 46.

[60] ზ. გამსახურდია საილუსტრაციოდ სხვა მაგალითებთან ერთად ასახელებს ლუკას სახარების შემდეგ ადგილს (იქვე, გვ. 39): „და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი ესუ ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ ფარისეველნი და სჯულის-მოძღუარნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ყოველისაგან დაბნებისა გალილეაჲსა და ჰურიასტანისა და იერუსალჱმისა, და ძალი ღმრთისაჲ იყო განკურნებად მათდა“ (5, 17).

აქ კონტექსტი ისეთია, რომ, შეიძლება ვიფიქროთ, ძალი ღმრთისაჲ განყენებულად იყოს ნახმარი და მასში საზოგადოდ სამების ძალა იგულისხმებოდეს. მაგრამ, რადგან შემდეგ იქვე მოთხრობილია, რომ თვით ქრისტე ეწევა მკურნალობას, ადვილი შესაძლებელია ხსენებული სიტყვა სწორედ ქრისტეს აღნიშნავდეს.

[61] ვსარგებლობთ გამოცემით: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974.

[62] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, ტფ., 1913, გვ. ტოვ, XXXV.

[63] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, I, 50 (გვ. 25), II, 302 (გვ. 160); მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, გვ. 17, 6; 21, 6. იხ. აგრეთვე გვ. 72, 34—35; 84, 40 და სხვა.

„რამეთუ დღეს შობილი ესე ყრმაჲ მოგუასწავებს, ვითარმედ წინავე იყო ძჳ, რამეთუ ძალი ღმრთისაჲ არს და თანამზრახველ და ღმერთ ძლიერ, რომლითაცა საუკუნენი ესე დაემტკიცნეს“[64].

„რამეთუ ღმერთი არსებითა თჳსითა ვერვინ სადა იხილა, და არცაღათუ ზეცისათა მათ ძალთა. ხოლო ძჳ იგი, შობილი ჴორცითა, იქმნა კაც სრულ, და სრულითა მით ღმრთეებითა ღმრთეებისა მის ძალი გამოგჳცხადა“[65].

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული მოძღვრებით ყოველივეს მეუფე უზენაესი სამპიროვანი ღმერთია, ესქატოლოგია მაინც ქრისტეს სახელთანაა დაკავშირებული. მეორედ მოსვლელი სწორედ ქრისტეა და ყოველთა, ცოცხალთა და მკვდართა განსჯა, მისი უშუალო საქმე და მოვალეობაა.

სახარებაში ქრისტე ამბობს:

„რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, და უფროჲსიცა ამისა უჩუენოს მას საქმე, რაჲთა თქუენ გიკჳრდეს. რამეთუ ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს აცხოვნებს. არცაღა მამაჲ სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა, რაჲთა ყოველნი პატივ-სცენდენ ძესა, ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა...“ (იოვანე, 5. 20—23).

ახალ აღთქმაში გვაქვს:

„რამეთუ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან ჴორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი“ (2 კორ., 5. 10).

„ვწამებ მე წინაშე ღმრთისა და უფლისა იესო ქრისტესა, რომელმან განსაჯნეს ცხოველნი და მკუდარნი გამოჩინებისამებრ მისისა და სუფევისა მისისა“ (2 ტიმოთე, 4. 1).

განმარტავს რა მათეს სახარების ზემოთ დამოწმებულ ადგილს — „რომლისა ნიჩაბი ჴელთა მისთა, განჰსწმიდოს კალოჲ თჳსი და შეჰკრიბოს იფქლი მისი საუნჯეთა, ხოლო ბზე დასწუას ცეცხლითა უშრეტითა“ (3. 12), — იოანე ოქროპირი ამის შემსრულებლად ქრისტეს ასახელებს:

---

[64] შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 297—298.

[65] იქვე, გვ. 298.

„ზემო სატანჯუმლი ოდენ ახსენა, ხ[ოლო] აქა მსაჯულსაცა. გჩუნებს და ტანჯვისა მის დაუსრულებლობასა წარმოიტყჳს. ბზე დასწუალო ცეცხლითა უშრეტითა, — ჰხედავა, ვ[ითარმე]დ იგი არს უ[ფალ]ი ყ[ოვლ]ისავე და იგი არს მოქმედი ყ[ოველ]თა, დაღაცათუ სხუასა ადგილსა მამასა. იტყჳს მოქმედად, მამა ჩემი მოქმედი არსო, რ[ამეთუ] ერთ არს ბუნება და არსება და ძალი მამისა და ძისა“[66].

მეორეგან, კერძოდ, მათეს სახარების ასევე ზემოთ დამოწმებული (13, 37—43) ტექსტის კომენტარებში იოანე ოქროპირი კიდევ უფრო ფართოდ და გარკვევით აღნიშნავს ქრისტეს მისიას მეორე მოსვლის დროს:

„... ხ[ოლო] აქა კუალად გამოაჩინებს ჟამსა მას, ოდეს იგი მსმენელთაგან ეძიებდეს ნაყოფსა მას მათ შორის დათესულისა მის ქადაგებისასა. და ამისთჳს მკად მომავალსა მას ჟამსა მეორედ მოსლვისა მისისასა იტყჳს, ოდეს მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთაებრ, ხ[ოლო] ვ[ითა]რ სხუასა ადგილსა მოესწავების, ვ[ითარმე]დ პ[ირველა]დ მართალნი აღიტაცებიან, და აქა იტყჳს, ვ[ითარმე]დ ცოდკნი შეკრებად არიან. აღიტაცებიან პ[ირველა]დ მართალნი შემთხუჳვად უ[ფლ]ისა, ხ[ოლო] დაჰსჯდეს რა ქ[რისტ]ე განკითხუად, მიეცემიან ცოდკნი სატანჯუმლად და მერმეღა წარვლენ მართალნი სასუფეველად. რ[ამეთუ] ვინაჲთგან სუფევა მარ[ა]ჯალთა ზეცას განწესებულ არს, ხოლო ქრისტე აქა მოვალს განკითხუად, ყოველთა მიჰსცეს რა ცოდკლთათჳს განჩინება, ვ[ითარც]ა ჰბრძანოს, მაშინ ვითარცა მეუფე დიდებისა აღჰსდგეს და წარიყუანნეს მოყუარენი თჳსნი ნეტარებასა მას ზეცისა სუფევისასა...“[67].

პროკლე კონსტანტინეპოლელი:

„და ჩუენ წმიდათა მიერ წიგნთა მოძღურებისათა განვნათლდებოდით, რაჲთა სასუფეველსა ცათასა მიწევნად ღირს ვიქმნეთ ქრისტჱს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და ძალი მამისაჲ და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ აწ და მარადის“[68].

---

[66] S 153, გვ. 63.

უნებლიეთ გვაგონდება ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეექვსის პოეზიაში საკმაოდ ხშირად ღმერთი მოხსენიებულია „მოქმედის“ სახელით (ამის თაობაზე საუბარი გვექნება ნაშრომში: სიყვარულის საკითხი „ამირ-ნასარიანში“).

[67] იქვე გვ. 253r.

[68] სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 45.

სულხან-საბა ორბელიანი:

„სული ქრისტესი შთაჴდა ჯოჯოხეთად და აღმოიყვანნა მაშამთავარნი და წინასწარმეტყველნი და აღდგა მესამესა დღესა. შემდგომად აღდგომისა გამოეცხადა მოციქულთა და აყვედრა ურწმუნოება აღდგომისა მისისა და განამტკიცნა იგინი და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა. კუალად მეორედ მოვალს დასასრულსა სოფლისასა დიდებითა და ძლიერებითა, რათა კაცად-კაცადთა საქმენი განიხილნეს და ყოველთავე მიაგოს საქმეთა მათთაებრ: კეთილისა მოქმედთა — კეთილი და ბოროტისა მოქმედთა — ბოროტი“[69].

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვახტანგის მასწავლებლისა და მრავალ საქმეში ახლო თანამშრომლის სულხან-საბა ორბელიანის ესქატოლოგიური შეხედულება ასეთივეა, იმავე ალეგორიითა და სიტყვებითაა წარმოდგენილი, რაც, საზოგადოდ, მიღებული იყო ქრისტოლოგიაში და რაც ვახტანგის ლექსში „მუხრანულში“ გვაქვს. გარდა ზემოთ მითითებულისა, დავიმოწმებთ კიდევ ერთ ადგილს:

„...ამისთვის, ძმანო, ნათესნი მათნი ნაყოფიერ ვყვნეთ და ვბრწყვიდეთ სწავლათა მდინარითა კითხვითა წერილთა მათთა, და ჯეჯილთა მათთა, მარადის განვმარგლიდეთ ეკალთა და შამბნაროვანთაგან აღსარებითა წინაშე მოძღვართაჲთა, რათა არა შეაშთო ყანა იგი იფქლ-წმიდა, რომლისათვის წარავლინა იგინი სამკალად ქრისტემან.

მოვრწყოთ კალონი იგი, სადა განილეწებიან გვამნი ჩვენნი ცრემლითა, რათა ხვავი იგი ხვარბალთა არა შეიმწიკვლოს, და განვანიავნეთ ბზენი იგი ქარითა სულთქმისაჲთა, რათა დასაწველი რაჲმე არა მიჰყვეს თანა, ოდეს მივიხმევდეთ იფქლთა ჩვენთა საუნჯეთა შინა ქრისტესთა, რათა არა სირცხვილეულნი გვიხილნეს ზედა მდგომართა მათ ჩვენთა, რომლისაგან დაგვეთესა იფქლი იგი წმიდათა ქადაგებათა მისთანი, რათა სიხარულითა აღვსებულნი მიგვიყვანეს სამჯავროსა მას საშინელსა და ჩვენ მადლითა მისითა სავსენი უშიშრად მოველოდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და დაუსრულებელსა ნეტარებასა უკუნითი უკუნისამდე“[70].

ამრიგად, იმის გამო, რომ, ქრისტიანული თვალსაზრისით, მეორედ მოსვლა და განკითხვა არსებითად და უშუალოდ ქრისტეს უკავშირ-

[69] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, გვ. 268.

[70] იქვე, გვ. 187, იხ. აგრეთვე გვ. 38—40, 112, 193, 227, 254—255, 266, 268, 272, 331—333 და სხვა.

დება, ხოლო „მუხრანული“ პირდაპირი, სიტყვიერი და გადატანითი შინაარსითაც ამ შეხედულებას ემთხვევა, უფრო მოსალოდნელია ლექსში მოწოდება ქრისტეს ეხებოდეს და ძალი მას აღნიშნავდეს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება კიდევ. ცნობილია, რომ საძიებელი სიტყვით ძველ ქართულში გამოიხატება აგრეთვე ყოველგვარი ზეციური ძალები, ზეციური არსებანი. ფსევდო დიონისე-არეოპაგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ყოველთა ზეცისა არსებათა საზოგადოდ ძალნი ზეცისანი სახელ-ედებიან“[71]. მათ შორის ამავე სიტყვით აღინიშნება ანგელოზთა ერთ-ერთი დასი და საერთოდ ანგელოზები, აგრეთვე, — ციური მნათობები, ვარსკვლავები[72]. ხოლო თეოლოგიურ ლიტერატურაში ქვეყნის აღსასრულისა და განსჯაში მონაწილეებად უზენაეს ღმერთთან ერთად გამოყვანილია ანგელოზები და სხვა ციური ძალები.

იოანეს გამოცხადების ზემოთ მოყვანილი ტექსტის მიხედვით მკას, განსჯას ეწევა თვით ქრისტე. მას აქვს „ჴელთა მისთა მანგალი აღლესული“, მას მოუწოდებს ანგელოზი — „მიყავ მანგალი ეგე შენი და მომკე, რამეთუ მოვიდა ჟამი მკისაჲ“ და „მან მიყო ...მანგალი თჳსი ქუეყანად და მომკო ქუეყანაჲ“ (14, 14—16).

მაგრამ იქვე, მომდევნო მუხლებში ანგელოზების შესახებ მოთხრობილია:

„და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტაძრისა მისგან ზეცათაჲსა, და აქუნდა მასცა მანგალი მახჳლი. და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა საკურთხეველისაგან, რომელსა აქუნდა ჴელმწიფებაჲ ცეცხლსა ზედა, და ჴმა უყო ჴმითა დიდითა, რომელსა-იგი აქუნდა მანგალი მახჳლი, ვითარმედ: მიყავ მანგალი ეგე მახჳლი და მოისთულენ ტევანნი ქუეყანისა მის ვენახისანი, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი ქუეყანისაჲ. და გამოიღო ანგელოზმან მან მანგალი თჳსი ქუეყანად და მოკრიბა ვენაჴი ქუეყანისაჲ და შთადვა საწნეხელსა მას გულის-წყრომისა ღმრთისა დიდისასა“ (14, 17—19).

---

[71] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 132.

[72] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV$_2$, სიტყვაზე „ძალნი“; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, სიტყვებზე — „დასი“, „ძალი“; ეფიხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, გვ. 260—265; ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ეფიხისტყაოსანში, თბ., 1975, გვ. 44—70; გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, გვ. 34—43, 254—262.

ყურძნის მოკრეფის ამ იგავითაც იგივე ესქატოლოგიური შეხედულებაა გადმოცემული, რასაც მკა და პურეულის გადარჩევა გამოხატავს. ამას ადასტურებს თუნდაც ანდრია კესარიელის თარგმანება:

„დაღაცათუ ქრისტესცა ეწოდების დიდისა მის ზრახვისა მამისა ანგელოზ, არამედ ესე აწ თქმული ძალთა მათ მსახურთა მისთაგანი არს, რომელი გამოვიდა ზეცისა ტაძრისაგან მანგლითა მახჳლითა მოკრებად უშჯულოთა... და ამის მიერ გულისჴმა-ვჰყოფთ, ვითარმედ ანგელოზთა ძალნი უფლად დაბადებულთა ზედა დადგინებულ არიან რომელიმე წყალსა ზედა და რომელიმე ცეცხლსა. ხოლო აწ ამისსა მტანჯველობასა გულისჴმა-ვჰყოფთ, რომელი ცეცხლსა ზედა დადგინებულ არს და ვითარმედ უზეშთაესთა ანგელოზთაგანი არს. და უბრძანებდა მას, რომელსა მანგალი მახჳლი აქუნდა, რაჲთა მოკრიბოს ვენახი ჭუეჟანისაჲ, რომლისა მიერ გამოისახვიან ურჩულონი. და ცოდვილნი, რომელთა გულისწყრომაჲ ვეშაპთა და რისხვაჲ ასპიტთაჲ ქმნეს ღჳნისა წილ კეთილისა... საწნეხელი ღმრთისაჲ არს ადგილი იგი განმზადებული ეშმაკისათჳს და ანგელოზთათჳს მისთა, ხოლო დიდ არს იგი მრავალთა მათ მუნ შემავალთათჳს, რამეთუ ფართო არს გზაჲ იგი წარწყმედისაჲ“ და სხვა[73].

მკას მათეს სახარების მიხედვითაც ანგელოზები ეწევიან: „და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი“ (13, 39). ეს ანგელოზები კი ქრისტეს მოვლინებული არიან და მის ნებას ასრულებენ: „რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი და შეკრიბენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი“ (13, 41).

იოანეს გამოცხადების სიტყვებს — „და სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტაძრისაგან და ჴმა უყო ჴმითა დიდითა მჯდომარესა მას ღრუბელსა ზედა“ (14, 15) —ანდრია კესარიელი ასე განმარტავს:

„ანგელოზისა მის ჴმაჲ ყოველთა ზეცისა ძალთა მოასწავებს, რომელთა სურის მართალთა პატივისათვის და ურჩულოთა ტანჯვისა, რაჲთა დასცხრეს ცოდვაჲ“[74].

ჰიმნოგრაფიაში გვაქვს:

„მშობელო გამოუთქმელად ძისა ღმრთისაო, ზეცისა ძალთა თანა ევედრე ძესა შენსა ჩუენ, მოსავთა შენთათჳს“[75].

---

[73] ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, გვ. 84—85.

[74] იქვე, გვ. 84.

[75] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, II, 329 (გვ. 172).

„ერისტეს დედაო,... რა ჟამს ქალწულმან მუცლად-იღე უთესლოდ სიტყუაჲ მამისაჲ და გჳშევ ჩუენ უცხოდ ღმერთი ყოველთაჲ, ამისთჳს მორწმუნენი ზეცისა ძალთა თანა გადიდებთ“[76].

„ღმრთისმშობელო, ...ამისთჳს გიგალობთ შენ: ზეცისა ძალთა თანა ძესა შენსა ევედრე დაუცხრომელად მოსავთა შენთათჳს“[77] და სხვა.

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „მუხრანულის“ „ძალში“ ეს ზეციური ძალები ან, კერძოდ, ანგელოზები იგულისხმებოდეს?

ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა გამორიცხულია თუნდაც იმიტომ, რომ „მუხრანულში“ ძალი მხოლოობით რიცხვში დგას, ხოლო ზეციური ძალების ან ანგელოზების მნიშვნელობით ეს სიტყვა ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით (-ძალნი) იხმარება. კიდევ უფრო უარსაყოფია ძალი ვარსკვლავების მნიშვნელობით, რომელიც, მართალია, მხოლოობითი რიცხვითაც იხმარება და „აღსასრულის“ დროსაც ჩანს, მაგრამ მას მოქმედი, წარმართველი ძალა არ გააჩნია.

აპოკალიპსში თავი და თავი ქრისტეა!

„მუხრანული“, გარდა ცნებებისა „მკა“, „შეკრება“, „ძალი“, ქრისტიანულ, კერძოდ, ესქატოლოგიურ მოძღვრებას ენათესავება სიტყვით მტერი („მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო...“), რომელშიაც ეშმაკი იგულისხმება[78]. სახარების ზემოთ დამოწმებულ იგავში იკითხება: „...და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის ფქჳლსა მას და წარვიდა“. იქვე ახსნილია: „ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს“.

სწორედ ამ გაგებით არის მტერზე საუბარი ზემოთ მოყვანილ ძლისპირში: „შენ, ქრისტე, ღმრთისა ძალო, მიჰსენ მე ჴელთაგან მტერთაჲსა“.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარივე მნიშვნელობით ხსნის ვახტანგი ამ სიტყვას ვეფხისტყაოსნის კომენტარებში. სტროფში „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევა მტერთა, ვინ არს ძალი უხილავი...“, იგი „ძალი უხილავად“ ღმერთს მიიჩნევს, რაც ზემოთ განხილულ საკითხს ეხმაურება. მტრად კი ეშმაკს: „მტერი ეშმაკი არი“ — წერს სწავლული მეფე, — და ამ ეშმაკის მორევნა მომცაო. ეშმაკის მორევნა კაცს მისცა და უნდა მოერიოს ძალად უხილავად, შემწედ მიწიერთად, საზღვრის დამსაზღვრელად, უკუდავად და ღ[მერ]თსა ღ[მრ]თად; ღმრთის ჭეშას ამბობს.

---

[76] იქვე, II, 403ა (გვ. 204).

[77] იქვე, II, 340 (გვ. 177); მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, გვ. 30, 29—30.

[78] ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, გვ. 317—319.

იმას შეუძლია წამის ყოფით ერთსა ასად გახდის და ასსა — ერთად...“[79].

ანალოგიურად ხსნის ვახტანგი ამავე სიტყვას მეორე შემთხვევაშიაც („მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“): „...ქრისტე მოყუარე არის და ეშმაკი, იმისი მტერი, კაცისათვის ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერი არის. ვინც ქრისტიანი და მეცნიერია, ეშმაკის საქმესა ვინა იქს და ან ვინ მიენდობა?! ეს იმისი იგავია, ისომ ეშმაკური საქმე ჩამოგვარდნოდათ, იმისგან ნუღარ იშიშვიო“ (იქვე, გვ. ტმთ, სტრ. ჩსა).

როგორც ვხედავთ, ვახტანგი, მსგავსად „ძალისა“, „მტერსაც“ სხვა შემთხვევაშიაც იმგვარი მნიშვნელობით იყენებს, როგორი სპეციფიკური გაგებაც მას სასულიერო მწერლობაში ჰქონდა და როგორიც აქვს მას „მუხრანულში“.

დასასრულ, საძიებელი ლექსის სათაურის შესახებ. რატომ უწოდა პოეტმა ამ ლექსს „მუხრანული“?

ქართულ პოეზიაში, ხალხურსა და ლიტერატურულშიც, არის ლექსები, ლექს-სიმღერები, მელოდიები, რომელთა სახელწოდებანი გეოგრაფიულ სახელებს უკავშირდება. მაგალითად, ყაზბეგის რაიონის გერგეტის სამების ტაძრის ეზოში სამღერალ ლექსს „დიდია წმინდა სამება...“ ხალხი გერგეტულას ეძახის[80]. ხევსურეთში არის სახატო სიმღერები, რომლებსაც ბეღლისკრული და კარატული (ან ლიკოკურა) ეწოდება. ბეღლისკარი გუდანის ხატის ადგილ-სამყოფელია, ხოლო კარატე მთა არის ხევსურეთში, სადაც ლიკოკის (თემია) ხატი მდებარეობს[81]. არაგვის ხეობაში არის სოფელი ძაგნაკორა (ძაგნაკორნა, ძაგანაკორნა[82]), ხოლო მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში გავრცელებული იყო ლექსის სახეობანი ძაგნაკორული[83]. კერძოდ,

---

[79] შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა, 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937 წ., ფოტორეპროდუქციული გამოცემა, 1975 წ., გვ. ტლმ (სტროფი ღპბ). მართლწერა აქ და ქვემოთაც ჩვენია.

[80] ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 223; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, ტომის შემდგენელნი მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე, თბ., 1972, გვ. 139, 349—351.

[81] ღ. გოგოჭური, მელექსეობა ხევსურეთში, თბ., 1974, გვ. 52.

[82] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 255.

[83] გ. ციქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 74—82; მ. თოდუა, ტექსტისათვის, წიგნში: ჭილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ, თბ., 1975, გვ. 128—129.

სულხან-საბა ორბელიანი თავის გალექსილ „ქილილა და დამანაში“ ქმნის ლექსს „ჩახრუხაული ძაგნაკორულად“[84]. ქართლსა და რაჭაში არის სოფელი აგარა, ხოლო პ. ლარაძე ქმნის ლექსებს, რომლებსაც აგარულს უწოდებს[85].

„გერგეტულა“ და მისი ტიპის ხალხურ ლექსთა სახელების წარმოშობა გასაგებია. მაგრამ რის მიხედვით ჰქვია ლექსებს „ძაგნაკორული“ ან „აგარული“, სამეცნიერო ლიტერატურაში გადაწყვეტილი არ არის. იოანე ბატონიშვილის ცნობით, სალექსო ფორმა და სახელწოდებაც „ძაგნაკორული“ მოდის იასე ხიმშიას ძე ძაგნაკორელისაგან, რომელიც თითქოს რუსთველზე ადრე მოღვაწეობდა[86]. ამ ცნობას იმეორებს ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც[87], მაგრამ ამისი დამადასტურებელი არავითარი ხელშესახები წყარო არ არსებობს.

„მუხრანულის“ სახელის წარმოშობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა.

საფიქრებელია, ეს სათაური ვახტანგს უკარნახა ხალხსა და ლიტერატურაში გავრცელებულმა ზემოთ აღნიშნულმა ლექსთა სახელებმა — „გერგეტულა“, „ძაგნაკორული“ და მისთანებმა.

ადვილი შესაძლებელია, ვახტანგმა მუხრანში გავრცელებული ან იქ გაგონილი ლექსისა თუ ლექს-სიმღერის „ხმაზე“, მისი რომელიმე, ვთქვათ რიტმული, მხარის მიბაძვით შექმნა თავისი ნაწარმოები და ამიტომ უწოდა მას „მუხრანული“. ამას არა მარტო ამ ნაწარმოების სათაური, სხვა მონაცემიც გვაფიქრებინებს.

„ჰაშნიკიდანვე“ ირკვევა, რომ ვახტანგს, როგორც ნოვატორ პოეტს, ყურადღება მიუქცევია ჩვენი ხალხური ლექს-სიმღერების ფორმის, რიტმული წყობის მრავალფეროვნებისათვის და დაუსვამს საკითხი ლიტერატურაში მათი გადმოტანის თაობაზე. მამუკა ბარათაშვილი ქართული ხალხური ლექს-სიმღერების ხმებზე მის მიერ შეთხზული და „ჰაშნიკში“ სანიმუშოდ შეტანილი ლექსების შესახებ გვაუწ-

---

[84] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 400; ქილილა და დამანა, მ. თოდუას დასახელებული გამოცემა, გვ. 596.

[85] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 84.

[86] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 185—186.

[87] პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, წიგნში: რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 75, 79—80. შდრ.: ივ. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული ძეგლები და უცნობი ავტორები, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, ტომის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი), გ. იმედაშვილი, გ. მიქაძე, თბ., 1966, გვ. 243—244.

ყებს: „ეს თვითო სტრიქონი ძველი ყოფილა და ეს მთელი ლექსები მეფისავე ბრძანებით მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი“[88]. ეს ლექსებია: „ვანეო, ვანეო, ცოლი მოიყვანეო“-ს ხმაზე დაწერილი „შეწყობილი“, „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდეგ წინაო“-ს მიხედვით შექმნილი „მდინარი“, „ახ, იესო, იესო, საყდარი დაგიქცესო“-ს მსგავსი „წყობილი მრავალ-მუხლი“ და „პატარასა, სუფთას ქალსა გარე ცეცხლი ედებოდა, მავსებელი ჰყავს არვინა“-ს კვალობაზე შეთხზული „გრძლედი შაირი სამკვეთი“[89].

ვახტანგს ამ საქმეში თვითონაც უცდია კალამი. სწორედ ამგვარ „ხმაზე“ თუ „ხმისთვის“ შეუთხზავს მას თავისებური ფორმის ლექსი „რანი და მოვაკანი...“[90], რომელსაც ავტოგრაფში ახლავს პოეტის შენიშვნა: „ერთი ლექსის ხმა ესეც არის“[91]. ამიტომ ვფიქრობთ, რომ, შესაძლებელია, „მუხრანულთანაც“ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი[92], რასაც საგანგებო კვლევა სჭირდება.

„მუხრანულს“ უწოდებს გ. ლეონიძე ქართულ ხალხურ ბალადას „შემომეყარა ყივჩაღი...“ მის ლექსს „ყივჩაღის პაემანი“ ეპიგრაფად უძღვის აღნიშნული ხალხური ლექსის სტრიქონები „...ერთიც მე გადავუქნიე, წვერიმც ვუწვდინე მიწასა...“ და ქვევით მიწერილი აქვს „მუხრანული“[93].

ამავე ხალხურ ლექსს „მუხრანულ ბალადას“ ეძახის გ. შატბერაშვილი[94], ხოლო მის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი მთქმელის სიტყვებში იგი „მუხრანის ლექსის“ სახელით არის მოხსენიებული[95].

დასახელებულ ხალხურ ლექსს მუხრანის სახელი ალბათ იმიტომ დაუკავშირდა, რომ მის უმრავლეს ვარიანტში მოქმედება მუხრანთან ხდება:

„შემომეყარა ყივჩაღი სამზღვარს მუხრანის გზისასა...“
„ამბავსა მკითხამ, გიამბობ, ნეტავ იმ ჯიჯიბისასა!
ჩვენ სამნი შავიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა...“

---

[88] მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 129; მისივე, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 15.

[89] იქვე, გვ. (შესაბამისად) 129—132 და 15—18.

[90] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 16.

[91] სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ნუსხა E—15, გვ. 1r.

[92] ჩვენ ასევე „ხმაზე“ შეთხზულ ნაწარმოებად ვთვლით ვახტანგის წაღმა-უკუღმა საკითხავ ლექსს „აბანა ერსა მოშიშთა...“ (ვახტანგ მეექვსე — ქართული ლექსწყობის განმაახლებელი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3, გვ. 34—35).

[93] გ. ლეონიძე, რჩეული, თბ., 1958, გვ. 105.

[94] გ. შატბერაშვილი, ჰაშნიკი, თბ., 1964, გვ. 270, 273, 277, 280—281.

[95] იქვე, გვ. 269.

„სამზღვარსა შავიყარენით, სამზღვარსა მუხრანისასა...“
„შეჭომეყარა ყიფჩაგი ბოლოსა მუხრანისასა...“
„მე და ტრბუ შევიყარენით გასაყარ მუხრანისასა...“
და აბვა[96].

გ. ლეონიძესთან კი, რომელიც ხალხურ ლექსს გადაჭრით უწოდებს „მუხრანულს“, შესაძლებელია გარკვეული როლი „ჭაშნიკის“ „მუხრანულმაც“ შეასრულა.

ასეა თუ ისე, დასათაურების ამ შემთხვევითი მსგავსების გარდა, ამ ნაწარმოებებს შორის სხვა რაიმე კავშირი არ არსებობს.

ვახტანგისათვის „მუხრანული“, მისი რომელიმე მხარე, კერძოდ, რეფრენული, ტავტოლოგიური რითმა, შეიძლებოდა შთაეგონებინა. მაგალითად, ცნობილ ნაწარმოებს — „მინდა ლექსი ვთქვა, ქალო, მაგნიტიზმური, ქალო...“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1983, გვ. 107—109), ანდა, ვთქვათ, ამ ტიპის ხალხურ ლექსს:

„ცრცუნ კატა, გელაიფხე,
რძალო ბატონოო,
გუშინ რძლათა ნოგიყვანე,
რძალო ბატონოო,
დღესა ჯოგში გაგაგზავნე,
რძალო ბატონოო,
ჯოგი ვნახე, წყესი ვერა,
რძალო ბატონოო,
გევიხედე მუხის ძირში,
რძალო ბატონოო,
თავზე მურა დაგდგომოდა,
რძალო ბატონოო,
თავის მეტი შიეპამე,
რძალო ბატონოო,
შენი ახალი ქოშები,
რძალო ბატონოო,
მუხის ძირში დაპაწკუნობს,
რძალო ბატონოო...
და სხვა[97].

---

[96] ქართული ხალხური პოეზია IV, საგმირო ლექსები, ტომი შეადგინა, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქ. სიხარულიძემ, თბ., 1975, გვ. 126, 369—381. შდრ. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 335—339; გ. შატბერაშვილი, ჭაშნიკი, გვ. 259—262; ნ. კეცხოველი, კლდის ფხაზე თეთრო ყვაეილო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 27 თებერვალი, 1981, № 9, გვ. 13; გ. ბარნოვი, წერილები ფოლკლორზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 მარტი, 1982, № 10, გვ. 7.

[97] ე. ვირსალაძე, ქართული საგაზაფხულო-საფერხულო პოეზია, წიგნში: ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები, III, თბ., 1969, გვ. 120.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცულ ელენე ვირსალაძის მიერ 1965 წელს გურიაში,

ასევე შეიძლება ითქვას ე. წ. ნატირალების შესახებ, რომლებიც ა. ჭინჭარაულს ჩაუწერია:

„თვალვა

ვიტირათ უკენობისადა,
ძილოო,
ძილო, ჰირიმე ძილისაი,
ძილოო,
მზიასაც წაგილალავთ შინა,
ძილოო,
სახლჩიაც გაგიქრობთა ცეცხლსა,
ძილოო,
შამამბრუნავჩი სატანებნო
ძილოო,
უნაწილოჩი სატანებნო,
ძილოო...“[98]

ან კიდევ:

„სიძეო

შენ მე კი არას მენანებიო,
სიძეო,
და მენანება თაეისაიო,
სიძეო,

სოფელ სურებში ჩაწერილ ვარიანტს ახლავს მთქმელის შენიშვნა: „ნამეტანი ძველი სიმღერაა. ლამაზად იმღერებდენ ფერხულში მაგას“.

გამოქვეყნებულია ამ ლექსის აჭარაში ჩაწერილი ვარიანტი, სადაც „რძალოს“ მაგივრად მისი თურქული შესატყვისი სიტყვა „გელინ“ იკითხება:

„ციფურ კატა, გელაიფხე,
გელინ ბატონო,
ჭუშინ რძალად შოგიყვანე.
გელინ ბატონო,
დღეს ძროხაზე გაგაგზავნე,
გელინ ბატონო,
ძროხა მოკვდა, მწყემსი — არა,
გელინ ბატონო...“

და სხვა.

(აჭარის ხალხური პოეზია, I, კრებული შეადგინეს, შენიშვნები, საძიებლები, სიტყვის ახსნა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ახვლედიანმა, ე. ზოიძემ, ზ. თანდილავამ, ა. ინაიშვილმა, ა. მსხალაძემ, ჯ. ნოღაიდელმა, ნ. ცქიტიშვილმა, თბ., 1969, გვ. 83. გადაბეჭდილია: ქართული ხალხური პოეზია, VIII, საყოფაცხოვრებო ლექსები, ტომი შეადგინეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ჯ. ბარდაველიძემ, გ. ბარნოვმა, დ. გოგოჭურმა, ე. ვირსალაძემ, ფ. ზანდუკელმა, ე. მაცაბერიძემ და ა. ცანავამ, თბ., 1979, გვ. 24; ე. ვირსალაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 121).

[98] ქართული ხალხური პოეზია, V, საწესჩვეულებო ლექსები, შემდგენელნი: მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე, თბ., 1976, გვ. 71.

ერთხანამც კიდევ აგაყენაო,
სიძეო,
ორწყალამჩიამც ჩაგავლიგაო,
სიძეო,
მირგვალაძთაცა სოფელ შამოგხვეაო.
სიძეო...“

და სხვა[99].

ჩვენ საგანგებოდ ვეძებთ, მაგრამ ისეთი ხალხური ლექსი ან სიმღერა, „მუხრანულს“ რომ რაიმეთი ჰგავდეს და მუხრანს უკავშირდებოდეს, არ ჩანს. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მისაღები ამ ტიპის ნიმუშები:

„ჩუხრანელმა ქალმა მითხრა:
მუხრანამდი გამომყეო,
გასმევ, გაჭმევ, გაქეიფებ,
საღამომდე ყანა მკეო“[100].

მეორე. იქნებ საძიებელი თხზულების სათაურის განმსაზღვრელი იყოს ლექსის მიმართვის ობიექტი ძალი და მუხრანის მოსაზღვრე სოფელი ძალისი[101].

რომ ნათელი იყოს, რა გვაქვს მხედველობაში, დავწყოთ ძალისის ეტიმოლოგიით. თუ საიდან წარმოდგება ეს სახელწოდება, დადგენილი არ არის. იქაურ და მეზობელ სოფლელთა ახსნით, ამ ადგილას ხალხი თითქოს უნებართვოდ, ძალით დასახლდა და ამიტომ დაერქვა მას ეს სახელი, რაც, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი არ არის. როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, ძალისი უძველეს ხანაში ყოფილა დასახლებული[102].

ს. კაკაბაძე და ლ. მელიქსეთ-ბეგი ძალისს ძელისთან მიმართებაში განიხილავენ (ძელი=მოჭრილი ხე). ოღონდ მათ მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, მუხრანის ძალისი, არამედ — გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც, მათი აზრით, მცხეთისა და არმაზის აღმოსავლეთით, დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამის საფუძველს მათ აძლევთ, ერთი მხრივ, პტოლემეოსის „გეოგრაფიაში“ დამოწმებული „ზალისს“-ი, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი სომ-

---

[99] იქვე, გვ. 71—72.

[100] ქართული ხალხური პოეზია, X, შრომის პოეზია, ტომი შეადგინეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს თ. ოქროშიძემ, ფ. ზანდუკელმა, თბ., 1983, გვ. 93. იხ. კიდევ გვ. 86—87.

[101] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 255; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 34.

[102] ა. ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბ., 1981.

ხური ისტორიული წყაროები, სადაც თბილისი „ფაჲტაკარანის“ სახელით იხსენიება, რაც ნიშნავს ხე-ტყის, ხმელი ხის გროვის შემცველ, ხის ქალაქს[103].

უცხოელთათვის ძ ე ლ ი ს ი ძ ა ლ ი ს ა დ ა ც შეიძლებოდა გადაკეთებულიყო, ზ ა ლ ი ს ა დ ა ც და პირიქითაც, მაგრამ ძ ე ლ ი, ძ ე ლ ი ს ი და ძ ა ლ ი, ძ ა ლ ი ს ი იმდენად ჩვეულებრივია ქართულისათვის, რომ, არა გვგონია, ჩვენში ისინი ერთმანეთში აღრეულიყო. ამგვარი ცვლილება არც ქართული ენის ფონეტიკური კანონზომიერებით არის მოსალოდნელი.

ვფიქრობთ, შესაძლებელია ძ ა ლ ი ს ი ისეთივე თეოფორული სახელი იყოს, როგორიცაა ს ა მ ე ბ ა, შ ე მ ო ქ მ ე დ ი, ჯ ვ ა რ ი და მისთანები. კერძოდ, თავის დროზე აქ იყო ძ ა ლ ი ს (ღმერთის) სახელობაზე აგებული ეკლესია და აქედან წარმოსდგა სოფლის სახელწოდება. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს რაჭაში არსებული ტოპონიმი — მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი, სადაც დღესაც არსებობს ძველი, შემდეგ განახლებული, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია[104]. აქაური ხატების წარწერებზე მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ა დ მოიხსენიება წმინდა გიორგი. მაგალითად, XIII საუკუნის წმინდა გიორგის ხატის მედალიონებში წერია: გ[იორგ]ი მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი“[105].

წმინდა გიორგის ერთ-ერთ ხატზე ყოფილა წარწერა (რომელიც შემდეგ მოუგლეჯიათ):

> „ჭ. წ[მიდა]ო გ[იორგ]ი მ რ ა ვ [ალ]ძ ა ლ ო, შ[ეიწყალ]ე მონ[ა] შ[ე]ნ[ი] ბ[ე]რი და [მფა]რველ ე[ქმენ დღეს]ა მა[ს] სა[სჯელისასა], მეოხე ჩ[უე]ნ დ[ღე]ბასა შ[ე]ნ[ს]ა, წ[მი]და[ო]“[105].

ასევე, წმინდა გიორგის სხვა ხატზე, რომელიც XII საუკუნით თარიღდება, იკითხება:

> „წ[მი]და[ო] [გიო]რ[გი] მ რ [ა] ვ [ა] ლ ძ ა ლ ო ხ[ე]თ[ისა]ო, მ[ე]ოხ დ[ა] [მ]ფარ[ე]ლ ე[ქმ]ნ ს[ე]ვსა [ხეთისა]ს, წ[ა]რ[უმარ]თ[ე]“[107].

---

[103] С. Какабадзе, К истории названия гор. Тифлиса, საისტორიო კრებული, II, თბ., 1928, გვ. 60—70; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძალისი—თბილისი—ფაჲტაკარანი, წიგნში: თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 29—38.

[104] ე. თაყაიშვილი არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, 1919 და 1920 წწ., თბ., 1963, გვ. 6, 56—64. მ. ბროსეს, ნ. კონდაკოვის, ნ. მინდელის, პ. უვაროვის, ს. კაკაბაძის, გ. ბოპორიძის, გ. ჩუბინაშვილის და სხვების სათანადო შრომები აქვეა მითითებული.

[105] იქვე, გვ. 60.

[106] იქვე, გვ. 59.

[107] იქვე, გვ. 61.

სორის ეკლესიის კედლის წარწერაში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XV—XVI საუკუნეებით ათარიღებს, ქველი ჰრელიძე მიმართავს მრავალძალის წმინდა გიორგის (და არა მრავალძალ წმინდა გიორგის):

„წმიდაო გ[იორგ]ი მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი ს ა ო, ჴეუხ და მფარველ ექმენ წ[ინაშ]ე ღუთისა ჰრელისძესა“[108]

და სხვა.

თუ რას ნიშნავს მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი, რატომ მიემართება ეს სახელი წმინდა გიორგის ან, საერთოდ, ამ ეკლესიას, ეს ცალკე და საგანგებო კვლევის საგანია. ერთი კი, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ცხადია: იგი ქრისტიანულ-თეოლოგიური შინაარსის სიტყვაა და ძ ა ლ ი ს ერთ-ერთი მნიშვნელობის გამომხატველია. ეს კი საკმარისია ჩვენთვის, სამაგალითოდ მოვიხმოთ ძ ა ლ ი ს ი ს წამოყენებული ახსნისათვის.

თუ ჩვენი ახსნა სწორია და ძალისი ეტიმოლოგიურად, ან ვახტანგის ახსნით, უკავშირდება ღვთის ზედწოდებას ძ ა ლ ს, მაშინ იმ ფაქტების გამო, რომ „მუხრანულის“ მოწოდება მიმართულია ძ ა ლ ი ს ა დ მ ი, ხოლო ძ ა ლ ი ს ს, ამ მოსაზღვრე სოფელს, მოიცავდა მუხრანი, როგორც მუხრანელ ბაგრატიონთა საგვარეულო მამულის ცენტრი, — შეგვიძლია დავუშვათ, რომ პოეტმა თავის ლექსს „მუხრანული“ უწოდა ძ ა ლ ი ს უ რ ი ს მნიშვნელობით. ვახტანგისათვის ძალისი და მუხრანი, ალბათ, განუყოფელი იყო და, ვფიქრობთ, მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს იმაში, რომ შორეულ რუსეთში გადახვეწილ მეფე-პოეტს, პატარა, უჩინარი სოფლის ნაცვლად, ლექსში წინ წამოეწია თავისი საგვარეულო მამულის ცენტრის სახელი.

სულ ბოლოს ერთი ჰიპოთეზა კიდევ: დასაშვებად მიგვაჩნია „მ უ ხ რ ა ნ უ ლ ი“ „ვ ა ხ ტ ა ნ გ უ რ ი ს“ ტოლფარდი და ანალოგიური შინაარსის სიტყვა იყოს. ეს ლექსები, როგორც ვთქვით, „ჯაშნიკის“ ხელნაწერებში ერთად არის და, ჩანს, ერთ პერიოდშია შექმნილი. ადრე „ვახტანგური“ ესმოდათ როგორც „ვახტანგის რომელიღაც უცნობი ლექსის წაბაძვით“, „ვახტანგის მეტრის კვალობაზე შედგენილ“ ნაწარმოებად[109]. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იგი ვახტანგის ორიგინალური ქმნილებაა, ცხადი გახდა, რომ „ვ ა ხ ტ ა ნ გ უ რ ი“ ნიშნავს არა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ი ს ე ბ უ რ ს, არამედ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე ბ უ რ ს, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს კ უ თ ვ ნ ი ლ ს. ვინაიდან ვახტანგ მეექვსე მ უ ხ რ ა ნ ე ლ ბაგრატიონთა სამეფო გვარის

---

[108] იქვე, გვ. 25.

[109] ამ საკითხზე მსჯელობა არის ზემოთ.

წარმომადგენელია (მესამე თაობაა)[110], ვფიქრობთ, დასაშვებია, ლექსის სათაური ამაზე მიგვანიშნებდეს და მუხრანული ნიშნავდეს მუხრანელთა ან მუხრანელის კუთვნილს, დამახასიათებელს, რითაც პოეტს, ვთქვათ, სურდა აღენიშნა, რომ ლექსში პოეტურად და იგავურად გადმოცემული ღვთისადმი მოწოდება კეთილთა და ბოროტთა განსჯის შესახებ — ეს არის მისი სამეფო გვარის ან მისი მეფობის სამოქმედო მრწამსი და სახელმძღვანელო იდეა. მაგრამ, ვიმეორებთ, ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდების სფეროს განეკუთვნება!

ამრიგად, ჩვენი დასკვნები იქნება:

1. მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში" მოთავსებული ლექსი „მუხრანული" ვახტანგ მეექვსის ორიგინალური ნაწარმოებია. ლენინგრადულ ნუსხაში იგი ავტორის ხელით არის ჩაწერილი.

2. ეს ნაწარმოები უნდა განეკუთვნებოდეს სხვადასხვა მხრიდან, თარაზულად და შეუღლად წასაკითხ ფიგურულ ლექსთა სახეობას — კვადრატულ ლექსს.

3. „მუხრანული" ალეგორიული შინაარსის თხზულებაა. მასში იგავურად გადმოცემულია ქრისტიანული ესქატოლოგიური მოძღვრება მეორედ მოსვლისა და განკითხვის შესახებ. თხზულების მიმართვის ობიექტი ძალი ღმერთი, ქრისტეა.

4. თუ რატომ დაურქმევია პოეტს ლექსისათვის „მუხრანული", არ ჩანს. შესაძლებელია იგი შეთხზული იყოს მუხრანში გავრცელებული ან იქ გაგონილი ლექს-სიმღერის „ხმაზე" და აქედან წარმოსდგებოდეს მისი სახელი. სავარაუდოა ისიც, რომ „მუხრანული" ნახმარი იყოს „ძალისურის" მნიშვნელობით და ეს სახელწოდება განესაზღვრა ლექსის მიმართვის ობიექტს ძალსა და მუხრანის მოსაზღვრე სოფლის სახელს ძალისს, რომელიც თავის მხრივ მუხრანში შედიოდა და რომლის სახელწოდება, საფიქრებელია, ეტიმოლოგიურად უკავშირდებოდეს ძალის ქრისტიანულ გაგებას. დასაშვებია აგრეთვე ისიც, „მუხრანული" ნიშნავდეს მუხრანელის ან მუხრანელთა კუთვნილს, დამახასიათებელს და ამით ავტორი მიგვანიშნებდეს, რომ ლექსში მოცემული ღვთისადმი მოწოდება განსჯის შესახებ, ეს არის მისი ან მისი სამეფო გვარის სამოქმედო მრწამსი და სახელმძღვანელო იდეა.

---

[110] მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), 1. მუხრანბატონთა შტო, კრებული: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 198—225.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ზემოთ აღნიშნულ E 106 ხელნაწერ-კრებულში მე-6 ფურცელზე დაწებებულ VII, პატარა ფურცლის ნაჭერზე მოთავსებულია ვახტანგის ხელით ნაწერი ერთსტროფიანი ლექსი (სურ. 7):

„თუ კი გინდა სულის კარგი, წაკითხე ესე წიგნი:
შესაქმე და იგ გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა წიგნი,
ბეორე სჯული, ისო ნავე, მს[ა]ჯულ, რუთი, მეფე[თ] წიგნი,
ოთხი მეფეთ, ორი ნეშტთა, ოთხი ნემ[ე]ს, ეზრას წიგნი,
ტობით, იუდით, ესთერისა, იობის და ფს[ა]ლმუნ[თ] წიგნი“[111].

ამ ნაწარმოებს ჩვენამდე არავინ შეხებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რ. ორბელის ზემოთ დამოწმებულ ხელნაწერთა აღწერილობას, სადაც მითითებულია მისი დასაწყისი სიტყვები (გვ. 49).

ჩვენი აზრით, ეს ლექსი ვახტანგ მეექვსეს უნდა ეკუთვნოდეს. გარდა ხელისა, ამაზე მეტყველებს მისი დანიშნულება და სტილი[112]. ამ აზრს გარკვეულ წილად მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ამავე ხელნაწერში ამგვარივე სახით შემორჩენილია „ვახტანგურის“ შავად ნამუშევარი და ერთი კიდევ ასეთივე მიზანდასახულობის ლექსი, რომლის შესახებაც მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

როგორც ვხედავთ, საძიებელ ნაწარმოებში თანმიმდევრულად აღნუსხულია ძველი აღთქმის წიგნების ერთი ნაწილი[113]. ლექსი დამთავრებული არ უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ, იგი გრძელდებოდა ან ავტორს განზრახული ჰქონდა დაეწერა (ან იქნებ დაწერილიც ჰქონდა) მისი მეორე თუ მესამე ნაწილები, სადაც დასახელებული იქნებოდა ბიბლიის დანარჩენი წიგნები.

აშკარაა, ლექსს პედაგოგიურ-შემეცნებითი მიზანი აქვს: მკითხველებს ამცნოს და დაასწავლოს ბიბლიაში შემავალი წიგნები. ამგვარი სახისა და დანიშნულების თხზულებანი ძველ ქართულ მწერლობაში არაერთია. ასეთია, მაგალითად, არსენ იყალთოელის ნათარგმნი გრი-

---

[111] სასვენი ნიშნები ჩვენია. დედანში სიტყვები ორწერტილით არის გამოყოფილი.

[112] ვახტანგი თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, როდინდელიც ეს ნაწარმოები უნდა იყოს, ქმნის ლექსებს, სადაც, მსგავსად ამ ნაწარმოებისა, რითმებად ერთი და იგივე სიტყვაა გამეორებული. ასეთია „ლექს-ამბავი“ და „მუხრანული“.

[113] ბიბლიის შედგენილობა ყოველთვის და ყველგან ერთნაირი არ არის. ამ ლექსში დაცულია ის შედგენილობა და თანმიმდევრობა, რომელიც აქვს ქართულ, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის ხელთ ნამყოფ მცხეთურ და 1743 წლის მოსკოვური გამოცემის ბაქარისეულ ბიბლიას.

გოლ ღმრთისმეტყველის „განზომილთაგან სიტყუათა“, რომელშიც ჩამოთვლილია ბიბლიის კანონიკური წიგნები:

„რათა უცხოთა არა მიგიპარონ წიგნთა,
რიცხუსა გაუწყებ ჩუენთასა, მეგობარო!
თხრობითნი წიგნნი ათურაძეტ ყოველნივე
უძუელესისა, ებრაელთა სიბრძნისანი:
პირველ „ქმნისაჲ“, „გამოსლვაჲ“, „ლევიტელთაჲ“,
და ეგრეთვე „რიცხუნი“, მერმე „მეორე შჯული“.
კუალად „ისოცა“, „მსაჯულნი“, მერვედ „რუთი“,
მეცხრედ და მეათედ „საქმენი მეფეთანი“.
და მერმე „ნეშტნი“, შემდგომად მათსა — „ეზრა“,
მუხლედნი ხუთნი, რომელთა პირველ „იობ“,
კუალად „დავით“ და სამნი სოლომონისნი —
„ეკლესიასტე“, „ქებანი“ და „[ი]გავნი“
და ხუთ ეგრეთვე წინასწარმეტყუელთანი
ერთ წიგნ არიან ერთბამად ათორმეტნი...“ და სხუა[114].

ასეთივეა იმავე არსენ იყალთოელის ნათარგმნი ამფილოქე იკონიელის „იამბიკონი სელევკოს მიმართ“:

„არამედ უფროჱს ამისი სწავლაჲ შენდა
სახმარ, ვითარმედ არა ყოველი წიგნი
უცთომელცა არს, რაოდენ საქებელი
წერილობისაჲ მოუგიეს სახელი...
ამისთჳს რიცხუსა საღმრთოთასა მიგითხრობ
თითოეულად, რათა სიბრძნით ისწაო.
პირველ ძუელისა აღთქუმისათა ვახსენებ:
ხუთ-წიგნობასა „დაბადებაჲ“ და „გამოსლვათაჲ“,
და „ლევიტელთა“ საშურველად წიგნად მაქუს;
შემდგომად „რიცხუნი“, მერმე „მეორე შჯული“.
ამათ „ისოცა“ შესძინე და „მსაჯულნი“,
მერმე „რუთ“ და ოთხნივე „მეფეთანი“.
წიგნი „ნეშტთანი“, ორ წიგნად აღრიცხულნი.
„ეზრაჲ“ მათ თანა, პირველი და მეორე,
მერმე მუხლედთა ხუთთა მოვიტყუე წიგნთა...“ და სხუა[115].

კარგად ჩანს, ვახტანგის ლექსი მნიშვნელოვნად გამოირჩევა აზრის სინათლითა და გამოთქმის სისხარტით.

---

[114] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, გვ. 377—378.

[115] იქვე, გვ. 378—379.

იმავე ლენინგრადულ E 106 ხელნაწერში, იმავე მე-6 ფურცელზე დაწებებულ XI ფურცლის ნაჭერზე მოთავსებულია ვახტანგის ხელით ნაწერი კიდევ ერთი თავისებური. ხელოვნური ლექსი (სურ. 8):

„ქ. ორ ოცდაორობს, ათ, ოცდათ ათვრამეტ შუა მჯდარობსა,
შვიდ ოცდაშვიდათ, ათხუთმეტ, ოთხ ოცდაოთხად მხდარობსა,
ათორმეტ, ერთი, ოცდაერთ, ცხრა ოცდაცხრობით მწვდარობსა,
და ათჩვიდმეტ, ხუთი, ოცდახუთ, ათ[ა]მეტ არ დამცდარობსა“[116].

ეს ნაწარმოები სამეცნიერო ლიტერატურისათვის უცნობია. აქაც ხელი, ლექსის სტილი და მ-ზანდასახულობა გვიჩვენებს, რომ იგი ვახტანგ მეექვსის ქმნილებაა. ვახტანგის პოეზიაში ხშირია იმგვარი აგებულების სიტყვების რითმებად გამოყენება, როგორიც აქ არის. მაგალითად, „სალხუნად გულ-სა“-ში გვაქვს: გამჭვირვალობსა, ძალობსა, საბრალობსა, უწყალობსა (სტრ. 21), „სატრფიალონში“ — მწუანობსა, გაუვანობსა, ჰგვანობსა, შესაგვანობსა (79), „სიბრძნე მალაღობელში“ — ზრდილობსა, ჰკილობსა, წბილობსა, დაცილობსა (247) და სხვა. ლექსი „ვახტანგ ჯოხზე დაწერა“, გარდა იმისა, რომ ამგვარივე აგებულების რითმებს შეიცავს, მასში სიტყვა „ჯდომა“ სწორედ ისეთივე ხელოვნური ფორმითაა ნახმარი, როგორც დამოწმებულ ლექსშია:

„მართალ არს ერთი პირობა, ბევრთ სუსტის[ა] მძლედ მაგრობსა,
ვით ეს ფიცარი ერთ სესტი, თუ სხვაცა თანა მყუარობსა,
უსაქმობასა საქმე სჯობს, თუ ვინმე ცუდად მ ჯ დ ა რ ო ბ ს ა,
და ნუ თუ რას ველით ხან წავლით, ნუ ვინმე შემედარობსა“[117].

„ამირ-ნასარიანის“ ერთ-ერთ სტროფში კი აღნიშნულ სიტყვასთან ერთად რითმად ვხედავთ საძიებელი ლექსის მეორე სარითმო სიტყვასაც:

„ნუ ხარ სამართლის მოზარე, ნურცა სულ მარტო მ ჯ დ ო მ ა რ ე...
ჯდა მეფე ვინმე უშჯულო, ყოველგან ხელის მ წ დ ო მ ა რ ე...“ (60. 1, 3)

ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

საძიებელი ლექსის ვახტანგისადმი კუთვნილება კიდევ უფრო ცხადი ხდება მისი შინაარსის გაშიფრვის შემდეგ.

რას ეხება იგი, რაზეა მასში მსჯელობა?

ზმნათა თავისებური ფორმები, რომლებიც აქ რითმებადაა გამოყენებული, შინაარსის გაგებაში ვერაფერს გვშველის.

---

[116] დედანში აქაც სასვენ ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი.

[117] ავტოგრაფში (ლენინგრადული M 1 ნუსხა, გვ. 1r.) ეს სტროფი ვახტანგის ხელით გვერდზეა მიწერილი და შემდეგ გადახაზული.

ვახტანგის პოეზიაში ზოგჯერ მოიპოვება აზრისაგან დაცლილი, ფორმალისტური ნაწარმოები, როგორიცაა, მაგალითად, ანბანთქებანი, წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი და სხვა. ამ ტიპის თხზულებანი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ქართულ, ისე მეზობელ ხალხთა, განსაკუთრებით სპარსულ პოეზიაში[118]. გამოსაკვლევ ლექსში იმდენად განსხვავებული და გულდაგულ შერჩეული ციფრებია მოხმობილი, რომ იგი არ უნდა წარმოადგენდეს ამგვარ, ფორმალურ, უშინაარსო, რიცხვების თამაშის შემცველ, გასართობ ნაწარმოებს. ისიც ისეთივე სასწავლო დანიშნულებისა უნდა იყოს, როგორც ზემოთ განხილული ლექსია.

ამ ნაწარმოების გაშიფრვისათვის უპირველესად ყურაღღება უნდა მიექცეს იმ მონაცემებს, რომლებიც არის ფურცლის ნაჭერზე, სადაც ლექსია მოთავსებული. აქ არის ცხრილები მთვარისა და მზის მოქცევის შესახებ. იგივე ცხრილები გადატანილია ადამიანის ხელის თითების გულზე. თხზულების ამ ცხრილებთან შედარება გვიჩვენებს, რომ მასში გალექსილია სწორედ ის რიცხვები, რაც მთვარის მოქცევის გრაფაში ქართული ანბანით არის წარმოდგენილი: ბ(2), კბ(22), ი(10), ლ(30), იჱ(18), ზ(7) და ა. შ.[119].

რას ნიშნავს ეს ციფრები და რა დანიშნულება ჰქონდა მას?

ვინაიდან ცხრილი, რომელიც ლექსს უკავშირდება, მთვარის მოქცევას ასახავს და იქვეა მზის მოქცევისა და თვეთა ცხრილები, დასმული საკითხის გასარკვევად მივმართეთ ვახტანგის ასტრონომიული ხასიათის თხზულებებს. სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით შეუსწავლელია[120]. საკითხის კვლევამ მიგვიყვანა ვახტანგის მიერ შედგენილ კა-

---

[118] ამ საკითხს ვეხებით ნაშრომში: ვახტანგ მეექვსე — ქართული ლექსთწყობის განმაახლებელი, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 3, გვ. 30—36.

[119] ცხრილში ვახტანგს თავიდან იზ(17) სწორად დაუწერია. შემდეგ „ზ" წაუშლია და მის მაგივრად „გ" დაუწერია, რაც შეცდომაა.

[120] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: გ. მარი, ულუღ-ბეგის ზიჯის ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით, წიგნში: სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926, გვ. 3—53; კ. დონდუა, ჰედაიათ ილ-ნუჯუმი და საიმისო სპარსულ-ქართული ლექსიკონი, იქვე, გვ. 54—91; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 36—39, 205—207; დ. ცხაკაია, მათემატიკის ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, თბ., 1965, გვ. 199—203; რ. კიკნაძე, ულუღ-ბეგი, თბ., 1968, გვ. 118—122; გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 86—88; თ. აბულაძე, ვახტანგ VI მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესწავლისათვის (ზოგიერთი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინის შესახებ ვახტანგის მეცნიერულ თარგმანებში), „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 2, გვ. 71—84.

ვახტანგ მეექვსის ნაშრომებს ასტრონომია-ასტროლოგიის, მათემატიკისა და სხვა ტექნიკურ დარგებში დიდი გატაცებით სწავლობს რაულ ჩაგუნავა, რომელმაც

ლენდარულ ნაშრომებამდე, რომელთაც „კინკლოსი“, „ხელთა“ და სხვა სახელები ჰქვიათ. როგორც ანდერძი გვაუწყებს, ისინი ავტორს 1712—1713 წლებში შეუქმნია, როდესაც ისპაჰანში იმყოფებოდა[121]. ვახტანგის იმავე ცნობით, ამგვარი კალენდარული ნაშრომები საქართველოშიაც არსებულა, მაგრამ ზოგიერთი ნაკლის გამო მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ყოფილა გაძნელებული: „უკეთუმცა არს ქართლსა შინა კინკლოსნი, ხელთა და ქორონიკონი, მიზეზითა მრავალნი ვერას იცნობენ და არცა იცნობება, რაოდენი ამაშინა წერილ არს... და ამად დავშვერ და აღვსწერე და გამოვიღე თვით თავით ჩემით მე, მეფემან ვახტანგ. ვინც გამოიყენოთ რასმე, შენდობასა ყოფდეთ ჩემთვის. ქრისტეს აქათ ჩღიგ (1713— ბ. დ.). ჩემდაცა ჯერ იყო აღწერა, ნუუკვე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა, ასე მომიხდეს საქმე, სამღდელოთაგანი აღარავინ მყვანდეს“.

იქვე, ლექსით ნაწილში წერია:

„თუცა იყო თემსა ჩვენსა კინკლოსები წესიერი,
და ეს მათშიგან ვახტანგ შევრთე სახსოვარი ჩემ[შ]იერი“.

თუ რას წარმოადგენს ვახტანგის ეს „კინკლოსი“, რა მსგავსება-განსხვავება აქვს მას საქართველოში არსებულ, და საერთოდ, ამგვარ ნაშრომებთან, ეს საკითხიც შეუსწავლელია და ცალკე კვლევას მოითხოვს.

ვახტანგის ამ ნაშრომში მოცემულია ის სქემები და ცხრილები, რომლებიც დამოწმებულ ფურცელზე ლექსთან ერთად მოიპოვება. იქვეა განმარტებული მათი შინაარსი და დანიშნულება[122]. აქედან და

საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა ქიმიაში მისი მოღვაწეობის შესახებ (Р. В. Чагунава, Вахтанг Багратиони и его труд по химии, Тб., 1984, თვით თხზულება: ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა, თბ., 1981). წელს „მეცნიერება“ გამოსცემს რ. ჩაგუნავას წიგნს „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა“.

[121] თ. ჯაონია, ვახტანგ VI, თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, გვ. 290—291; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 61.

[122] ვახტანგის ეს კალენდარული ნაშრომი რამდენიმე ხელნაწერითაა ცნობილი. ესენია: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის № 484 (აღწერილი აქვს ჯ. გაგოშიძეს, მითითებული აღწერილობა, II, თბ., 1950, გვ. 97—98), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1400 (აღწერილობა ეკუთვნის თ. ბრეგაძეს, ტ. II, გვ. 186—187), Q 2[illegible] ნუსხები (აღწერილია ელ. მეტრეველის მიერ, ტ. I, გვ. 236—237). ამათ გარდა, მოღწეულია ცალკე ცხრილები, რომელთაც ახლავს მოკლე განმარტებანი. ასეთია იმავე ხელნაწერთა ინსტიტუტის S 2266-ბ ხელნაწერი (აღწერილია ელ. მეტრეველის მიერ, ტ. III, გვ. 180); ლენინგრადული ნუსხა E 106, ფრაგმენტი № 5, ვახტანგის ავტოგრაფი,

სხვა მასალათა[123] შესწავლიდან ირკვევა, რომ საძიებელ ლექსსა და თანმხლებ ნახაზებსა და ცხრილებში ასახულია საეკლესიო კალენდრის ძირითადი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა თარიღთან ერთად გამოანგარიშება ხდებოდა აღდგომისა და სხვა მოძრავი რელიგიური დღესასწაულებისა.

როგორც ცნობილია, დაწყებული ნიკეის 325 წლის საეკლესიო კრებიდან, ქრისტიანული დღესასწაული აღდგომა აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, პირველი სავსე მთვარის მომდევნო პირველ კვირა დღეს. თუ სავსე მთვარე დაემთხვა კვირა დღეს, მაშინ აღდგომა იქნება მის სწორს. მთვარის მოქცევა, ფაზები განისაზღვრება 19-წლიანი ციკლით. მიღებულია, რომ ყოველი 19 წლის შემდეგ მთვარის ფაზები ზუსტად ერთსა და იმავე დროს მეორდება. მაგალითად, თუ გაზაფხულის პირველი სრული მთვარე ციკლის პირველ წელს იყო 2 აპრილს, მთვარის იგივე ფაზა გამეორდება, 2 აპრილს მოვა მე-20 წელს, 39-ე წელს და ა. შ. ამ კალენდრით გამოანგარიშებულია, 19-წლიან ციკლში რომელ წელს რომელ რიცხვში მოდის მთვარის ესა თუ ის ფაზა. კერძოდ, დადგენილია, რომ ციკლის პირველ წელიწადს გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო პირველი სავსე მთვარე არის 2 აპრილს, მეორე წელს — 22 მარტს, მესამე წელს — 10 აპრილს და ა. შ. აი, ეს სრული ცხრილი რიცხვების ანბანურ გამოხატულებასთან ერთად[124]:

მთვარის მოქცევა	თვე და რიცხვი სავსე მთვარისა	მთვარის მოქცევა	თვე და რიცხვი სავსე მთვარისა
1 (ა)	2(ბ) აპრილი	11 (ია)	12 (იბ) აპრილი
2 (ბ)	22 (კბ) მარტი	12 (იბ)	1 (ა) აპრილი
3 (გ)	10 (ი) აპრილი	13 (იგ)	21 (კა) მარტი
4 (დ)	30 (ლ) მარტი	14 (იდ)	9 (თ) აპრილი
5 (ე)	18 (იშ) აპრილი	15 (იე)	29 (კთ) მარტი
6 (ვ)	7 (ზ) აპრილი	16 (ივ)	17 (იზ) აპრილი
7 (ზ)	27(კზ) მარტი	17 (იზ)	5 (ე) აპრილი
8 (ჱ)	15 (იე) აპრილი	18(იჱ)	25 (კე) მარტი
9 (თ)	4 (დ) აპრილი	19 (ით)	13 (იგ) აპრილი
10 (ი)	24 (კდ) მარტი		

რომლის სურათი დაბეჭდა რ. ორბელმა თავის აღწერილობაში (№ 4); ეახტანგის ეს კალენდარული ნაშრომი ვახუშტი ბაგრატიონმა დაურთო ბიბლიის ტექსტს, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა 1743 წელს და სხვა.


[123] ხელთა, პოვნისათვის პასექისა, შედგენილი ნ. მაღალდაძისაგან, ტფ., 1878; საუკუნო კალენდარი, შედგენილი გ. სოფრომაძისაგან, ტფ., 1880; И. А. Климишин, Календарь и хронология, М., 1985; А. В. Буткевич, М. С. Зеликсон, Вечные календари, М., 1984; С. И. Селешников, История календаря и хронология, М., 1970.

[124] აქ და ქვემოთ თვეთა რიცხვები მოცემულია ძველი სტილით.


სურ. 1. S 4500, გვ. 55.

სურ. 2. M 3, ფ. 195.

სურ. 5. იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 36, 15 v.



სურ. 6. E 106, ფ. 6, ფრ. XII.



სურ. 7. E 106, ფ. 6, ფრ. VII.

სურ. 8, E 106, ფ. 6, ფრ. XI.

ამ ცხრამეტ ციფრს, რომლებიც, ვიმეორებთ, აღნიშნავს გაზაფხულის პირველი სრული მთვარის თვესა და რიცხვს, ეწოდება „ათცხრამეტური“[125] და ვახტანგის ლექსში სწორედ ეს თარიღებია ჩამოთვლილი. პოეტი ასახელებს მხოლოდ რიცხვს და არა თვეს, რადგან თვის აღნიშვნა საჭირო არ იყო. ოცს ზევით რიცხვი მარტის თვისაა, ოცზე ნაკლები — აპრილისა, ე. ი. 1, 2, 4, 5, 7, 9, 10, 12, 13, 15, 17, 18 მუდმივი რიცხვებია და განეკუთვნება აპრილს. ასევე, 21, 22, 24, 25, 27, 29, 30 ყველა მარტია.

ამ ცხრილის მიხედვით, თუკი ვიცით მთვარის რომელი მოქცევა არის, თავისუფლად შეგვიძლია დავასახელოთ, როდის იქნება გაზაფხულის პირველი სავსე მთვარე. ანდა პირიქით: თუკი ვიცით გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის თვე და რიცხვი, შეგვიძლია განვსაზღვროთ მთვარის ციკლის რომელ წელიწადთან გვაქვს საქმე.

იმის გამოანგარიშება კი, ესა თუ ის წელი მთვარის რომელ წელს განეკუთვნება, ადვილად ხდება. საძიებელ წელს უმატებენ 5508 წელს, რომელიც თითქოს გავიდა სამყაროს გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე; მიღებულ რიცხვს ყოფენ 19-ზე და რა ნაშთიც დარჩება, ის იქნება მოცემული წლის მთვარის მოქცევის რიგი.

მაგალითად, მერამდენე მთვარის მოქცევა არის 1986 წელს? 1986 + 5508 = 7 494 : 19 = 394 და რჩება ნაშთი 8. მიღებული ციფრებიდან 394 გვიჩვენებს, რომ 1986 წელს სამყაროს გაჩენიდან გასულა მთვარის მოქცევის 394 ციკლი, ხოლო ნაშთი 8 იმის მაუწყებელია, რომ ამ წელს არის მთვარის მე-8 მოქცევა.

მთვარის მოქცევის რიცხვის გამოანგარიშება უფრო მარტივადაც ხდება. საძიებელ წელს უმატებენ 17-ს[126], მიღებულ რიცხვს ყოფენ 19-ზე და რა ნაშთიც დარჩება, ის იქნება მთვარის მოქცევის აღმნიშვნელი რიცხვი. იმავე 1986 წლისა რომ ვიანგარიშოთ: 1986 + 17 = = 2003 : 19 = 105-ს და ნაშთად რჩება იგივე 8, მთვარის მოქცევის რიცხვი.

ამის შემდეგ ჩავხედავთ ცხრილში და ვნახავთ, რომ მე-8 მოქცევა შეესაბამება 15 ათცხრამეტურს და ვგებულობთ, რომ 1986 წელს გაზაფხულის პირველი სავსე მთვარე არის 15 აპრილს.

---

[125] იმის გამო, რომ მთვარის მოქცევის რიგის ცხრილში ბოლო რიცხვი 19-ია, ზოგჯერ „ათცხრამეტურს“ ამ რიგს უწოდებენ, ხოლო მეორე რიგს, სადაც სავსე მთვარის რიცხვებია ჩამოთვლილი და ბოლო რიცხვია 13, ამ რიგს „ათცამეტურს“ ეძახიან.

[126] ეს რიცხვი არის 5508-ის 19-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

აღნიშნული ცხრილის ზეპირად ცოდნისა და სარგებლობისათვის იყენებდნენ მარცხენა ხელისგულს, სადაც ფალანგებზე გადატანილია ათცხრამეტური. თვლა იწყება საჩვენებელი თითიდან და მთავრდება ცერის ბოლოს. პირველ ოთხ თითზე განლაგებულია 4-4 ციფრი, ცერზე — 3 ციფრი. საჩვენებელი თითის დასაწყისში, პირველ ფალანგაზე მოთავსებულია 2 აპრილი, მეორეზე — 22 მარტი, მესამეზე — 10 აპრილი, მეოთხეზე (თითის ბოლოს) — 30 მარტი, შუა თითის დასაწყისში, პირველ ფალანგაზე 18 აპრილი და ა. შ. ბოლოს, ცერის დასაწყისში, პირველ ფალანგაზე — 5 აპრილი, მეორეზე — 25 მარტი და ცერის წვერზე — 13 აპრილი.

ფოტოპირზე განცალკევებით დახატულ ხელისგულზე სწორედ ეს რიცხვებია გამოხატული.

ეს მეთოდი დიდად აადვილებდა გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის გამოანგარიშებას. თითის სახსრები, ფალანგები მთვარის მოქცევის სათვალავის როლს ასრულებს. პირველი ფალანგა მთვარის ციკლის პირველ წელს აღნიშნავს, მეორე — მე-2 წელს... შუა თითის პირველი ფალანგა — მე-5 წელს, ნეკის პირველი ფალანგა — მე-13 წელს და ა. შ. მაგალითად, როცა ვიცით, ესა თუ ის წელი მთვარის ციკლის მე-6 წელს განეკუთვნება, იოლად დავადგენთ შესაბამის ათცხრამეტურს. საჩვენებელი თითის პირველი ფალანგიდან გადავთვლით 6 ფალანგას და მივალთ შუა თითის მეორე ფალანგაზე. აქ კი, ვიცით, ზის 7 აპრილი.

მეორე მაგალითი: ვთქვათ, ვიცით 1986 წლის გაზაფხულის პირველი სავსე მთვარე არის 15 აპრილს და გვაინტერესებს გავიგოთ, როდის იქნება ასეთივე მთვარე 1993 წელს. 15 აპრილი, როგორც ვთქვით, ზის შუა თითის ბოლოს, მე-8 ფალანგაზე. აქედან ვიწყებთ გადათვლას და ვღებულობთ: 1987 წელი იქნება მე-9 ფალანგაზე, 1988 წელი — მე-10 ფალანგაზე, ხოლო 1993 წელი — მე-15, ნეკა თითის მესამე ფალანგაზე, სადაც ზის 29 მარტი.

მაშასადამე, როცა ცნობილია ამა თუ იმ წლის ათცხრამეტური, თითებზე უბრალო გადათვლის შედეგად ერთბაშად ვადგენთ მომდევნო და წინა წლების ათცხრამეტურს, გაზაფხულის სავსე მთვარის რიცხვს.

ვახტანგის ხელნაწერი ფურცლის დანარჩენი ნახატები და სქემებიც ამავე კალენდრის შემადგენელი ნაწილებია და სხვა თარიღთა,

მათ შორის, აღდგომის რიცხვის ზუსტად განსაზღვრისათვის გამოიყენება. კერძოდ, მათი საშუალებით შეიძლება დადგინდეს, ნებისმიერ წელს ნებისმიერი თვე რომელი დღით დაიწყება. ხოლო, როდესაც ვიცით გაზაფხულის საავსე მთვარე რომელი თვის რომელ რიცხვშია და ის თვე რომელი დღით იწყება, მაშინ, ბუნებრივია, დიდი თავისმტვრევა აღარ არის საჭირო აღდგომის რიცხვის ზუსტად გამოანგარიშებისათვის.

მაგალითად, როდესაც ვიცით, გაზაფხულის საავსე მთვარე არის 2 აპრილს, ხოლო აპრილი იწყება ორშაბათი დღით, გამოდის, საავსე მთვარე ყოფილა სამშაბათს, ხოლო აღდგომა, აქედან პირველი კვირა დღე იქნება მე-5 დღეს — 7 აპრილს.

სურათზე გამოხატული მეორე სქემა და ორი, მარცხენა და მარჯვენა ხელისგულებზე განლაგებული ასოები ასახავს მზის მოქცევის შესაბამისად კვირის დღეების განაწილებას მთელი წლის განმავლობაში, რომელსაც ჩვენში „ხელთა“ ეწოდებოდა, რუსეთში — „Вруцелетие“.

როგორც ცნობილია, მზის მოქცევის ციკლი განისაზღვრება 28 წლით: ყოველი 28 წლის შემდეგ თვეები და დღეები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, თუ მზის მოქცევის პირველ წელს 15 მარტი არის შაბათ დღეს, 16 მარტი — კვირას, 15 მარტი — სამშაბათს და ა. შ., თვეთა ეს რიცხვები ამავე დღეებში გამეორდება მეორე ციკლის პირველ წელს, ე. ი. 29-ე წელს და ა. შ.

ცხრილში კვირის შვიდი დღე დასახელებულია. რიცხვებით. ვახტანგისა და სხვა ძველ ქართულ კალენდრებში ეს რიცხვებიც ქართული ანბანითაა გამოხატული. 1 აღნიშნავს კვირის პირველ დღეს, 2 — მეორე დღეს და ა. შ. ვინაიდან კვირეული იწყება კვირა დღით, 1 (ა) იქნება კვირა, 2 (ბ) — ორშაბათი, 3 (გ) — სამშაბათი, 4 (დ) — ოთხშაბათი, 5 (ე) — ხუთშაბათი, 6 (ვ) — პარასკევი და 7 (ზ) — შაბათი.

ცნობილია, რომ მზისეულ კალენდარში თვეები, გარდა თებერვლისა, შედგება 30 და 31 დღე-ღამისაგან, თებერვალი კი — 28, ხოლო ყველა მეოთხე წელს — 29 დღე-ღამისაგან. ამიტომ არის, ყოველ მეოთხე წელს კვირეულის დღე ერთი დღით წინ იწევს. მაგალითად, თუ პირველ წელიწადს თვის ესა თუ ის რიცხვი ორშაბათს მოვიდა, იგივე რიცხვი მეორე წელს იქნება სამშაბათს, მესამე წელს — ოთხშაბათს, მაგრამ მეოთხე წელს იქნება არა ხუთშაბათს, არამედ — ერთი დღის შემდეგ, პარასკევს.

მზის მოქცევის რიგთან კვირის დღეთა შესაბამისი რიგი ასეთია:

მზის მოქცევის რიგი	კვირის დღეები	მზის მოქცევის რიგი	კვირის დღეები
1 (ა)	1 (ა)	15 (იე)	4 (დ)
2 (ბ)	2 (ბ)	16 (ივ)	6 (ვ)
3 (გ)	3 (გ)	17(იზ)	7 (ზ)
4 (დ)	5 (ე)	18 (იჱ)	1 (ა)
5 (ე)	6 (ვ)	19 (ით)	2 (ბ)
6 (ვ)	7 (ზ)	20 (ი)	4 (დ)
7 (ზ)	1 (ა)	21 (ია)	5 (ე)
8 (ჱ)	3 (გ)	22 (იბ)	6 (ვ)
9 (თ)	4 (დ)	23 (იგ)	7 (ზ)
10 (ი)	5 (ე)	24 (იდ)	2 (ბ)
11 (ია)	6 (ვ)	25 (იე)	3 (გ)
12 (იბ)	1 (ა)	26 (ივ)	4 (დ)
13 (იგ)	2 (ბ)	27 (იზ)	5 (ე)
14 (იდ)	3 (გ)	28 (იჱ)	7 (ზ)

ეს ცხრილია მოცემული ვახტანგის ხელნაწერ-ფურცელზეც, ოღონდ არ არის მოყვანილი რიცხვები მზის მოქცევის რიგისა, ხოლო კვირის დღეთა აღმნიშვნელი ცხრილი მეორე სვეტში გრძელდება ქვემოდან.

მზის ციკლის რიგის გამოანგარიშება იმავე წესით ხდება, რაც მთვარის ციკლისას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაყოფა ხდება არა 19-ზე, არამედ მზის მთლიან ციკლზე, 28-ზე. მიღებული ნაშთი აღნიშნავს მზის ციკლის წელს.

მაგალითად, განვსაზღვროთ 1986 წლის მზის ციკლის რიგი: 1986 + 5508 = 7 494 : 28 = 267 და ნაშთი — 18. მაშასადამე, 1986 წელს არის მზის ციკლის მე-18 წელი.

მეორეგვარი გამოანგარიშება: საძიებელ წელს ვუმატებთ 20-ს და ვყოფთ 28-ზე (20 არის 5508-ის 28-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი). რჩება იგივე ნაშთი.

მზის ციკლის წელთა და კვირეულის დღეთა შესაბამისობის უკეთ დამახსოვრებისა და გამოყენების მიზნით, აღწიშნული ციფრები, მსგავსად ათცხრამეტურისა, გადააქვთ ხელის გულზე (აქედან წარმოსდგება მისი სახელიც „ხელთა“). ვინაიდან 28 წელთან გვაქვს საქმე, დაკავებულია ორივე ხელი. აქაც თვლა იწყება მარცხენა ხელისგულის საჩვენებელი თითის პირველი ფალანგიდან და გრძელდება მარჯვენა ხელის გულზე ნეკა თითის პირველი ფალანგიდან. მთავრდება ამავე ხელის შუათითის ბოლოს.

მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე მოთავსებულია 1, 2, 3, 5, შუათითზე — 6, 7, 1, 3, უსახელო თითზე — 4, 5, 6, 1, ნეკზე — 2, 3, 4, 6, მარჯვენა ხელის ნეკზე — 7, 1, 2, 4, სულ ბოლოს, შუათით-

ზე — 3, 4, 5, 7. ეს ციფრები, ვიმეორებთ, გამოხატავს კვირეულის დღეთა რიგს, ფალანგები — მზის ციკლის წელთა რიგს.

მაგალითად: როდესაც მზის მოქცევის პირველ წელს ამა თუ იმ თვის ესა და ეს რიცხვი არის პირველ ფალანგაზე მოთავსებული ციფრი 1 (კვირა); მეორე წელიწადს იქნება მეორე ფალანგის ციფრი 2 (ორშაბათი), მეათე წელიწადს — უსახელო თითის მეორე ფალანგის ციფრი — 5 (ხუთშაბათი) და ა. შ.

იმის გამოსარკვევად, ამა თუ იმ წელს ესა თუ ის თვე რომელი დღით იწყება (როგორც ძველად ერქვა „თვის დადეგი"), ხელთა მხოლოდ ერთ მონაცემს იძლევა. მეორე მონაცემი არის ის შესაბამისობა, რომელიც თვეთა რიცხვებსა და კვირის დღეებს შორის არსებობს. მაგალითად, თუ 1 იანვარი ოთხშაბათ დღეს არის, 1 თებერვალი, როცა ნაკიანი წელი არ არის[127], შაბათს იქნება. ასევე შაბათი მოუწევს 1 მარტს, სამშაბათი — 1 აპრილს, ხუთშაბათი — 1 მაისს. კვირა — 1 ივნისს და ა. შ. ვღებულობთ: როცა იანვრის პირველი რიცხვი კვირის მე-3 დღე არის, იგივე რიცხვი თებერვალსა და მარტში მე-6 დღეს მოდის, აპრილში — მე-2 დღეს, მაისში — მე-4 დღეს, ივნისში — მე-7 დღეს და ა. შ.

ამ შესატყვისობიდან გამომდინარე, თითოეული თვისათვის დადგენილია მუდმივი, ნიადაგ უცვლელი, მარეგულირებელი რიცხვები, რომლებსაც ჩვენში „ნიადაგი" ერქვა („Солнечные регуляры", „Regulares solares mensium").

ეს რიცხვებია:

იანვარი — 2,	მაისი — 3.	სექტემბერი — 7,
თებერვალი — 5,	ივნისი — 6,	ოქტომბერი — 2,
მარტი — 5,	ივლისი — 1,	ნოემბერი — 5,
აპრილი — 1,	აგვისტო — 4,	დეკემბერი — 7.

ვახტანგის ხელნაწერ-ფურცელზე, სულ ზემოთ, სწორედ თვეთა ეს ცხრილი, ნიადაგია მოცემული, ოღონდ ორიოდე შეცდომით. ავტორს სხვაგან გაუსწორებია, მაგრამ იანვარსა და თებერვალში შეცდომით დაუტოვებია 3 (გ) და 6 (ვ), ნაცვლად 2 და 5-ისა.

როდესაც გვსურს განვსაზღვროთ, მზის ამა თუ იმ წელიწადს რომელი დღით იწყება ესა თუ ის თვე, ამისთვის ხელთაში უნდა ვნახოთ, საძიებელ წელს რომელი რიცხვი შეესაბამება, მივუმატებთ მას საძიებელი თვის ნიადაგს და ჯამი იქნება კვირეულის დღე.

მაგალითად, გვაინტერესებს 1986 წელს რომელ დღეს დაიწყება მარტი. ზემოთ გამოვიანგარიშეთ, რომ ეს წელი არის მზის ციკლის

---

[127] ნაკიან წელს კი ხელთა ითვალისწინებს.

შე-18 წელი. ხელთაში 18-ს შეესატყვისება 1, ე. ი. კვირა. მარტის ნიადაგი არის 5. 5+1=6. მაშასადამე, 1986 წელს 1 მარტი იქნება კვირის მე-6 დღეს. ეს კი არის პარასკევი.

თუ ჯამმა შეადგინა 8, მაშინ იქნება მე-8 დღე, ე. ი. კვირა. თუ შეადგინა 9, იქნება კვირიდან მე-9 დღე, ე. ი. მეორე ორშაბათი და ა. შ. როდესაც ჯამი 8-ს გადაშორდება, მას გამოაკლდება 8 და, რაც დარჩება, ის იქნება კვირეულის დღე — 1 (ორშაბათი), 2 (სამშაბათი) და ა. შ.

მაშასადამე, თვის დასაწყისი დღისა და გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის რიცხვის ცოდნით ხდება დადგენა აღდგომის რიცხვისა.

მაგალითად, როდის იქნება აღდგომა 1986 წელს?

ზემოთ ვნახეთ, რომ გაზაფხულის პირველი სავსე მთვარე ამ წელს (ე. ი. მთვარის მე-8 წელს) არის 15 აპრილს. ახლა განვსაზღვროთ, რომელ დღეს დაიწყება აპრილი. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ წელს არის მზის ციკლის მე-18 წელიწადი, რომელსაც ხელთაში შეესაბამება 1. აპრილის ნიადაგიც არის 1. 1+1=2. ე. ი. აღნიშნულ წელს აპრილი იწყება კვირის მეორე დღეს, ორშაბათს. რადგან 1 აპრილი ორშაბათია, 15 აპრილი, სავსე მთვარის დღე იქნება მე-15 დღეს, რაც უდრის ორშაბათს. მომდევნო კვირა, აღდგომა, კი მოვა მე-7 დღეს, 21 აპრილს.

ამრიგად, 1986 წელს აღდგომა იქნება 21 აპრილს, ახალი სტილით — 4 მაისს.

როდესაც აღდგომის რიცხვი ცნობილია, მის მიხედვით მარტივია სხვა მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების განსაზღვრა: მაგალითად, აღდგომის ორმოცდამეცხრე დღის წინ იქნება ყველიერის აღების ღამე, აქედან ერთი კვირით ადრე — ხორცის აღების ღამე, კიდევ 15 დღით ადრე — მარხვანი იწყებიან და ა. შ. აღდგომის მეორმოცე დღეს ამაღლებაა, მეორმოცდაათე დღეს — სულიწმინდის მოსვლა და ა. შ.

ამავე ცხრილების მიხედვით შეიძლება აგრეთვე გამოანგარიშება სხვა კალენდარული დღეებისა (მაგალითად, სამოქალაქო და საეკლესიო უძრავი დღესასწაულებისა), ან კიდევ ასტრონომიული მოვლენებისა (მთვარის ფაზები და სხვა).

როგორც ვხედავთ, განხილული ხელნაწერი წარმოადგენს ერთგვარ მუდმივ კალენდარს, კალენდარ-გასაღებს, რომელშიაც ათცხრამეტურს ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ადგილი უჭირავს[128]. ლექსის

---

[128] ვინაიდან ჩვენი კვლევის ობიექტი ლექსია, ამიტომ კალენდრის მხოლოდ იმ მონაცემების ახსნით შემოვიფარგლეთ, რომლებიც ლექსსა და ხელნაწერ-ფურცელზე გამოსახულ ცხრილებსა და ნახატებს ეხება. მსჯელობის მიღმა დავტოვეთ კალენდრის სხვა მხარეები — ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი, თ ვ ი ს თ ა ვ ი და ა. შ.

მიზანია ათცხრამეტურის, — მთვარის მოქცევის რიგის მიხედვით გაზაფხულის პირველი სავსე მთვარის რიცხვების, — დასწავლა და ზეპირად მისი გამოყენება. მას ისეთივე სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, როგორც ამჟამად ქართული ანბანის რიგის დამახსოვრებისათვის აკაკი შანიძის მიერ შემუშავებულ „ლექსს“ აქვს:

„აბგად ევზჱთ იკალმანაო,
პაჟა რასტა უფქა ღაყაშ,
ჩაცა ძაწა ჭახა ჯაჰჵ[129].

ამ მაგალითით ერთხელ კიდევ გამოჩნდა ვახტანგ მეექვსის, ამ უაღრესად მრავალწახნაგოვანი მოღვაწე მამულიშვილის, ზრუნვა და თავდადება თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და საქმიანობისადმი, რადგან, ადვილმისახვედრია, თუ იმჟამინდელ, ქრისტიანულ საქართველოში რა ფართო და ყოველდღიური დანიშნულება ჰქონდა საეკლესიო კალენდარს.

---

[129] ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1980, გვ. 20.

ПОЭТИЧЕСКОЕ НАСЛЕДИЕ ВАХТАНГА VI

Резюме

В книге суммируются плоды разысканий, связанных с поэтическим наследием выдающегося грузинского государственного деятеля и представителя науки и культуры Вахтанга VI (1675—1737).

Несмотря на то, что поэзии Вахтанга посвящен ряд исследований, она все еще не изучена с достаточной глубиной и полнотой. До сих пор не осуществлено должное научно-критическое издание поэтического наследия поэта. Изданный А. Г. Барамидзе сборник стихотворений и поэм Вахтанга VI (Тбилиси, 1947, 1975 гг.), в основе которого лежит список М—3, хранящийся в Ленинградском отделении Института Востоковедения АН СССР, не отражает редакционные варианты, имеющиеся в различных рукописных источниках, на которые указывает прежде всего сам А. Барамидзе.

Во вступлении установлено, что широко распространенный в Грузии афоризм — «Надобно сечь наставника, коль отрок воспитан дурно», приписываемый то Руставели, то Д. Гурамишвили, то фольклорным источникам, в действительности принадлежит Вахтангу VI, создавшему его на основе творческой переработки текста «Апофегматы», переведенного Э. Туркистанишвили с русского языка. С данным афоризмом И. Чавчавадзе познакомился в рукописи и опубликовал его, вследствие чего афоризм получил широкое распространение. Ввиду того, что опубликована была ранняя, а не поздняя редакция стихотворной версии «Апофегматы» Вахтанга VI, в которой имеется данный афоризм, источник и автор последнего остались неизвестными.

Выяснение данного вопроса говорит о том, что текст, исходящий из рукописи М—3 и положенный в основу издания стихотворений и поэм Вахтанга, не является последней редакцией, как это и считалось при подготовке указанного издания.

В представленной книге исследуются с точки зрения редакционных разночтений и вариантов 14 рукописных сборников Вахтанга, показаны редакционные особенности каждого из них и их взаимозависимость. Установлено, что тексты

поздних редакций отражены в авторизованных списках S—171, хранящихся в Институте рукописей им. Кекелидзе АН ГССР; М—3 представляет собой вторую редакцию, а все остальные рукописи являются первой редакцией.

Показано, что данные рукописи друг от друга отличаются языково-стилистическими вариантами. В разработке текста Вахтанг VI руководствовался одним принципом: поэт, совершенствуя смысловую сторону и стиль текста, сокращает количество слов в строке, старается обобщить конкретное содержание, возводя его к афоризму.

Хотя последняя редакция по своей смысловой нагрузке и стилистически-художественным достоинствам лучше ранней, язык ранней редакции в целом более прост, ясен и ближе к разговорной речи. Язык же поздней редакции отличается книжностью и искусственностью. Эти стилистические различия должны быть отзвуком «разностилистической языковой» теории, с которой Вахтанг VI, видимо, был знаком и творчески применял её.

Редакционные особенности, характерные для рукописи М—3 и S—171, должны быть отнесены примерно к периоду от второй половины 1733 г. до весны 1737 г.

Каждый из указанных редакционных текстов имеет самостоятельное значение и обладает собственными достоинствами и недостатками, поэтому в академических изданиях поэтических сочинений Вахтанга VI каждый из этих редакционных текстов должен быть представлен на равных правах.

В труде выявлены, систематизированы и рассмотрены также некоторые произведения Вахтанга, не вошедшие в рукописные сборники и издания, а среди них — стихотворения «Вахтангури» и «Мухранули», автор которых до сих пор оставался неизвестным.

В научной литературе установилось опирающееся на название стиха неверное мнение, что «Вахтангури» представляет собой подражание какого-то неизвестного автора утерянному стихотворению Вахтанга VI.

В рукописи Е—106 Ленинградского отделения Института Востоковедения АН СССР обнаружено это стихотворение, написанное рукой самого Вахтанга VI с редакционными и вариантными разночтениями, которые воспроизводят процесс создания этого произведения.

В рукописи «Чашники», хранящейся в Ленинградской публичной библиотеке им. Салтыкова-Щедрина, в стихотворения Вахтанга самим Вахтангом внесен и текст «Мухранули».

На основе этого материала, а также идейно-тематического и стилистического анализа стихотворений утверждается, что «Вахтангури» и «Мухранули» — оригинальные сочинения Вахтанга VI.

В книге анализируется форма и содержание данных стихотворений. В «Вахтангури» воссоздается облик реальной женщины, возлюбленной, полной красоты и очарования, сопоставляемый с воплощаемым ею божеством.

«Мухранули» является написанным на эсхатологическую тему аллегорическим произведением, в котором разработанным в христианской теологии иносказательным языком выражена идея Страшного суда, а адресатом («Дзали»), к которому обращается поэт, является Бог, Христос.

Оба стихотворения по форме представляют собой своеобразные явления грузинской поэзии. «Вахтангури» — пятистрочное гетерометричное стихотворение, а «Мухранули» — т. н. квадратное произведение, читаемое как горизонтально, так и вертикально.

В книге рассматриваются также два неизвестных стихотворения, которые вписаны рукой Вахтанга VI в вышеуказанную ленинградскую рукопись Е—106. Установлено, что и эти произведения принадлежат Вахтангу VI. Оба они предназначены для учебно-практических целей. В одном из них перечислена одна часть книг «Ветхого завета». Второе стихотворение создано для церковного календаря. В нем для облегчения запоминания зафиксирован ряд чисел первой полной Луны весеннего равноденствия, соответствующих лунному циклу («Вруцелетие»).

პირთა საძიებელი

აბრამ (ბიბლ.) 85
აბულაძე თამარ 224
აბულაძე ილია 12, 17—18, 200—201
ავალიშვილი გიორგი 179—180, 182—183, 188—190, 199, 201
ავგუსტუს კეისარი 109
ალექსანდრე ბაქარის ძე 18
ამფილოქე იკონიელი 222
ანაქსაგორა 108
ანდრია (ბიბლ.) 100
ანდრია კესარია-კაბადოკიელი 197, 210
ანტისთენე 108
ანტონ I ნ. ბაგრატიონი ანტონ
არეოპაგელი დიონისე ნ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი
არისტოტელე 108, 139—140
არისტოფ („სიბრძნე მალაღობელი") 201
არისტოფანე 108
არჩილი 3, 186
აღათოკლე, აღაფოკლე 108, 160
ახვლედიანი აზიზი 216
ახობაძე ლიანა 201

ბაბუნაშვილი ელენე 169
ბაგრატიონები 219
ბაგრატიონი ანტონ 169
ბაგრატიონი ვახუშტი 226
ბაგრატიონი თეიმურაზ 21
ბაგრატიონი (ბატონიშვილი) იოანე 178, 213, 217
ბარათაშვილი მამუკა 76, 108, 175, 178—179, 181, 184, 186, 188—190, 213, 220, 214
ბარამიძე ალექსანდრე 6—7, 9—10, 12—13, 15—20, 22, 24, 45, 47, 62, 65—66, 76, 110—112, 127, 155, 167—168, 170, 172, 178, 180—181, 185—186, 201, 213.
ბარდაველიძე ჯონდო 216
ბარნოვი გურამ 215—216
ბაქარი 18, 221
ბედოშვილი გურამ 217
ბეროზაშვილი თამარ 199
ბრეგაძე დავით 15—17, 22, 45—47, 106—108, 110—112, 127—128, 130, 132
ბრეგაძე თამარ 15—18, 179, 225
ბროსე მარი 218
ბოღრატ („აპოფთეგმატა") 55
ბოპორიძე გ. 218
ბოხოჩაძე ალექსი 217

გაგოშიძე პ. 17, 225
გამეზარდაშვილი დავით 169
გამსახურდია ზვიად 204—205
გაწერელია აკაკი 171, 173, 186, 202, 204, 209
გეგეჭკორი გივი 12
გელენიძე ლატავრა 201
გერმანაშვილი პეტრე 5—6
გვახარია ალექსანდრე 12, 45, 168, 171—173
გვახარია ვაჟა 204
გერიტიშვილი დავით 45
გიგინეიშვილი ბაქარ 206
გიგინეიშვილი ივანე 169
გიორგი (წმინდა) 218—219
გიორგი მრავალძალი 218, 219
გიუნაშვილი ელგუჯა 206
გოგოჭური დავით 212, 216
გრიგოლ ღმრთისმეტყველი 222
გრიშაშვილი იოსებ 3—4, 6
გურამიშვილი დავით 3, 9, 184, 186

დავითი (ბიბლ.) 222
დანელია კორნელი 205
დიოგენე, დიოღენ 108, 129, 142
დიონეს, დიონოს („სიბრძნე მალაღობელი") 119—120, 125
დიონისე არეოპაგელი ნ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი

დონდუა კარპეზ 76, 224
დოხნაძე ა. 9

ეზრა (ბიბლ.) 221—222
ენუქაშვილი სამსონ 202
ენუქიძე თინა 15—18, 179, 217, 225
ეპიკურე 108
ესთერი (ბიბლ.) 221
ეტვიფანე კვიპრელი 205

ვახტანგ მეექვსე 4, 6—16, 18, 20, 22—25, 27, 38, 43, 45—46, 66, 73—77, 79, 84—85, 92, 99, 104—113, 117—121, 127—128, 130, 132, 134, 136, 138—139, 144—149, 155—158, 162—163, 166—187, 189—190, 192, 200—201, 204, 207, 211—215, 219—225, 227—231, 233
ვირსალაძე ელენე 215—216

ზანდუკელი ფიქრია 216—217
ზენონი 108
ზოიძე ეთერი 216

თალესი 108
თანდილავა ზურაბ 216
თანდილაშვილი თ. 4
თაყაიშვილი ეკვთიმე 15—16, 18, 170, 218—219
თეიმურაზ პირველი 21
თეოფილაქტე ბულღარელი 194, 196, 198
თურქისტანიშვილი (თურქესტანიშვილი) ერასტი 7—8, 104—106, 108—110
თუშმალიშვილი დავით 18
თოდუა მაგალი 24, 168, 172—173, 186, 212—213

იბერიელი პეტრე ნ. პეტრე იბერიელი
იეფეთ (ბიბლ.) 85
იედითი (ბიბლ.) 221
იელიანე კეისარი 109
ისო ნავე (ბიბლ.) 221—222
იოანე, იოვანე (ბიბლ.) 100, 194—197, 206, 209—210
იოანე ოქროპირი 193—196, 206—207
იმედაშვილი გაიოზ 44—45, 106, 213
იმნაიშვილი ივანე 192, 197
ინაიშვილი ასლან 216
ინგოროყვა პაველ 5, 191, 199, 205, 213
იობი (ბიბლ.) 221—222
იყალთოელი არსენ 221—222

კაბადოკიელი ანდრია ნ. ანდრია კესარიაკაბადოკიელი
კავკასიძე მელქისედეგ (მელქისადეგ) 8, 14, 17, 55, 107, 112—113, 136, 138, 175
კაკაბაძე მანანა 65, 75
კაკაბაძე სარგის 17, 217—218
კალანდაძე ალექსანდრე 169
კასრაძე ნადია 16—18, 179
კეკელიძე კორნელი 6—7, 14—16, 18, 23—25, 47, 65—66, 75—77, 104, 109—110, 127, 168, 178, 194—196, 199, 201, 213, 225
კესარიელი ანდრია ნ. ანდრია კესარიაკაბადოკიელი
კეცხოველი ნიკო 215
კვიტაიშვილი ემზარ 12
კიკნაძე ლია 15
კიკნაძე რევაზ 224
კირეზ 160
კობიძე დავით 45, 191
კოკოჩაშვილი ვიქტორ 225
კონდაკოვი ნიკოდიმე 218
კსენეფენ, კსენეფონ („სიბრძნე მალაღობელი“) 160

ლაზარე (ბიბლ.) 19—20
ლარაძე პეტრე 213
ლეჟავა ლია 3
ლეონიძე გიორგი 11, 19, 178, 188, 199, 214—215
ლოლაშვილი ივანე 202, 213
ლომთაძე ამირან 44
ლუკა (ბიბლ.) 195—196, 202, 205

მათე (ბიბლ.) 192, 195, 201, 206—207, 210
მათუსალა (ბიბლ.) 19—20
მაკალათია სერგი 212
მაკედონელი ალექსანდრე 109, 151—152

მარი გიორგი 224
მარი ნიკო 5
მარიამ (ღვთისმშობელი) 200
მარკო, მარკოზ („სიბრძნე მალაღობელი") 160
მარკოზი (ბიბლ.) 198, 202
მაღალდაძე ნ. 226
მაცაბერიძე ვალერიან 216
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 217—218
მენაბდე ლევან 6, 11—12, 16, 22, 45, 75, 108—109
მეტრეველი ელენე 15—18, 22, 24, 105, 108, 113, 127, 130, 132, 168, 171—173, 179, 186, 199, 213, 225
მესხიშვილი მერი 199
მიქაელ მოდრეკილი 204—205, 211
მიქაძე გივი 76, 179, 181, 188—190, 212—213, 219
მინდელი ნ. 218
მოსე (ბიბლ.) 204
მსხალაძე ალექსანდრე 216
მხარგრძელი სტეფანე 9

ნოზაძე ლამარა 199
ნოღაიდელი ჯემალ 216

ორბელი რუსუდან 182, 221, 225
ორბელიანი დემეტრე 7—8, 16, 28, 51, 55, 79, 158
ორბელიანი სულხან-საბა 3, 7, 16, 24, 168—173, 179, 186, 200—202, 208—209, 213, 221
ოქროშიძე თამარ 217

პავლე (ბიბლ.) 100, 205
პაიჭაძე გიორგი, 11, 45, 224
პატკანოვი 5
პეტრე (ბიბლ.) 100
პეტრე იბერიელი 202, 209
პეტრწი იოანე 169
პერიანდრე („სიბრძნე მალაღობელი") 148
პლატონი 108, 151, 153
პროკლე კონსტანტინეპოლელი 207
პტოლემეოსი 217

რუთი (ბიბლ.) 221—222
რუსთველი (რუსთაველი) შოთა 3—4, 6, 9 ,185—186, 212—213, 215

რუხაძე ტრიფონ 4, 104

სალტიკოვ-შჩედრინი 178, 188
სენკრატ („სიბრძნე მალაღობელი") 153
სიგუა ალ. 6
სილ. თავ-ძე 6
სიხარულიძე ქსენია 215
სოგრატე, სოკრატე, სოკრატ 8, 106—108, 144, 166
სოლომონ (ბიბლ.) 222
სოლონი 108
სოფრომაძე გ. 226
სტალინი იოსებ 188
სტილბონ („სიბრძნე მალაღობელი") 152
ს-ძე 6

ტიმოთე (ბიბლ.) 206
ტობია (ბიბლ.) 221

უვაროვი პ. 218
ულულ-ბეგი 224

ფირცხალაიშვილი რიმა 14, 17
ფსევდო დიონისე არეოპაგელი 202, 209

ქავთარია ბიხეილ 18, 220
ქაშიფი 167
ქეი-ქაუს იბნ-ისქანდერ იბნ-ყაბუს იბნ-ვუშმაგირი 44
ქრისტე 192—198, 200, 204—212, 220, 225, 227
ქუთათელაძე ლილი 16—18, 179
ქუჩუქა, ქუჩუქოვი 23—24

ღვინჯილია ჯანსუღ 12
ღლონტი ალექსანდრე 199

უეშანელიშვილი სოლომონ 76, 222

შამანაძე ნოდარ 212, 216
შანიძე აკაკი 169, 205, 212, 233
შანიძე მზექალა 15, 18
შარაშიძე ქრისტინე 11, 16—18, 179, 224
შატბერაშვილი გიორგი 214—215

ჩაგუნავა რაულ 224
ჩიქობავა არნოლდ 169

ჩიქოვანი მიხეილ 5, 212, 215—216
ჩუბინაშვილი გიორგი 218
ჩუბინაშვილი ნიკო 168, 201, 209

ცაიშვილი სარგის 22, 75, 201
ცანავა აპოლონ 216
ციცერონი 109
ცქიტიშვილი ნელი 216
ცხაკაია დ. 224

ძაგნაკორელი იასე ხიმშიას ძე 213
ძოწენიძე ლალი 8, 15—18, 22, 104—105, 107—111, 127
ძოწენიძე ქეთევან 205

წერეთელი აკაკი 3, 5
წიკლაური მამუკა 12
წულუკიძე ალ. 15

ჭავჭავაძე ილია 4—7, 9, 11
ჭანკიევი ცაცა 15
ჭინჭარაული ალექსი 216
ჭრელიძე ქეული 219
ჭუმბურიძე ჯუმბერ 169
ჭურღულია ოთარ 5
ჭყონია თორნიკე 22, 66, 75, 134, 225

ხახანაშვილი ალექსანდრე 188
ხინთიბიძე აკაკი 76, 186, 188, 190—191
ხინთიბიძე ელგუჯა 209

ჯაბადარი ივანე 4
ჯანაშია სიმონ 18
ჯიბლაძე გიორგი 22, 65, 110

ჰიდაიათ ილ-ნუჯუმი 224

Багратиони Вахтанг см. Вахтанг VI
Барамидзе А. Г. 234
Бертельс Е. Э. 191
Буткевич М. С. 226

Вахтанг VI 170, 234—236

Гурамишвили Д. 234

Джами 191

Зеликсон М. С. 226

Какабадзе С. 218
Кекелидзе К. 235
Климишин И. А. 226

Навой 191

Орбели Р. Р. 182
Орбелиани Сулхан-Саба 170

Петр Великий 8

Руставели Ш. 234

Салтиков-Щедрин 235
Селешников С. И. 226

Туркистанишвили Э. 234

Христос 236

Чагунава Р. В. 225
Чавчавадзе И. Г. 234
Чижевский Дмитрий 191

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი. ეის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“ 3

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის დადგენისათვის 11

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი. ხელნაწერ კრებულთა რედაქციები 14

ა. „ყველის ქება“ 19
ბ. შეგონება 20
გ. „სალბუნად გულისა“ 23
დ. „ამირ-ნასარიანი“ 44
ე. „კაეშანი“ 65
ვ. „სატრფიალონი“ 75
ზ. „სიბრძნე მალაღობელი“ 104
საერთო დასკვნები 173

მ ე ო რ ე თ ა ვ ი. ახალი მასალები ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობიდან 178

ა. „ვახტანგური“ 178
ბ. „მუხრანული“ 188
გ. „თუკი გინდა სულის კარგი...“ 221
დ. ათცხრამეტური 223

ილუსტრაციები 227
Поэтическое наследие Вахтанга VI (резюме) 240
პირთა საძიებელი 243

БОРИС ШАКРОЕВИЧ ДАРЧИА

ПОЭТИЧЕСКОЕ НАСЛЕДИЕ ВАХТАНГА VI

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1986

ყდასა და თავფურცელზე ხვეული წარწერა „ვახტანგ" გადმოღებულია სსრ კავ შირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრა დის განყოფილებაში დაცული „ქმნულების წიგნის" მინაწერებიდან (E 19, გვ. 18r.)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ს8 3003

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი მ. მათიაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 12. 12. 85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 6. 86;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი; გარნიტურა ვენური;
ნაბეჭდი თაბახი 15,5; პირობითი საღებავ-გატარება 15,5;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,5;
უე 13591. ტირაჟი 3.000. შეკვეთა № 1049.
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19